

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

თინათინ ბოლქვაძე

# იდეოლოგიკული ღირებულებები

თბილისი 2005

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორის თინათინ ბოლქვაძის წიგნში განხილულია სახელმწიფოში მოქალაქეთა პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ინტეგრაციის განმაპირობებელი ფაქტორები: ენა, რელიგია, ისტორია, წყობა და ხელისუფლება. ავტორი მათ უნოდებს იდეოლოგიურებულ ღირებულებებს, რომელთაგან ენა ფუნდამენტური მოვლენაა. იგი ამთლიანებს საზოგადოებას და იქცევა ეროვნულ სიმბოლოდ. ენა ქმნის ფასეულობათა ერთგვარ პარადიგმას. მასთან არის იდენტიფიცირებული ეროვნული ღირებულებები.

ნაშრომში ქართული ენის სოციოლინგვისტური მახასიათებლები გაანალიზებულია რეტროსპექტული თვალსაზრისით. მიღებული შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს თანამედროვე საქართველოს ენობრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებას.

წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერების, ფილოლოგიების, ისტორიკოსებისა და სოციო- და ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

Professor of the department of General and Applied Linguistics of Tbilisi State University, Dr. Tinatin Bolkvadze's book deals with the factors condition the political, social and cultural integration of the citizens within the state. These factors are: language, religion, history, state system and government, called as ideologized values by author. Of all these factors language is the fundamental phenomenon. It unites society and becomes a national symbol. It is the language that the national values, national heroes and generally, the national mission is identified with. It forms a kind of paradigm of values.

In the work the sociolinguistic attributes of the Georgian language are studied from the retrospective point of view. The obtained results may be used as the basis for working out the main trends on the language policy of modern Georgia.

The book may be useful for linguists, philologists, historians and for readers interested in the problems of socio – and anthropolinguistics.


რედაქტორი აკად. თამაზ გამყრელიძე

რეცენზენტები: პროფ. გურამ ლებანიძე  
პროფ. თედო უთურგაძე  
პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005

© თინათინ ბოლქვაძე, 2005

ISBN 99940-38-23-0



# სარჩევი

---

წინასიტყვაობა .....	7
შესავალი .....	10
თავი I	
ენის სოციოლინგვისტური მახასიათებლები.....	15
§ 1. იდეოლოგიზებული ღირებულებები .....	16
§ 2. ენათა ტიპები .....	19
თავი II	
საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა და ქართული ენა.....	25
თავი III	
სოციოლინგვისტური ხასიათის ცნობები კველ ქართულ წერილობით წყაროებში.....	39
§ 1. ლეონტი მროველის ცნობები მეფე ფარნავაზის შესახებ.....	42
§ 2. სტანდარტიზაცია .....	50
§ 3. მეგაბოლა და ნორმა .....	61
§ 4. აღმოსავლურ-ქრისტიანული ენობრივი გრადიცია და ქართული ენა .....	74
თავი IV	
ლექსიკის კოდიფიკაცია .....	89
§ 1. სულხან-საბა ორბელიანის “სიგყვის კონის” შექმნის სოციო- ლინგვისტური კონტექსტი .....	89
§ 2. სემიომისი და პირველადი სემანტიკური კონცეპტები .....	96
§ 3. კონცეპტი “სახე, ტიპი” .....	102

§ 4. შეფასებითი განმარტებები.....	112
§ 5. ენობრივი ნიშნები სინტაქსური თეალსაზრისით .....	114
§ 6. ენობრივი ნიშნები პრაგმატული მიდგომით .....	125
§ 7. მეტაფორული ენობრივი ნიშანი და მეტაფორული განმარტება .....	139
<b>თავი V</b>	
შეცდომები კოლიფიასიაში .....	143
§ 1. შეცდომები ენის ბგერითი ინვენტარის კოლიფიკაციაში.....	144
§ 2. შეცდომები ენის გრამატიკული კატეგორიის კოლიფიკაციაში ...	150
§ 3. სტილის არჩევისას დაშვებული შეცდომები.....	158
<b>თავი VI</b>	
თანამედროვე ქართული ენის ღიაპარონი.....	162
პირითაღი დასკვნები.....	167
Ideologized Values (Summary).....	187
ბიბლიოგრაფია .....	205
საზნობრივი საძიებელი.....	220
საუთარ სახელისა საძიებელი.....	233

გერმინი “სოციოლინგვისტიკა” პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა პ. კარიმ, რომელმაც 1952 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი “სოციოლინგვისტიკის პროექტირება: მეცნიერების კავშირი სოციალურ სტატუსთან”\*. სოციოლინგვისტიკა მიმდინარეობდა მხოლოდ 1963 წელს ჩამოყალიბდა, როცა ამერიკის ანთროპოლოგიურმა ასოციაციამ გამოყო სფერო, რომელსაც ურთიერთობის ეთნოგრაფია\*\* ეწოდა. ამავე წელს სოციალურ კვლევათა საბჭოს ეგიდით გაფორმდა სოციოლინგვისტიკის კომიტეტი. მის შემადგენლობაში შედიოლნენ რიგორც ლინგვისტები, ისე სოციოლოგები (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ერვინ-გრიპი 1976:181). ჯ. ფიშმანი სწორად მიუთითებდა, რომ ამ მიმართულებას ორი მშობელი დისციპლინა ჰყავს: ენათმეცნიერება და სოციოლოგია (ფიშმანი 1971 : 3).

მართალია, სოციოლინგვისტიკა ახალი დარგია, მაგრამ იგი ეყრდნობა ენათმეცნიერების მთელი ისტორიის მანძილზე ენისა და საზოგადოების ურთიერთობის კვლევის შედეგად მიღებულ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მონაპოვარს. სოციოლინგვისტიკა გვევლინება ენის ანთროპოლოგიის, ლინგვისტური გეოგრაფიის, არეოლოგიის, დიალექტოლოგიის, სოციოლოგიისა და რიგორიკის შემეციდრედ, რომელიც მათი პრობლემატიკის გათავისებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, კიდევ დაშორდა წინამორბედებს. ენათმეცნიერების ამ დარგის კვლევის სფერო ძალიან ფართოა. მას აინტერესებს ყველაფერი – ცალკეული ადამიანის ენობრივი ქცევიდან დიდი ენობრივი ჯგუფების, ერე-


---

\* “A projection of sociolinguistics: the relationship of speech to social status”.

\*\* Ethnography of communication.

ბისა და სახელმწიფოების, ურთიერთობათა ჩათვლით. ახდა ლეონარდ ბლუმფილდის სიტყვები: “თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ოცნებაა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ არცთუ შორეულ მომავალში ენის შესწავლა დაგვეხმარება ადამიანთა ქცევის გაგებასა და ამ ქცევათა მართვაში” (ბლუმფილდი 1968).

კ. კოერნერი სპეციალურად შეისწავლა როგორ მოუმზადეს საფუძველი თანამედროვე სოციოლინგვისტიკას. დიალექტოლოგიის, ისტორიული ენათმეცნიერების, ბილინგვიზმისა და მრავალენოვნების პრობლემებზე მომუშავე ენათმეცნიერებმა კ. კოერნერმა, სოციოლინგვისტიკის წყაროების ცხრილიც კი შექმნა, რომელშიც ენათმეცნიერთა ე.წ. გენეალოგია აისახა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მას განსაკუთრებულად აინტერესებდა ხაზი, რომელიც უილიამ ლაბოვამდე მიიყვანდა. ამიტომ ყურადღების მიღმა დარჩა ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ეინარ ჰაუგენი (მისი მხოლოდ ბილინგვიზმის პრობლემებზე დაწერილი ნაშრომებია აღნიშნული), ჯოშუა ფიშმანი, ჩარლზ ფერგიუსონი და სხვები.



\* ფრანკოფონიაში მითითებულია მეცნიერის ნაშრომის გამოცემის წელი.

\*\* მეიეშდე გენეალოგიური ხაზი გადის უიგნისა და სოსიურმე.

სოციოლინგვისტიკა თავისი მიზანდასახულობით ფაქტობრივად ემთხვევა იმას, რასაც ფურდინანდ ღე სოსიური გარელინგვისტიკას უწოდებდა და მიჯნადა შინაგანი ლინგვისტიკისაგან. ასეთი გაყოფის აუცილებლობის საჩვენებლად იგი ერთმანეთს უდარებდა ენასა და ჭადრაკს. “ის ფაქტი, რომ ჭადრაკი ევროპაში სპარსეთიდან შემოვიდა, - წერდა სოსიური, გარე ხასიათისაა თვით თამაშის სისტემისა და წესების მიმართ. თუ ხის ფიგურებს სპილოს ძელის ფიგურებით შევცვლით, ჭადრაკის თამაშის წესი არ შეიცვლება, მაგრამ თუ გავზრდით ან შევამცირებთ ფიგურათა რაოდენობას, ეს უკვე თამაშის “გრამატიკას” შეეხება (სოსიური 1977 წ. 61). სოსიური საჭირო და საპაგიო საქმედ თელიდა გარეენობრივი მოვლენების შესწავლას, მაგრამ ენობრივი სისტემის კვლევასთან შედარებით მაინც არამთავარ მიზნად მიაჩნდა.

ჭადრაკისაგან განსხვავებით ენობრივი სისტემების ცვლილებას სწორედ გარეენობრივი ანუ ექსტრალინგვისტიკური ფაქტორები იწვევენ. თუ ჭადრაკის თამაშის წესებს ვერ ცვლის თამაშის ადგილი და დრო, ამას ვერ ვიგყვით ენაზე, რადგან მის თვისობრიობას ღიდალ განსაზღვრავს ამ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ჩვეულებები, პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია, გავრცელების გეოგრაფიული არეალი და სხვ. ნებისმიერი ენის, სოსიურის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლინგვისტიკის ერთადერთი და ჭეშმარიტი ობიექტის, განხილვა თავისთავედ და თავისთვის ვერ მოხდება საზოგადოებისა და მისი ისტორიისაგან მოწყვეტით.

აღამიანთა ნებისმიერი ისტორიულად ცნობილი გაერთიანების საფუძველი ენაა, რომელიც, რაც უნდა შორეულ წარსულს მიემართოთ, ყოველთვის წინამავალი ეპოქის მექანიკურად გვევლინება. ყველა საზოგადოება ენას ცნობდა და ცნობს წინა თაობათაგან მიღებულ პროდუქტად. მართალია, სოციუმი სურვილისამებრ ცვლის წინაპართაგან ნამექვიდრევე თითქმის ყველა მონაპოვარს, მაგრამ რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება ენაზე იგება, იგი ენობრივი კოლექტივისაგან სხვაგვარ დაბოილებულებას მოითხოვს. ენა სოციუმზე გრადიციის ძალითაა თავს მოხვეული, ე.ი. საზოგადოება ვალდებულია ენა ისეთი მიიღოს, როგორც არის. მეტყველი გააზრებულადაც რომ უყურებდეს ენას, იგი მაინც არ დაიმსახურებს მისგან კრიტიკას, რადგან ყოველი ხალხი კმაყოფილია თავისი ენით (სოსიური 1977 : 104-107). აღამიანი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ სწორედ ენა აბლევს თავისი ინტელექტუალური აქტივობის მთელს უსაზღვრო სინამდვილეზე განფენის საშუალებას.

შემთხვევითი არ არის, რომ მეტყველების ქალღმერთი ვაჩისადმი (ინდური გრადიციით, Vag Ambhmi) მიძღვნილი რიგველის ერთ-ერთ ჰიმნში (X, 125) ენა დახასიათებულია კოსმიურ ძალად, რომელიც ალაესებს ცასა და მიწას, აჯილდოებს რჩეულებს. თვითმესხმითი ეანრის ამ ჰიმნში მეტყველების ქალღმერთი ვაჩი ამბობს, რომ იგი იწვევს ხალხში შეჯიბრს. ერთ-ერთი კომენტატორის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს შეჯიბრი სიტყვიერებაში. შესაძლებელია, ამას გარდა, რომ ეს ადგილი გავიგოთ როგორც ხალხთა ანუ ენობრივ კოლექტივთა შეჯიბრი, რადგან ამავე ჰიმნის შესამე სგროფში ერთმანეთთანაა დაპირისპირებული ზოგადად



შეგყველების ღვთაებრივი არსი და ღმერთთა მიერ მიწაზე დაღვინებული ენათა სიმრავლე (რიგვედა 1972 : 252-253, 395-396).

ბიბლიური გადმოცემაც ენათა სიმრავლეს უფლისგან დაღვინილ წესად აფასებს. ენათა და ეროვნულ კულტურათა სიმრავლით უპასუხა ღმერთმა ბაბილონის გოდოლის მშენებლობას, რომ ასეთი რამ აღარ განმეორებულყო. სული წმიდის მოვლინების დღისთვის ნათქვამ ქადაგებაში იოვანე მთავარეპისკოპოსი ამბობს:

“ოდესმე ენანი ღმრთისაგან რისხუთა განიწვალნეს უკეთურებისათჳს კაცთაჲსა, ხოლო ამას დღესა შინა წყალობითა და მაღლითა სულისა წმიდისაჲთა მოეცნეს შეწვევისათჳს სოფლისა; მამინ განიბნინეს, რაჲთა მოყუასისა თუხისაჲ ნუ ისმინოს, აწ მოქცენეს, რაჲთა ისმინონ, ისწონ და გულისხმა-ყონ.

მას ეამსა განყოფამან მან ენათაჲსაჲ საქმენი ცულნი განაქარენა; ხოლო აწ ენანი რომელნი მომეცნეს, საქმენი ჭემიარტევისანი დაამტკიცენეს და აღაცხნეს; მურ მოეცნეს, რაჲთა ზრახვანი უკეთურნი განაქარენეს, და აქა მოეცნეს, რაჲთა კეთილი ღმრთისა ნებაჲ ქადაგონ.

მას ეამსა მისთვის, რაჲთამცა არა ისმინეს ენაჲ იგი ურთიერთასი, და აწ მისთვის, რაჲთა აღიშენებოდა ბოროტად, და აქა მომეცნეს ენანი, რაჲთა დაემკუნენ ცოლენანი, რომელნი აღიშნებთან საცთურად. და გამოიედეს ენანი შემდგომად ენათა, რაჲთა შემოიყვანნეს იგინი სახლსა ცხოვრებისასა” (სინური მრავალთაჲი 1959: 181).

იოვანე მთავარეპისკოპოსის ნათქვამში ვატარებულია აზრი, რომ ენათა სიმრავლე უფალმა ადამიანებს რისხვად დაატეხა, მაგრამ შემდეგ ეს დიდ სიყუთედ მოუბრუნდა კაცობრიობას. ამ თვალსაზრისს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში ენათა თანასწორობის იდეის საქადაგებლად.

მხოლოდ წარსულ საუკუნეებში როდი ფიქრობდნენ ასე. მაგალითად, ნ. გრუბეცკოი წერს:

“ბაბილონის გოდოლის ამბით წმინდა წერილი გვიხატავს ერთ ენაზე მოლაპარაკე, მამასადამე, ლინგვისტურად და კულტურულად სრულიად ერთგვაროვან კაცობრიობას. და, როგორც ირევეკა, ეს ერთიანი, ყოველგვარ ინდივიდუალურსა და ეროვნულს მოცლებული საკაცობრიო კულტურა ძალზე ცალმხრივია. განუთარებული მეცნიერებისა და ტექნიკის ფონზე (რაზეც შეგყველებს თვით

ასეთი მშენებლობის ჩანაფიქრი), მას ახასიათებს სულიერი სიყარველე და ამორალობა. სწორედ ამ თვისებათა წყალობით ვითარდება თვითმპყიოფილება და კაღნიერება, რაც გამოიხატება უღმერთო და იმავდროულად უაზრო ჩანაფიქრში. ბაბილონის გოლოლი ტექნიკის საოცრებაა, მაგრამ მას რელიგიური შინაარსი არა აქვს, პირიქით, ანტირელიგიური და მკრეხელურია. ღმერთმა ამ ჩანაფიქრის განსორციელების შესაჩერებლად, კაცობრიობის მკრეხელური თვითნებობის ასალაგმად არია ენები, ანუ სამუდამოდ დაამკვიდრა ერიენული დაყოფისა და ეროვნულ ენათა და კულტურათა სიმრავლის კანონი. ეს ღვთაებრივი აქტი, ერთი მხრივ, გვაჩვენებს, რომ ერთფეროვანი, ეროვნულად დაუნაწეერებელი საკაცობრიო კულტურა გარდაუვლად შიდის ასეთ უღვთო ტექნიკურ თვითნებობაზე და. მეორე მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ მხოლოდ ერიენული კულტურებია თავისუფალი აღამიანთა ამოო სიამაყისაგან. მხოლოდ მათი შეუძლიათ ატარიონ კაცობრიობა ღვთისგან დასახული გზებით” (გრუბეკოი 1995 : 328-329).

ენათა და ეროვნულ კულტურათა ღვთისგან დაღგენილ მრავალფეროვნებას ნ. გრუბეკოიშ დანაწეერების კანონი უწოდა.

“ღეღამიწაზე ენათა შევეთირი მრავალფეროვნება ქმნის თავისებურ, რა თქმა უნდა, მხოლოდ გონებით წარმოსახულ მთლიანობას.

ამღენად, დანაწეერების კანონს ენის სფეროში ანარქიისკენ კი არ მიყყაერთ, არამედ მოწესრიგებული ჰარმონიული სისტემისაკენ, რომლის უმცირესი ნაწილიც კი თავის განსაკუთრებულ ინდივიდუალობას ინარჩუნებს” (გრუბეკოი 1995 : 334).

მიუხედავად იმისა, რომ სოციოლინგვისტიკის ისტორია სულ ნახევარსაუკუნეს ითვლის, ამ მიმართულებით მომუშავე მეცნიერთა ნაწილმა უკვე მოასწრო არსებითი ხასიათის შეცდომების დაშვება. ცნობილი სოციოლინგვისტი როჯერ ბელი ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ენობრივი მღგომარეობის შესახებ წერს:

“ამჟამად ევროგაერთიანების დაწესებულებებში ცნობენ შვიდ ენას: დანიურს, ნიდერლანდურს, ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, ირლანდიურსა და იტალიურს. მაგრამ თუ დანიელები, პოლანდიელები, ირლანდიელები და ლუქსემბურგელები კეთილ ნებას გამოიჩენენო, განაგრძობს მეცნიერი. - მაშინ შესაძლებელი გახდება ენათა რაოდენობის ოთხამდე დაყვანა - და

გერჩება ინგლისური, ფრანგული, გერმანული და იტალიური, ხოლო დანიელებს, პოლანდიელებსა და ლუქსემბურგელებს უნდა დაუტოვოთ უფლება, ძირითადი კანონები თავიანთ ენაზე გამოაქვეყნონ, რაც ამჟამად განსაკუთრებით აუცილებელია ევრო-გაერთიანებისათვის" (ბელი 1980 : 237-238).

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციოლინგვისტი ხალხებს მშობლიურ ენათა დათმობისაკენ მოუწოდებს და ამას კეთილი ნების გამოვლენად თვლის მაშინ, როცა დიდი ჰუმანისტები ევროპის ენობრივ მომავალს სწორედ ენათა სიმრავლეში ხედავდნენ, რადგან დედაენა სენტიმენტალური იერით კი არ არის შეზავებული, არამედ მეცნიერული ცნებაა, რომელშიც სრულად ჩანს ენისა და ენობრივი კოლექტივის კავშირი (ვაისგერბერი 1963 : 129).


"ჩვენ დედაენით გალაღებული ევროპელები გვჭირდება, - წერდა ჰუმბოლდტის მიმდევარი ლ. ვაისგერბერი, - რადგან მხოლოდ ამ გზით თუ განსტკივდება თანამშრომლობა ევროპის წინაშე ერთობლივად მდგომ პრობლემათა გადასაწყვეტად... დე ყოველმა ევროპელმა თავისი წვლილი შეიტანოს ამ გზის საბოლოო გაკვალვაში, რომელიც ყოველ ევროპულ ენით ერთიანობას, დედაენის ძალთა ლაღი გამლთით მოივლის სამსახურში ჩააყენებს. თუ ევროპის ენობრივი სოციუმები ამგვარი ჰუმანურობის მავს დაღებენ, მაშინ მშვიდობის დამყარებას სახელმწიფოებს შორის საიმედო გზას დაადგება (დამოწმებულია გ. რამიშვილის მიხედვით 2000 : 181-0184).

როჯერ ბელი კი სხვაგვარად ფიქრობს. მისი აზრით, ევროგაერთიანება უნდა ესწრაფოდეს, რომ მის შემადგენლობაში მყოფნი ჯერ "ევროპელებად" გრძნობდნენ თავს, შემდეგ კი ბრიტანელებად, ფრანგებად და დანიელებად (ბელი 1980 : 222). მაგრამ თუ ენის ენერჯისტული გაგებიდან ამოვალთ, რომლის მიხედვით ყოველ ენას სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივად გადაშუშავების საკუთარი გზა, საკუთარი "მსოფლხედვა" აქვს, მაშინ დასაბუთებული გამართლება ეძებნება ერთი ერის მეორისადმი ჰუმანური დამოკიდებულების აუცილებლობას, რაც ლინგვისტურ ჰუმანიზმამდე მიგვიყვანს (რამიშვილი 2000 173-174).

რა თქმა უნდა, ენათმეცნიერების არც ერთი დარგი და, მათ შორის, არც სოციოლინგვისტიკა, პოლიტიკის მხევალი არ უნდა იყოს. ლინგვისტი ობიექტური მეცნიერების წარმომადგენელია.

ენობრივი სოცუმები უნდა იველიოს თანამედროვე ლინგვისტური თეორიითადა კვლევის ბუსტიმეთოდებითაღჭურვილმაობიექტურმა ენათმეცნიერმა. ამის საშუალებას კი ნამდვილად იძლევა ენათა სოციოლინგვისტური ტიპების, ენობრივი სიტუაციის, ენობრივი პოლიტიკის, ენათა სტატუსისა და ენის ფუნქციების კვლევის შედეგად სოციოლინგვისტიკის მიერ მოპოვებული წარმატებანი.

ენათა გიპების, ენობრივი სიტუაციის, ენათა სტატუსის, მათი როლებისა და დიაპაზონის შესწავლა მიზნად ისახავს ფუნქციონალური სოციოლინგვისტური გიპოლოგიის აგებას. ასეთი სამუშაო გულისხმობს როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ მიდგომას. სინქრონიული მიმართულება მოიცავს მრავალენოვან საზოგადოებაში ენათა იერარქიისა და მათი ფუნქციების კვლევას. დიაქრონიული კი, თავის მხრივ, იყოფა რეგროსპექტულ და პროსპექტულ მიმართულებებად. რეგროსპექტული მიდგომით ვარკვევთ ენის ადგილს “დიდ გრადიციაში”, პროსპექტული მიმართულება მოცემული ენის შესაძლო მომავლის პროგნოზირებას გულისხმობს.



საკითხთა ამ წრის კვლევა შეუძლებელია ენის სოციოლინგვისტური აგრიბუტების ანუ მახასიათებლების წინასწარი გარკვევის გარეშე. უამისოდ ვერ განვსაზღვრავთ სოციოლინგვისტურ პროცესებს, რადგან ამა თუ იმ ენის გიპი და მისი რანგი ენათა იერარქიაში განისაზღვრება აგრიბუტთა გარკვეული კომბინაციით.

## § 1. იდეოლოგიზებული ღირებულებები

ამერიკელმა მეცნიერმა ჯომუა ა. ფიშმანმა სოციოლინგვისტიკაში შემოიტანა ტერმინი "Great Tradition" რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს ასე: "დიდი ტრადიცია" ან „ღიადი ტრადიცია“. მისი გაგებით, "დიდი (ღიადი) ტრადიციას" ქმნის ენა, რელიგია, ისტორია, წყობა და ხელისუფლება. სწორედ ესენი განაპირობებენ სახელმწიფოში მოქალაქეთა ინტეგრაციას. ჩვენ ამ ფაქტორებს იდეოლოგიზებულ ღირებულებებს ვუწოდებთ.

დიდი ტრადიციის შემქმნელი ფაქტორებიდან ენა ფუნდამენტური მოვლენაა. იგი ამთლიანებს საზოგადოებას და იქცევა ეროვნულ სიმბოლოდ, მასთან არის იდენტიფიცირებული ეროვნული ღირებულებები, ეროვნული გმირები და, საერთოდ, ეროვნული მისია (ფიშმანი 1972 წ.). იგი ქმნის ფასეულობათა ერთიგვარ პარადიგმას.

ეს არც არის გასაუვირი. რადგან ენა მთელი ძალით "ფარულად" აერთიანებს სოციუმს და მოხაზავს მის ისტორიულ სივრცეს სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე. ყოველი ენა არის სათანადო ხალხის მსოფლგაგებისა და მსოფლაგების ინსტრუმენტი, ისტორიის ღერძზე აყმულ თაობათა გამაერთიანებელი. ენა განაპირობებს ხალხის სულიერ აქტიუობას და მის ადგილს ისტორიულ კონტექსტში. სახელმწიფოთა პირველი, ოდინდელი და ჭეშმარიტად ბუნებრივი საზღვრები, უეჭველად, შინაგანი საზღვრებია, რომლებიც ენაზე გადის და მხოლოდ შემდეგ ემატება ამათ გარეგანი, გეოგრაფიული საზღვრები.

ენა და ისტორია მრავალმხრივად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ყოველი ენა საკუთარი ისტორიის მქონეა და კონკრეტული ენა საერთო ისტორიული პროცესის მთლიანობაშია ჩართული. მაშასადამე, იგი ისტორიის თანმხლები ან ისტორიის სარკე, ისტორიულ ცვლილებათა შედეგების რეგისტრატორი კი არ არის. არამედ, როგორც ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი საზგასმით აღნიშნავდა, ისტორიის ამგები: "ენები უდაუოდ განეკუთვნებიან კაცობრიობის ისტორიის ამგებ ძალებს... ენები და მათი ნაირგვარობა უნდა განვიხილოთ კაცობრიობის ისტორიის გამჭოლ ძალად" (რამიშვილი 2000 : 152-153, 159, 172).

რამდენიმე ტრადიციის არსებობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის საზოგადოებას. ამის მაგალითია ძველი ბერძნული ენის ისტორიის ოცდარვასაუკუნოვანი პერიოდი. ამ დროის

მანძილზე ბერძნულ ენაში ისეთი ცვლილებები მოხდა, რომ წინაპართა დიდებული ქმნილებები ღმრს მექვიდრეთათვის და ისევე მოითხოეს თარგმნას, როგორც უცხო ენაზე შექმნილი ძეგლები. სწორედ გრადიციები ეჯახებოდა ერთმანეთს XIX საუკუნეში “დიმოტიკისა” და “კათარეუსას” სახით. “ქეიქანა, რომელსაც არ უნდა თავისი ენა, – წერდა 1929 წელს ცნობილი ენათმეცნიერი ი. ფსინხარისი მაშინ, როდესაც ა. მირამბელის თქმით, “რაც მრავალ უბედურებაგამოვლილმა ბერძენმა ხალხმა მისცა თავის ქეიქანას, ეს არის ენა”. ეკლესიისა და განათლებული წრეების თავგამოდებით სახელმწიფო ენად გამოცხადდა “კათარეუსა” – “წმინდა ენა” – აგიციმირებული კონინესა და ბიზანტიური არქაისტული მწიგნობრული გრადიციის მექვიდრე. მაგრამ დიმოტიკის პოპულარობა თანდათან იზრდება. მას დიდი გავლენა აქვს კათარეუსაზე, რომელიც დღითიდღე თმობს თავის პოპიციებს და კარგავს მომხრეებს (მახარაძე 1971).

რამდენიმე გრადიციის არსებობა კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემებს ქმნის თანამედროვე ინდოეთში, რადგან აქ ხანგრძლივი ლიტერატურული გრადიციების მქონე ოცამდე ენას ემატება სამხრეთ ინდოეთის დრავიდული ენები და კოლონიური ინგლისური. სანამ სახელმწიფო მოსახლეობის პოლიტიკური ინტეგრაციის მისაღწევად ურმპრომისამდე მივიდოდეს, რაც უფრო და უფრო ძნელი, ლამის მიუღწეველი ხდება, ამასობაში ინგლისური საბოლოოდ ყალიბდება ძირითად ენად (ბელი 1980 : 234-236).

— თუ ერთზე მეტი გრადიციის არსებობა ზოგჯერ გადაულახავ პრობლემებს იწვევს, ერთი დიდი გრადიციის ძალა ქმნის ეტმოგლოსურ სამოგადობას, რომლის წევრებს სწამთ, რომ მათი ენა ასახავს მათ განსაკუთრებულ გენიას და ავთენტურად უკავშირდება მათ არაჩვეულებრივ ცხოვრებისეულ და სულიერ გამოცდილებას. ენობრივი კოლექტივები ყოველთვის ზრუნავენ იმაზე, რომ თავიანთ ენას მოუძებნონ “რესპექტაბელური” წარმოშობა, რისთვისაც ქმნიან მითებსა და გენეალოგიებს და ახდენენ მათ კულტივირებას. ამა თუ იმ ქვეყნის ენობრივ-კულტურული სიგუაციის ისტორიულ დინამიკაზე დაკვირვებისთვის ფასეულ მონაცემებს სწორედ კულტივირებული მითები და გადმოცემები იძლევა (ფიშმანი 1972).

დიდი გრადიციის, როგორც სახელმწიფოს იდეოლოგიზებული ღირებულებებისა და მიზნების სიმბოლოს, კვლევა გულისხმობს

ინტერდისციპლინარულ მიდგომას. როგორც ჯ. ფიშმანი ამბობდა, ეს პრობლემები უნდა იყვლიოს სოციოლინგვისტურად ორიენტირებულმა ენათმეცნიერმა ან სოციოლოგმა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია, ენის სოციოლინგვისტურ მახასიათებელთა ზოგადი ტიპოლოგიისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხების ფონზე აჩვენოს ქართული ენის როლი ქართული სახელმწიფოს დიდ გრადიციამში. პრობლემების მასშტაბურობის გამო ეს ნაშრომი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ამომწურავი. მასში საკითხის რეგროსპექტული ასპექტის თანმიმდევრულ ანალიზზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრებანი თანამედროვე ქართული ენის დიაპაზონისა და მისი სოციოლინგვისტური ფუნქციების შესახებ.



## § 2. ენათა ტიპები

### ენათა სოციოლინგვისტური მახასიათებლები და ტიპები

მახასიათებლები (აგრიბუტები)								ენათა ტიპები
სტანდარტი- ზაცია	ფაქტორი ნორმები	სოციალური- უნარიანობა	ისტორიულობა	კომოგენურობა	აქტიურობა	შერევა	რელაქსაცია	
1	2	3	4	5	6	7	8	
+	+	+	+	±	+	±	±	სტანდარტული
+	+	±	+	+	+	±	±	კლასიკური
-	+	+	±	±	-	±	±	ლიალექტი
-	+	+	±	+	+	+	±	ადგილობრივი
-	+	+	+	-	+	+	+	კრეოლი
-	+	-	+	-	-	+	+	პიჯინი
-	+	-	-	±	-	+	+	მარგინალური “სათუხუცე ენა”
+	+	-	-	±	+	+	±	ხელოვნური
±	±	±	±	±	±	±	±	ინტერენა
-	-	-	-	-	-	±	-	ენა უცხოელებისათვის

\* + აღნიშნავს მახასიათებლის (აგრიბუტის) ქონას.

- აღნიშნავს მახასიათებლის არქონას.

#### სტანდარტიზაცია

აქვს თუ არა ენას დადგენილი კოდიფიცირებული ნორმები, რომლებიც მიღებული და აღიარებულია მეტყველი კოლექტივის მიერ. გრამატიკებისა და ლექსიკონების არსებობა საკმარისი არ არის სტანდარტიზაციისათვის. აუცილებელია, რომ ეს ნორმები ისწავლებოდეს და მათი დაცვა მოეითხოვებოდეს საზოგადოების ყველა წევრს. სტანდარტიზაცია ენის ისეთი აგრიბუტია, რომელიც მას შინაგანად კი არ ახასიათებს, არამედ გარედან ედება ენას და ნებისმიერ დროს შეიძლება განხორციელდეს, როცა კი ამ ენაზე მეტყველ კოლექტივს ამისთვის საჭირო პირობები შეექმნება. სტან-

დარტიზაცია უკავშირდება სახელმწიფო (resp. ოფიციალურ) ენას. არ არსებობს სახელმწიფო ენა, რომლის სტანდარტიზაციაზე სპეციალურად არ ჩრუნაედეს ხელისუფლება. ენას, რომელსაც ოფიციალური სტატუსი არა აქვს, არც სახელმწიფოებრივი ბრუნვის საგანი არ არის სტანდარტიზაციის თვალსაზრისით.

ევროპაში ენათა სტანდარტიზაციას განსაკუთრებით შეუწყობ ხელი რენესანსის პერიოდმა. ენის სტანდარტიზაციისთვის ძირითადად პირობებს ქმნიან პოლიტიკური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რევოლუციები, წიგნების ბეჭდვა და, ყველაზე მთავარი, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება. ეს პროცესი XX საუკუნის დასაწყისში ძალიან გააქტიურდა იმდენად, რომ 1928 წელს ანგუან მეიემ გაილაშქრა ევროპის „ბალკანიზაციის“ წინააღმდეგ. მისი აზრით, ევროპას ანგრევედა ახალი სტანდარტიზებული ენების შექმნა. ამ სუსტი წერილობითი გრადიციის ენებზე მცირერიცხოვანი კოლექტივები შეტყვევებდნენ. ეროვნული თვითგამორყვევის ახალმა ღოჭრინამ, რომელიც სწორედ XX საუკუნეში შემუშავდა და გატარდა ცხოვრებაში, საზოგადოების უფართოესი ფენები ჩააბა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ამან კი გაზარდა ოფიციალურად ცნობილ ენათა რიცხვი (ჰაუგენი 1966 : 6-9).

### კოდიფიკაცია

სტანდარტიზებული ენის მახასიათებელია. კოდიფიკაციას ეინარ ჰაუგენი განსაზღვრავს როგორც რომელიმე კოდის დამკვიდრებას მართლწერის, გრამატიკისა და ლექსიკონების სახით. დამოცილებულება კოდიფიკატორის მიმართ და თვით საკუთარი საქმიანობის კოდიფიკატორისეული შეფასება დროთა განმავლობაში იცვლებოდა ისევე, როგორც თავად “კოდის” მნიშვნელობა. იმათთვის, ვინც ენას ღვთაებრივ მოვლენად თვლიდა, კოდიფიკატორი ქერუმი იყო – ციური ჭეშმარიტების ადამიანებისათვის გადამცემი. მოგვიანებით კოდი განიხილებოდა როგორც – კანონი, კოდიფიკატორი კი – კანონმდებლად იყო აღიარებული, შემდეგ კოდი ეტიკეტი გახდა, კოდიფიკატორი – მოდისა და კარგი გონის კანონმდებელი, და ბოლოს, კოდი ეროვნული (resp. სახელმწიფოებრივი) სიმბოლოა, კოდიფიკატორი – ეროვნული გმირი. ინფორმაციის თანამედროვე თეორიამ “კოდის” ახალი გაგება შეიმუშავა, კოდიფიკატორს შეიძლება ენის ტექნოლოგი ვეწოდოთ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოდისა და კოდიფიკატორის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინტერპრეტაცია დღესაც არსებობს

და ენობრივი ლაგეგმვის კომპლექსურ ფუნქციაში შედის (ჰაუგენი 1972).

### სიცოცხლისუნარიანობა

მეტყველებს თუ არა ცოცხალი კოლექტივი მოცემულ ენაზე. აქ შეიძლება ორი შემთხვევა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან:

1. ენა კარგავს სიცოცხლისუნარიანობას მასზე მეტყველი კოლექტივის გადაშენების გამო;

2. რომელიმე ძველი კლასიკური ენა, მაგალითად, იერითი ან პიჯინი შეიძლება აირჩიოს კოლექტივმა, რომელიც მისთვის გახდება მშობლიური და სტანდარტული (იერითის შემთხვევაში) ან კრეოლი (პიჯინის შემთხვევაში).

### ისტორიულობა

ვითარდება თუ არა ენა მასზე მეტყველი ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის მიერ. ენობრივი კოლექტივი ზრუნავს თუ არა იმაზე, რომ თავის ენას მოუძებნოს "რესპექტაბელური" წარმოშობა.

### ჰომოგენურობა

გამომდინარეობს თუ არა ენის გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მისი განვითარების წინარე სტადიებიდან.

### ფაქტობრივი (de facto) ნორმები

ენობრივი კოლექტივის მიერ აღიარებული, თუნდაც არაფორმალური აღიარებული ნორმები. მეტყველებისას ამ ნორმების დამცემის კომპეტენცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკონტროლო სტანდარტად.

### ავტონომიურობა

აღიქმება თუ არა ენა მასზე მეტყველი კოლექტივის მიერ სხვა ენების ან ეარიანტებისაგან განსხვავებულ სისტემად. ორი ან მეტი ისტორიულად მონათესავე ლინგვისტური სისტემის არსებობისას ავტონომიურობის არსებობა-არარსებობით შეიძლება გავმიჯნოთ ენა და დიალექტი.

### შერევა

შეღება თუ არა ენა ძირითადად ისეთი ერთეულებისა და სტრუქტურებისაგან, რომლებიც არ მომდინარეობენ სხვა წყაროდან.

### რედუქცია

ენის მოცემული ტიპი იყენებს თუ არა ერთეულთა სტრუქტურული ურთიერთობების ნაკლებ რაოდენობას ფონოლოგიასა და სინტაქსში, ვიდრე ამავე ენის სხვა მონაიესავე სახესხვაობები.

ენათა ჩამოთვლილი სოციოლინგვისტური აგრიბუტებისა და ტიპების გამოყოფა-ღეფინიცის ხანგრძლივი დრო დასჭირდა (საკითხის ისტორიისათვის იხ. ბელი 1980: 195-200). შეიძლება ითქვას, მუშაობა ამ მიმართულებით ჯერაც არ დასრულებულა.

ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა და მათი საერთაშორისო ცხოვრებაში გამოყენების დონე ღღეს კიდე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ეს ადრე იყო. ამეამად მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული ენათა პირველი ათეული ასე გამოიყურება:

ენა	მეტყველთა რაოდენობა (მილიონებში)*
1. ჩინური	1,123
2. ინგლისური	372
3. ჰინდი/ურდუ	316
4. ესპანური	304
5. არაბული	202
6. პორტუგალიური	170
7. რუსული	155
8. ბენგალური	149
9. იაპონური	125
10. გერმანული	102
11. ფრანგული	72
12. იტალიური	63
13. მალაიზიური (Malay)	47

ენის საერთაშორისო ცხოვრებაში გამოყენების დონე განისაზღვრება შემდეგი მაჩასიათებლებით:

1. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების სამუშაო ენა
2. სამეცნიერო პუბლიკაციების ენა
3. საერთაშორისო ბანკების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეაქრობის ენა
4. აუდიო-ვიდეო კულტურული პროდუქციის ენა (ფილმები, ტელევიზია, პოპულარული მუსიკა)
5. საერთაშორისო ტურიზმის ენა

\* მონაცემები დამოწმებულია დ. გრადლის წიგნიდან "The Future of English", London, 1997

6. განათლების ენა

7. საერთაშორისო თაუდაცვის ენა (მაგალითად, "airspeak", "seaspeak")

9. საერთაშორისო სამართლის ენა

10. ენა, რომელზეც ხდება თარგმნა და ინტერპრეტირება

11. ტექნოლოგიური გრანსფერის ენა

12. ინტერნეტული (საერთაშორისო ქსელური) კომუნიკაციის ენა

(გრაღლოლი 1997: 9).

მიუხედავად იმისა, რომ მეტყველთა რაოდენობით ჩინური მილიარდს დიდად აჭარბებს, მაინც ინგლისური პირველობს ჩამოთვლილ ენათა შორის საერთაშორისო გამოყენების თვალსაზრისით. ამის საილუსტრაციოდ კმარა კვლავ გრაღლოლის მიერ დამოწმებული მაგალითი – იმ დისციპლინების ჩამონათვალი, რომლის გერმანელი სპეციალისტები სამუშაო უნად თვით გერმანიაში ინგლისურს ირჩევენ.

დისციპლინა

იმ სპეციალისტთა რაოდენობა  
%-ში, რომლებიც ინგლისურს  
იყენებენ სამუშაო ენად

ფიზიკა	98
ქიმია	83
ბიოლოგია	81
ფსიქოლოგია	81
მათემატიკა	78
დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებანი	76
მედიცინა	72
სოციოლოგია	72
ფილოსოფია	56
მეტყველება	55
ვეტერინარია	53
ეკონომიკა	48
სპორტის შემსწავლელი მეცნიერებანი	40
ენათმეცნიერება	35
განათლება	27
ლიტერატურა	23
ისტორია	20

კლასიკა	17
თეოლოგია	12
საშართალი	8

ენის საერთაშორისო ცხოვრებაში გამოყენების განმსაზღვრელი მახასიათებლებიდან (აგრიბუტებიდან) თანამედროვე ქართულს თიიქმის არცერთი არა აქვს.

ენათა სოციოლინგვისტური მახასიათებლებიდან განიხილება ძირითადად ისტორიულობა, სტანდარტიზაცია/კოდიფიკაცია და ჰომოგენურობა, რაც განპირობებულია ნაშრომის რეტროსპექტული ხასიათით. საკითხის დიაქრონული შესწავლა. ჩვენი ფიქრით, მყარ საფუძველს შეუქმნის თანამედროვე ქართული ენის სოციოლინგვისტური აგრიბუტებისა და მისი დიაპაზონის კვლევას. წარმოდგენილი ნაშრომი საბოლოო მიზნად ისახავს, სელი შეუწყოს სოციოლინგვისტური (resp. ენათა ფუნქციონირების) ტიპოლოგიის შექმნას.

## თავი II

### საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა

#### და ქართული ენა

---

საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ენობრივი კონგლომერატა იყო. საბჭოეთის ენობრივი სიჭრელე, რომელსაც ხშირად ახასიათებენ როგორც დახლართულობასა და არეულ-დარეულობას (ლევისი 1972 : 17), მხოლოდ ცხოვრების სოციალისტური წესის შედეგი როდია, არამედ რუსეთის წარსული საუკუნეების მემკვიდრეობა.

რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა ივანე მრისხანის დროიდან დაიწყო და ალექსანდრე II-ის მეფობის წლებში უკვე ჩამოყალიბებული იყო მრავალენოვანი სახელმწიფო. თუმცა დაპყრობითი პოლიტიკა ამის შემდეგაც წარმატებით გრძელდებოდა.

“რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, - წერდა ილია ჭავჭავაძე 1881 წელს, - საცა სხეადასხვა გომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფულნი არიან... ამიგომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, თუ სხეადასხვა ერის გომნი როგორ მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე - როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოში... რუსეთს არ ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამოყოფილი და დადგენილი დედააზრი მასზედ. თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი” (ჭავჭავაძე 1991).

რევოლუციამდე რუსეთის სახელმწიფო გერიგორიის ოფიციალურ პატრონად აღიარებული იყო მხოლოდ რუსი ხალხი. არარუსი ძირეული მოსახლეობა არ ითვლებოდა თავისი მხარის მესაკუთრედ. ის უბრალო მცხოვრები იყო და სხვა არაფერი. რევოლუციის

დროს მდგომარეობა შეიქცეალა. ანარქია რუსეთის ნაწილებად დამ-  
ლით ემუქრებოდა. ამიგომ, - როგორც ნ. გრუბეცკოი წერს,

“რუსმა ხალხმა სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის  
ქვეყნის ერთადერთი პაგრონის მდგომარეობა დაიმო. ისტორიის  
ულმობელი ლოგის ძალით რუსეთში მოსახლე რუს და არარუს  
ხალხებს შორის ძველი მიმართება დაირღვა. ამის შემდეგ რუსი  
ხალხი სახელმწიფო გერიგორიების ერთადერთი მაყრობელი  
კი აღარ იყო, არამედ ერთ-ერთი. რუსეთში მოსახლე უკვე  
თანასწორი უფლებების მქონე სხვა ხალხებს შორის” (გრუბეცკოი  
1999ა : 417).

საბჭოთა კავშირი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული  
განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ, ერთმანეთისაგან ბუ-  
ნებრივი და კლიმატური პირობების მიხედვით ზოგჯერ დიამეტ-  
რალურად განსხვავებულ გერიგორიებზე მოსახლე საზოგადოებებს  
მოიკადა. აქ ერთდროულად თანაარსებობდნენ დაწინაურებული  
ერები და მომთაბარე ტომები. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო უნიტა-  
რულ სახელმწიფოში მოქცეული პეტეროგენული საზოგადოებები.  
ამ მდგომარეობას ასახავდა გერმინები: Народ (რაც ეთნიკურ ჯგუფს  
გულისხმობს), Народность (გარკეული დონის ეკონომიკური, გე-  
რიგორიული და ენობრივ-კულტურული ერთიანობა და Русь (რო-  
მელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ეკონომიკური, გერი-  
გორიული და ენობრივ-კულტურული ცხოვრების სტაბილურობით).

ქარისტული რუსეთის ასიმილატორულ პოლიტიკას დაუპი-  
რისპირდა ლენინური თეზა “ერთა თვითგამორკვევის” (ლენინი  
1961) შესახებ, რითაც იწყება საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის პირ-  
ველი პერიოდი, რომელსაც “ენობრივი პლურალიზმის” პერიოდი  
შეიძლება ეწოდოს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი  
ფაქტი - ქართული სახელმწიფო ენად გამოაცხადა საქართველოს  
დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის კონსტიტუციით. ამავე კონ-  
სტიტუციით დაცული იყო ეროვნულ უმცირესობების ენათა უფლე-  
ბები. ამდენად საქართველოს საბჭოთა კავშირში შეყვანამდე უკვე  
ქონდა აღდგენილი სახელმწიფო ენის სტატუსი. როგორც ჩანს,  
“ერთა თვითგამორკვევის” იდეა არც საქართველოს პირველი რე-  
სპუბლიკისთვის იყო უცხო.

XIX საუკუნეში რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკისაგან  
გვემულ და ვნებულ ქართულ ენას საქართველოში ბოლშევიკების  
მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ რევკომი (რევოლუ-



ციური კომიტეტი) აღეწებდა თვალს. იგი ცდილობდა, რომ ლენინური თეზა ერთა თვითგამორკვევის შესახებ არ დარღვეულიყო. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ხელმოწერით 1921 და 1923 წლებში გამოიცა ორი ცირკულარი, რომელიც აფრთხილებდა ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თაემჯდომარეებს:

“საქმის წარმოება და მიმოწერა საქართველოს რესპუბლიკაში უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე. ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდ უმეტესობას შეადგენენ არაქართველნი, მიმოწერა უნდა სწარმოებდეს უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე. ამ დადგენილების დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი” (აქტების კრებული 1983 : 68-70).

ამას გარდა, საქართველოს რეკომმა 1921 წლის იელისში ორი ბრძანება გამოაქვეყნა, რომლითაც მკაცრად აფრთხილებდა იმ ორგანიზაციებს, სადაც საქმის წარმოება და მიმოწერა ქართულად არ ხდებოდა. ერთ-ერთ ბრძანებაში ეკითხულობთ:

“ქალაქ თბილისში მაინც თავს იჩენს პროუოკაციული მოქმედება: იყო შემთხვევა ქართული ენის გაძეგების სურვილისა ზოგიერთი დაწესებულებიდან. რეეკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად ასრულებულ იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროუოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არათუ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გააგაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა” (აქტების კრებული 1983 : 58-59).

როგორც ვხედავთ, აქ ხაზგასმულია, ერთი მხრივ, ქვეყნის ენობრივი თვითგამორკვევის და, მეორე მხრივ, ქვეყანაში მშრომელთა თვითგამორკვევის აუცილებლობა.

“ერთა თვითგამორკვევის” პოლიტიკის განუხრელმა დაცვამ შესაძლებელი გახადა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება, რასაც წინ უძღოდა ეროვნულ უმცირესობათა ანბანებით მომარაგება და მათი სალიტერატურო ენებისათვის შესაბამისი დიალექტების შერჩევა, რაც ზოგჯერ ძალიან რთული ხდებოდა. ახლად შექმნილი ანბანების საფუძველად აღებული იყო ძირითადად კირილიცა და ლათინური. 1940 წლისათვის უკვე 68 ენას ჰქონდა კირილიცაზე შექმნილი ანბანი, რომელ-

თაყ 25 მილიონი არარუსი საბჭოთა მოქალაქე იყენებდა. როგორც ე. ლევისი წერს, ახალი ანბანების საფუძვლად კირილიცასა და ლათინურის აღება რამდენიმე მიზანს ისახავდა: ახლად შექმნილ ანბანთა უნიფიცირებული ბაზა ხელს უწყობდა პომოგენური საზოგადოების განვითარებას, ქმნიდა რუსულთან თანაარსებობის პირობებსა და აადვილებდა მათ შესწავლას (ლევისი 1972 : 169).

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მეორე პერიოდი იწყება ოცდაათიანი წლებიდან და 1953 წლამდე გრძელდება. პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი ენობრივი პლურალიზმი ახლა უკვე ცენტრალიზმმა შეცვალა. საბჭოთა ენობრივ პოლიტიკას ამ დროს იოსებ სტალინი განსამზღვრავდა. იგი 1929 წელს წერილში "Национальный вопрос и Ленинизм (ответ товарищам Мешкову, Ковалычуку и другим)" - ფაქტობრივად აჯამებს საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის პირველ პლურალისტურ პერიოდს, როცა წერს:

"სოციალისტურმა რევოლუციამ კი არ შეამცირა, არამედ, პირიქით, გაზარდა ენათა რაოდენობა, რადგან მან კაცობრიობის ქვედა ფენები შეანძრია და გამოიყვანა ისინი პოლიტიკურ სცენაზე, ახალი სიციცხლისათვის გამოაღვიძა ისეთი ხალხები, რომლებიც აღრე უცნობი ან ნაკლებცნობილი იყო" (სტალინი 1954 : 11).

ი. სტალინმა დაიწყო ერთა (და შესაბამისად ენათა, თ.ბ.) დაახლოების (сближение) პოლიტიკა, რომელიც, მისი აზრით, მომავალში ენათა შერწყმით (слияние) უნდა დასრულებულიყო. თუმცა მას კარგად აქონდა გააზრებული, რომ ენათა დაახლოება და, მით უმეტეს, შერწყმა ვერ იქნებოდა ხანმოკლე პროცესი, რადგან, როგორც თვისთონ ხაზგასმით აღნიშნავდა, ერები და ეროვნული ენები გასაოცარი სიმყარითა და წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით გამოირჩევიან. ამას გარდა, ი. სტალინი დიდ შეცდომად თვლიდა ერთა შერწყმის განხორციელებას ზევიდან, დეკრეტირების გზით, ე.ი. იძულებით. ეს ნიშნავს, - წერდა იგი, - ხელი შევეწყობთ იმპერიალისტებს, ჩაეშალოთ ერთა განთავისუფლების პროცესი, დაედუპოთ ერთა ძმობისა და თანამშრომლობის საქმე (სტალინი 1954 : 13).

ი. სტალინი ერთმანეთისაგან განარჩევდა შეჯვარებასა (скрещивание) და შერწყმას (слияние). შეჯვარების დროს ერთ-ერთი ენა გამარჯვებული გამოდის, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ძირითად ლექსიკურ ფონდს და აგრძელებს განვითარებას

(სგალინი 1950 : 60). ენათა შეჯვარება იმ პერიოდს ახასიათებს, როცა ერები მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვიან, როცა მიზანი ურთიერთგამდიდრება კი არ არის, არამედ ასიმილაცია. ასეთ ეთნარებაში მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები არსებობენ (სგალინი 1950 : 109). შეჯვარების მაგალითად შეიძლება დაეასახელოთ ენათა პიჯინიზაცია და კრეოლიზაცია.

კოლონიზატორთა ენის ადგილობრივი მოსახლეობის ენასთან “შერევის” (смешение) შედეგად, რასაც მათ შორის კომუნიკაციის აუცილებლობა იწვევს, იქმნება ახალი ჰიბრიდული სისტემა, რომელიც ორივე სისტემის ელემენტებისაგან შედგება, მაგრამ არც ერთს არ ემთხვევა. ბოლოვტიურ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, პიჯინი ჯორია! (ბელი 1980 : 209). 1953 წელს გაერთიანებული ორგანიზაციის საბჭომ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომლითაც გაილაშქრა პიჯინის წინააღმდეგ. ამ ტიპის ენები შეფასდა არადემოკრატიულ, კოლონიურ მოვლენად. ისინი, გარდა იმისა, რომ ინგლისურს “ამაზინჯებენ”, ერის უსიქიკასაც დიდ საფრთხეს უქმნიან. ამიტომ სჯობს მათ სალიგერატორ ინგლისური ჩაენაცვლოს (პალი 1955 : 101, 102), - ეკითხულობთ გადაწყვეტილებაში. მოცემული ენობრივი კოლექტივისთვის უცხო ენის - სგანდარტიზებული ინგლისურის - გამოყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ალბათ ნაკლებ კოლონიალისტურად მოეჩვენა. მაგრამ ენათმეცნიერთა ერთმა ნაწილმა გაეროს გადაწყვეტილება გააკრიტიკა იმ მოტივით, რომ ხშირად პიჯინენა მშობლიური ხდება გარკვეული კოლექტივისათვის. რაც უნდა გასაკვირი იყოს, არცთუ საამაყო წარსულის მიუხედავად, ასეთი ენა აკმაყოფილებს მასზე მოლაპარაკე საზოგადოების მოთხოვნებს. ამ საკითხზე პ. პალმა სპეციალური წიგნიც დაწერა სათაურით - Hands off Pidgin English! (ხელები შორს პიჯინ ინგლისურისაგან!). ჩვენი აზრით, ერთნაირად საშიშია ორივე გენდენცია - როგორც პიჯინენის ნორმატიული უცხო ენით შეცვლა, ისე პიჯინენის გამშობლიურება, ანუ მისი კრეოლიზაცია.

რაც შეეხება ენათა შერწყმას (слияние), ი. სგალინის მიხედვით, ეს მოსალოდნელია სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ:

“ სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ როცა ლევიდირებული იქნება ეროვნული ჩაგვრა, ნაციონალიზმი და კოლონიალიზმი; გათიშულობა და უნდობლობა შეიწყლება

ნდობით. პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის პირობებში ასობით ენიდან შეიქმნება გამდიდრებული ერთეული ზონალური ენები. შემდეგ კი ზონალური ენები შეირწყება ერთ საერთაშორისო ენად, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იქნება არც რუსული, არც ინგლისური, არამედ ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტების შემცველი ახალი ენა" (სტალინი 1950 : 111-112).

ფაქტობრივად ზონალურ ენებზე მსჯელობს რ. ბელი, როცა თანამედროვე ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ენობრივ მდგომარეობას ახასიათებს (ამის შესახებ იხ. ნაშრომის წინასიტყვაობა). როგორც ვხედავთ, ზოგიერთი თანამედროვე ენათმეცნიერი ი. სტალინის იდეებს ღიად აღარბებს. ი. სტალინის დეკრეტირების გზით ერთა შერწყმის განხორციელება დაუშვებლად მიაჩნდა (იხ. ზევით). თანამედროვე სოციოლინგვისტი კი ხალხებს მშობლიურ ენათა დათმობისაკენ მოუწოდებს.

კაცობრიობის პრაგალენოვნებიდან ერთ ენაზე გადასვლას ნ. მარსე წინასწარმეტყველებდა. მისი აზრით, ერთიანი ენის საჭიროებაზე მიუთითებს ხელოვნური ენების შექმნა, თუმცა ისინი შესრულებითა და გექნივით სუროგატებია იმასთან შედარებით, რაც გარდაუვლად მოხდება მსოფლიო ხალხთა ენების დაახლოების შედეგად. ამ გლობალურ პროცესს ვერც ერთი ერი ვერ ასცდება, - წერდა ნ. მარი. ერთ ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობას დამწერლობაც ერთი ექნება. ასეთად მას ლათინური წარმოდგინა. სწორედ ამიტომ შექმნა ნ. მარმა აფხაზური ენისთვის ლათინურზე დაყრდნობით, როგორც თვითონ უწოდებდა, ანალიტიკური ანბანი (მარი 1936 : 328-330).

ი. სტალინზე უფრო ადრე ამტკიცებდა ნ. მარი ზონალური ენების საჭიროებას. ამის მაგალითად განიხილავდა ერთიანი კავკასიური ენის შექმნის აუცილებლობას. იგი წერდა: კავკასიის თანამედროვე და მომავალი საზოგადოებრიობა ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, თუ კავკასიამ ოდესმე შეძლო ყოველთვის ხელიდან გამსხლტარი დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი საერთო კავკასიური მნიშვნელობის ენად აღიარებდა ქართულს, რომელსაც ახასიათებდა როგორც თვითყმარ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულობით გამოირჩეულ ენას, მისი აზრით, კავკასიის მასშტაბით ქართულის საერთაშორისო მნიშვნელობას განაპირობებდა. ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართული გამდიდრებულია სხვა კულტურებიდან

შემოსული გერმინოლოგიით: ძნელად თუ მოიძებნება სხვა ენა, რომელზეც ამდენი ენიდან ითარგმნებოდა ლიტერატურა: ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან და ა.შ. (მარი 1922 : 4, 14). ერთიანი ენის შექმნასთან ერთად კავკასიელებს უნდა ეზრუნათ საერთო დამწერლობაზეც, რომლის საფუძველი, მისი აზრით, რა თქმა უნდა, ლათინური ანბანი უნდა ყოფილიყო. ნ. მარს ანაქრონისგულ მოვლენად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ქართულები და სომხები ჯერაც იმ ანბანებს იყენებდნენ, რომელთა ასოები წარსულში შექმნეს მხოლოდ კლასობრივი და არა ეროვნული ინტერესების მქონე ფუნებმა და თითოეული ნიშანი აუღებელ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა (მარი 1922 : 5).

საერთოდ ნ. მარის იაფეგური თეორია მთლიანად შეჯვარებაზე (скрепление) აგებული, რის შედეგადაც, მეცნიერის აზრით, წარმოიშობიან კიბრიდული ენები. ი. სგალინი ამ საკითხში არ ეთანხმებოდა ნ. მარს:

“ნ. მარი აძაგებს ისტორიულ-მედარებით მეთოდს, როგორც “იდეალისტურს”. - არა და უნდა ეთქვას, რომ სერიოზული ნაკლოვანებების მიუხედავად, ისტორიულ-მედარებითი მეთოდი მაინც ჯობს მართლაც იდეალისტურ ოთხელემენტოვან ანალიზს. პირველი ენათა შესწავლისკენ, ანუ მუშაობისკენ გვიბიძგებს, მეორე კი ღუმელზე წოლისა და ყაყის ნალექზე სახელგანთქმული ოთხი ელემენტით მკითხაობისთვის განგვაწყობს” (სგალინი 1950 : 64).

ნ. გრუბეცკოის აზრით, ენათა შერწყმა და კაცობრიობის ერთ ენაზე ამეცყველება ეწინააღმდეგება დანაწევრების კანონს, რომლის შედეგი ენათა და ეროვნულ კულტურათა მრავალფეროვნებაა. როგორც ნაშრომის წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, იგი ენათა და ეროვნულ კულტურათა სიმრავლეს აფასებს როგორც ღმერთის პასუხს ბაბილონის გოდოლის მშენებლობაზე, რომ ასეთი რამ აღარ განშეორღეს.

მართალია, ნ. გრუბეცკოი გადაჭრით ილაშქრებდა ერთენოვანი კაცობრიობის იდეის წინააღმდეგ, რაც უნდა შორეულ მომავალში

\* „ენობრივი კავშირი“ ენათა არეალური შესწავლიდან გამომდინარეობს, მაგრამ არ გამოირიყხავს კავშირში შემავალი ენების გენეგურ და გიპოლოგურ ერთიანობასაც „ენობრივი კავშირის“ გაგებისათვის იხ: Г. В. Церетели, о языковом родстве и языковых союзах. Вопросы языкознания, №3, М., 1968; იხ. აგრეთვე: Д. И. Элсман, К теории языкового союза, Вопросы языкознания, №3, М., 1978

ყოფილყო მისი განხორციელება მოსალოდნელი და შესაბამისად ეწინააღმდეგებოდა ყველა იმ ნაბიჯს, რაც მიგვაახლოებდა ერთ-ფეროვან, ეროვნულად დაუნაწევრებელ საკაცობრიო კულტურას, მაგრამ მის მიერ შემოგანილი “ენობრივი კავშირის” გაგება, რომელიც გულისხმობს ერთ არეალში გაერყელებული ჰეტეროგენული ენების ერთიანობას, ადვილად დაიყვანება ზონალური ენის გაგებაში, რომელსაც ი. სტალინი ერთიანი საკაცობრიო ენის წინარე სტადიად სახავდა (იხ. ზევით).\*

საერთო ინდოევროპულ ენაზე მსჯელობისას ნ. გრუბეცკო წერს: არ არსებობს საფუძველი, რომელიც გვაფარადებინებს ერთიანი ინდოევროპული ფუძეენის არსებობას, საიდანაც შემდეგ განვითარდა ყველა ინდოევროპული ენა. სრულიად შესაძლებელია საწინააღმდეგო სურათის წარმოდგინა ინდოევროპულ ენათა შტოების წინაპრები თავიდან ერთმანეთს არ ჰგავდნენ და მხოლოდ დროთა განმავლობაში განუწყვეტელმა კონტაქტებმა, ურთიერთგავლენებმა და სესხებამ ისინი მნიშვნელოვნად დაახლოვა, მაგრამ არც ისე, რომ სრულად დამთხვეოდნენ ერთმანეთს (ნ. გრუბეცკო 1958 67). მაშასადამე, როგორც ი. ბოდუენ დე კურტენე იცოდა, ეს არის არა უშუალო ნათესაობა, არამედ ენათა დანათესავება, რაც ურთიერთგავლენის შედეგია (ბოდუენ დე კურტენე 1904 525). ვ. პიზანიმ განავითარა “ენობრივი კავშირებიდან” ცალკეული ენების მიღების იდეა. მაგალითად, ენობრივი კავშირის შედეგად მიაჩნდა მას ინგლისური. ეს ენა, მისი აზრით, მიღებულია ადგილობრივი ანგლოსაქსონურის, ნორმანების მიერ მოტანილი ფრანგულისა და ხალხური ლათინურისაგან (დაწერილებით იხ. პიზანი 1966).

სწორედ ასეთ “ენობრივ კავშირად” წარმოიდგინა ნ. გრუბეცკოიმ საბჭოეთი. მას კარგად ესმოდა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ სოციალისტურ რესპუბლიკებს მხოლოდ სოციალური იდეალები აერთიანებდა. ეს კი საკმარისი არ იყო სსრ კავშირის ნაციონალურ-სეპარატივისტულად განწყობილი ნაწილების საწინააღმდეგოდ.

“არსებითად საბჭოეთს შეადგენს არა იმდენად ხალხები, რამდენადაც ამ ხალხთა პროლეტარიატი... პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარიატის სოლიდარობა და კლასობრივი შუღლის გალყევა მხოლოდ დროებითია და ღიდი ხნით ვერ შეაჩერებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალისტურ და სეპარატივისტულ იდეებს... სახელმწიფოს მყარი და მუდმივი

გაერთიანების საფუძველი უნდა იყოს ნაციონალური სუბსტრატი. ამიტომ იმ სახელმწიფოს, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ქვეია, ნაციონალური სუბსტრატი შეიძლება იყოს მასში მოსახლე ყველა ხალხის ერთიანობა, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც თავისი ნაციონალიზმის მქონე განსაკუთრებული მრავალხალხოვანი ერი (многоязычная нация). ამ ერს ჩვენ ეუწოდებთ ევრაზიულს, - წერს ნ. გრუბეკოვი, - გერიტორიას ევრაზიას, მის ნაციონალიზმს ევრაზიულობას. ევრაზიის (ივლისხმება საბჭოთა კავშირი, - თ.ბ.) ცალკეული ხალხის ნაციონალიზმი კომბინირებული უნდა იყოს საერთოევრაზიულ ნაციონალიზმთან ანუ ევრაზიულობასთან... საერთოევრაზიულ ნაციონალიზმში უნდა შეირწყას ევრაზიის ხალხთა ნაციონალიზმები... აუცილებელია, რომ ევრაზიის ხალხთა ძმობა გაცნობიერებულ და თან არსებით ფაქტად იქცეს... (ამ მიმართულებით, თ.ბ.) რუსმა ხალხმა, რომელიც რევოლუციამდე რუსეთ-ევრაზიის გერიტორიის ერთადერთი პატრონი იყო, ახლა კი პირველია რაოდენობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით ევრაზიის ხალხებს შორის, რა თქმა უნდა, სხეებს მაგალითი უნდა მისცეს" (ნ. გრუბეკოვი, 1992ა : 420-426).

ამ მსჯელობის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ ნ. გრუბეკოვის ევრაზია მხოლოდ გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და ისტორიულ ერთიანობად წარმოედგინა და რომ ამ კავშირს საერთო ენა არ სჭირდებოდა. გეოგრაფიული, ისტორიული და ეკონომიკური ერთიანობა ბუნებრივად ბადებს ერთიანი ენის საჭიროებას (შდრ. რ. ბელი ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ - იხ. ზევით). მით უმეტეს, რომ ევრაზიის ხალხები მისთვის ევრაზიული ერია. ამდენად, ნ. გრუბეკოვის წარმოდგენილი ევრაზია სწორედ რომ მისთვის მიუღებელი ბაბილონის გოდოლია, რომლის დანგრევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. როგორც პ. სერიო წერს,

"ევრაზიის ენობრივი კავშირის კონცეპციას ჩრდილავენ არა მხოლოდ ევროპასა და, საერთოდ, მსოფლიოში არსებული ლინგვისტური მოძღვრებანი, არამედ თვით იმდროინდელი საბჭოთა ენობრივი თეორიაც. მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარი განსახიერებდა ოფიციალურ საბჭოთა ენათმეცნიერებას, ხოლო ნ. გრუბეკოვის კონცეპცია მარგინალური, ემიგრანტული იყო; ერთი აღიარებდა ისტორიულ მაგერიალიზმს, მეორე კი კულტურულაგიიზმს, მათ შორის ბევრი რამაა საერთო:

ორივე კონცეპცია აგებულია უნივერსალიზმში / რელატივიზმში პრობლემის გარშემო, ორივე აშკარად რეაგირებს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების კრიზისზე (თუმცა ნათელი არ არის, რა კრიზისის გულისხმობს პ. სერიო, - თ.ბ.), ორივე ემიჯნება დასავლურ მეცნიერებას (მარისთვის იგი "ბურჟუაზიულია". გრუბეცკოისთვის "რომანულ-გერმანული"), თუმცა გულდაწყვეტით აღნიშნავენ, რომ არც იაფეტიდოლოგია და არც ფონოლოგია პარიზში არაეის აინტერესებს. საერთო ორივე თეორიას ისა აქვს, რომ ისინი ისწრაფვიან ახალი მეცნიერებისაქენ ზოგადად და მათ შორის ახალი ლინგვისტური მოძღვრების შექმნისაქენ" (სერიო 2001 19).

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ყოველი შემდგომი პერიოდი წინამავალიდან გამოშინარეობს. ენობრივ პლურალიზმსა და ცენგრალიზმს შორის ახალი წონასწორობის შექმნა დაისახეს მიზნად მესამე პერიოდში, რომელიც 1967 წლამდე გრძელდებოდა. ასეთმა ახალმა წონასწორობამ ეს პერიოდი ღუალისტური გახადა. მართალია, ყველა საბჭოთა ხალხი მას ერთნაირად არ შეხვედრია, მაგრამ მან მტკიცე საფუძველი შეუქმნა საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მეოთხე პერიოდს, რომელიც სტაბილური ბილინგვიზმის (ზოგ შემთხვევაში გრილინგვიზმის) პერიოდად შეიძლება ჩაეთვალოთ. წამყვანი როლი რუსულ ენას ეკავა, რასაც განაპირობებდა რუსულის სწავლების მაღალი დონე. ეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. მას აძლიერებდა ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია და შერეული ქორწინებანი (ლევისი 1972 121-122). ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა რუსულის გავლენა საბჭოეთის სხვა ხალხთა ენებზე.

ამ პერიოდში ქართულ ენას საქართველოში პქონდა რეგიონალური ოფიციალური ენის სტატუსი. მასზე მაღლა იდგა რუსული ძირითადი სახელმწიფო ენის სტატუსით. საერთოდ, რუსული იყო ინტერენა. იგი გამოიყენებოდა და ჯერაც გამოიყენება სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის ურთიერთობის საშუალებად. თანამედროვე საქართველოში რუსული არ არის ოფიციალური ენა, მაგრამ მას მრავალი მნიშვნელოვანი სოციოლინგვისტური ფუნქცია დარჩა. იგი ფართო კომუნიკაციის ენაა. მისი საშუალებით იბმება ურთიერთობა ბევრ ქვეყანასთან, უმთავრესად, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებთან. რუსული ის ენაა, რომელიც ისწავლება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლაში. ამას გარდა, ბარ-



დება ასპირანტურაში, გამოიყენება სამეცნიერო გამოცელებებისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე გაერცელებული აფხაზური და ოსური უახლოეს წარსულში ასრულებდნენ რეგიონალური ოფიციალური ენების როლს, რომელთაც თავისი სტატუსით აღემატებოდა რუსული, ხოლო ქართულს კქონდა ასაგანი ენის სტატუსი. ასაგან ენას უწოდებენ ისეთ ენას, რომელიც არც აკრძალულია და არც წახალისებული, ანუ მისი არსებობა იციან, მაგრამ იგი იგნორირებულია (ბელი 1980 : 241).

სომხურსა და აზერბაიჯანულს ადგილობრივი ენების სტატუსი აქვთ. სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები სკოლაში ოთხ ენას სწავლობდნენ: მშობლიურს (ე.ი. სომხურს ან აზერბაიჯანულს), ქართულს, რუსულსა და ევროპის კიდევ ერთ რომელიმე ენას. თუმცა ქართულს ისინი მხოლოდ იმდენად ფლობდნენ, რამდენადაც ეს საჭირო იყო ყოფილი ურთიერთობებისათვის, ხოლო რუსული იყო აუცილებელი ენა, რომლის არცოდნა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საზოგადოებაში გარეგანი მდგომარეობის ქონის მსურველებს, რასაც ვერ ვიგყვით ქართული ენის არცოდნაზე (უფრო დაწვრილებით სიხარულიძე 2002 : 71-75).

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები ასახავენ საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის სხვადასხვა პერიოდის ხასიათს - ენობრივი პლურალიზმიდან სტაბილურ ბილინგვიზმამდე. საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია, საქართველოს ყველა სხვა კონსტიტუციის მსგავსად, სახელმწიფო ენად აღიარებდა ქართულს, თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სსრ-ში თავისუფალია რუსულისა და მოსახლეობის სხვა ენების გამოყენება.

«В Грузинской ССР, на основе равноправия, обеспечивается свободное употребление во всех этих органах и учреждениях русского, а также других языков населения, которым оно пользуется (статья 75)» (საქართველოს სსრ კონსტიტუცია 1978 : 33).

1978 წლამდე მიღებული კონსტიტუციებით სახელმწიფო ენად ცხადდება მხოლოდ ქართული (მუხლი 156), ხოლო 157-ე და 158-ე მუხლებში აღნიშნულია, რომ

“საქართველოს სსრ-ის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისთვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი ქვეყნდება ქართულ ენასა

და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე. ხოლო თვით ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენასა და ქართულ ენაზე” (საქართველოს სსრ კონსტიტუცია, 1922: 159; 1959: 37-38).

რადგან ეროვნული ცნობიერების უმთავრესი საყრდენი ენაა, ამიტომ ენობრივი ასიმილაციის ხარისხით შეიძლება ვიმსჯელოთ ეთნიკურ ასიმილაციაზე. ხო სუნ ჩხოლმა გამოიყვლია, რამდენად იყენენ ასიმილირებულნი საბჭოთა ხალხები კავშირის დანგრევის დროისთვის (ჩხოლი 2000 : 381-391). იგი მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებს დააკვირდა ბრაიან სილვერის მეთოდით (სილვერი 1975) და ყოველი ხალხი დაყო ჯგუფებად ეროვნული და რუსული ენის ცოდნის მიხედვით. ქართველები შეიძლება დაიყოს შემდეგ ოთხ ჯგუფად:

1. არაასიმილირებულნი: მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველნი – 65,2%

2. არაასიმილირებული ორენოვანნი: ასეთებისთვის ქართული მშობლიური ენაა და რუსული მეორე ენა – 33,00%

3. ასიმილირებული ორენოვანნი: ასეთებისთვის რუსული მშობლიურია და ქართული მეორე ენაა – 0,34%

4. ასიმილირებულნი: მხოლოდ რუსულ ენაზე მეტყველნი – 32% ქართველთა ორენოვნების ხარისხი, 1989 წლის აღწერის მიხედვით, იყო – 33,34%. ეს რაოდენობა მიიღება (2) არაასიმილირებულ ორენოვანთა და (3) ასიმილირებულ ორენოვანთა შეკრებით:

$$2 (33,00\%) + 3 (0,3\%) = 33,34\%$$

როგორც ვხედავთ, არაასიმილირებულთა ჯგუფი ჭარბობს სხვა დანარჩენს.

$$1 (65,2\%) + 2 (33,00\%) = 98,02\%$$

ენობრივი ასიმილაციის ხარისხი (ეახ) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ეახ} = -1/3 + (4)X4 + (3)X3 + (2)X2 + (1)X1 : 300^5$$

ქართველთა ენობრივი ასიმილაციის ხარისხი =

$$= - 1/3 + (1,32\% X4) + (0,34\% X3) + (33,0\% X2) + (65,2\% X1):$$

$$: 2.430.000.000.000 = 0,0000000000564\%$$

**ორენოვნების ხარისხი საბჭოთა კავშირში 1989 წლის  
აღწერის მიხედვით**

ხალხი	ორენოვნების ხარისხი %
მთელი მოსახლეობა	24.65
არარუსი ხალხები	50.41
რუსები	0.08
უკრაინელები	4.00
უზბეკები	23.53
ბელორუსები	64.32
ყაზახები	60.30
თათრები	73.67
აზერბაიჯანელები	34.34
სომხები	48.15
ქართველები	33.34
მოლდაველები	55.36
ტაჯიკები	27.10
ლიტველები	38.00
თურქმენები	27.58
კერმანელები	44.79
ყირგიზები	34.50
ებრაელები	91.71
ჩუკაშები	69.54
ლატვიელები	65.98
ბაშკირები	64.51
მორდველები	70.19
პოლონელები	23.50
ესტონელები	34.98
ჩეჩნები	73.99
უღმურგები	66.46
მარიელები	71.82
ოსები	66.96
კომიელები	67.70
კორეელები	43.08
ბურიატები	74.45

უეჭველია, საბჭოთა ხელისუფლება სტაბილურ ბილინგვიზმს განიხილავდა როგორც გარდამავალ ეტაპს საყოველთაო ერთენოვნებისკენ, როცა რუსული შეაღწევდა საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ნაწილობრივ კიდევ განხორციელდა, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები არარუსი ხალხების მიმართ. თუმცა ამას ვერ ვიგყვით მოყავშირე რესპუბლიკებზე, თვით ისეთებზეც კი, სადაც მაღალი იყო ორენოვნების ხარისხი (მაგალითად, ლაგვიაში). შეეცლილმა შიდაპოლიტიკურმა და საერთაშორისო ეითარებამ რუსული ენის მდგომარეობასაც შეურყია საფუძველი.

გატარებული ენობრივი პოლიტიკის მიხედვით თანამედროვე საქართველო ენდოგლოსურ სახელმწიფოს კგავს, სადაც ეროვნულ-ოფიციალური ენა მოსახლეობის უმრავლესობის მშობლიური ენაა. მაგრამ ამის საბოლოო განხორციელებისათვის საჭიროა, ქართულმა გაიფართოვოს სოციოლინგვისტური ფუნქციები, კერძოდ კი, შეიძინოს ის ფუნქციები, რომლებიც ჯერაც აქვს რუსულს ჩვენს ქვეყანაში.

## თავი III

### სოციო-კულტურული ინტეგრაციის ხასიათის ცნობები კველ ქარსულ წერილობით წყაროებში

---

დიდი გრადიცია განაპირობებს საზოგადოების გააზრებულ სოციო-კულტურულ ინტეგრაციას, სახელმწიფო ენის არჩევასა და ენობრივი დაგეგმვის ხასიათს. არსებობს ზეპირი დიდი გრადიციები, მაგრამ გრადიციის სიძლიერეს მაინც მისი წერილობითი ხასიათი განსაზღვრავს.

ქართულ სინამდვილეში ეროი დიდი გრადიცია უკავშირდება ძველ კოლხეთს და ქართული სახელმწიფოებრიობის ათელაც იქიდან იწყება, თუმცა თანამედროვე ქართული დიდი გრადიცია ისახება იმ პერიოდიდან, რომელზეც “მეფეთა ცხოვრება” მოგვითხრობს.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი - რა ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა დახედა ისტორიულ კოლხეთში აქ მოსულ ბერძნებს, რა ენაზე მეგყველებდნენ კოლხეთის ანუ აია-ქვეყნის მეფე აიეგი და მისი მემკვიდრენი - გრძნული მედეა და მისი ძმა აფსურგოსი. შემთხვევითი როდია, რომ ამ კითხვის უეჭველ პასუხს სწორედ მითი იძლევა.

აუად. თ. გამყრელიძემ არგონაუტების მითის ბერძნულ ტექსტში დაადასტურა სიტყვა, რომელიც, მისი აზრით, ცალსახად განსაზღვრავს ადგილობრივი კოლხური მოსახლეობის ენობრივ კუთვნილებას და მიგვითითებს, რა ენაზე მეგყველებდა ხალხი აია-ქვეყნისა, სადაც გავრცელებული იყო ოქროს საწმისის კულტი. მიენურ ბერძნულში (ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებში) “ტყავის”, “ცხვრის ტყავის” მნიშვნელობით დადასტურებულ კოე ფუძეს,

უფრო გვიან იგი ჰომეროსთანაც გვხვდება (I 661; ა 38 და სხვ.), არ ეძებნება ინდოევროპული შესატყვისები. თ. გამყრელიძის აზრით, იგი ბერძნულისთვის უცხო ენობრივი სამყაროდან შეთვისებულიად უნდა ჩაითვალოს. მას საესეებით ბუნებრივად მიაჩნია კოე ფუძის დაყავშირება ამავე მნიშვნელობის ქართულ-ქართველურ ტყაუ-ტყოუ-ტკოუ (თანამედროვე მეგრული ტყეები, ლაზური ტყეები) სიტყვებთან, რადგან ბერძნებს უძველესი დროიდან ჰქონდათ კონტაქტები და კულტურული ურთიერთობა კოლხეთთან, სადაც "ცხერის ტყაუს" განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა. აკად. თ. გამყრელიძე აქედან გამომდინარე ასკენის, რომ კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელთანაც ბერძნებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ, დასავლურ ქართულ დიალექტებზე მეტყველებდნენ, რომლის დღევანდელი გაგრძელება ჩვენითვის ცნობილია მეგრულისა და ლაზურის სახით (მოსახლეობის სხვა შესაძლებელ ნაწილებზე ჩვენ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება) (გამყრელიძე 1984; გამყრელიძე, ივანოვი 1984 : 908). მაშასადამე, ისტორიული კოლხეთის გერიტორიაზე ამჟამადაც ძირითადად იგივე მოსახლეობაა, იმავე ეთნიკური შედგენილობისა და დაახლოებით იმავე ენებზე მეტყველი.

არანაკლები მნიშვნელობისაა ამ თვალსაზრისით თვით ხომალდის სახელი "არგო", რომელსაც სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ. იგი გამოჰყავდათ ბერძნული ზედსართავი სახელიდან ἀργός "სწრაფი". ექვთიმე ათონელი ამ სიტყვას განმარტავდა როგორც "უქმს". აქედან გამომდინარე, "არგონავტები", ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, "არღონაფტი" - "უქმი მენაენი" (ურუშაძე 1964: 138).

ხომალდის სახელი აკად. ს. ჯიქიას დამაჯერებელი მტკიცებით უნდა ასახავდეს დასავლურ ქართველური გომების განსახლების ადგილს, ანუ "არგ(ო)" ქვეყნის სახელი ჩანს. იგი გამოიყვანება მ-არგ-ალ (შეგათეზისით მიღებული ქართ. მ-ეგრ-ელ-ი) ე.ი. არგ ქვეყნის მცხოვრები (შდრ. დასავლეთ საქართველოს ქართული სახელწოდება ეგრ-ის-ი), ხოლო არგონავტები (ბერძნ. ἀργοναυται) - არგ(ო)ს ქვეყანაში ჩამოსული ზღვაოსნები (დამოწმებულია გამყრელიძე, ივანოვის მიხედვით 1984: 908).

მაგრამ ისტორიულ კოლხეთში მხოლოდ დასავლურქართულ დიალექტებზე მოლაპარაკე მოსახლეობა არ უნდა წარმოვიდგინოთ.

არის ვარაუდი, რომ სახელწოდება კოლხი აღმოსავლურქართულ გომებსაც მოიცავდა. ძვ.წ. VIII საუკუნიდან კოლხური სამეფო ეცემა, რამაც, უეჭველია, ლახვარი ჩასცა ამ სამეფოში მიმდინარე ქართველური გომების კონსოლიდაციის პროცესს და პარტიკულარიზმი გაამეფა კოლხეთის ვრცელ მიწა-წყალზე. ამ მონაჯეეთს ძველი ბერძნული გრაფიკა “სკეპტუხიებად” მოიხსენიებს და დაქსაქსეის პერიოდს უწოდებს (მელიქიშვილი გ. 1955: 85-86). უეჭველად იგივე პროცესი მიმდინარეობდა კოლხეთის მეშვედრე ლაზიკაშიც, რომელსაც ახ.წ. III-IV საუკუნეებიდან მაინც უკვე აღარ განიხილავენ წმინდა ზანურ სახელმწიფოდ (მელიქიშვილი გ. 1955: 92). იგი ქართულ-ზანური გაერთიანება იყო, რომელიც ზოგ სხვა მონათესავე თუ არამონათესავე გომებსაც მოიცავდა.

ასე რომ, ძველი კოლხეთი ეს იყო გომთა გაერთიანება ერთ კოლხურ, თუ კოლხთა გომის ჰეგემონობით, რომელიც ჰეგემონი გომის დასუსტებისას (გარეშე და შინაური არახელსაყრელი პირობების გამო) დაიშალა. ლაზთა სახელმწიფო იმით განსხვავდებოდა კოლხთა სახელმწიფოსაგან, რომ გომთა გაერთიანების პროცესი აქ უფრო შორს ჩანს წასული: ზოგი გომი ლაზიკას ემორჩილება, უფრო ახალი მონათესავე გომები კი საბოლოოდ ერწყმიან ურთიერთს. სამაგიეროდ აქ თავი უჩენია ახალ მოვლენას, - იბერთა ჩამოთესლებას... არც ლაზთა ჰეგემონობის ხანაში დასრულებულა გომთა შერწყმის პროცესი და ლაზიკაც ერთ ხალხად ვერ გადაიქცა (ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ნ. ბერძენიშვილი 1990: 538-539).

## § 1. ლეონტი მროველის ცნობები მეფე ფარნავაზის შესახებ

ანტიკური ხანის საქართველოში სხვადასხვა ხალხთა მიგრაციასა და ეთნიკურ სიჭრელეს ადასტურებენ ქართული და უცხოური წყაროები. ასე რომ, “მეფეთა ცხოვრების” ცნობა - “ქართლსა შინა ექესი ენა იზრახებოდა” - სარწმუნო ჩანს. ამავე წყაროს მიხედვით ეს ენებია: ქართული, სომხური, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული. მეისტორიეს მითითება, რომ ფარნავაზმა “განაერცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა”, - ასე უნდა გავიგოთ - ამ ექესი ენიდან ქართული განიერცო, ანუ გახდა სახელმწიფო ენა. სხვა ენები, რა თქმა უნდა, იზრახებოდა, მაგრამ ქართულის გარდა არც ერთი არ იყო ოფიციალური.

მრავალეროვან ქვეყანაში სახელმწიფო ენის არჩევა ძირითადად ორგეარად ხდება:

I. რომელიმე ენა ლეკრეგით ან ბრძანებით ცხადდება სახელმწიფო ენად. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა მიზნად ისახავს, შეამციროს ქვეყანაში ენობრივი სხვაობა, ანუ მოახდინოს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია ეროვნულ კულტურაში.

II. რამდენიმე ენას აღიარებენ ისეთ ენებად, რომლებზეც ქვეყნის შიგნით მუშაობენ ოფიციალური ორგანოები და ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები. ეს უფრო გოლერანგული გზაა და ხელს უწყობს გააზრებულ, კულტურულ პლურალიზმს, რაც სახელმწიფოს ძირითად მახასიათებლად იქცევა.

ოფიციალური ენის არჩევა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რასაც მრავალი გარეენობრივი ფაქტორი განაპირობებს - უპირველესად კი, ამ ენაზე მეტყველთა რაოდენობა (არ არის აუცილებელი, რომ იგი მშობლიური იყოს ყველასთვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს) და მისი გამოყენების ხარისხი (სტიუარტი 1968: 532, 542). ფარნავაზ მეფის გადაწყვეტილება - “განეერცო” ქართული ენა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურია და ამ გადაწყვეტილებას განაპირობებს ექსტრალინგვისტური ფაქტორები: ქართულ ენაზე მეტყველთა რაოდენობა იმდროინდელ ქართლში და ქართული ენის გამოყენების ხარისხი. ამას გარდა, ფარნავაზის გადაწყვეტილებაში ჩანს მისი მიზანიც, ქართლში სხვა ენაზე მეტყველთა ინტეგრაცია ეროვნულ,



ე.ი. ქართულენოვან კულტურაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლში ყველა პირობა იყო იმისთვის შექმნილი, რომ მეფე ფარნავაზს ქართული ენა მრავალენოვანი მოსახლეობის თანამშრომლობის ხილად ექცია და არა ბარიერად.

ყოველი ენის მახასიათებლებს გარკვეული დრო და ლოკალური პირობები განსაზღვრავენ. როგორც კ. კეკელიძე წერს:

“მზარდი ეროვნული თვითშეგნება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აყვავების გზაზე დამღვარი ქართველებისა, დაეინებით მოითხოვდა ჩვენი წარსულის უძველესი ხანის ისტორიულ გააზრებას. “მეფეთა ცხოვრება” ბაგრატ IV-ის ღროინდელი ქართლის “რესპექტაბელური” წარსულის ძიებისაკენ მისწრაფების დასტურია. ამით აიხსნება XI საუკუნის მოღვაწის, რუისის ეპარქიის ეპისკოპოსის ლეონტი მროველის შრომის წარმოშობა, რომლის მიზანი იყო ქართველებისათვის (ე.ი. ქართველური გომებისათვის, - თ.ბ.) გარკვეული ადგილის მოძებნა საერთოდ კაცობრიობის ოჯახში და, კერძოდ, კაეკასიაში მობინადრე ხალხთა შორის” (კეკელიძე 1981: 253).

ლეონტი მროველის “მეფეთა ცხოვრების” მონაცემები ხშირად წინააღმდეგობით ხასიათდება, რამაც ზოგიერთი მკვლევარის მხრიდან ჩვენი და საერთოდ კაეკასიის ისტორიის არასწორი, მცდარი ინტერპრეტაცია გამოიწვია. ეს თხზულება ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. ალბათ, ამიტომ წერდა ნ. ბერძენიშვილი: “ლეონტი უდიდესი პრობლემაა საქართველოს ისტორიისა” (ბერძენიშვილი 1979: 12).

“უნდა ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველი “მეფეთა ცხოვრების” ავტორი კი არ არის, არამედ მისი რედაქტორ-სისტემატიზატორი, რომელმაც ორიგინალური ტექსტი ახალი მასალებით შეაქსო და ალბათ, მისი რევიზიონისტიც, გამომდინარე იმეამინდელ იერარქთა სულიერი განწყობიდან. სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ამ თხზულებაში მკვლევარნი ხშირად ხედავდნენ არა ანტიკური, არამედ ფეოდალური ეპოქის იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ინტენციებს. ნათელია, რომ “მეფეთა ცხოვრების” არქეტიპული ტექსტის უცნობი ავტორი ნაბიარები უნდა ყოფილიყო როგორც ბერძენულ, ისე ირანულ სამყაროს” (კ.გ. გამსახურდია 1995:81).

მროველი ფარნავაზს ლეგენდარულ პიროვნებად წარმოგვიდგენს, რამაც ი. ჯაფახიშვილს ათქმევინა: წყაროები, რომლებიც ლეონტი მროველს მოხსენიებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას არის მოკლებული. ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის, ასლა თითქმის გამოუსადეგარი (ჯაფახიშვილი 1977). მაგრამ დიდი გრადიციისათვის გადაიწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მითებსა აქვს, როგორც ჯ. ფიშმანი ამბობს, იმ მითებს, რომლებსაც ეყრდნობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტეგრაცია, რომელთაც ხალხი აფასებს და იღვწის მათი გაძლიერებისათვის (ფიშმანი 1971: 32).

“მეფეთა ცხოვრებაში” ჩართულია ერთი დასრულებულ-სიუჟეტური მონაკვეთი, რომლის თავისებურება ისაა, რომ ამბავი ორგზის არის გადმოცემული - ერთხელ სიმმარში (ანუ სიმბოლური სახით) და მეორედ - ცხადში. გ. კენაძემ ფარნავაზის სიმმარს სახელმწიფო სიმმარი უწოდა (თ. მანის ანალოგიით, რომელმაც რომანში - “იოსები და მისი ძმები” - ფარაონის წყვილ სიმმარს, რითაც მოსწავებული იყო შეიღი მოსაველიანი და შეიღი უმოსაველო წელიწადი, “სახელმწიფო სიმმრები” უწოდა, რადგან მის სწორად განმარტებაზე იყო დამოკიდებული ეგვიპტის კეთილდღეობა). ფარნავაზის სიმმარი მოასწავებდა არა მხოლოდ მისი დამსიზმრებლის პირად კეთილდღეობას, არამედ მთელი ქვეყნის მომავალს, მის ბედს.

ფარნავაზის ამბავი ანდრეშული ყაიდისაა. ანდრეში გარკვეული ნიშნებით განსაზღვრული გადმოცემაა, რომელთა შორის ძირითადია მისი წარმოშობის რეალური საფუძველი. განსხვავება ანდრეზსა და ზღაპარს - ამბავს შორის მათ პრაქტიკულ, ფუნქციურ დანიშნულებაშია. ზღაპარი ძირითადად თავმესაქცევია, ანდრეზს კი ხალხის სოციალური და რელიგიური ყოფის მომწესრიგებლის როლი აკისრია. ანდრეში ემსახურება წარსულის ხსოვნას, მის განმტკიცებას. იგი წარსულის მაგიანე, გრადიციის შემქმნელი და ცხოვრებაში მისი დამაძვირებელია. მას ევალება დაიცვას, დაეიწყებას არ მისცეს საკუთარი წარსული (კენაძე 1996; ოჩიაური 2000).

“მამინდა იხილა ფარნავაზ სიმმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაურსა და ეგულეებოდა განსელა და ვერ განვიდა. მამინ შემოვიდა სარეუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა

მისთა, და განიზიდა და განიყუნა სარეუმელსა მას. და ეითარ განეიდა ველად, იხილა მზე ქვემდაბლად, მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა” (ქართლის ცხოვრება, I: 21).

მზე - მხსნელი, ღემიურგი - ფართო გზას უხსნის ფარნაეაზს, ამოყავს იგი ქვესენელიდან ანუ შავეთიდან, დასეამს ველზე, ფართო ადგილზე და თაყვალ მის პირისპირ დადგება. მზემ არა მხოლოდ იხსნა ფარნაეაზი, არამედ მზის ცერის ცხებით თავის ბუნებას ამიარა. მზის ცუარი ანუ ნამი განმაცოცხლებელი, მკედრეაით აღმადგინებელია. მაგრამ ფარნაეაზი არა მხოლოდ გაცოცხლებულია მზის ცუარის ცხებით, არამედ ცხებულია, როგორც მეფე, რაც უთუოდ მოასწავებს მის მომავალ მეფობას. განძი ქვეყნის მეფეს ეკუთვნის, რადგან იგი მეფის, მისი წინაპრის მიერვე არის დამარხული ძველ ღროში. ფარნაეაზი განძით სავსე გამოქვაბულამდე ირემმა მიიყვანა, მაგრამ ირემი არ გამოუჩნდებოდა მას, იგი რომ არ ყოფილიყო მზის წილი, მზის ცუარცხებული. მასზე იყო გადმოსული მეფური დიდება ანუ ფარნა ან ჰეარნა “ზრწყინვალება”, “შარაევანდი”, რაც ქმნის მის სახელს ფარნაეაზ (კიენაძე 1984: 115-117; ფარნაეაზ სახელის ეტიმოლოგიისათვის იხ. ანდრონიკაშვილი 1966: 498-499). თეოფორული სახელი ფარნაეაზი შეიცავს “ჰეარნის” (ჰეარნა, J. ბეილის განმარტებით, ნიშნავს ზეციურ მადლს, სიმდიდრეს, ბედს; იგი გამოსახავს მეფური ძალაუფლების ზეციურ წარმომავლობას.) უპკველეს ფორმას “ფარნა”. სახელის მეორე ნაწილი კი უნდა მომდინარეობდეს ძველსპარსული ზედსართავი სახელიდან “ვაზრაკა” (დიდი), რაც თავად აპურა მამდას ეპითეგია (“ვაზ” აღნიშნავს განსაკუთრებულ მადლს, მომგანია ხელმწიფების, ჯანმრთელობისა და სიმდიდრისა, - E. Benveniste, Le vocabulaire des institutions indo-européenes, Paris, 1969, გვ. 22). მზესთან წილნაყარობამ დაიხსნა ფარნაეაზი იწროებისაგან, მან აპოვნინა განძი ნადირობისას. მანვე გაამარჯვებინა აზონზე. იგი, როგორც მზიური, სოლარული ენერჯის მქონე პიროვნება, იყო ქართლის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სულიერი წინამძღოლიც (კ.ზ. გამსახურდია, 1995). კ.ზ. გამსახურდიას აზრით, “მეფეთა ცხოვრებაში” არეკლილია სამეფო აგრიბუტყა:

“მეფე-როგორც მეგარდმო მადლით დაჯილდოებული პიროვნება, მეომარი, მსაჯული და სიმდიდრის ან განძის მფლობელი. ფარნაეაზის შემთხვევაში განძის პოვნას (იგი განძის კანონიერი

მულობელია) მარტო უტილიტარულ-პრაქტიკული მნიშვნელობა კი არა აქვს (ის თანხა, რითაც მან ჯარი დაიქირავა), არამედ ის სულიერად გამამხნეველი ფაქტორია და ნიშანი მისი ბრძოლის დაწყებისა. ამის შემდეგ “მეფეთა ცხოვრება” ფარნაევანის მართვა-განმცეპლობის ხანას ასე აფასებს:

“და ყოველნი დღენი მისნი, რაჲ დაჰდა, მშვიდობით დაყვნა და აღამენა და განაესო ქართლი... ესე ყოველი აღასრულა ფარნაევან სიბრძნითა და სიქუელითა, სიმსნითა და სიმდიდრითა” (ქართლის ცხოვრება I: 25-26). ამ სამეფო კონცეფციის მიხედვით, გმირი, სიბრძნის მოყვარე და ბრძენი მეფე თავისთავად განაპირობებს ყოველგვარ სიუხვეს და კეთილდღეობას სახელმწიფოში” (კ.გ. გამსახურდია 1995: 85-96).

სწორედ ასეთი კაცი იწყებს ქართული სახელმწიფო ენის ისტორიას. ვარდა ამისა, ლეონტი მროველს ფარნაევანის მეფობა შესაფერის დროდ მიაჩნია იმისთვის, რომ ამ პერიოდში ივანრადლოს ქართული დამწერლობის წარმოქმნა. მემბაგიანეს ამ შემთხვევაში არ ღალატობს ისტორიკოსის ალლო, რადგან დამწერლობის შემოღება სახელმწიფოს შექმნას უკავშირდება.

სახელმწიფოს შექმნას, როგორც ვნახეთ, ბუნებრივად მოჰყვება ოფიციალური ენის არჩევა. ამის შემდეგ კი არჩეული ენის განვითარებაზე იწყება სახელმწიფოებრივი ზრუნვა, რომლის უპირველესი გამოხატულებაა ენისთვის გრაფიკული ნიშნების ანუ დამწერლობის შექმნა, როგორც ჩ. ფერგიუსონი უწოდებს, გრაფიზაცია (graphization) (ფერგიუსონი 1970: 28-29). აქ არ ვიძახებთ იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ლეონტი მროველის ცნობა, მხოლოდ ის გვაინტერესებს, როგორ აფასებს იგი წარსულს.

ქართული დიდი გრადიციანა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იყო ქართულ ენაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრიობა. სწორედ ამ ფონზე უნდა იქნეს შესწავლილი ქართლის პოლიტიკური საზღვრების დადგენის, მათი ცვლის, ცენტრების ლოკალიზაციისა და ადგილმონაცვლეობის მიზეზები, აგრეთვე ქართველურ გომთა მოძრაობა და ურთიერთშეღწევა. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ “ქართლიდან” “საქართველოდ” გარდაქმნასა და “ქართველის” მნიშვნელობას. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ “ენის ცენტრი” გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან ენის ცენტრს ის უპირატესობა აქვს გერიტორიასთან, ეკონომიკასთან, რელიგიასა და პოლი-

ტიკურ წყობასთან შედარებით, რომ თუ ხალხი ენის ცნობიერების მქონეა, მაშინ ეს ცენგრი “მოძრაეიც” რომ იყოს, მას ირიდაციის მუდმივი ძალა და ერის შემკვერელი დიდი თვისება აქვს იმის მიუხედავად, საიდან გამოასხივებს იგი (რაბიშვილი 2000 : 169).

როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს: ისტორიულ-გეოგრაფიული გერმინი ქართლი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა:

1. ქართლოსიანთა ქართლი - ქართლოსის ქართლი მოიცავდა კახოსის, კუბოსის, გარდაბოსის, გაჩიოსის და მცხეთოსის ქვეყნებს.

2. მცხეთოსიანთა ქართლი - მცხეთოსის ქართლი მოიცავდა საკუთრივ ქართლს (შიდა ქართლს) გარდა ჯავახეთს და ოძრხოსის წილს, რომელსაც, თავის მხრივ, შედგებოდა სამცხის, კლარჯეთისა და შავშეთისაგან.

3. უფლოსის ქართლი (ბერძენიშვილი 1990 : 274).

ვახგანგ გორგასლის პერიოდში ქართლის ცნებაში ეთნიკური მომენტი მხედველობაში აღარაა მიღებული და მსოლოდ პოლიტიკური შინაარსია ნაგულისხმევი. საემაოა, რომელიმე მეფემ სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები გააფართოოს, მეზობელი ქვეყნები შემოიეროს (თუმცა ასეთი შემოერთებანი, იგულისხმება, რალაც რეალურ საფუძველს ემყარება: თარგამოსიანობა...) და ეს ქვეყნები ქართლად აღინიშნება. არაბობის პერიოდში არსებობდა ქართლის აღლგენის იდეა. კლარჯი ბაგრაგიონები “ქართველთა მეფის” ტიტულს ითვისებენ და ამღუნაღვე ძველი “ქართლის” გამაერთიანებელთა პრეტენზიით გამოდიან. გიორგი მერჩულეს დროს კი შემზადებული იყო პირობები ქართლის ცნების კიდევ უფრო გაფართოებისა. იგი გადასცდა ქართლოსიანთა ეთნიკურ საზღვრებს და შიგნით მოიქცია ჰერეთის, ეგროსის წილი, პარხალი და ტაო. ნ. ბერძენიშვილი იმ ფაქტს, რომ “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” ავტორი დასავლეთ საქართველოს ქართლად კი არა, აფხაზეთად მოიხსენიებს, ასე ხსნის: ქართლი არ შერქმევიარაბეთნიკური ქართლის ქვეყანას, არამედ შეერქვა უფრო მოხერხებული ახალი გერმინი “საქართველო”. ასე რომ, მერჩულეს პერიოდი “საქართველოს” წინა ხანაა, იგი არსებითად უკვე შობილია, ოლონდ გერმინოლოგიური გაფორმების პროცესშია (ბერძენიშვილი 1990 268-279). ქართლისა და ეგროსის “საქართველოში” მოქცევას დიდი ხნის წინ ჩაპყრია საფუძველი. როგორც ლეონტი მროველი გვიამბობს და, საფიქრებელია, იგი ამ ამბავს თვითონ კი არ თხზავს, არ-

ამედ მისი დროისათვის უკვე დიდი ხნის წინ შექმნილ გადმოცემას მოგვითხრობს, ეგრისი (ქუჯი) და ქართლი (ფარნაეაზი) ერთიან-ღებთან აზონის წინააღმდეგ საბრძოლველად.

“მაშინ ფარნაეაზ წარიედა სიხარულითა, და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიგანა თანა, და ღელა და დანი მისნი მის თანა. და მივიდა ქუჯის თანა და პრქუა მას ქუჯი: “შენ ხარ შეილი თაეთა მათი ქართლისათა, შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხეასგაგსა შენსა, რათა განეამრავლნეთ სპანი; და უკუეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი”.

ფარნაეაზისა და ქუჯის ურთიერთობას, უეჭველია, მოეპოვებოდა რაღაც რეალური საფუძველი - ამკარაა, ქართლსა და ეგრისს ისტორიულად განსაკუთრებული ურთიერთობისაბლოკე ჰქონდა. ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქუჯის სიგყვებში ჩანს ეგრისსა და ქართლს შორის იერარქიული დამოკიდებულება - ფარნაეაზს (ქართლს) მართებს ქუჯის (ეგრისის) უფლობა.

ქართველის მნიშვნელობა ყოველთვის ქართლის მნიშვნელობიდან გამოძლინარეობდა. როცა “ქართლში” ქართლოსის ქვეყანა იგულისხმებოდა, ქართველი ეწოდებოდა იმას, ვინც ამ ქვეყნის მევიდრი იყო; როცა “ქართლში” გარეეული კულტურული ერთეული, კულტურული ერთობა იგულისხმებოდა, ქართველი ამ კულტურული ერთობის მონაწილეს ეწოდებოდა. იმ დროიდან, როცა “ქართლი” “საქართველომ” შეცვალა, ქართველი ამ დიდი პოლიტიკურ-კულტურული ერთეულის წევრის სახელი გახდა (ბერძენიშვილი 1990 282). ერთ პერიოდში “ქართლი” და “საქართველო” ურთიერთიჩანაცვლებადი ცნებებია. მაგალითად, “იოანეს და ეფთუმეს ცხოვრებაში” ვკითხულობთ:

ექვთიმეს “სათნობათა სახელი და ღირსებაჲ ყოველსა საქართველოს განეფინა და არა ხოლო საქართველოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა”.

ან:

ექვთიმეს მიერ თარგმნილთა “წიგნთა სიგებობაჲ... ოხრის ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა...” როგორც ჩანს, ამ დროისთვის “ქართლი” და “საქართველო” ურთიერთიჩანაცვლებადი ცნებებია.

დიდ გრადიციამი აისახება ხალხის პოლიტიკური და კულტურული თვითდადგინების (თვითგამორევევის) პროცესი. ლეონტი მროველის მოღვაწეობის დროს ქართველ ხალხს ეროვნული დადგინებისთვის ბრძოლის მძიმე გზა უკვე გამოცლილი ჰქონდა. “ქართველი” უკვე იყო კულტურული ცნება და მასში იგულისხმებოდა არა მხოლოდ ეთნოგრაფიული ქართლის მკვიდრი, არამედ ქართულენოვანი კულტურის მქონე ქვეყნის შვილი, ამ კულტურის მალიარებელი და მისი წევრი (ბერძენიშვილი 1990 : 298-299).

ამ საკითხებზე მსჯელობა კელავ გაგრძელდება ნაშრომის შემდეგ თავებში.

## § 2. სტანდარტიზაცია

ჩვენამდე მოღწეული პირველივე ქართული წერილობითი ძეგლები, რომლებიც ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან გვაქვს, მუაყრად სტანდარტიზებულ ენაზეა შექმნილი. სტანდარტიზაცია ერთნაირად ახასიათებს როგორც ქვეყნის სხვადასხვა ადგილას ცენტრში თუ პერიფერიაში, ისე საზღვარგარეთ აღმოჩენილ პირველივე ქართულ ეპიგრაფიულ თუ სხვა წერილობით ძეგლებს.

სტანდარტიზაცია არის ენის რომელიმე ვარიანტის ფართოდ გავრცელების პროცესი. იგი თანდათანობით იქცევა სუპრადიალექტურ ნორმად და თავისი ფუნქციებით აღემატება რეგიონულ და სოციალურ დიალექტებს (ფერგიუსონი 1970: 31). ქართული ენის სტანდარტიზაციის საწყის პერიოდზე დაკვირვება საჭირო წყაროების უქონლობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც საერთოდ ყველგან, ისე ქართულშიც, სტანდარტიზებული ქართული ურბანისტული მოვლენა იყო. მაგრამ ჰირს საუბარი იმაზე, რომელი ენა ან ქართულის რომელი გიპი (სოციალური თუ დიალექტური) შეაეიწროვა ან რომელს ჩაენაცვლა სტანდარტიზებული ქართული. ასევე ძნელია დაბეჯითებით რამის თქმა, ეყრდნობოდა თუ არა იგი “განათლებული საშუალო ფენის” (ფერგიუსონი 1970: 33), ან “ქალაქის ინტელიგენციის ბირთვის” (გარვინი 1959: 29) მეტყველებას, რაც საერთოდ მიჩნეულია სტანდარტიზებული ენის საფუძვლად.

V საუკუნის დასაწყისისთვის ქართული უკვე წერილობითი ენაა, რომელზეც ბრუნავენ. ამ დროისათვის ქართულს უკვე აქვს ფართო კომუნიკაციისათვის საჭირო ინტეგრაციისა და უნიფიცირების თვისებები. იგი მოდერნიზებული, ქართლის ქრისტიანული ელიტის მიერ მიღებული და აღიარებული ენაა (ფერგიუსონი 1970: 34). ქართული უკვე აღჭურვილია ქრისტიანობასთან დაკავშირებული სპეციალიზებული ლექსიკითა და ქრისტიანობის შესაბამისი დისკურსებით: ძველი და ახალი აღთქმის თარგმნილი წიგნები, პაგი-ოვრაფია, პიმნოვრაფია, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი და კომენტირებული თეოლოგიური ლიტერატურა. ამ ამრს ამავრებს კ. დანელიას დაკვირვება, რომ

“შუმანიის წამებაში” გამოყენებულია თერამეტი ბიბლიური სენტენცია-ალეგორია. თერამეტივე დიალოგშია ჩართული, ამათ-



გან თექვსმეტი - შუშანიყის მეტყველებაში და ორი - ავგორისაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკრძალებელ, “ლეთის სიტყვად” მიჩნეული თხზულებებიდან პავლეს ეპისტოლეებიდან, მათეს, ლუკას და იოანეს სახარებებიდან, შესაქმიდან, ისუ ნაეეს წიგნიდან, ფსალმუნებიდან და ა.შ. - საქირო ადგილები მუსტაღ კი არ არის მოგანილი, არამედ იაკობ ხუცესი შეუზღუდავ. თაქისუფალ პერიფრაზირებას მიმართაქს. განსაკუთრებით საყურადღებოა ნონსენსური (“უაზრო”, მცდარი) იყოსხვისები, რომლებიც ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში მოიპოვება და ასეთივე სახით გამეორებულია იაკობის თხზულებაში. “შუშანიყის წამებაში” გამოყენებული ბიბლიური სენტენცია ალგეორიების შესწავლა, მათი შედარება პირველწყაროებთან, უცილობელს ხდის, რომ “შუშანიყის წამების” სახით ჩვენს წინაშეა ისეთი სრულყოფილი მხატვრული ძეგლი, რომელიც უეჭველ წინაპირობად გულისხმობს მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ლიტერატურული ტრადიციისა და მოქნილი, დახვეწილი, დაწმენდილი, ნორმირებული სამწყობოთ ენის აღრინდელ არსებობას” (დანელია 1998: 490).

ამ აზრს გაცილებით ადრე დაბეჯითებით გამოთქვამდა კ. კეკელიძე: “იაკობ ცურგაველის “მარგვილობა შუშანიყისი” ნათლად ამტკიცებს, რომ მეხუთე საუკუნის ნასხეარში ქართულად უკვე არსებობდა ევანგელს ანუ სახარება, პავლე მოციქულის ეპისტოლენი, საიდანაც იაკობს ციტატები მოჰყავს და ასერგასი ფსალმუნისაგან შემდგარი დაეთინი” (კეკელიძე 1951). კორნელი კეკელიძეს ამ აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევდა თავად “შუშანიყის წამების” ტექსტში მოცემული ინფორმაცია. მაგალითად, ლედოფალმა “თანა წარიგანა ევანგელს და წმიდანი წიგნი იგი მოწამეთანი”.

V საუკუნის დასაწყისისთვის ქართულს უკვე დიდი ხნის მოპოვებული ჰქონდა მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია იგი ეროვნული იდენტოფიკაციისა და კულტურული თვითდამკვიდრების საშუალება იყო. როგორც ნ. მარი წერდა, “ქართული მწიგნობრობა თავიდანვე, უძველეს ნამთებში, წინ გვიშლის განეთარებულს სალიტერატურო ენას. ცხადია, საეკლესიო მწიგნობრობას არ შეუქმნია იგი. სალიტერატურო ქართული ენა ქრისტიანობამდის ადრე გამომუშაებული უნდა ყოფილიყოს და ქრისტიანულ მწიგნობრობას იგი მხოლოდ თავისთვის საინტერესო ნაწილში

განუვითარებია" (მარი 1938). ჩვენამდე მოღწეული ძეგლების ქრონოლოგიური საზღვრები მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ დაეუშვათ დაუფიქსირებელი, ხანგრძლივი ზეპირი ლიგერატურული გრადიციის არსებობა, რომელიც წინ უძღოდა ენის წერილობით ფიქსაციას ან ენის სტანდარტიზებული წერილობითი სახე მთლიანად შეაფიწროვა ქრისტიანული ელიტის მიერ მოდერნიზებულმა ქართულმა. ლიგერატურული ენის ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურაში არ იწყება აუცილებლად ენის წერილობით ფიქსაციასთან ერთად. "ლიგერატურული" გრადიციები და "ლიგერატურული" ენა ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზეპირ-სიტყვიერების სახით არსებობს (გამყრელიძე 1990: 200-201).

პირველივე ლიგერატურული ძეგლების ენობრივი დახვეწილობის ხარისხი შესაძლოა ქართულის მაღალგანვითარებულ საერთაშორისო ენებთან ხანგრძლივ და ღრმა კავშირზეც მიგვანიშნებდეს (გორდემიანი 1993). თუ მათ მნიშვნელოვანი როლი მართლაც შეასრულეს ქართულის ნორმატიულ ენად ქცევის პროცესში, ეს ვერ მოხდებოდა მწიგნობრული ურთიერთობის გარეშე, ამისთვის მხოლოდ "ზეპირი" კავშირები საკმარისი არ იქნებოდა. დამწერლობის შექმნისა (graphization) და სტანდარტიზაციის გარდა ენის განვითარების ერთ-ერთი სახეა მოდერნიზაცია. იგი მიზნად ისახავს, ენა გახადოს სხვა განვითარებული ენების მსგავსი, რომ შესაძლებელი იყოს დისკურსის ისეთი ფორმების შექმნა, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების ინტერესებსა და მიზნებს (ფერგიუსონი 1970: 32; იხ. აგრეთვე ჯერნული 1971 და რუბინი 1971).

სალიგერატურო ენის ისტორიის საწყის პერიოდშივე აშკარაა ქართულის მნიშვნელოვანი შინაგანი თვისებები: მოქნილი სტაბილურობა, რაც ენაში კულტურის ფარდი მოდიფიკაციის საშუალებას იძლევა და ინტელექტუალიზაცია, რადგან ქართულის კოდიფიცირებული ვარიანტი, რომელზეც ითარგმნება წმინდა წერილი, საღვთისმეტყველო ლიგერატურა და იქმნება ორიგინალური ნაწარმოებები, განსხვავდება ყოველდღიური ქართული მეტყველებისაგან ხელოვნურობის მაღალი ხარისხით. პირველივე ქართული წერილობითი ძეგლების დახვეწილობა გვაფიქრებინებს, რომ მწიგნობარი ქართველებისთვის მშობლიური ენა გაცნობიერებული ნორმაა და ისინი ეგალონს ქმნიან. ამას გარდა, ქართულს დიდი ხანია მოპოვებული აქვს, როგორც პ. გარეინი უწოდებს, ამ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის გამაერთიანებელი და იმავდროუ-

ლად სხვადასხვაენოვანი საზოგადოებებისგან გამოყოფისა და თავდაცვის ფუნქციები (ენის შინაგანი თვისებების შესახებ იხ: გარვინი 1959; გარვინი, მასიოტი 1960).

ჩვეულებრივ, სტანდარტული ენის ლიტერატურული მოდელის შემქმნელად აღიარებულია მწერალი ან მწერალთა მცირე ჯგუფი. სტანდარტიზებული ენა რელიგიური ან ეროვნული (ან რელიგიურ-ეროვნული, - თ.ბ.) სიმბოლოა (ფერგიუსონი 1970: 32). ამ თაეში სპეციალურად ცალ-ცალკე განიხილება, ერთი მხრივ, ენობრივი ნორმის ცნება და, მეორე მხრივ, მწერლის (ან მწერალთა ჯგუფის) დამოკიდებულება და წვლილი (მონაწილეობა) ენობრივი ნორმის შექმნაში. როგორ მოუქმადეს საფუძველი თანამედროვე სოციოლინგვისტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა ქმნის ერთ მთლიან ჰომოგენურ ენობრივ სისტემას, რაც ვერ აიხსნება მხოლოდ ქანრული ერთგვაროვნებით, XI-XII საუკუნეებამდე ჩვენთვის უცნობია ქართველ მწიგნობართა მუშაობის თეორიული საფუძვლები. განსაკუთრებით ეს ეხება ბიბლიურ ტექსტთა მთარგმნელებს, რომლებიც ენის კანონმდებლებად გვევლინებიან. მათ ღვაწლს შთამომავალნი იმდენად აფასებენ, რომ ხელშეუხებელ სიწმინდედ თვლიან (ამის შესახებ იხ. დაწვრილებით ქვემოთ). პირველ ანონიმ მთარგმნელებს მხოლოდ რჩეულებს აღარებენ. მაგალითად, ეფთუზე მთაწმიდელის ქართული თარგმანების შესახებ გიორგი მთაწმიდელი წერს:

“ვევეითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ეპკონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს” (გ. მთაწმიდელი 1967).

თვით X საუკუნისა და შემდგომი პერიოდის ქართველ ეგზეგეტიკოსთა ლინგვისტური ხასიათის კომენტარების უმეტესობა ქართული ენისთვის დამახასიათებელ მოვლენებს კი არ ხსნის, არამედ ბერძნულისას (კომენტარებში ძირითადად ახსნილია გრამატიკული სქესის გამოხატვის თავისებურებანი ბერძნულში, Pluralia tantum-ის, ბერძნულ საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი, მახვილის, ასპირაციისა და პუნქტუაციის ნიშნები, კეთილხმოვნების ნიშანი ბერძნულ ენაში და ა.შ.). ყველა მათგანი განხილულია არა მეცნიერული გრამატიკის, არამედ ჰერმენევტიკული სახელმძღვანელოს პოზიციიდან და თარგმანთან დაკავშირებული პრაქტიკული საჭიროებითაა განპირობებული. ცხადია, მთარგმნელ-კო-

მენტატორთა ამ ტიპის კომენტატორული საქმიანობა ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის წინამორბედად ვერ ჩაითვლება, იგი არის ძველი ქართული ენის ე.წ. პრაქტიკული, პერმენენტული გრამატიკის ჩონჩხი (დობორჯვინიძე 2000: 13).

ანტონ პირველი მოიხსენიებს “პირველთა ჩუენთა გრამატიკოსთა” და იქვე აღნიშნავს, რომ გრამატიკული სახელმძღვანელო ძველ ქართულ სამყაროში არ არსებობდა:

“წმინდა მამათა ქართიელთა მეთარგმანეთა მოჰყინა ღმერთიან სული თუხი და გაღმოდებითა წიგნთაჲთა იღვაწეს საღმრთოთა წერილთა და წმიდათა მოძღვართა და ბუნებისა და ზესთა ბუნებისა წერილთა გაღმთარგმანებითა, რაოდენიცა კმა. და ამათნი იგი თარგმანები წერილნი მრავალნი ჰგიან დღეინდლად დღემდე. დაღათუ მრავალნი აყლნ, პოებულ არიედ წმიდასა ქალაქსა იერუსალემს და წმიდასა მთის ათონის მონასტერსა ჩუენ ქართიელთასა; გარნა გრამატიკაჲ არასადა ვისმინეთ, არცა ნაშთთა წიგნთა შემდგომად აოხრებისა და არცა პირიულ, რაცა იყოსკმა ჩვენსა ზედა ენასა” (დამოწმებულია დობორჯვინიძის მიხედვით, 2000: 14).

გაერტყელებული თვალსაზრისით, აქ ჩანს გრამატიკისა და გრამატიკოსის ანტონისეული ზოგადი და დაბნეული გაგება. მაგრამ, როგორც ნ. დობორჯვინიძემ გამოიყვლია, გრამატიკისა და გრამატიკოსის ანტონისეული გაგება მუსტად ასახავს ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების ისტორიულ სურათს და არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. ანტონი გულისხმობს არა ენის მეცნიერულ გრამატიკას (τὰ γραμματικά), არამედ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, ტექსტის განმარტებათა სისტემას (τεχνη γραμματικῆ), რომელსაც თანამედროვე გაგებით, გრამატიკასთან გაკილებით ნაკლები აქვს საერთო, ვიდრე სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან (გექსტოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, თეოლოგია, ფილოსოფია); ხოლო გრამატიკოსი, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის განმარტებელს (აგრეთვე მთარგმნელს, თ.ბ.), ტექსტოლოგს, ზოგადად ფილოლოგს ნიშნავს და არა მანყ-დამანყ გრამატიკული ხასიათის თხზულების ან თუნდაც გრამატიკის ავტორს (დობორჯვინიძე 2000 : 16).

სტანდარტიზაცია ენობრივი დაგეგმვის ერთ-ერთი სახეა. სწორედ ენობრივ დაგეგმვას ახორციელებდნენ გრამატიკოსები. ისინი ორმაგ როლს თამაშობდნენ. ერთი მხრივ, როგორც ტექს-

ტოლოგები, ტექსტის განმმარტებლები და ფილოლოგები იცვლევენ სათარგმნელი ტექსტის ენობრივ ქსოვილს, ე.ი. სწავლობდნენ ენის ბუნებას და არამცირედი წვლილი შეიტანეს ენის შესახებ მეცნიერების ჩამოყალიბებაში; მეორე მხრივ, როგორც ეინარ ჰაუგენი წერს, გრამატიკოსები მასწავლებლები იყვნენ და ეკუსენოდნენ საზოგადოების იმავე ფენას, რომელშიც შედიოდნენ მოსამართლეები, მოძღვრები და პრინციები (საერთოდ, არისტოკრატია, თ.ბ.). მოსამართლეები ქმნიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების, მოძღვრები რელიგიის, არისტოკრატია - ეტიკის კოდს, ხოლო გრამატიკოსები ქმნიდნენ "სწორ" ან "კარგ" ენას. ადრე შევეთრად არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული ენის შესწავლა ლექსობრივი (აღწერითი) და პრესკრიპციული (მიწერიითი) თვალსაზრისით და გრამატიკა (თვით პერმენეტიკული გაგებითაც, - თ.ბ.) უფრო ნორმატიული დისციპლინა იყო, ვიდრე - ანალიტიკური (ჰაუგენი 1966: 3-4).

სწორედ პირველმა ანონიმმა გრამატიკოსებმა (ე.ი. მთარგმნელ-კომენტატორებმა) შექმნეს ქართული წიგნური ენა, რომელიც შუასაუკუნეთა სასულიერო მწერლებისთვის სდეალი იყო. წიგნურში იგულისხმებოდა საეკლესიო ძველი ქართული, რომლის კონსერვატულობას მისი უწყვეტად გამოყენება და მაღალი პრესტიჟი განაპირობებდა (ბოდერი 2001). წიგნური - სალიტერატურო ენის, ხოლო სოფლური - არასალიტერატუროს, დიალექტურის მნიშვნელობით პირველად დასტურდება საკუთარი მთარგმნელობითი მეთოდის შემქმნელის ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ტექსტებზე დართულ ლექსიოგრაფიულ სქოლიოებში, რომელთა შორის გამოიყოფა განმარტებითი სქოლიოები, სადაც მოცემულია ერთი ცნების გამომხატველი "წიგნური" და "სოფლური" ერთეულები (სარჯველაძე 1981: 10).

ვ. ბოდერმა თვალი გააღვენა "წიგნურისა" და "სოფლურის" დაპირისპირების ისტორიას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ XI-XIII საუკუნეებში წიგნური ქართული სამწერლობო ენის კონსერვატულ ნაჰადს შეადგენდა. ამავე პერიოდში მოხდა "სოფლური" წერილობითი ენის ემანსიპაცია ძველი გრადიციიდან. "სოფლური" უკვე შეიცავს როგორც არარელიგიური მწერლობის ენას, ისე "მარტივ" სამეცყეელო ენას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი აღნიშნავს ენის დემოკრატიულობის ხარისხს (სარჯველაძე 1997: 3-11). ენის დე-

მოკრატეულობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად ახლოსაა ენის სასაუბრო და სამწერლობო სახეები ერთმანეთთან.

ეფრემ მცირე გრიგოლ ღეთისმეტყველის თხზულების “ქრისტეს შობისათვის” თარგმნისას აშიაზე აკეთებს ასეთ კომენტარს:

“შეისწავე, რამეთუ ამას ადგილსა სახარებისასა, ვითარმედ: “მონათ ბოროტო და მეღვარო”, “მცონარებისა” წილ თქმულ არს “მედგრობაჲ”, დაღათუ რომელთაჲმე ადგილთა “მედგარი” “მზაკუვარად” გულისკმა-იყოფების, უფრომსლა ლიგონსა საუბარსა შინა”.

ეფრემ მცირე გერმინებს - სოფლური, ლიგონი და უშუერი - თავისუფლად უნაცვლებს ერთმანეთს (სარჯველაძე 1984: 233). ასეთი ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ლიგონი და უშუერი სოფლურის მსგავსად მხოლოდ ამა თუ იმ გერიგორიული ან სოციალური დი-ალექტისთვის დამახასიათებელ სიგყევებს ან ფორმებს კი არ აღნიშნავს, არამედ მდაბიური მეტყველებისა და წერის სტილსაც. სწორედ ამიტომ ალ. ფოცხიშვილი “სოფლურს, უშუერსა და ლიგონს” აერთიანებს გერმინით “ეულგარული”, რაც ლიგერატურულია და მაღალი სტილის საპირისპიროდ, ნიშნავს არალიგერატურულსა და მდაბიურს (ფოცხიშვილი 1995: 105). ამის ნათელი მაგალითია იოანე დამასკელის “დიალექტაის” ქართული თარგმანის წინას-იკყვაობაში ეფრემ მცირის მიერ გაკეთებული შენიშვნა:

“გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთაჲ ეგების კამმეჲჲ, ანუ რომელთაჲ უღონოჲ არს, რამეთუ იპოოს თუ “ცხორებაჲ” ანუ “წამებაჲ”. ანუ რაჲცა-რაჲ ჰამბაჲი, გინა მოთსრობით სოფლურითა და უშუერთა სიგყეთა აღწერილი, მას სიგყუთ განაშუენებენ. გარდაკამმევენ და მეგაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკამმული” (დამასკელი 1976: 68).

აქედან ჩანს, რომ წიგნური ენა რიგორცული თვალსაზრისით რაფინირებულია. იგი ხასიათდება როგორც გარდაკამმული, გან-შუენებული, ე.ი. სტილისგურად დახვეწილი, სოფლური, ლიგონი და უშუერი კი დაბალი, მდაბიური სტილით ნაწერს აღნიშნავს. ლიგონი, უშუერი მეტყველება და წერა ახასიათებს ლიგონ კაცს - კაცს “არა წმიდათაგანს, თანადახლომილ მონას”. წმინდა კაცი კი მის ნაწერს გარდაკამმავს და გაამშუენებს. ოპოზიცია გარდაკამმული, განშუენებული - უშუერი, ლიგონი არ ეხებოდა “წმიდათა თქმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილს”.

“მას რაოდენცა ლიგონთა სიგყეთა აღწერილ იყოს, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერეინ შეეხების”.

ამას მხოლოდ სულელი, მწეალებელი და ეკლესიისგან განედლომილი თუ გაბედაუდა (დამასკელი 1976: 68).

შუასაუკუნეებიდან სამწერლობო ენაში სოფლურის შესვლამ გამოიწვია მისი დაყოფა საღეთო, სამღვდელო, გარეშე და საერო წერილებად. სულხან-საბა ორბელიანი სწორედ ასე ყოფს ქართულ ენასა და მწერლობას:

“მსოფლიო” ანუ “გარეშე”, ე.ი. საერო

“სამღვდელო” ანუ “საღეთო”, ე.ი. სასულიერო

ი. აბულაძის დაყვირებით, საბა “საერო” გერმინსაყ იცნობს: თამამი ესე საერო სიგყვა არს, ხოლო წერილთა მიერ კადნიერად ითქმის. “საერო” აქ ხალხურს, ზეპირსიგყვიერს ნიშნავს და არა წერილობითს (არასასულიერო შინაარსისას), როგორც ეს ჩვეულებრივ ესმით ხოლმე (აბულაძე 1998: 8).

ან კიდევ:

ხორშაყი (41, 6 დაბად.) ქარი შემწველი. ხორშაყი საღმრთოს წერილში ძეს და ხორშა - გარეშე წერილსა შინა ZA (II: 427)\*.

საღეთო და საერო წერილებს შორის ენამზეობა, ანუ ენანათლად მეტყველება მხოლოდ სასულიერო (ანუ საღეთო და სამღვდელო) მწერლობის მახასიათებლებად მიიჩნეოდა. იმავე შოთხოვნებს უყენებდნენ ფილოსოფიური თხზულებების შთარგმნელს. იოანე ჰეტრიწის აზრით, არ გამოდგება ფილოსოფიური ნაშრომების ქართულად გაღმოდებისას “აღვილთა და ჩუელთა სათარგმანოთა ენა; ლიგონი, ჩვეულებრივი სალაპარაყო ენა, ანუ “მღაბრიონთა” ენა. ფილოსოფიური ხასიათის თხზულებების “შეწყობისას” საჭიროა ენა გაღექსებული და მესხუეა მღაბრიონთაგან” (მელიქიშვილი დ. 1975: 59).

მოუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური გრაქტაგების ენა მღაბიოთა ენისგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო (“მესხუეა მღაბრიონთაგან”), XI-XII საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში მაინც დასგურდება ისეთი ენობრივი მოვლენები, რომლებიც შემდეგ ახალ ქართულ ენაში დამკვიდრდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ხალხურ, ცოცხალ მეტყველებაში ადრევე

\* აქაც და შემდეგაც I და II შოთითებს სულხან-საბა ორბელიანის „ღექსიონი ქართულის“ გომს, ორწერტილის შემდეგ კი აღინიშნება გვერდი.

არსებობდნენ და თიანდათან, შეუმჩნეველად იჭრებოდნენ სამწერლო ენაში ლიტერატურული სკოლების დიდი კონსერვატულობის მიუხედავად (მელიქიშვილი 1975: 9). სწორედ ამგვარ ფაქტებში ელინდება სოფლური ენის ემანსიპაცია.

თუ თვალს გავადევნებთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე დიალექტისა და სტილის აღმნიშვნელ გერმინებს (მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება გერმინები ვუწოდოთ), შევამჩნიებთ მათ იდენტურობას. დაბალ სტილად დაბალი სოციალური ფენის მეტყველებას ან რომელიმე გერიტორიული დიალექტისთვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისით დაეკვირდეთ სულხან-საბა ორბელიანის ლექსციონს, რომელშიც, შეიძლება ითქვას, მოცემულია ყველა ის შეფასება, რაც ეძლევა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დიალექტურ მოვლენებს (ამ საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. ბაკურაძე 1998).

### გლესური

1. მეტიზარა სხვათ სარიტებულთ გამგებელი გლესურად, რომელ არს წარმდები Z (I: 466)
2. მუნჯი უტყვი (+ გლესურად Z) ZABGDE (I: 527).
3. ფიცხლავ გლესურად სწრაფად ZA (II: 195).
4. ქა ქალი, ნაკეეთი გლესურად ZA (II: 209).
5. სელა გლესურია, სლეა უნდა ZAB (II: 84).
6. ფელიცი შამხის ნაკეეთს უწოდენ გლესხი ZA (II: 188).
7. ჳიძვა მაცთურად იტყვიან გლესხი ZA (II: 402).

### მსოფლიო

1. ეამა. ეამა მოასწაუებს შურისგებისა და საწადლის მიმთხევეასა. რომელ არს მსოფლიოთა ენითა ვახ-ეახ Z (I: 257).
2. ღრუდო... სპარსნი ქაპრიზს უწოდენ; ხოლო მსოფლიონი ღრუდოს (II: 257).
3. კიცი - კეიცი. მამალსა ცხენსა ეწოდების ახტა და დედალსა - სრდალი და ჳკვი; შეილთა მათთა კიცი, რომელსა მსოფლიონი კეიციად უწოდენ (II: 345).

### სოფლური

1. მეთანადრება გულს მაყლდება, - სოფლურად Z (I: 460).



2. საპონი (საპონი CD) ფრანგულია, ქართულად წერილით (საკთო წერილში C) შენაბავეები და განსაწმელელი ეწოდების, ხოლო სოფლურად კუმპა ZAB (II: 48).

გლახური, მსოფლიო და სოფლური უპირისპირდება სალიგერატურო ენას ანუ წიგნურს.

ზოგჯერ "სიგყვის კონაში" ზუსტად არის მითითებული სიგყვის დიალექტური წარმომავლობა:

1. დავავენას უხმოზენ გურიელნი დაჰკერასა ZA (I: 190-191).
2. კაკლად იგყვიან იმერელნი მარცვალთა (I: 347).
3. ჟარე იარე მესხურად ZAB (I: 634).

სალიგერატურო და დიალექტური ფორმები ბოლომდე როდია ლექსიციონში გაშიჯნული. ისეც ხდება, რომ განსამარტავი ან განმმარტავი სიგყვა / ფორმაა დიალექტური, ოღონდ წარმოშობა მითითებული არ არის:

1. თუთა (ხე) კოლა. გუტა - საძივე ერთია ZA  
კოლა (ხე) თუთა ZA (I: 634).
2. ჟუბე ჟუზე ZACD საძირველი, გინა სამყვიდრებელი B (II: 206).
3. ქანველი კანველი ZABCD (II: 212).

დიალექტური სიგყვები ან ფორმები რომ დაბალი სტილისთვისაა დამახასიათებელი, აჩვენებს სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოყოფილი სტილები:

"სამ სახე არიან მზრახველობანი ხმოასთა სიგყვათანი: ზემთა სიგყვა უაღრესისათვის, სწორი - მოყვასისათვის და დამხე - ხელქვეშეთათვის" ZAB (II: 95).

ამ განმარტების მიხედვით, ადამიანი სხვადასხვაგვარად მეტყველებს. უაღრესთან მას ზემთა სიგყვა შეეფერება, მოყვასთან - სწორი სიგყვა და ქვეშევრდომებთან (ხელქვეშეთთან) - დამხე სიგყვა. ყველა შემთხვევაში იგი შესაფერის სტილს არჩევს. რაც გარვეული ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების გამოყენებას გულისხმობს. ნაიქვამიყ იმის მიხედვით ფასდება, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელს ეკუთვნის იგი.

1. ბრძანებული - თქმული უაღრესისა ZA (I: 116).

2. თქმა ითქმის სწორს კაცს ეტყოდეს, ხოლო მოხსენება უაღრესისადმი და ბრძანება უმცროსისათვის, რამეთუ სამ-სახე არიან თქმანი Z (I: 315).

3. მოწოდება არს მოყვასთა მოხშობა, ხოლო მოხადე უაღრესისა და დაუძახე - უღარესთათვის ZA (I: 514).

4. რისხეა (რისხუა Ca) ესე არს ვნება ურიდი და ურცხვინო, რისხეა უაღრესისათვის ითქმის, ლაღება - სწორისათვის და ღრტყინება - უღარესისათვის ZA (II: 71).

გეშთა, სწორი, და მხე - ამ დაყოფის მიხედვით გლეხური, მსოფლიო, სოფლური, უმუერი და ლიტონი სიტყვები და ფორმები მოხედება მეტყველების “დამხე ანუ უღარეს” სახეობაში და გამოირიცხება “უაღრესი მზრახველობიდან”, რომელსაც ახასიათებს ენამშეობა.

### § 3. მეტაბოლა და ნორმა

ლ. ელმსლევი ფერდინანდ დე სოსიურის “ზოგადი ენათმეცნიერების კურსში” ტერმინ ენის სამგვარ გაგებას ხელაყდა:

1) ენა - როგორც წმინდა ფორმა ანუ სქემა მისი სოციალური განხორციელებისა და მაგერიალური მანიფესტაციისაგან დამოუკიდებლად; 2) ენა - როგორც მაგერიალური ფორმა ანუ ნორმა, რომელიც განსაზღვრულია მოცემულ სოციალურ რეალობაში მანიფესტაციის დეტალებისაგან დამოუკიდებლად და

3) ენა - როგორც ჩვევათა ერთობლიობა, ანუ უზუსი, რომელიც მიღებულია მოცემულ სოციალურ კოლექტივში და განსაზღვრულია მანიფესტაციის ფაქტებით. ნორმა გულისხმობს უზუსსა და მეტყველების აქტს, რომლებიც წინ უსწრებენ ნორმას. ნორმა მათიგან იშვება. სამეტყველო აქტი შეიძლება იყოს უნორმოლ, ოღონდ ეს აქტი ხორციელდება გარკვეული უზუსის წყალობით. ამიგომ სამეტყველო აქტი და უზუსი ერთმანეთს გულისხმობენ (ელმსლევი 1942).

მაშასადამე, ყოველი ცოცხალი ენა სოციალურად სანქცირებულია, ანუ აქვს ფაქტობრივი ნორმები. მაგრამ ამისგან ვასხვაებით ენის გააზრებულ სტანდარტიზაციას, რაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ სალიტერატურო ენას ახასიათებს.

ცოცხალი სალიტერატურო ენის ნორმები ცვალებადია. ამის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის დამოწმება შეიძლება. მოთარუსთველი წერს:

ზოგთა გადაჭრის მათრახი ქვე მერდამდის გასაპობელად  
95 (94), 4.

“ვეფხისტყაოსნის” ამ ტაეპს ხშირად თანამედროვე ნორმის მიხედვით ასწორებენ:

ზოგთა გადაჭრის მათრახი მერდამდის გასაპობებლად.

მ. რიფაგერი სპეციალურად მსჯელობდა იმ შეცდომების შესახებ, რომელიც მოსდის ძველი ეპოქის ნაწარმოების მკითხველს - მან შეიძლება “წაუმაგოს” ან “გამოტოვოს” რამე (რიფაგერი 1959). მერდამდის ფორმა თანამედროვე მკითხველის მხრიდან სწორედ “წამაგებაა”, რადგან მერდამდის მას ხელიონურ, არაპოეტურ ფორმად მიაჩნია. არადა მერდ ფუძე ძველ ქართულში იკუმშებოდა. ასე რომ, მერდამდის რუსთველის დროისთვის სრულიად ბუნებრივი ფორმაა. ვფიქრობთ, ეს მაგალითიც ნათლად

მოწმობს, რომ ნორმირება (სტანდარტიზაცია) უფრო შეფასებითია, ვიდრე აღწერითი.

სწორედ ცვალებადობა და შეფასებითი ხასიათი განაპირობებს იმას, რომ ენობრივი ნორმას ხშირად აღარებენ, მაგალითად, სუფრასთან ქცევისა და დანა-ჩანგლის გამოყენების წესებს. რ. პალი წერს: ჩემს ახალგაზრდობაში ლორსა და სენდვიჩს დანა-ჩანგლით მიირთმევდნენ, ახლა კი მათი ხელით ჭამაა “სწორი”... სუფრასთან ქცევის წესების მსგავსად იცვლება ენობრივი ნორმებიც. რაც ერთ დროს მიღებული იყო, ახლა შეიძლება “შეცდომად” ჩაითვალოს (პალი 1950: 13).

ამჯერად გვაინტერესებს რიგორიული ფიგურის, ანუ მეტაბოლისა და ნორმის ურთიერთმიმართების საკითხი. ჩვენ არ ვაპირებთ იმ დაუსრულებელ და უნაყოფო დისკუსიაში ჩაბმას, თითქოს პოეტის მიზანი ენობრივი ნორმების დარღვევა იყოს. თუმცა კი მეტაბოლის მხატვრული ეფექტისთვის ფონი სწორედ ნორმა ანუ ნულოვანი საფეხური, ე.ი. ნეიტრალური დისკურსია. საერთოდ, ენობრივი ნორმის დარღვევის უმრავლესი შემთხვევის ახსნა შესაძლებელია, იმის მიუხედავად, ვულგარიზმად შევაფასებთ მას, ქარგონად, დი-ალექტივზმად თუ მეტაბოლად. მაგალითად,

ნორმაა: ერთხელ, ორჯერ;

დარღვევაა: ერთჯერ (II ჯელ), ორხელ...

-ხელ და -ჯერ საერთო სემანტიკის ფორმანტებია თითოეულისთვის დამახასიათებელი დისტრიბუციით. -ხელ მხოლოდ ერთ-ფუძესთან გამოიყენება, ხოლო -ჯერ დანარჩენ რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებთან. მაშასადამე, ერთჯერ (II ჯელ), ორხელ და მსგავს ფორმებში დარღვეულია ფორმანტთა სინტაგმატკა.

ნორმისა და მეტაბოლის მიმართების საკითხს განვიხილავთ ძველი ქართული მესოტებების ნაწარმოებთა - შავთელის “აბდულმესიანისა” და ჩახრუხაძის “თამარიანის” (“ქება მეფისა თამარისი”) - მაგალითზე. ჩვენი არჩევანი განპირობებულია ამ თხზულებების ფორმითა და იდეით, რაც მეტაბოლათა სიმრავლის საფუძველია.

მესოტებთა ოდები მოწესრიგებულია მომითა და რითმით. ზომა ანუ ლექსის სქემა (verse design) საფუძვლად უდევს თითოეული ტაქტის სტრუქტურას. რ. იაკობსონის განმარტებით, ლექსის სქემა განსაზღვრავს ლექსის ნიმუშთა ინვარიანტულ თვისებებს და ზღვარს უდებს ვარირებას (იაკობსონი 1975: 212).

როგორც კ. დანელია წერს,

შაეთელის “აბდულმესიანი” და ჩახრუხაძის “თამარიანი” - ესაა მდიდარ შინაგან და გარეგან რითმებზე დაფუძნებული რიგმულ-მუსიკალური ქდერადობის უმაღლესად ორგანიზებული კომპოზონია. სწორედ მისი დაურღვევლობის სამსახურშია ჩაყენებული სხვადასხვა დონის ენობრივი ფორმები (ძველი, ახალი, დიალექტური, ოჯახური) და ფონეტიკური, გრამატიკული, დერივატიული, ლექსიკური ელემენტების ოსტატურად შერჩეული ნაირგვარი ვარიანტულობა (დანელია 1988: 87).

აზრთა სხვადასხვაობაა იოანე შაეთელისა და ჩახრუხაძის ოლებში შექებული პირების შესახებ. ნ. მარს მიაჩნდა, რომ “აბდულმესიანი” დავით აღმაშენებლის ხოგბაა, რაც თავად ნაწარმოების სათაურის ეტიმოლოგიიდან გამომდინარეობს. აბდულმესია ქრისტეს მონა ან მხედარი (Христова раб или воин, მარი 1902: V). ი. ლოლაშვილის დაკვირვებით, შაეთელი სამ ისტორიულ პირს აქებს - თამარ მეფეს, დავით სოსლანსა და მათ ძეს - ლაშა გიორგის. ამათგან უმთავრესი, რა თქმა უნდა, თამარია (ლოლაშვილი 1964: 93). ჩახრუხაძე რომ ხოგბას თამარ მეფეს ასხამს, ბუნებრივია, ამაზე არაფერს დავობს. მიუხედავად ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობისა, აშკარაა, რომ ორივე ნაწარმოები ნაყებია მესიანისტური იდეით. ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა ნიკო მარი. იგი წერდა: “მეხოგბეებს ხიბლადა ღვთაებრივი წარმოშობის, გარედან დამოუკიდებელი, ხოლო ქვეყნის შიგნით თავისუფალი სამეფო ხელისუფლება” (მარი 1902: III, V).

ოლების ფორმა და მესიანისტური იდეის პროპაგანდა თავისთავად განაპირობებს მეტაბოლათა საოცარ მრავალფეროვნებას ამ ნაწარმოებებში. მაშასადამე, ერთი მხრივ, ლექსის ზომა და რითმა გვაძლევს კონვენციაზე დამყარებულ, სისტემის შემქმნელ გადახრას (ამის შესახებ იხ. ჯგუფი 4 1986: 128-130), ხოლო, მეორე მხრივ, შესაქებ პირთა შესაფერისი ამაღლებული სტილის გამო ჩვენს წინაშეა სასულიერო (პაგიოგრაფიულ) მწერლობასა და აღმოსავლურ და იქიდან ქართულ საერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ გროპულ საშუალებათა თავისებური ნაზავი. სასულიერო ნაკადი მისადაგებულია ხოგბის გმირთა სულიერი თვისებების გამკლავებას, აღმოსავლური, საერო კი - ამ გმირთა სახელმწიფოებრივ (ამქვეყნიურ) ქმედებათა დახატვას (დანელია 1988: 88). ამის საილუსტრაციოდ ერთი სტროფიკ კმარა “თამარიანიდან”:

არსნი მზედ გუმობენ, შეილნი გამცობენ,  
 ვინცა შეგყოლა თაეის საქნარი.  
 ვერ მიგწედენ ქებად - სხდენ თვითთვე ენებად  
 პლაგონის ენა, ღაეითის ქნარი 23, 14-15.

ჩვენ არ ვიმსჯელებთ ასეთი მეგალოციზმების (გერმინის შესახებ იხ. ჯგუფი № 1986), ანუ ექსტრალინგვისტური (გარეენობრივი) კონტექსტის ასახვაზე. ჩვენ მხოლოდ კოდის დარღვევით მიღებულ მეტაბოლებზე ვისაუბრებთ.

მეხოტბეთა ოდების ხასიათიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად მეტაბოლები იმდენად შორდებიან ნორმას, რომ ან მეცნიერთა განსხვავებულ განმარტებას იწვევენ, ან საერთოდ გაუგებარი რჩებიან.

ენას ახასიათებს სიჭარბე, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენის ელემენტები მეტყველებაში მეორდებიან, რაც უზრუნველყოფს ენობრივი ინფორმაციის გაგებას მისი გადაცემისას დაშვებული შეცდომების მიუხედავად. ა. შოლის ლაკვირეებით, თუ შეგყობინებაში ნებისმიერად არჩეული მნიშვნელობის მქონე ელემენტთა 55%-ს გაუაქმებთ, იგი მაინც გასაგები იქნება (შოლი 1966: 54). კოდის ამ თვისებას შეცდომათა ავტოკორექციას უწოდებენ. მაგრამ როცა სიჭარბე ველარ უზრუნველყოფს სრულფასოვან კომუნიკაციას და ნორმის დარღვევა ველარ დაიყვანება ნულოვან საფეხურზე, მაშინ ტექსტი იქცევა ბგერათა უაზრო, მნიშვნელობის არმქონე სამრავლედ, თუმცა კი ბგერები დანაწევრებულ მეტყველებას ქმნიან. ასეთი შემთხვევა შორდება ენათმეცნიერების ფარგლებს. მსგავსი მომენტები არის მეხოტბეთა თხზულებებშიც. მაგალითად, დავაკვირდეთ ნაწყვეტს ჩასრუხაძის "თამარიანიდან":

37. 1. ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა, -  
 ბრძენმან გასახა, ასურმა, ისო
2. მკნეო და გმირო, ბობქარ ოხრვითა  
 ითსრის მგოდებმან ფლასურმა ისო,
3. ვაჲ გაუსშირო მგერთა მოსრვითა,  
 შენი თქვეს: "შამი, ა სურმა ისო".
4. ესე ატირო გულსა მოკრვითა  
 კრმალი მოფხვრისა ნასურმა ისო.

კ. კეკელიძე ამ ნაწილს ინტერპოლაციად მიიჩნევდა. აქ არ არის შინაგანი რითმა განსხვავებით წინა მონაკვეთისაგან, გარეგანი

რითმა კი რაღაც ნაწვალეები სიგყეებია მაჯამის პრეტენზიით, - წერს კ. კეკელიძე, - რაც ამითაც ამჟღავნებს თავის სიყალბეს (კეკელიძე 1951: 77). ი. ლოლაშვილი არ იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებას. მისი ფიქრით, ეს დამოუკიდებელი ერთსტროფიანი სახოტბო ლექსია, რომელსაც მიიჩნევს მაღალმხატვრული ლექსთწყობის, შინაგანი და გარეგანი რითმების მქონე ოდად.

ი. ლოლაშვილის აზრით, ამ სტროფში შექმნილია ახალგაზრდა ლაშა გიორგი, რომელსაც პოეტი ახალ პიროს უწოდებს:

ახალო პირო (აქილევის ძე), ნოსარ (ნისრელიყით) მძლეო,  
მხნეო და გმირო, შენზე ოქვეს, მანათობელი სანთელია, (თვალის  
საოლაეი) სურმაო. ასურელმა ბრძენმა გიწინასწარმეგყველა,  
რომ ძაძებმოსილი (ფლასური) აბუბაქრი ოხრვით ითხრიდეს  
(საფლაეს). ის ისე უნდა აგრო გულზე ხელის ცემით, რომ ამ  
უკეთურმა გულში თვითონვე ჩაისოს (მომაკედინებელი) ლახ-  
ვარი. შენ უნდა მგრებს მუსრი გაავლო, (მეუბრალებელი) სოც-  
ვით ეაი გაუხშირო (ლოლაშვილი 1957: 101-102).

ეფიქრობთ, მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ოდის განმარტება ნაწილობრივ ნაძალადევია, რასაც, კ. კეკელიძის სიგყეებით რომ ვთქვათ, სწორედ იმ “ნაწვალეებ სიგყეათა” თარგმნა იწვევს.

ზოგჯერ ასეთი დარღვევა მხოლოდ გაეპს კი არა, მთელ სტროფსაც მოიცავს. იოანე შავთელის “აბდულმესიანის” III ოდაში არის ასეთი აუხსნელი სტროფი:

24. 1. ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:

“ელი ამო სით. ეს რომ არა მით?

2. მასთანა შორად, - ართუა შორად! -

ელია მოსით, ესრომ - არამით.

3. ქველად ჭვრითა, რისხვით, ჭვრითა

ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით

4. მასარ ა რითა? მას არ არითა,

ელ ია-მოსით. ეს რომ ა, რა მით?”

გაეპში - “ელია - მოსით, ესრომ - არამით” თითქოს შეიძლება ბიბლიური პერსონაჟების: მოსე და ელია წინასწარმეგყველების, დავით წინასწარმეგყველის წინაპრის ესრომისა და მისი ძის არამის სახელების ამოკითხვა, მაგრამ ამით სტროფის შინაარსის გახსნა მაინც ვერ ხერხდება. ი. ლოლაშვილი წერს: ეს სტროფი მაჯამურ-

ომონიმური წყობის ურთულესი ნიმუშია. თუ “თამარიანში” მაჯამა სამ ან ხუთმარცვლიანი სარიტმო სიგყეებისაგან შედგება, აქ მის შედგენაში მონაწილეობას იღებს ტაეპის მთელი ათმარცვლელი, რომელიც ზოგჯერ ერთ ან ორ პატარა წინადადებასაც კი შეიცავს. ამიგომ ტაეპის დანაწეერება და გააბრება თითქმის შეუძლებელი ხდება (ლოლაშეილი 1964: 183).

რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვეეებისგან უნდა განვასხვაოთ ის მეტაბოლები, რომელთა დაყენა ნულოვან საფეხურამდე ანუ ნორმამდე ქეეცნობიერად შეუძლია გეითხველთა უმრავლესობას. ე. კონის მართებული დაკვირვებით, ენობრივი სტრუქტურის დარღვევის ფაბას აუცილებლად მოსდევს მისი აღდგენის ფაბა. მართლაც, თუ რიგორიკულ გარდაქმნათა პირველი ფაბა ავგორის მიერ ნორმათა დარღვევაა, მეორე ფაბა იქნება გეითხველის მიერ დარღვევის ამოსაეალ წერტილზე დაბრუნება (კონი 1966). სწორედ ესაა ავგოკორექცია, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვეეაში ხდება შესაძლებელი, როცა დარღვევათა საერთო რაოდენობა არ აღემატება სიჭარბის დონეს.

განვიხილოთ ასეთი მეტაბოლების რამდენიმე სახე.

### მეტაპლაზმები

აფერეზისი – კლება სიგყვის თაეში

“აბღულმესიანი”

1. ბარანს მარგალიტ-სადაფი ეცა ((მეეცა) 58.2.
2. მსჯელი (← განმსჯელი) მსჯაერისა და სიმართლისა 86.1.

“თამარიანი”

1. მტრობსა (← ამტრობს=აენინებს) აქილეეს, მბრძოლთა აქ ილეეს 92.18.

სინკოპე – კლება სიგყვის შუაში

“აბღულმესიანი”

1. ეგონებ მაქსიმედ: ჩემთეის მაქს (← მაქეს) იმედ 6.4.
2. ვმოწმებ (← ვიმოწმებ) სულეზსა, დასდასულეზსა.

“თამარიანი”

1. ნაელებითა (← ნაეღვარებითა), მზისა ენებითა 3.11.
2. თეით ღგას ეგლითა მსწრაფლ მომხვეგლითა (← მომხვეგელითა) 76.12.



### აპოკოპე – კლება სიგყვის ბოლოში

#### “აბდულმესიანი”

1. ვხედავ მა ((მაგ) რტოსა გამლით მარტოსა 59.1.
2. ე (← ეს) საყ ერია, მეხებერ ერია 29.2.
3. ა (← აი) ბანაყებით აბანაყებით (= აი, ბანაყებიდან აყრით, გადანაყელებით) 73.4.
4. მყის მოაშლოერებ, მათი შეიქ (← შეიქშ) მცხოერებ (← ცხოერებად) 57.4.

სინეოპესა და აპოკოპეს ისეთი მაგალითები, როგორიცაა: მაქს, მა(← მაგ), ე(ეს), ა(← აი), შეიქ(← შეიქშ) შეიძლება დიალექტური ფორმებიც იყოს (წერილობით ძეგლებში დიალექტური მოყლეუნების შესახებ იხ. სარჯველაძე 1984:103-124)

### სინერეზისი

მოგადი რიტორიკის ბელგიელი თეორეტყოსები ამ მეტაბოლას მიიჩნევენ ნაწილობრივი კლების ნიმუშად, რომელიც გამოიყენება როგორც ვერსიფიკაციის საშუალება (ჯგუფი მ 1986: 100). ჩვენი აზრით, არა მხოლოდ სინერეზისი, არამედ მეტაპლაზმის ყველა სახე ვერსიფიკაციის საშუალებაა.

#### “აბდულმესიანი”

1. აფთონს ბრძაყს, ათენს, ესრეთ გაათენს (← გაათენებს) წყედიადსა ნათლად სხივნი მჟისანი 23.1.
2. ეინც იწყოს რიყხვი (← აღრიყხვა), იქმნას ურიყხვი 43.1.
3. თვალი ხარ ბრძათა, თვით მზრდელი ყრძათა, მშიერთა პური, უსახლთ (← უსახლოთ) სართული 63.1.
4. მადლთა ბარძიმი ერთა განსაწმედ (← განსაწმედელი) 72.2.
5. ვხედავ ჯეროენად, მარად სამოუნად (← სასიამოუნოდ) 95.4.

#### “თამარიანი”

1. სოგრაგ სიბრძნითა, სარამა გრძნითა (← გრძნებითა//გრძნობითა)
2. ეგრეყა მსგაყსად ვერ გრძნობდეს გაყსად (← გაყსებულად) 38.4.
3. ურიტა კლეად მგოდი (← დამგოდავი), სულგანთა მგოდი (← მგოდებელი) 65.16.
4. უყნი აყითა (=აყისიყის უყნობი), უყ ნიაყითა.
5. უდრი (← შეუდარებელი) ითხოყა, მმე მოითხოყა 99.20.

### სინეზისი – თანხმოვანთა შერწყმა

#### “აბღულმესიანი”

კმობს ღმერც (← ღმეროს) ხალისად ა მერცხალისად  
მატკილმკმობარედ იაღონისად 7.1.

ხაზგასმულ ფორმასთან დაკავშირებით ნ. მარი სქოლიოში მიუ-  
თითებდა, რომ ღმერც ისეთივე შემთხვევაა, როგორც ერცახე  
- ერთსახეს ნაცულად, ცამეტი - თსამეგის (ათ-სამ-მეტი) ნაცულად  
(მარი 1902: 7). კ. დანელია წერდა: ღმერც ფორმა არ არის ბუნე-  
ბრივი დიალექტიზმი, თუმცა თს → ც თავისთავად ფონეტიკური რე-  
ალობაა ქართულში. ამ გაეპში ღმერც ფორმა შეუნაცელებადია,  
რადგან ორდინარული ფორმა ფრაზის შინაგანი რითმის სიზუსტეს  
დაარღვევდა (დანელია 1988: 51-52). ხმობს ღმერც ხალისად, ა  
მერცხალისად... (აფრიკატების შესახებ იხ. ახელედიანი 1949: 39-  
40, 84-86, 101).

#### ეპენტეზისი ანუ ინფიქსაცია – მაგება სიგყვის შუაში

##### “აბღულმესიანი”

1. სიმკნითა ბრძნობა და გულოვნობა ამრავალწილა უსამღვრეულად  
(← უსამღვროდ) 87.3.
2. აღმოსაველით და დასაველით მთანი და ბორცენი კმობს უფლეუ-  
ლად (← უფლად) 87.4.

##### “თამარიანი”

ეჩეენებოლა, ეფერებოლა ეგ თქეენი პირი გაცისკრებულად  
(← ცისკრად) 85.21.

#### პარავოგა – აფიქსთა დართვა (მაგება) სიგყვის ბოლოში

##### “აბღულმესიანი”

1. ეთერ ბრწყინეალე, მგებერ (← მზისა) სადარი 3.2.  
მთა ვერად სწორავს არარაგისა 13.4.
2. (=უსწორდება//ეტოლება//შეედრება)  
რაც უყო, თქმევედ (← თქმა (სათქმელად)) ეის ძალ-უც ენით? 32.2.
3. სხივ-მკრთოლვარებით მკამეამებული (=სხივ კრთომით მოკამეამე)  
45.2.
4. სხივ-მომცემლობ ელვა-ცისკროვნად (=სხივს იძლევი ცისკრისებუ-  
რად) 57.2.

##### “თამარიანი”

1. მითეე ნათლითა დღე ქმნა ღამისად (← ღამედ) 74.3.

## 2. ზეესმან მზედ ვიცნა, სამყოფი გიქმნა

სელონის ეგლთა მოვირბუენი 88.3 (=გიქმნა... შორბენინება, ი, ლო-  
ლაშვილის განმარტებით, მოვირბენინა (ლოლაშვილი 1957 : 166).

3. ეწოლა მამა, ძე ეთამამა, სული ეწოფელა მთავრობიერსა  
(=მთავარსა, მთავრობის მქონეს). 102.7.

## სილესისი

კ. დანელია თავის გამოკვლევაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მესოტბეებს ასახიათებთ აფიქსთა იძულებითი შენაცვლება. ასეთ წარმოებაში რეალიზებული აფიქსები, - წერს მეკლევარი, - არსებითად მოჩვენებითად, ენობრივი უზუსის ინერციით, არიან აფიქსები, რადგან ისინი ენის სისტემით დკისრებულ ფუნქციას არ გამოხატავენ. მხოლოდ ლექსის ფორმალური სტრუქტურის გამო შეიძლება, მაგალითად, -იერ სუფიქსი ცვლიდეს -ე, ო, -ილ, -არ, -ელ მაწარმოებლებს. მაგრამ -იერ-ის ამ სუფიქსებთან ფუნქციურ სიახლოვეზე ლაპარაკი კი ზედმეტია. ამის საილუსტრაციოდ კ. დანელია იმოწმებს შემდეგ მაგალითებს:

-ე/-იერ: მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი (=მძლენი, შესაძლებელია მძლევენი, ე.ი. -ეილ/-იერ, თ.ბ.). 36.4

-ილ/-იერ: იმოსდეს განსა მადლ-მოსიერსა (=მადლმოსილსა). 18.22

იძია შური, მით მოსრნა სრულნი არსნი ურჩებით განდგომიერსა (=განდგომილნი). 18.30

-არ/-იერ: ჟურსამე შენსა სჯამ ნაოფლიერსა 18.24 (=ნაოფლარსა)

-ელ/-იერ: უმზირდეს მტერსა, გამოუკენესა სამოთხესა მას საშეებერსა 18.26 (-საშეებელსა)

მეცნიერის აზრით, აფიქსთა უფუნქციო, ფორმალური შენაცვლება მეგ-ნაკლებად ყოველთვის იწვევს ფორმასა და შინაარსს შორის შესატყვისობა-თანაფარდობის დარღვევას - ფორმას ზუსტად ის გრამატიკული ან ლექსიკური შინაარსი არა აქვს, რაც გრამატიკულ ან დერევატიკულ აფიქსთა ენაში მოქმედი სისტემითაა მოსალოდნელი. მაგალითად, ფორმაა - შემწირეელობით, განდგომიერი, უსაზღვრეულად; შინაარსია - შემწირეელი, განდგომილი, უსაზღვროდ (დანელია 1988: 60-62).

რასაკვირველია, ნებისმიერი ფორმა ლექსში მისი ფონეტიკური ორგანიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს (ამის შესახებ

იხ. ზემოთ). მაგრამ ისიც უაქტია, რომ “პოეტური თვითნებობის” ყოველი შემთხვევა ენის პოეტურობის რეალიზებაა. პოეტის, ერთი შეხედვით, წრეგალასული თავისუფლება ენის ბუნებითაა განსაზღვრული. სწორედ ენაა ყველა ლიტერატურის უჩინარი ლაგამი. აქედან გამომდინარე, აფიქსთა შენაცვლება ენაზე ძალადობის ფაქტი კი არ არის, არამედ – ენის შესაძლებლობათა რეალიზება.

სკეული ქართული მეზობეებისთვის მართლაც ჩვეულებრივია მორფემათა შეთანხმების დარღვევა, ერთი კატეგორიის მანქანების შეცვლა სხვა აფიქსით, რომელიც მოცემულ სიტუაციაში არაადეკვატური ჩანს. ასეთი შემთხვევები შეიძლება აღვნიშნოთ ტერმინით - სილექსისი (ბერძნ. σψλλεπσε (syllapse) - შეთანხმება). მართალია, იგი თავდაპირველად შემასმენელსა და ქვემდებარეს (ზოგჯერ კი შემასმენელსა და დამატებას) შორის შეთანხმების დარღვევის აღსანიშნავად გამოიყენებოდა (Краткая литература энциклопедия 1971: 822-823), მაგრამ ზოგად რიტორიკაში სილექსისის მნიშვნელობა გაფართოებულია და მორფემათა და სინტაგმათა შეთანხმების ნებისმიერ დარღვევას აღნიშნავს (ჯგუფი № 1985: 143, 146). ეს მოვლენა მრავალფეროვანია. შეიძლება აფიქსთა შენაცვლება ერთი კატეგორიის ფარგლებს არ გასცდეს, თუმცა არაიშვიათად იგი სიტყვის კატეგორიის ცვლილებასაც იწვევს. აუცილებელია ამ ორი შემთხვევის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. პირველი უკავშირდება მორფემათა თავსებადობის (სინტაგმატიკის) საკითხს, მეორე კი სიტყვის მორფოლოგიური კლასისა და სინტაქსური ფუნქციის ცვლას. დაეკვირდეთ “თამარიანის” შეხუთე ოდას, რომლის გრამატიკული რითმა -ებ-არე იწვევს სილექსისის შემდეგ შემთხვევებს:

შექ-მტაცებარე	←	შექ-მტაცებელი
განციფრებარე	←	განციფრებული
მაოცებარე	←	გამაოცებელი
დამშვენებარე	←	დამამშვენებელი
მაციყრებარე	←	“მაციყარებელი” (ციყარითი გაშნათებული, ლოლაშვილი 1957: 252)
დამბნელებარე	←	დამბნელებელი
გამომლებარე	←	მლებარი (შემფერადებელი, ლოლაშვილი 1957: 245. “ფერების მყოფე ოსტატი”, საბა)
მწოდებარე	←	მწოდებელი

მოსათნებარე	←	მოსათნეველი (მოსაწონი, საამებელი, ლოლაშვილი 1957: 256)
შემძახებარე	←	შემძახებელი
წინამგებარე	←	წინამგებელი (შემგებებელი, ლოლაშვილი 1957:268)
ნაშენებარე	←	ნაშენები
შემრისხებარე	←	შემრისხველი

კ. დანელიას აზრით, აქ -არე დართულია რითმის გასამდიდრებლად და სიზუსტისათვის, არსებითად გრამატიკული ფუნქციის გარეშე. მართალია, ზოგჯერ -არე თითქოს -ელ სუფიქსის მნიშვნელობას გვაგულეებინებს, მაგრამ ეს მოჩვენებითად, ორდინარული სისტემის ჩაგონებით! ნამდვილად კი -არე დერიეცაიულად უფუნქციოა, მაგრამ მხატვრულად ღირებული. ის გაეპის რიტმულ-რითმიული სტრუქტურის აუცილებელი ფორმალური კომპონენტია, - წერს ძველევარი (დანელია 1988: 59). -არე დერიეცაიულად უფუნქციო სულაც არ არის. მ-არე მელიოაქტივ გზნათა მიმლეობის მაწარმოებელი კონფიქსია (მაგალითად, ხოცო ნადირი მ-ხტომარე (ვაჟა), ასეთივეა, მ-ლელე-არე, მ-ჭმუნვ-არე და სხვ.). ამ ოდაში გაფართოებულია მისი დისტრიბუცია. იგი გამოყენებულია სხვა გვარის მიმლეობათა საწარმოებლადაც. ყველა ნაჩვენებ შემთხვევაში აფიქსის შენაცვლება, მართალია, “უცნაურის” შთაბეჭდილებას გოვებს, თუმცა თითოეულ მათგანს მიმლეობის გარდა ვერაფერს დაეარქმევთ. აფიქსი შეიცვალა, მაგრამ ამას არ გამოუწვევია სიტყვის არც გრამატიკული კატეგორიის და არც სინტაქსური ფუნქციის შეცვლა. ასეთივეა “თამარიანის” მეორეთმევე ოდის რითმით მიღებული ფორმები, რომლებშიც გაფართოებულია მ(ა)-ალ კონფიქსის დისტრიბუცია, რაც ისევე და ისევე ლექსის ფონეტიკური ორგანიზაციითაა ნაკარნახევი:

გამათენალი	←	გამთენებელი
ნასმენალი	←	მოსმენილი
შემაყენალი	←	შემყენებელი
დამამეენალი	←	დამამშყენებელი
შემარცხენალი	←	შემარცხვენელი
მოდსენალი	←	მომხსენებელი (მიცვალებულთა, ლოლაშვილი 1957:257)
საკსენალი	←	მოსახსენებელი

### გრანსლაცია

მრავალი მეცნიერი (შ. ბალი, ვიურე, გ. გიომი, ე. ბენვენისტი) აქცევა ყურადღებას იმ ფაქტს, რომ სიგყვა ხშირად იცვლის კატეგორიას, ან ფუნქციას. ეს მოვლენა ამომწურავად შეისწავლა ლ. ტენიერმა. მან შემოიგანა ტერმინი გრანსლაცია და საბოლოო გასვლა მის სინტაქსურ ბუნებას, მაგრამ რამდენადაც კატეგორიის ან ფუნქციის ცვლა, ე.ი. გრანსლაცია სიგყვაში გრამატიკული ელემენტით, ანუ მორფოლოგიური მარეერთი აღინიშნება, ეს უკვე მიუთითებს ამ მოვლენის მორფოლოგიურ წარმოშობაზე. ამას თვით ტენიერის მიერ დამოწმებული უამრავი მაგალითიც ცხადყოფს. გრანსლაცია მართლაც მორფოლოგიურია თავისი ბუნებით (ტენიერი 1988: 378-379, 396-398, 411). განვიხილოთ “აბდულმესიანიდან” რამდენიმე შემთხვევა:

1. მზრდელი არს მონათა: ზეყით მონათა (დაანათა)  
ივლისის მზემან ზედ ლომსა ჯდომით (=მჯდომარემ, მჯდომმა).

10.1

2. არიან მკეცნი. მთანი და ბორცენი,  
მალნარნი, ეელნი მისთივის შეერდომით (=მას შეერდომილნი).

10.3

3. ვნახეთ ა სერი, მაზედა სერი -  
მკეცნი, მფრინეელნი. უწყალ მისეენით (=მისულნი). 32.3

4. კმა ზეგარდამო, მყის ყოვლად ამო.  
მამისგან ესმა ძედ საწოდებით (=წოდებული). 107.4

აფიქსის შეცვლამ ყველა მაგალითში სიგყვის კლასისა და სინტაქსური ფუნქციის შეცვლა გამოიწვია (შდრ. სილეუსისის შემთხვევებს, სადაც ერთი გრამატიკული კატეგორიის ფარგლებში ხდება მარეერთის ცვლა. იხ. ზემოთ) - მიმღეობა საწყისად იქცა. მიმღეობას სინტაქსურად მსაზღვრელი შეესაბამებოდა: ლომსა მჯდომარემზე, მას შეერდომილნი ეელნი, უწყალოდ მისეულნი ფრინეელნი, მამისგან ძედ წოდებული. საწყისად ქცეულმა მიმღეობამ სინტაქსური ფუნქცია შეიცვალა.

“თამარიანის” შესავალს გრამატიკული რითმა აქვს -იერ-ს-ა, რაც იწვევს მიმღეობის გადასვლას ზედსართავთა კლასში, თუმცა ფუძე გმნისაა ორივე შემთხვევაში:

ზედსართავი		მიმლეობა
საწაღიერი	<	საწაღელი
მაძებნიერი	<	მძებნელი
შუქ-მოსიერი	<	შუქმოსილი

იგივე რისმა მეორდება “თამარიანის” მეთერამეტე ოლაში:

სრულ-მყოფიერი		სრულყოფილი
მთაერობიერი	<	მთაყარი
საშეუბიერი	<	საშეუბელი
განდგომიერი	<	განდგომილი
აღნათქმიერი	<	აღსაქმული
საშობიერი	<	შობილი
მონაკმიერი	<	მონსობილი

< - ეს გრანსლაციის გრაფიული ნიშანია. მის წინ დასმულია გრანსლირებული სიგყვა, ხოლო ამ სიმბოლოს შემდეგ გრანსლირებადი სიგყვაა მოცემული. მაშასადამე, ზედსართავი < მიმლეობა - წაიციტხება ასე: ზედსართავი მიმლეობის გრანსლაციის შედეგია. თავის მხრივ, მიმლეობა ზმნის აღიქვური გრანსლაციით მიიღება (ტენიერი 1988: 467-474), ე.ი. მიმლეობა გარდამავალია ზმნასა და ზედსართავს შორის (ზმნა → მიმლეობა → ზედსართავი (→ არსებობითი). ამიგომ ბუნებრივია, რომ მას ორივესთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნები აქვს.

ეფიქრობთ, მეგაბოლისა და ნორმის ურთიერთმიმართების აქ განხილული შემთხვევები ნათლად აჩვენებს, რომ მეგყველება (ამ შემთხვევაში - პოეტური ტექსტი) ენის მხოლოდ შინაგანი ბუნების რეალიზებაა; ხოლო ნორმა ანუ ნულოვანი საფეხური, ენის ჩვეულებრივი გამოყენების მიღმა ღვას.

#### § 4. აღმოსავლურ-ქრისტიანული ენობრივი გრადიცია და ქართული ენა

აღმოსავლური ქრისტიანული გრადიცით ღვთის წინაშე ყველა ენა თანასწორია, განსხვავებით დასავლური ქრისტიანული გრადიციისაგან, რომელიც მხოლოდ ებრაულს, ბერძნულსა და ლათინურს მიიჩნევდა წმინდა ენებად. აღმოსავლური ქრისტიანობა ასაზრდოებდა კოპტებს, გოთებს, სირიელებს, ქართიველებს, სომხებს, მოგვიანებით სლავებს, აგრეთვე სპარსეთისა და არაბეთის ქრისტიანებს. მიუხედავად ენათა თანასწორობის აღიარებისა, აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა ენებს უჭირდათ კონკურენციის გაწევა ბერძნულსათვის, რადგან ბიზანტია ყოველნაირად უშლიდა ხელს მათ ლეგიტიმაციას. ეს ენები მაინც იმკვიდრებდნენ ადგილს ბიზანტიის ნების საწინააღმდეგოდ. ეროვნული ლიგურგიის ენისათვის ბრძოლა ამ ხალხებმა ეროვნული კულტურისა და საერთოდ, ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლად გადააქციეს. მათ ხშირად უწევდათ პავლეს ეპისტოლეითა მოხმობა. მაგალითად, “უკუეთუ არა იყოს თარგმანი, ღუმენინ ეკლესიასა შინა, თავსა თუსსა ეგყოდენ და ღმერთსა” (I კორინ. 14,28).

ასეთი ბრძოლის ტიპური ნიმუშია IX საუკუნის ბოლო მეოთხედის მოღვაწის, დიდი მორავიის მომაქცეველის კონსტანტინე-კირილეს პოეტური ნაწარმოები. იგი დასტირის იმ ხალხთა აუწერელ განჯყას, რომლებიც ღმერთს მათთვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკებიან და არ ძალუძთ მას თავიანთი გასაჭირი შექალაქადონ. კონსტანტინე-კირილე წერდა:

“განა ღვთისგან გამოგზავნილი წვიმა ერთნაირად არ ევემა ყველას? განა მზე მთელი სამყაროსთვის ერთნაირად არ ანათებს? განა ყველა ერთნაირად არ ვსუნთქავთ პაერს? არ გესირიხვილებათ მხოლოდ სამი ენის დაშვება, სხვა ხალხებს კი სიბნელისა და სიყრუისათვის იმეგებთ. ნუთუ ფიქრობთ, რომ ღმერთი უძლურია და არ შეუძლია თანასწორობის მიგება ან იქნებ შურიანია და არ ინებებს ამას”

ჩეხური ლეგენდის თანახმად, კონსტანტინე ეკამათებოდა სლავური ლიგურგიის დასავლელ მოწინააღმდეგეებს:

“თუ ყველას შეუძლია უფლის დიდება, თქვენ, რჩეულო მამებო, მე რად მიწლით, რომ მესა სლავურად აღეავლინო. განა ეს



ენა ისეთივე სრულყოფილი არაა, როგორც უფლისგან შექმნილი დანარჩენი ენები”.

ამ თვალსაზრისით საინგერესოა მორავიული გრადიციის ბულგარელი მწერლის, ბერი ხრაბრის, მსჯელობა: სლავური ენა ბერძნულის, ლათინურისა და ებრაულის თანასწორია, რადგან ყველა ენა ერთდროულად წარმოიშვა ბაბილონის გოდოლის დროს და თუ სლავურს არა აქვს ანიციური დამწერლობა, უკეთესიცაა, რადგან მისი შემოქმედნი ქრისტიანი წმინდანები არიან, ბერძნული და ლათინური ანბანები კი უცნობმა ურწმუნოებმა შექმნეს. მეთერთმეტე საუკუნის რუსი ავტორი მიგროპოლიტი ილარიონი აგრძელებს ამ აზრს:

ახალი რწმენა ახალ სიგყვასა და ანბანს მოიხსოვს ისევე, როგორც ახალი აზრი - ახალ ფორმას (დამოწმებულია იაკობსონის მიხედვით, 1970 : 589, 594).

ქართულ ენას ბერძნულთან კონკურენცია გაცილებით ადრე - ქრისტეს შემდეგ უკვე III-IV საუკუნეებიდან - მოუხდა. მას ამ დროისათვის დიდი ხნის მოპოვებული ჰქონდა მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია - იგი ჩვენი წინაპრების ეროვნული იდენტიფიკაციისა და კულტურული თვითდამტკიცების ძირითადი საშუალება იყო.

ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის, ანუ ადრინდელი ფეოდალური ხანის მწერლობა იქმნებოდა მაშინ, როდესაც ქართლს ერთდროულად სხვადასხვა ხასიათის ბრძოლების გადატანა უხდებოდა, რომელთა შორის უძთავრესი იყო ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჯერ მაზდეანის სპარსელების, შემდეგ კი მამზადიანი არაბების წინააღმდეგ. ამას ემატებოდა მარსილმადიდებლობის კონფესიური, დოგმატურ-ფილოსოფიური ბრძოლა წარმართობისა და სხვადასხვა ქრისტიანული სექტის (არიანობის, ნესტორიანობის, ანტიქალკედონიკ-მონოფიზიტობის, პავლიკიანობის) წინააღმდეგ. ამ ბრძოლების ფინალი იყო ძველი ქართული კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურულ-ყოფა-ცხოვრებითი საუკეთესო გრადიციების გადამუშავება და სინთეზია (კეკელიძე 1933: 19; კ. კეკელიძე 1951: 36).

არაბობის პერიოდის პაგიოგრაფიულ ნაწარმოებში - იოანე საბანისძის “აბო გვილელის წამებაში” ეროვნულ ღირსებათა ნათელსაყოფად წამოყენებულია ოთხი მოტივი:

1. ქართველები ვართ “ყურესა ამა ქუეყნისასა”, ანუ კულტურული მსოფლიოს (კულტურულ მსოფლიოში ცხოვრობენ პროშნი (ბერძენ-რომაელები) განაპირას და მარტონი ვიცავეთ ქრისტიანობას.

2. ქართველები ხუთასი და კიდევ მეტი წელია, რაც ქრისტეს რჯულზე მოექცნენ:

ქართველნი “ხუთასის წლისა ქამთა და უწინარეჲსლა მჯულდეულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა”.

3. თუ საბერძნეთი საქრისტიანოს ცენტრია, ქართლი მისი დასასრულია და მაინც არ ჩამოუვარდება საბერძნეთს:

“არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისაჲ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა”.

აქ ი. საბანისძეს მოჰყავს ავტორიტეტული სიტყვები:

“მოვიდიან აღმოსავლით და დასავლით და ინახ-იღვშიდენ წიადთა აბრაჰამისათა, ისაკისთა და იაკობისთა”.

4. ქართლი წმინდანთა სამშობლოა.

მოუღედ, ქრისტიანობის დაცვა კულტურული მსოფლიოს განაპირას, უძველესი ქრისტიანული ქვეყნის პატივი, ბერძნებთან შეთანაგობება, წმინდანთა სამშობლო - ასეთია ქართლის ღირსებანი, ესენია ეროვნული თვითშეგნების საფუძველი (უფრო დაწვრილებით იხ. სირაძე 1987: 46-54).

გასათვალისწინებელია, რომ იოანე საბანისძე ამ იდეებს ქადაგებდა არაბთა საშინელი ბატონობის დროს, როცა ქართველებს დენაციონალიზაციის კატასტროფა ელოდა. ამდენად, ავტორს გააზრებული ჰქონდა, რომ თავის გადარჩენა მხოლოდ ეროვნულ-ქრისტიანული კულტურის საკუთარი ეკლესიის ფრთათა ქვეშ გაღვივებით შეიძლებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ “აბო გვილელის წამება” საბანისძემ სამოელ ქართლის კათალიკოსის შეკვეთით დაწერა. მაშასადამე, ზემოთ განხილული იდეები პატრიოტული რიტორიკა კი არ იყო, არამედ ისინი კვებადნენ ქართლის ქრისტიანულ ელიტას. იგი საბოლოოდ სრულდება “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” გიორგი მერჩულეს მიერ მოწოდებული ცნობით, რომელშიც მუსტადაა მოძებნილი ქართლის საზღვრების დასადგენი შინაგანი საზომი:

“ქართლად ჟრიადი ქუეყანამ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცეამ ყოველი აღესრულების, ხოლო კურიელესონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: “უფალო, წყალობა ყაე”. გინა თუ “უფალო, მეგაწყალენ”.

ანუ ქართლი არის იქ და იქამდე, სადაც ქართული ენით ხდება ეამისწირვა და სამოგალოდ ღვთისმსახურება. ეს აღმოსავლური ქრისტიანული გრადიციის შესაფერისი განცხადებაცაა და მეცხრემეათე საუკუნის ქართველთა პოლიტიურ-კულტურული იდეალიც. სწორედ ამას ეყრდნობოდა ნ. ბერძენიშვილის დასკვნა, რომ ნათესავის დამახასიათებელი (იმ დროს, - თ.ბ.) არის არა იმდენად სჯული (“ნათესავით ქართველი”), რამდენადაც ენა (ბერძენიშვილი 1979: 19-20). როგორც გ. რამიშვილი წერს, მერჩულეს მიერ ნაპოვნი დეფინიცია იმდენად უზალოა, რომ მასში უნივერსალური რანგის პრინციპი ცნაურდება: კილოყაყისა, საოჯახო ენათა და დიალექტურ ვარიაციათა ნაირგვარ ბგერითსა თუ ხილულ კონკრეტულ მოცემულობაში შეამჩნიო და გამოარჩიო უხილავი და თანაც მოგადი გონითი პრინციპი, რაც მათ შორის იგივეობრივია და ამავე დროს უმთაერესი. ეს დიდ სააზროვნო აქტად უნდა ჩაითვალოს და არა მხოლოდ იმდროინდელი საქართველოსთვის, არამედ საერთოდ: ევროპული აზროვნება ამას რამდენიმე საუკუნით გვიან მიწვდა, რისი წამომწყებიც ლუთერია (რამიშვილი 2000: 158). ამ მნიშვნელოვან ინფორმაციას გიორგი მერჩულე იძლევა ქართულ ეკლესიაში “მიპრონის კურთხევის” უფლებებზე მსჯელობისას:

“არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მოძამაგებულ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათალიკობთა მიპრონი იერუსალამით მოჰყენადა. ხოლო ეფრემ ქრისტესმძიერთა ბრძანებითა მიპრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალამისა პატრიარქისა განწესებითა და წამებით სისარულით”.

ქართული ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი ხდება. ამაზე მიუთითებს ორი უმთაერესი მოვლენა - მიპრონის კურთხევის ქართლს განწესება (იქამდე აღმოსავლეთის კათალიკოსებს მხოლოდ იერუსალიმიდან მოჰქონდათ) იერუსალიმის პატრიარქის ნებართვით და ქართული ეამისწირვა. მერჩულეს დეფინიცია ეხება ქართველთა არა მხოლოდ კულტურულ ინდივიდუალობას, არამედ შეი-

ცავს ბერძნულენოვან ეკლესიასთან დაპირისპირებასაც - “კური-ელემსონი ბერძულად ითქუმის”. სრულიად ბუნებრივი იქნება ვი-ფიქროთ, რომ გიორგი მერჩულეს მიერ გამოთქმული აზრი ქართ-ლის ცნების განსაზღვრისათვის ქართული ენის გავრცელებულობის ძირითად კრიტერიუმად მიჩნევის შესახებ თვისობრივად ახალ მოუღენამე კი არ მიუთითებს, არამედ იმ მრავალსაუკუნოვანი გრადიციის ფიქსაციაზე, რომლის ძირები წარსულში იყარგება (გორდემიანი 1993:17).

### ქართული ენის კოდიფიკაცია ბერძნულთან თანასწორობის იდეით

ბერძნულთან კონკურენციაში, მასთან თანასწორობისთვის ბრძოლაში იხეწებოდა ქართული სალიტერატურო ენა. ძველი ქა-რთული ლიტერატურული სკოლები მიზნად ისახავდნენ, ჩვენი მწ-ერლობა კიდევ მეტი სიღრმით ჩართულიყო აღმოსავლურ ქრის-ტიანულ გარემოში. ამისთვის კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ ბერ-ძენთა კულტურული მონაპოვრების მაქსიმალურად ათვისება. ეს უპირატესად თარგმანში ელინდებოდა.

ლიტერატურული სკოლა ერთიანდებოდა რომელიმე კოდიფიკა-ტორის (ე. ჰაუგენისეული გაგებით (ჰაუგენი 1972: 168), ანუ ის-ეთი პიროვნების გარშემო, რომელიც იყო არბიტრი, კანონმდებე-ლი, ავტორიტეტი და მისაბაძი არა მხოლოდ ამ სკოლის, არამედ საერთოდ განათლებული საზოგადოებისათვის. ასეთ მომავალს, ქრისტიან ავტორთა რწმენით, უფალი წინასწარვე უმზადებდა თა-ვის რჩეულს, ამდენად ეს ღვთისგან მომადლებული უნარია (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ბოედერი 1983). მაგალითად, ასეთი იყო ივირონში ეფთხე მთაწმიდელი.

“რაჟამს ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისაჲ დიდი ეფთხე აღმოგზრწყინდა ნათლად და სიხარულად, დიდე-ბად და გვრგუნად, გონიერ მყოფელად და განმადრძნობელად უგუნურებისა ჩუენისა, რომელმან უმეცრებისა იგი საბურეელი მოსპარცუა გონებათაგან ჩუენთა; და, ვითარცა დღემან ღმრთიე-განათილებულმან, მჭმუნეარე იგინისლი უგულისკმოებისაჲ განკა-და სულისაგან ჩუენისა და სიერცითა და სიმაღლითა ღმრთიე-თარგმნილთა წმიდათა წიგნთა მისთაჲთა ნაყლულევენებაჲ ენისა ჩუენისაჲ აღავსო, და რომელნი-ესე ბარბარომ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწაელელობისათუს და უმეცრებისა

ჩუენისა, მათ თანაჲე აღგურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თუსითა” (გიორგი მცირე 1967: 108).

დამოწმებული ნაწყევების მიხედვით ეფთჳმე ათონელის ღვაწ-ლი ისაა, რომ მან ა) ბერძნულიდან წმინდა წიგნების თარგმნისი ქართველთა გონებას უმეცრების საბურველი მოსძარცუა, ხოლო მათ სულს უგულისხმობის ნისლი განხაღა, რითაჲე თაჲის ხალხს ჩამოაშორა ელინთა მიერ დარქმული გამანადგურებელი სახელი - ბარბაროსი და ბ) ქართველები (შესაბამისად - ქართული ენა) ბერძნებთან (და ბერძნულ ენასთან) გაათანასწორა - “მათ თანაჲე აღგურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თუსითა”. ეფთჳმეს ეს ღვაწლი აღიარეს და ღააჲასეს. ამიგომაც უწოდებენ მას ბრწყინვალე მნათობს, ღიდებასა და გეირგვისს, ქართველთა გონიერმყოფელსა და განმბარძნობელს. ეს დახასიათება მთლიანად ემთხვევა კოდიფიკატორის ე. პაუგენისეულ შეჲასებას. იგი (კოდიფიკატორი) ეროვნული გმირია, რადგან თაჲის ენასა და ქვეყანას ღირსება შეჲმაგა.

“...რომელ არს ნეგარი ეფთჳმე, რომლისა-იგი სახელი ოღენ კმა არს სათნობათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად, რომელი-იგი გამოჩნდა სამჳკულად ნაჲესაჲისა ჩუენისა და მობაძჳად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენამ და ქუეყანამ (გიორგი მთაწმიდელი 1967: 41).

ეფთჳმეს აჲასებენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საბერძნეთშიც.

“(ეფთჳმეს) სათნობათა სახელი და ღირსებაჲე ყოველსა საქართველოსა განუჲინა. და არა ხოლო საქართველოსა ოღენ, არამედ საბერძნეთსაცა. და ამის მიგმისათჳს მრავალნი ღირსნი და წმიდანი კაცნი ჰოეილოდეს მისა და განათლდებოდეს ხილვითა მისითა (გიორგი მთაწმიდელი 1967: 95).

ან კიდეჲ:

“განითქჳა სახელი მისი და პაგივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი (გ. მთაწმიდელი 1967: 44).

ამის მიგმეში ფრიად სერიოზულია, რადგან ეფთჳმე ათონელს არანაკლები წყლილი აქვს ბერძნულად თარგმნისი საქმეშიც.

“და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიგებობეჲა, ვითარცა ნესტჳ ოქროისაჲე კმამაღალი, ოხრის ყოველისა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ “ბალაჲეარი”

და “აბუკურამ” და სსუანიცა რაიონენიძე წერილნი ქართული-საგან თარგმნსა ბერძულად (გიორგი მთაწმიდელი 1967: 41).

იგი არა მხოლოდ თარგმნის ბერძულად, არამედ ამ ენაზე ორიგინალურ ნაწარმოებებსაც ქმნის. ასეთია, მაგალითად, “წესი მარგოდმყოფის ცხოვრებისა”.

ეფთუძეს ქართული თარგმანები შეუდარებელ და ხელშეუხებელ სიწმინდელ ითვლებოდა. მას მხოლოდ პირველი ქართველი ანონი-მი კოდიფიკატორების თარგმანები თუ შეედრება.

“ეგვეთარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვკგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს” (გიორგი მთაწმიდელი 1967: 61).

ასევე აფასებს მას გიორგი მცირე (გიორგი მცირე 1967: 145). კოდიფიკატორი ზრუნავს ამ საქმის მომავალზე. იგი თავად ამზადებს შემცველს. მომდევნო კოდიფიკატორი წინამავლის გზას აგრძელებს.

“კუალად გამოეინმე-აჩინა მოწყალეზამან ღმრთისამან ნათესავსა შორის ჩუენსა კაცი, რომელმანცა სრულყო ნაკულევეანებაჲ ენისა ჩუენისაჲ, რომელი-იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესაგან დაშთომილიყო (გიორგი მცირე 1967 121).

გიორგი მთაწმიდელი უფლისგან მომადლებული უნარის წყალობით ცელის ეფთუძე ათონელს.

“ესრეთ ყოელითურთ სრულქმნილსა საღმრთოჲ ესე გალანტი ხელთ უდეა (გიორგი მთაწმიდელს), რომელ არს თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ ბერძულისაგან ქართულად (გიორგი მცირე 1967: 122).

მიზანი იგივეა - ქართული ენის ბერძნულთან გათანასწოლება, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული კულტურული მონაპოვრების თარგმნასა და ათვისებაში ელინდება. გიორგი მთაწმიდელმა ეფთუძეს დაუსრულებელი თარგმანებიც მიიყვანა ბოლომდე.

“კუალად სსუანი წიგნნი. წმიდისა მამისა ეფთუმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულქმნილნი, არამედ სულმცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცელნა. კუალად სსუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწაჰმნა და ყოელისა ნაკულევეანებისაგან განასრულნა და სიტყუადუსჭირობისა და

ეერაგობისაგან განაშუენნა და განაბრწყინეა” (გიორგი მცირე 1967 : 146)

გიორგი მთაწმიდელიც აღიარებული კოლიფიკატორია. მან ქართველების გარდა ბერძნები და ასურნიც აღაფრთოეანა.

“...ყოველი განაკრუნა, არა ხოლო თუ ქართველი, არამედ ბერძენიცა და ასურნი” (გიორგი მცირე 1967: 148).

თველოსი პატრიარქი მამა გიორგის ეუბნება:

“აჰა, ესერა, გხედავ, მოწყალებითა ღმრთისათა დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხუთა კულა ყოვლითა სწავლელებითა სრულიად ბერძენი ხარ” (გიორგი მცირე 1967: 151)

ან კიდევ:

“...დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლელებითა და მეცნიერებითა ჩუენიუე სწორი ხარ” (გიორგი მცირე 1967: 153).

ასევე ახასიათებს მას კონსტანტინე ღუკიწი (უფლისწულ მართას მეუღლე):

დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩუენი კმოსიეს” (გიორგი მცირე 1967: 177).

ადვილი მისახვედრია, რას გულისხმობენ თველოსი პატრიარქი და კონსტანტინე ღუკიწი - მართალია, გიორგი მთაწმიდელი წარმოშობით ბარბაროსთაგანია (ქართველია), მაგრამ სხვა მხრივ ჩვენს წესზეა (ბერძნულ წესზე) განათლებული და ამდენად ჩვენი (ბერძნების) თანასწორია. განსწავლელობად რომ ბერძნული ენისა და წმინდა წერილის ცოდნას მიიჩნევენ, თველოსი პატრიარქისა და ქართველთა მოშურნე სემეონწმიდელების საუბრიდანაც ჩანს:

“- არა ვინ არსა ნათესავსა მათსა (ქართველებს, - თ.ბ.) შორის ბერძულისა ენისა მეცნიერი და წერილთა სწავლული? ხოლო მათ (სემეონწმიდელებს, - თ.ბ.) უნდათ თუ არა, აღიარეს, ვითარმედ: - ჰე, არს ერთი ვინმე მონაზონი ღრამაგყოსი და ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნის” (გიორგი მცირე 1967: 151).

ქართველთა აღმოფხვრის მსურველი სემეონწმიდელებიც კი აღიარებენ გიორგი მთაწმიდელს ბერძნულ ენაზე განათლებულ პიროვნებად, ანუ მას ბარბაროსთაგან გამოარჩევენ. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები მათი თანამედროვე სხვა ქრისტიანი

ხალხების მიმართ საკუთარი აღმატებულების გრძნობით იყენენ შე-  
პყრობილნი, თვითონ ათონელი მამებისთვის ორენოვნება სულაც  
არ არის დიგლოსია, ანუ ქართული და ბერძნული მათთვის ორი  
ფუნქციურად დიფერენცირებული კი არა, არამედ ორი თანასწორუ-  
ფლებიანი ენაა (ბოლდერი 1982: 86). გერმინი დიგლოსია აღნიშ-  
ნავს ისეთ ენობრივ სიგუაყიას, როცა არსებობს საზოგადოებრივი  
შეთანხმება იმის თაობაზე, სოციალური და კულტურული მნიშვნ-  
ელობის მიხედვით ფუნქციურად დიფერენცირებულ კოლებს შორის  
რომელია "მაღალი" და რომელი "დაბალი" სტატუსის ენა (ფერგი-  
უსონი 1959: 325-340; ფიშმანი). რა თქმა უნდა, ბერძნული "მაღა-  
ლი" სტატუსის ენაა, მაგრამ არც ქართულს აქვს "დაბალი" სტატუსი,  
რადგან მან უცხო გარემოში უცხოთაგან დაცვის ფუნქცია შეიძინა  
(ბოლდერი 1998: 64).

ენის სტატუსის განსაზღვრისთვის ვეყრდნობით პაულ გარვი-  
ნის მიერ გამოყოფილ პრინციპებს: ა) ენის შინაგანი თვისებები,  
ბ) მისი ფუნქციები და გ) მეტყველი კოლექტივის დამოკიდებულება  
მოცემული ენის მიმართ. ბერძნულთან თანასწორობის სურვილს  
ამყარებს ქართულის შინაგანი თვისებები: მოქნილი სტაბილუ-  
რობა, რაც ენაში კულტურული ცვლილებების ფარდი მოდიფიკაციის  
სამუალებას იძლევა და ინტელექტუალიზაცია, რადგან ქართულის  
კოდიფიცირებული ვარიანტი, რომელზეც ითარგმნება წმინდა წერ-  
ილი, საღვთისმეტყველო ლიტერატურა და იქმნება ორიგინალური  
ნაწარმოებები, განსხვავდება ყოველდღიური ქართული მეტყვე-  
ლებისაგან ხელოვნურობის მაღალი ხარისხით. საზღვარგარეთის  
კულტურულ ცენტრებში მოღვაწე მწიგნობარი ქართველებისთვის  
მშობლიური ენა გაცნობიერებული ნორმაა და ისინი ეგალონს  
ქმნიან. ამას გარდა, ქართულს დიდი ხანია მოპოვებული აქვს,  
როგორც პაულ გარვინი უწოდებს, ამ ენაზე მოლაპარაკე კოლექ-  
ტივის გამაერთიანებელი და იმავლროულად სხვაენოვანი საზოგა-  
დოებებისაგან გამოყოფისა და თავდაცვის ფუნქციები, რაც იწვევს  
ეროვნულ სიამაყეს. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის ენის პრესტიჟს  
(გარვინი 1959).

ბერძნული ენის სიმადლისათვის ქართულის ვაგოლება შემდე-  
გაც გრძელდება, მაგრამ თარგმანის ახლებური მიმართულებით.  
მთაწმიდელების თავისუფალი თარგმანის პრინციპს ბერძნულიდან  
სიტყვასიტყვითი თარგმნის პრინციპი ენაცვლება. ამ წესს ეფრემ  
მცირე ამკვიდრებს. ეფრემ მცირე წერდა:



“ხოლო მე ამისათვის დავმუერ, ენაჲმცა ქართული ბერძული-სადა მიმეყვანა”.

მისი აზრით, თარგმანი, განსაკუთრებით კი ღვთაებრივი საიდუმლოს განმაცხადებელი წიგნები, მაქსიმალური სიზუსტით უნდა გადმოსცემდეს დელანს:

“თარგმანი მასვე და ერთსა უნდა ჰმეგყუელუბდეს და აქუნდეს ოდენ მოსწაეება პირსა თითოეულისა სიგყესასა”.

როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ის სიტყვები, რომელნიც ეფრემ მცირეს კერძო შემთხვევის გამო უთქვამს - “ბერძნებისა შეილის შეილსა, ნუკუე და არა უეჭუელსა, თუთ უეჭვი და საკუთარი შეილი აღვირჩიეო”, - ეპოქის მთარგმნელობითი საქმიანობის ლობჯივად იყო მიჩნეული (კეკელიძე 1951: 51). მაგრამ თვით ახალ კოდიფიკატორზეც კი ახდენს გავლენას ძველ კოდიფიკატორთა ნაღვაწი. ეფრემმა, როგორც ამ გრადიციამზე აღზრდილმა, ძველი თარგმანი ზეპირად იცოდა და, როგორც თვითონ წერს, თარგმნისას თურმე უნებურად ეპარებოდა გექსტში ძველი სიტყვები და ფრაზები. ახალი პრინციპის მიუხედავად, ენათა განსხვავებული ბუნებით შეპირობებული “არაუსაკუთრესობის” დასაძლევად თარგმანს, ეფრემ მცირის აზრით, უნდა ღართეოდა “სიტყუს ძალისა განმაცხადებელი განმარტებაჲ”. ასეთ განმარტებებში გვხვდება სრულიად განსხვავებული კომენტარები თეოლოგიურ-ფილოსოფიური, ლინგვისტური, კულტურულ-ისტორიული და სხვა. თარგმანი კოდიფიკაციის პრაქტიკული განხორციელებაჲ, ხოლო ასეთ განმარტება-კომენტარებში კოდიფიკატორის თეორიული შეხედულებები იყვეთება. კომენტარებისას ეფრემ მცირე ისეთსავე თავისუფლებას ამჟღავნებს, რასაც მისი წინამორბედი კოდიფიკატორები გექსტის თარგმნისას.

ეფრემის გზა გააგრძელა გელათის ფილოსოფიურ-ლიტერატურულმა სკოლამ. აქ იყო ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ერთიანი მონოსტრუქტურული სისტემის ჩამოყალიბების შეგნებული ცდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა

“წარმოარსებული წმინდა განგებისაგან ღმრთისაჲსა, ხელოვნებისაგან სულისათა დახელოვნებული, ხელვათაგან გონებისათა გაგონებული იოანე პლატონური ფილოსოფოსი, მღვწოლებით პეტრიწი”.

ამ დახასიათებით იოანე პეტრიწი ასევე აღიარებული კოდიფიკატორია (შდრ. კოდიფიკატორის ე. ჰაუგენისეული გაგება (ჰაუგენი

1972: 168, იხ. აგრეთვე ზევიტ). სწორედ მას “უნდა ეუმალოდეთ ქართულ ენაზე შექმნილ მზამზარეულ ფილოსოფიურ გერმინოლოგიას. იგი ქართული ძირებით არაჩვეულებრივად მუსკად გადმოსცემს ყველა გერმინს, რომელიც ევროპულ ენებზე ბერძნული ან ლათინური ნასესხობის სახით არსებობს” (დ. მელიქიშვილი 1999: 35).

გელათის სკოლის მოღვაწენი დიდ შემოქმედებით ძალასა და სითამამეს იჩენდნენ, რათა გამოევიდნათ და ფართო გასაქანი მიეცათ მხოლოდ ქართული მასალით, ქართული ძირებითა და აფიქსებით ნაწარმოები ფორმებისთვის და არა მექანიკური სესხების გზით შეექმნათ საკუთარი მეცნიერული გერმინოლოგია, და, ამგვარად, ქართული ენა თავისი გამომსახველობითი ძალით გაეგოლებინათ “გონსერთა ხედვათა მომმარჯვი” ბერძნული ენისათვის (მელიქიშვილი 1999: 7). აქ ჩანს, რომ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ცნებათა გამომხატველი ქართული გერმინები არ უნდა განვიხილოთ, როგორც სახელწოდებათა უბრალო, პარალელური რიგი და სურვილი, ქართულად მოხდინათ ბერძნული ცნების ბგერითი ფიქსაცია. ასე რომ არ გამძლავრებულიყო ქართული ენა და განსხვავება ღრმად არ დაენახათ, ვერ შეუგევედნენ ქართველები ერთმორწმუნე ბერძნების საეკლესიო ენას ასე თავგამოდებით და, პირიქით, ბერძნებიც ქართულს (რამიშვილი 2000: 156).

კორნელი დანელიას დაკვირვებით, იოანე პეტრიწი ბუნებრივობის ზღვარს სცილდება - ცდილობს ქართულ ენაში არსებულ სადერივაციო მოდელებს ზოგადობა, უნივერსალურობა მიანიჭოს - ესა თუ ის აფიქსი თავისი მნიშვნელობით, ან მნიშვნელობის მოდიფიკაციით ნებისმიერ ფუძეზე დართვის უფლებით აღჭურვოს, გაუფართოოს მას დისკრიბუცია, დაამკვიდროს ულტრაელინოფილური სტილი, გრამატიკული და ლექსიკური კალკები. რა შედეგები მოჰყვა ამას? გაუმჯობესდა თუ არა სამწერლობო ქართული? არა, არ გაუმჯობესებულა (დანელია 1981: 228).

იოანე პეტრიწის სწრაფვა “ელლინთა ენამზებობაჲ” სიზუსტით გადმოგვჩანს ქართულად, დაიწუნა მოგვიანებით სულხან-საბა ორბელიანმა და “ლელარჭნილი” უწოდა (ამის შესახებ უფრო დაწვრთვებით იხ. ამავე ნაშრომის V თავი).

### ქართული ენის (ქართველი ერის) მისია

ქართველები და ბერძნები ერთმანეთს ძალიან სერიოზულად უპირისპირდებოდნენ საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებში. შურიტა და გესლით აღგზნებული ბერძნები არაერთად საშუალებასა და ხრეებს არ ერიდებოდნენ, რომ ქართველები სამონასტრო ცენტრებიდან გამოეძეებინათ. თავის მხრივ, ქართველები ცდილობდნენ, რომ მათ სავანეებში ბერძნები არ ყოფილიყვნენ.

თორნივე მხედართმთავარმა 979 წელს ბარდა სელიაროსის დამარცხების შემდეგ გადაწყვიტა, აღებული დიდძალი ალაფით ათანასეს ლავრაში შევიწროვებული ქართველებისათვის დამოუკიდებელი, ავტონომიური უფლებების მქონე ქართული სავანე დაეარსებინა.

“(თორნივეს) ენება, რაათა ქართველნი ოლქნ იყვნენ მონასტრისა ამისა მკუდრნი ყოველნი. გარნა, ვინათგან ამისი ქმნაჲ შეუძლებელ იყო, იძულენს ბერძენთაჲცა შემოიყვანება... უნდა თუ არა, ვითარცა ვთქუთ, შეიწყნარნეს იგინიცა” (ბერძენნი, - თ.ბ.) (გიორგი მთაწმიდელი 1967: 49).

### ეფთხემეს გარდაცვალების შემდეგ მამა გიორგიმ

“ბერძენნი ფრიად რაიმე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრცა, სოლო ქართველნი ვითარცა ნასხურნი რაამე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამპირნა” (გიორგი მთაწმიდელი 1967: 92).

### ბერძნებმა გამოიყენეს ეს მდგომარეობა და

“ქელყენეს ყოვლითა ღონისძიებითა, რაათამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხერნეს... მთაჲ ყოველი თანაშეიწიეს და საბერძენთსა დიდებულნი და ჯალაგისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრცენეს და მრავალი შრომაჲ და ჭირი და რუღუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს” (გიორგი მთაწმიდელი 1967 : 93).

ასეთ ვითარებაში “ბერძენთა სიყვარულს” (ე.ი. ბერძნებისადმი კეთილგანწყობას) ქართველები წმინდა ადგილის ორგულობად თვლიდნენ. ეს ისეთივე ცოდვად მიიჩნეოდა, როგორც, მაგალითად, წმინდა მთის მიწის გაცემა. სავანეში ბერძენთა მომამრავლებელი მამასახლისი, იკონომოსი ან სხვა ვინმე საუკუნოდ იწყევლებოდა:

“ყოველია წმიდათა ჯყართა და მადლითა კრულმცა არს და წყეულ და შეჩვენებულ და განყეულილ წესისაგან ქრისტიანთაჲსა და მათ თანამცა შერაყხილ არს, რომელნი-იგი შინაგანმცემელ ექმნეს

უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, და ა-მცა-კოცილ არს იგი ნაწი-  
ლისაგან ქრისტეანეთათასა!" (გიორგი მთაწმიდელი 1967 : 98-99).

ქართველებს გამუდმებით უხდებოდათ იმის მტკიცება, რომ ისინი არც ბარბაროსები იყვნენ და, მით უმეტეს, არც მწვალებლები. ამ მხრივ მეგალ საინტერესოა გიორგი მთაწმიდელისა და თევდოსი პატრიარქის დიალოგი, სადაც ქართველი მამა ამბობს:

"წმიდაო მეუფეო, რომელნი-ეგე-ჩუენ უმეცრად და სუბუქად გუხედაუთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან: იყო ჟამი, რომელ ყოყელსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაა არა იპოებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იყურთსა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია ღიდსა სუნაქსარსა" (გიორგი მცირე 1967 : 155).

ამ სიტყვებზე თევდოსი პატრიარქი უკან იხევეს, რადგან გიორგი მთაწმიდელი ისტორიულ ფაქტს იმოწმებს. მის მიერ ნახსენები იოანე გუთელ ეპისკოპოსი კონსტანტინეპოლიდან იქ გაჩაღებული ხატმბრძოლობის გამო მობრუნდა და სვეტიცხოველში იყურთსა კათალიკოს იოანეს მიერ 758 წლის 26 ივნისს, რაც საეკლესიო-იურიდიული თეალსაზრისით იმას ნიშნავს, რომ გუთელი ეპისკოპოსი ემორჩილებოდა მცხეთის კათალიკოს იოანეს, რომლის სახელსაც ის უეჭველად ახსენებდა საღვთო ლიგურგიის დროს. გიორგი მთაწმიდელის მოთხრობილი ამბავი, კირიონ ეპისკოპოსის აზრით, ქართული ეკლესიის დიდ და დამსახურებულ ავტორიტეტზე მიუთითებს (უფრო დაწვრილებით იხ. კირიონ ეპისკოპოსი 1910: 4-7). ეს განცდა ქართლში უკვე არაბობის დროს ჰქონდათ. გაეხსენოთ "აბო გვილელის წამებაში" ნაქადაგები იდეები (იხ. ზევით).

ბერძნულ ენასთან და ეკლესიის სხვა ოფიციალურ ენებთან ახლად გაქრისტიანებული ერების ენათა თანასწორობის პრინციპი თანდათან ეროვნულ ენათა პრიმატისა და თვისებრივი აღმაგებულობის იდეით იცვლება (გამყრელიძე 1990: 185). ამ თეალსაზრისით ძალიან საინტერესოა "ქებაა და ღიდებაა ქართულისა ენისაა" (იგი ცნობილია სხვა სათაურებითაც: "ქებაა ქართულისა ენისაა", "ქართული ენისათეს"), რომლის ავტორი თუ გადამწერია იოანე-ზოსიმე. ამ ნაწარმოებს 8. გამსახურდია აფასებს როგორც იოანეს სასარებისა და აპოკალიპსის კომენტარს. ეგზეგეზას, ესქატოლოგიური მისტიკის თეალსაზრისით (8. გამსახურდია 1991: 16).

"ქებაა" მრავალ საინტერესო სოციოლინგვისტურ მომენტს შეიცავს. კერძოდ, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად

ქართული “მდაბალი და დაწუნებული”, რაც, პ. ინგოროყვას აზრით, ასახავს პესიმიზმს ქართული ენის მდგომარეობის გამო (ინგოროყვა 1939: 10). ეს, საფიქრებელია, გამოწვეული იყო ქართველთა და ბერძენთა ზემოაღწერილი მეგოქეობით, რის გამოც ქართულს უჭირდა “ბარბაროსული ენის” ბერძნული იარლიყის მოშორება. “ქებაჲს” მიხედვით, სიმდაბლე და დაწუნებულობა ამ ენის მომავალი დიდების ნიშანია. აქ ჩანს კურთხევისა და შემკულობის ესქატალოგიური მნიშვნელობა: “დაეთესვის გინებით და აღდგების დიდებით” (I კორ. 15, 13). ქართული ენა დამარხულია, როგორც საილუმლოს აღმასრულებელი ენა და ეს არის სწორედ მისი კურთხევა და სამკაული (13, 15). გ. ფუტკარაძის აზრით, “ქებაჲს” ავტორი არ ლაპარაკობს ქართული ენის დაჩაგრულობაზე. ამ შემთხვევაში შემკული, კურთხეული, მდაბალი და დაწუნებული ერთი სემანტიკური რიგის სიგყვებია (ფუტკარაძე 2000: 79).

“ქებაჲს” ყველაზე მნიშვნელოვანი ის მონაკვეთია, სადაც ავტორი არაორაზროვნად გადმოგვცემს შეძლებას: ქართული ენა დამარხულია, მაგრამ არა როგორც მკვდარი. იგი შენახულია ქრისტეს მეორედ მოსვლის ანუ განვითარების დღისათვის (კიენაძე 1990: 15).

“დამარხულ არს ენაჲ ქართული

დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად,

რამთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა”.

ენა “ქებაჲში” ნიშნავს ერს, მოდგმას, რაც ჩვეულებრივია ძველი ქართულისთვის (ამის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ “ქართლის ცხოვრებისთვის” დართული ლექსიკონი, აგრეთვე გამსახურდია 1991: 13; ფუტკარაძე 2000: 22). აქედან გამომდინარე დამოწმებული ადგილი შეიძლება ასე გავიგოთ სულიწმიდა ქართული ენის, ანუ ქართული მოდგმის (ერის) მეშვეობით განახორციელებს თავის მისიას, როდესაც ამხელს კაცობრიობას მეორედ მოსვლის ეამს. ქრისტიანული ესქატალოგიის მიხედვით, მომავლის კატაკლიზმების დროს ზოგი ერი დაილუქება, აღიგებება პირისაგან მიწისა, ზოგი კი გადარჩება. აი, აქ იყო საჭირო პროფეტული ოპტიმიზმი, რომელსაც ამჟღავნებს იოანე ზოსიმე, როდესაც ამხნეებს თავის თანამემამულეებს: ქართველი ერი გადარჩება, იარსებებსო მეორედ მოსვლამდე (გამსახურდია 1991: 6-7, 21).

მაშასადამე, ქართული ენა (და ქართველი ერი, - თ.ბ.) სპეციფიურ სარწმუნოებრივ კონსეკრაციას იღებს - რადგან განვითარების დღის ენა ხდება და საღმრთო საილუმლოთა მაგარებელი - ფუნქ-

ციას, რომელიც, იოანე ზოსიმეს აზრით, ქართულს ბიბლიური წინასწარმეტყველებით დაჰკისრებია. ქართულის ბოლო ენად გამოცხადება მეზრუნებაა სპირად გამოთქმული აზრისა ამა თუ იმ ენის პირველობისა და საწყისობის შესახებ - ატრიბუტი, რომლითაც იოანე ზოსიმემ ქართული ძნელ კონკურენციაში მოახვედრა წმინდა ენებთან - ებრაულსა, ბერძნულსა და ლათინურთან (ბოედერი 1998: 66). მაგრამ ეს არ არის დაუძლეველი კონკურენცია, რადგან “ქებაში” ქართული და ბერძნული დებად არიან გამოცხადებული.

“და ახალმან ნინო მოაქცია  
და ჰელენე დედოფალმან,  
ესე არიან ორნი დანი,  
ვითარცა მარიამ და მართა  
და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა,  
რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ  
ამას ენასა შინა დამარხულ არს”.

ელენე დედოფალი ბერძნული ქრისტიანობის სიმბოლოა და მოციქულთა სწორის - გყვე ქალის - ნინოს მასთან გაგოლება, მათი გამოცხადება დებად და მეგობრებად მხოლოდ სულიერ ერთიანობაზე კი არ მიუთითებს, არამედ ქართული ენისა და მასზე მოლაპარაკე კოლექტივის (resp. ერის) განათაბრებაზე ბერძნულენოვან სამყაროსთან. ამით გრძელდება იოანე საბანისძის “აბო გვიღელის წამებაში” წამოყენებული მოტივები და სრულდება გიორგი მერჩულეს მოწოდებული ცნობა. სწორედ ამ ფაქტებს ეყრდნობა ნ. ბერძენიშვილის დასკვნა, რომ ქართველები მეზრძოლ მხარეს გაუსწორდნენ... აღმოსავლეთში ბერძნები გახდნენ და ბერძენთა მემკვიდრეობის დაუფლებას შეეცადნენ (ბერძენიშვილი 1979: 19-20).

ყურადღებაამისაქცევია ის გარემოებაც, რომ “ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ” სინური მრავალთავის (864 წელი) ბოლო გვერდია. ამ მრავალთავის ერთ ნაწილში არის ენათა გოლფასოვნების თეოლოგიურად დასაბუთების მცდელობა. “ქებაჲ” თემაგურად ახლოსაა სწორედ ენათა თანაბრობის იდეასთან, უფრო ზუსტად კი, “ენათა განყოფის” უნივერსალური კანონის საფუძველზე ქართულისა და ბერძნულის თანაბრობას ამტკიცებს (რამიშვილი 2000: 169) და იმაედროულად მიუთითებს, რომ ქართული სამყაროს დასასრულის ენაა (მღრ. ებრაული, რომელიც სამყაროს საწყის ენად იყო აღიარებული).

**§ 1. სულხან-საბა ორბელიანის “სიგყვის კონის” შექმნის  
სოციოლინგვისტური კონტექსტი**

ენობილი მოგზაური შარდენი წერდა: “საქართველოში ყველას აქვს უფლება იცხოვროს თავისი რჯულისა და ჩვეულებისამებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგანზე და დაიცივას საკუთარი შეხედულება. აქ შეხედებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, ევროპელებს” (დამოწმებულია კ. კეკელიძის მიხედვით 1981: 315). მაშასადამე, ამ სანდო მონაცემის თანახმად, XVII-XVIII საუკუნეებში ქართულ ენას საქართველოში მრავალ ენასთან უწევდა თანაარსებობა. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამეფოსამთავროებად დაშლილ ქვეყანას ფაქტიურად მხოლოდ ენა აერთიანებდა. ენისთვის შინაგანი დაქუცმაცებისა და გარეპალების დამლუპველი გავლენის ასაცილებლად ბუნებრივად დადგა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტანდარტიზაციის საკითხი, რაც გულისხმობს ენის ნორმატიული ორთოგრაფიის, გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნას.

პირველი ქართული ლექსიკონი და გრამატიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიქმნა. მართალია, ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტის ღრმა ეროვნულ შინაარსს (ვათეიშვილი 1983: 26),

მაგრამ მისი განხორციელება მაინც კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა ვიწროკლერიკალური მიზნებით იყო შეპირობებული.

საერთოდ, ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და მისიონერთა მოღვაწეობას შედეგად მრავალი ენის გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენა მოჰყვა, მაგრამ, როგორც მართებულად მიუთითებს ლეონარდ ბლუმფილდი, ეს შრომები დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, რადგან მათი აუტორები სპეციალური ცოდნის უქონლობის გამო უცხო ენათა ბგერით შედგენილობაში ვერ ერევეოდნენ და არ შეეძლოთ ზუსტი ჩანაწერის გაკეთება. ამას გარდა, ცდილობდნენ ყველა "ახალი" ენა ლათინური გრამატიკის სქემაზე აეწყოთ, რაც ენობრივი ფაქტების გაყალბებას იწვევდა (ბლუმფილდი 1968: 21). სწორედ ეს ნაკლი აქვს ნიციფორე ირბახისა და სტეფანე პაოლინის "ქართულ-იგალიურ ლექსიკონსა" და ფრანჩესკო-მარია მაჯოს "ქართულ გრამატიკას", რომელთაც "პროპაგანდა ფიდეის" კონგრეგაცია ძირითადად განიხილავდა როგორც ერთგვარ დამხმარე საშუალებას საქართველოში კათოლიკური სამისიონეროს პრაქტიკულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საგულისხმოა, რომ იგალიიდან საქართველოში გამოგზავნილი კათოლიკე მისიონრებისათვის მიცემული ინსტრუქციის უმთავრესი მოთხოვნა ასეთი იყო: საჭიროა ისწავლონ წერა-კითხვა ამ სამეფოში გაერსელებულ ენაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოთქმებს, რათა იგალიაში დაბრუნებისას შეძლონ სხვებს გადასცენ თავიანთი ცოდნა; შეიგყონ, აგრეთვე, აქვს თუ არა ამ ხალხს ლექსიკონები ან გრამატიკები, რომლებზედაც ლაპარაკობენ და, თუ საშუალება ექნებათ, გადაიღონ მათი ასლები და გამოგზავნონ... მას შემდეგ, რაც კათოლიკური ეკლესიის მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ძირითადი ქართული ენა იყო, "პროპაგანდა ფიდეის" სტამბამ არ დააყოვნა სათანადო შინაარსის ნაშრომის გამოქვეყნება (ვათეიშვილი 1983: 21), რომელსაც, რასაკვირველია, მიზნად არ ექნებოდა ქართული ენის სტანდარტიზაცია. იგალიაში გამოცემული გრამატიკა და ლექსიკონი აღწერენ ქართულ ენას - როგორც კოდს, რადგან კოდის გარეშე საერთოდ შეუძლებელია კომუნიკაცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მისიონერული მოღვაწეობა.

მაშასადამე, ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ კოდი და კოდიფიკაცია. მართალია, ტერმინი კოდი სხვადასხვაგვარად განიმარტება, მაგრამ ერთი რამ ცხადია იგი კომუნიკაციის



საყრდენია. ადამიანი მრავალ კოდს ფლობს. მისი არჩევა როგორც კოლექტივის შიგნით, ისე კოლექტივებს შორის კომუნიკაციისათვის სოციოლინგვისტური ფაქტორებითაა განპირობებული - იქნება ეს ერთი და იმავე ენის სხვადასხვა გამოვლინებისა (ლიალექტის, ჟარგონის, სტილის), თუ მრავალენოვან კოლექტივში რაპლენიმე ენის არჩევა ერთდროულად. კოდთა ამ სიმრავლიდან მხოლოდ ერთია კულტურის საფუძველი (ენა - კულტურა). სწორედ ამიტომ ხდება იგი ადამიანის შეგნებული ზრუნვის საგანი, რასაც კოდიფიკაციას ვუწოდებთ.

ყველგან, სადაც არსებობს ენობრივი პრობლემები, სადაც ენობრივი სიგუაცია რაიმე მიზეზით არაღამაყმაყოფილებელია, აუცილებელი ხდება ენობრივი დაგვეგვა, რომელიც ცალკეული პირების, სამთავრობო კომისიებისა და აქაღემიების ძალისხმევით ხორციელდება (ჰაუგენი 1975: 454).

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში არასახარბიელო ენობრივი სიგუაცია იყო. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა საფრთხეს უქმნიდა ხანგრძლივი წერილობითი გრადიციის მქონე ქართულ ენას. მეორე მხრივ, პოლიტიკური ცენტრის დაქსაქსვის პირობებში მასზე კეთილისმყოფელ გავლენას ვერაფრით ვერ მოახდენდა მოგზაურ შარდენის მიერ აღწერილი ენათა სიმრავლე, რომლის გარემოცვაშიც არსებობდა ქართული ენა.

ენობრივი დაგვეგვის უმთავრესი მიზანია გავლენის მოხდენა ოფიციალურ სტილზე მის წერილობით ფორმაში ცვლილების შეგანით (ჰაუგენი 1975: 449). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენობრივი დაგვეგვის მიზანი სტანდარტიზაციაა. იგი სალიტერატურო ენის უმთავრესი ატრიბუტია, რაც ნიშნავს ამ ენის ისეთი კოდიფიცირებული ნორმების არსებობას, რომელიც აღიარებულია ენობრივი კოლექტივის მიერ და გამოდის არბიტრის როლში (ბელი 1980: 195-196). სწორედ ეს მიზანი ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანს, როცა ლექსიკონს ქმნიდა.

ორბელიანი “სიტყვის კონისტვის” წამმღვარებულ “ანდერძნამაგში” წერს:

“ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ეამთა ვითარებით უჩინო ქმნილ იყო... ვინამთგან ჰატიოსანი ესე წიგნი დაჰარგოდათ, ენა ქართული თავის ნებაზღვ გაერყვნათ” (ორბელიანი 1991: 27).

ილია აბულაძის შეფასებით, სწორედ ენის წახდენის შესაკავებლად, ერთი მხრით, და მისი მდიდარი მარაგის მართებული ცოდნისა და გამოყენების მიზნით, მეორე მხრით, მიუყვია ხელი საბას “ქართული ლექსიკონის” შედგენისათვის (აბულაძე 1991). მაგრამ როგორც “ანდერძნამაგში” მოცემული ცნობები ცხადყოფენ, ეს მხოლოდ სულხან-საბას სურვილი როდი იყო. ლექსიკონი იმდროინდელი სამეფო კარის ენობრივი პოლიტიკის შედეგია. ორბელიანი წერს:

“ვახტანგ მეფის ბიძამ გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი კელყოფა,... სახელი მეფისა არჩილისა, რომელთა მიბრძანეს ამისი აღწერა.”

“ალეწურე მეფისა არჩილისა და მეფისა გიორგისა და ბატონის ლეონის ბრძანებითა” (ორბელიანი 1991: 27, 31).

ვახტანგ მეექვსე დიდად იყო დაინტერესებული ამ ლექსიკონით, რომელსაც “სიგყვის კონა” უწოდა (იხ. ამასთან დაკავშირებით “ანდერძნამაგი”). ლილი ქუთათელაძის დაყვირებით, ლექსიკონის ბოლო რედაქციის ერთ-ერთი ნუსხის ზოგი მინაწერის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ მათი ავტორი ლექსიკონის კრიტიკული თვალთ წაჭიხეული ვახტანგ მეფე უნდა იყოს. იგი საბას მიერ აუხსნელ სიგყევებს განმარტავს, ზოგს ურთავს ახალ მნიშვნელობას და იძლევა დამატებით ახსნასაც, რასაც ახალი წყაროთი ამაგრებს. როცა ლექსიკონში მოცემული განმარტებები მწიგნობარ მეფეს არ აუმაყოფილებს, ავსებს და ამარტივებს მათ. ზოგიერთ სიგყევას ურთავს შენიშვნას აღმოსავლური წარმოშობის გამო და განმარტებასაც უწერს. ვახტანგი ზოგჯერ ეკამათება საბას, ორბელიანი კი მეფის ყველა მასალას ერთგვარად არ ექცევა (ქუთათელაძე 1957: 100-109; 1959). ვახტანგ VI არა მარტო კითხულობდა და თავისი შეხედულებისამებრ ასწორებდა “სიგყვის კონას”, არამედ ამ ლექსიკონის გადამწერადაც გვევლინება. მ. ქავთარიას აზრით, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციაში დაცული “სიგყვის კონის” S-2498 (D რედაქცია) 190-ფურცლიანი (28 რვეულიანი) ხელნაწერის მხოლოდ პირველი ექვსი ფურცელი უნდა იყოს სულხანის ნაწერი, დანარჩენი კი ვახტანგ VI-ის გადაწერილი ჩანს. მველევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მწიგნობარ მეფეს უნდა დაეწერა ელ. მეგრეველის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი H-416 ხელნაწერის

(E რედაქცია) ის ნაწილებიც, რომლებიც, ელ. მეგრეველის აზრით, ვილაცას სულხანის კარნახით დაუწერია (ქავთარია 1960: 1-2).

მიუხედავად კონკრეტულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობისა, სულხან-საბამ და მასთან ერთად იმდროინდელმა სამეფო კარმა მიზნად დაისახეს, საზოგადოებისთვის ესწავლებინათ

“ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნაევამ ქართველთა პირველისა მეფისა შიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი” (ორბელიანი 1991: 28).

მართალია, სულხან-საბამ ეჭვსაც გამოთქვამს:

“გარნა (ხოლო) მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მოციხხარ ექმნებიან შრომისათვის და არა სარეწავად მისცემენ ლოცვასა (შენდობასა)”; “ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნამ-რომთა ამათ ჩემთა”, ან კიდევ: “ენაგარყენილებათაგან სწავ-ლულნი მრავალთა აქა წერილთა სიგყუათა იუცხოებენ და შორად განიშორებენო” (ორბელიანი 1991: 27, 30),

მაგრამ მთლიანად “ანდერძნამავის” პათოსი აშუარას ხდის ლექსიკოგრაფიისა და ვახტანგ მეექვსის საჩუფო კარის მიზანს, “სიგყვის კონა” გამხდარიყო ქართულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის მიერ აღიარებული არბიგრი. როგორცა ჩანს, ქართულმა ლექსიკონმა მალევე მოიხევეჭა სახელი ქვეყანაში. “სიგყვის კონის” ღირსების გამო ორბელიანის სიცოცხლეშივე უცდია ზოგიერთს ფრიად დამამ-ვრალი მუშაყის ნამოლენაწარის მითვისება (ორბელიანი 1991: 31).

სულხან-საბამ ორბელიანის ლექსიკონის ავტორიგეგულობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მან ენის კოდიფიცირების პრინციპად ეფექტურობისა და აღეკვატურობის კრიტერიუმები აირჩია. ეფექტურია ის ფორმა, რომელიც ადვილად შეისწავლება და ადვილად გამოიყენება. ხოლო აღეკვატურობა არის ენის უნარი, დაყმაყოფილოს მასზე მოლაპარაკე კოლექტივის მოთხოვნები (ჰაუგენი 1972). “ქართულ ლექსიკონში” ასორმოცზე მეტი წყაროა დასახელებული, მათ შორისაა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურა. ორბელიანი “ანდერძნამავში” ხაზგასმით წერს:

“საადვილო ეპოვე და საადვილონი აღეწერე”,

ან კიდევ:

“საილობელი არ დაეწერე”.

ლიგერატურული ტრადიცია ქმნის საკუთარ კოდს, რომელსაც შეუძლია გაელენა მოახდინოს ენობრივი კოლექტივის მეტყველებაზე (პაუგენი 1972). ამიგომ სულხან-საბა სიგყვას ძველი წერილობითი ძეგლების მიხედვით განმარტავს და ეს განმარტება ყოველთვის მარტივი და გასაგებია, რაც მკითხველს მისი მშობლიური ენის პომოგენურობაში არწმუნებს. სწორედ ამას დააყრდნობორბელიანმა ენობრივი დაკვემვის უმთაერესი მიზანი - ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის კომუნიაციის განხორციელება და ამითვე მოახდინა გაელენა მათ არჩეევანზე.

საგულისხმოა ერთი მომენტი. სულხან-საბას ლექსიკონში ქართული ენის მონათესავე ენების მასალაც გვხვდება. მართალია, იმ დროს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპებისთვის ლინგვისტური აზრი ჯერ კიდევ არც ერთ ქვეყანაში არ იყო მომწიფებული და ორბელიანიც, მრავალთა მსგავსად, მაგალითად, მეგრულს “მრულ ქართულად” მიიჩნევს, მაგრამ იმდენად ძლიერია საკუთრივ ქართულისა და მეგრულ-ჭანურის სიასლოვის, მათი ერთიანობის შეგრძნება და თავად “სიგყვის კონის” სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულება, რომ სხვა ქართველურ ენათა მასალაც ბუნებრივად ხდება ლექსიოგრაფის თვალთახედვის არეში. კ. დანელიას დაკვირვებით, მეგრულ-ჭანურიდან უნდა იყოს შესული ორბელიანის ლექსიკონში:

სერობა, შემი, ბადიში, ბოგა, ბოვირი, ბორვილი, ირეჭი, კაკაჩი, კერშილობა, კვარაკუნჩა, ოდრივალი, ოდომი, ოჩხო-მელი, ოჯიჯი, ომმე, ორშომო, ფუსხვი, ჩაფულა, ჯამკუტა, ჯირ-კი, ჯიხური, მარყუევი, ჯაგი (დანელია 1984).

ამ სიგყვებიდან სულხან-საბა მხოლოდ ოჯიჯზე უთითებს:

ბადე მეგრულად ZAB მრგვალი ბადეა, ქორთ დასაცემელი (I:612).

მეგრულ-ჭანურიდან შესულად უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე:

ბაღანა მყირე გყვე (I:97)

ბიწვერი შგერი (I:105)

ღიხაშხო (I:202)

ი. ჯაყახიშვილი ამ სიგყვას ქართული ენის დასაცელურ კილოებში ზანურ სუბსტრატად მიიჩნევდა. ღიხაშხო ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობით გამოიყენება: 1. ნოყიერი, შავი მიწა, კარგი მოსავლიანი მიწა (“შხუ” - მსუქანი), 2. უნაყოფო მიწა. გ. როგავას

ამრით, ღიხაშხო უნდა იყოს მიღებული ღიხა-შხუნა-საგან, სიკყეა-სიკყეთ: “მიწა დასვენებული”, “მიწა შენახული, აქედან “ნოყიერი მიწა” (როგავა 1978: 102-104).

მოდორება მოცყუ(ე)ნება მოცყუებასაიით CD მოცყუნება E  
 ნუსაღია ბიძის-ცოლა (I:598) ნუსა - ნოსა (რძალი), ღია - ღელა  
 ოჩხოლი (ოჩხოლი თუ ურჩხული E), ურჩხული ZAB (I:611).  
 ოჯინჯახი ნიგეშის გული, გაქნილი წყლითა ZAB (I:612)  
 რავადობა საუბარია ალურსივით (b) (II:3)  
 რეგუბ დიდად დასეყევა ZAB (I:8)  
 ფოფინება ღულილივით ZAB (II:197)

ლექსიკონში ძირითადი ლექსიკური ფონდის სიკყეების გარდა განმარტებულია ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო მწერლობაში გამოყენებული არაერთი სიკყეა და ტერმინი. აქაც ეფექტურობისა და ადეკვატურობის კრიტერიუმებია ამოსავალი. ენობრივი დაგეგმვა ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის კომუნიკაციის გარდა სხვადასხვა ენობრივი კოლექტივებთან ურთიერთობასაც გულისხმობს, რაც ყველაზე კარგად თარგმანში ჩანს.

“რაოდენი ძალ-მელვა საღმრთო წერილთა და ღვთისმეტყველებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთაგან ღმრთისმეტყველებათა კაეშირთა, პროულეს პლატონურთა დიოდოსოსთა, არისტოტელისა კათილორიათაგან გამოვიღე. ნემესიოსა და იოანე დამასკელისა პლატონური სიკყეის საქცეკები აღესწერე, რომელიმე არა მათებრ ღელარჳნილად, არამედ მათვე წმიდათა მამათაგან. სადა საადვილო ეიპოვე, საადვილონი აღესწერენ” (ორბელიანი 1991: 28).

აქ ორბელიანი აშკარად იწუნებს ძველი ქართული ელინო-ფილური სკოლის მთარგმნელ-კომენტატორების ენობრივ არჩევანს, რადგან ღელარჳნილს უწოდებს და მას უპირისპირებს საადვილოს, რაც თანამედროვე სოციოლინგვისტიკის ტერმინოლოგიაში, ეფექტურობის ეკვივალენტია. ასეთ შემთხვევაში ენობრივი ელემენტი ფასდება მთელ სისტემასთან მიმართებით და არა მისგან მოწყვეტით (პაუგენი 1972).

## § 2. სემიოზისი და პირველადი სემანტიკური კონცეპტები

“ნურის შექმნება, რომ ნიშნებზე დაყრდნობა საგნებს დაგვაპოვებს. პირიქით, იგი მიგვიყვანს საგანთა არსამდე”.

გოგფრიდ ლაიბნიცი

ეს სიტყვები წარუშლვარა ეპიგრაფად ჩარლზ უილიამ მორისმა ნიშნის თეორიის შესახებ თავის ფუძემდებლურ ნაშრომს. ლაიბნიცის სიტყვები განმარტებითი ლექსიკონის ხასიათსაც ასახავს. განმარტებითი ლექსიკონი ორიენტირებულია ენის რეფერენციულ ძალასა და მეტალინგვისტურ ფუნქციამე.

ენის რეფერენციული ძალის კვლევა გულისხმობს იმის გარკვევას, რაგომ და რამდენად მონაწილეობს ენა საგნობრივი ცნობიერებისა და კულტურის აგებაში. ენის რეფერენციული ფუნქციის საშუალებით იხსნება არა მხოლოდ კომუნიკაციისა და საგანთა აღნიშვნის ფაქტი, არამედ ენის მონაწილეობა საგნობრივი ცნობიერების შექმნასა და კულტურის აგებაში, რომლის რეზონანსული ეფექტი ენაზე ღამენებულ, ე.წ. მეორეულ ნიშანთა სისტემებში დასტურდება (რამიშვილი 1978: 4).

მეტალინგვისტური ფუნქცია ორიენტირებულია კომუნიკაციის აქტის საყრდენ ფაქტორზე - კოდზე (იაკობსონი 1975: 189). შეიძლება ითქვას, ეს არის განმარტებითი, ახსნითი ფუნქცია. მეტალინგვისტური ფუნქციის ყველაზე აშკარა გამოხატულებაა განმარტებითი (ერთენოვანი) ლექსიკონი, რადგან მასში ერთი ენის ნიშანი / ელემენტი იხსნება, განიმარტება ამავე სისტემის (ენის) სხვა ელემენტებით. მაგალითად,

“ნებიერისა კაცისა სიარულსა უკმოთ ვლასა (სლვასა)... სამოთხესა და ასპარეზსა შინა ნებიერ სიარულსა უწოდენ მოთხვასა, რომელსა ვიეთინი სეერნობად სახელ-სდებენ”.

აქ შესაბამისობა მყარდება ერთი ენის ფარგლებში: “მოთხვა, სეერნობა - ნებიერისა კაცისა სიარული”.

ამის საპირისპირო მოვლენაა თარგმნა. მეტალინგვისტური ფუნქციის გამოხატულებად სწორი იქნება განმარტებითი ლექსიკონის შედარება თარგმნით (ორ ან მეტენოვან) ლექსიკონთან, სადაც რომელიმე სისტემის (ენის) ელემენტს ეძებნება შესაბამისი ცალი მეორე სისტემაში (ენაში). მაგალითად, ქართული - მაგიდა, რუსული - стол, ინგლისური - table, ფრანგული - table. ასეთი ლექსიკონიც არ

არის თავისუფალი ენათა სემანტიკური წესების დემონსტრირებისაგან. ერთი და იგივე ობიექტი ან სიგუაცია განსხვავებულად აისახება ენებში. აქედან გამომდინარე, ორი ან შეგენოვანი (თარგმნითი) ლექსიკონების ღირსება იმით განისაზღვრება, რამდენად ადეკვატურადაა ნაჩვენები მასში ამ ენათა სემანტიკური წესების ფარდობა (სემანტიკური წესების შესახებ იხ. ქვემოთ).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ანბანზე დალაგებული ენობრივი ნიშნებით განმარტებით ლექსიკონში აისახება ამა თუ იმ ენის მიერ დანაწევრებული გარესამყარო (რეფერენცია), ხოლო მათზე დართული განმარტებები (ამავე სისტემის სხვა ელემენტებით გადმოცემული იგივე შინაარსი - მეტალინგვისტური ფუნქცია) არის ნიშნებზე დაკვირვება, რითაც სულხან-საბა ორბელიანი ცდილობს, მივიღეს საგანთა არსამდე.

“სიტყვის კონა”, როგორც საერთოდ ყველა განმარტებითი ლექსიკონი, ასახავს სემიოზისს ანუ ისეთ პროცესს, რომელშიც ლექსება ფუნქციონირებს როგორც ნიშანი. ამ პროცესში გამოიყოფა რამდენიმე ფაქტორი:

1. ნიშანი,
2. ის, რაზეც ნიშანი მიუთითებს,
3. ინტერპრეტატორი - ენობრივ ნიშანთა სისტემის მომხმარებლები, ფართო გაგებით, ენობრივი კოლექტივი,
4. ზემოქმედება ანუ ინტერპრეტანტა - მოსალოდნელი რეაქცია, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ნიშანს,
5. კონტექსტი, რომელშიც გვხვდება ნიშანი (მორისი 2001: 130).

ამ ფაქტორებზე ჩვენ გვექნება უფრო დაწერილებითი მსჯელობა. ამ ჯერზე მხოლოდ იმის აღნიშვნით დაეკმაყოფილებით, რომ სემიოზისის ფაქტორთა ანალიზი საბოლოოდ დადის ენობრივი ნიშნის სამი განსხვავებული თეალსამრისით განხილვაზე: სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატული (გამყრელიძე 2000). ცალკეული ენობრივი ნიშნის სრული დახასიათება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შესწავლილია მისი ურთიერთობა ობიექტთან, სხვა ნიშნებთან და მომხმარებელთან. ენის ამომწურავი დახასიათება კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა დადგენილია ენის სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატული წესები.


$$L = L_{სე} + L_{სინ} + L_{პრაგ} \quad (\text{მორისი 2001ა: 54}).$$

“სიგყვის კონას” განვიხილავთ სწორედ ასეთ მცდელობად. იმაზე დაკვირვებით, რას მიიჩნევს სულხან-საბა ორბელიანი ენობრივ ნიშნად, როგორ ალაგებს და განმარტავს მათ, შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, “ლექსიონი ქართული” რამდენად ასახავს ქართული ენობრივი სისტემის სემანტიკურ, სინტაქტიკურ და პრაგმატულ წესებს.

სემანტიკას აინტერესებს ნიშნის მიმართება მის დესიგნატთან და შესაბამისად ობიექტთან, რომელსაც იგი აღნიშნავს ან შეუძლია აღნიშნოს. სემანტიკური წესი სემიოტიკის ფარგლებში ნიშნავს ისეთ წესს, რომელიც განსაზღვრავს, რა პირობებში შეესაბამება ნიშანი ობიექტს ან სიგუაციას (მორისი 2001ა).

სემანტიკური კვლევა გულისხმობს სიგყვის მნიშვნელობის შემქმნელი ელემენტარული შინაარსების გამოვლენას. სიცხადისათვის მიუვართოთ ანალოგიას ქართული ენის ფონეტიკიდან.

ქართულ ენაში ფონემის ძირითადი მახასიათებლებია: საწარმოიქმო ადგილი, საწარმოთქმო რაგვარობა და მქდერობა-სიყრუე. მაგალითად, ფონემა “ბ” დახასიათდება როგორც ბილაბიალური, ხშული და მქდერი. ამ მახასიათებლებს მერიზმებს უწოდებენ. ისინი ენის სუბფონემატურ ანუ მერიზმატულ დონეს ქმნიან (ბენვენისტი 1974 130-131).



ამათგან რომელიმეს ჩანაცვლება სხვა მერიზმით მოგვცემს მერიზმათა ახალ კომბინაციას, ანუ ახალ ფონემას. მაგალითად, თუ ბილაბიალურობას დენტალურობით ჩავანაცვლებთ და სხვა მახასიათებლებს (ე.ი. ხშულობასა და მქდერობას) დავტოვებთ, “დ” ფონემას მივიღებთ. თუ მქდერობას ფშვინვიერი სიყრუით შევცვლით, “ფ” ფონემა გვექნება და ა.შ. სწორედ ასევე შეიძლება წარმოვიდგინოთ სიგყვის დონე. ისიც უნდა დაიშალოს ელემენტარულ შინაარსებად, რომელთა კომბინაცია სიგყვის მნიშვნელობას გვაძლევს. ა. ვეებიცკამ შეიმუშავა აგრეთ წოდებული “ბუნებრივი სემანტიკური მეტაენა”, რომელსაც ქმნის ელემენტარული შინაარსები. მათი ვერბალიზება ხდება ნებისმიერ ბუნებრივ ენაში.

მერიზმათა მსგავსად, “ბუნებრივი სემანტიკური მეტაენის” შემადგენელი ელემენტები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს.



ისინი თვითუმარი, დაუშლელი და უნივერსალურია. ამ ელემენტებს ა. ვეებიცკამ “პირველადი სემანტიკური კონცეპტები”, ანუ პრიმიტივები უწოდა. თავისი შინაარსით ეს გერმინები შეიძლება შეეცვალოთ უფრო ხანგრძლივი გრადიციის მქონე გერმინ სემით.

ა. ვეებიცკამ გამოყო შემდეგი პირველადი სემანტიკური კონცეპტები, ანუ ელემენტები, რომელთა საშუალებითაც ხდება მნიშვნელობათა კონსტრუირება. ეს სემები ქმნიან იმ “სემანტიკურ წესებს”, რომელთა ცოდნა წყვეტს არსებითად სათანადო ენობრივ კოლექტივში საგანთა შესახებ გაგებინების შესაძლებლობას. მათგან დიდად არის დავალებული ინფორმაციის მიღების, შენახვისა და გადაცემის პროცესი.

სუბსტანტივები	მე, შენ, ვიღაც, რაღაც, ყველა
დეტერმინანტები	ეს, იგივე, სხვა
რაოდენობა	ერთი, ხუთი, ბევრი, მრავალი
მენტალური პრედიატები	ფიქრი, ცოდნა, სურვილი
“მეტყველება”	თქმა
ქმედებანი და მოვლენები	
შეფასება	კარგი, ცუდი
აღწერა (დახასიათება)	დიდი, პატარა
დრო	როდის, ადრე, შემდეგ
სივრცე	სად, ქვეშ, ზევით
ტაქსონომია	რა სახის, რისი ნაწილი (შემადგენელი)

(ა. ვეებიცკა 1996).

ჩამოთვლილ “პირველად სემანტიკურ კონცეპტებს” შემდეგ ა. ვეებიცკამ სხვებიც დაუმატა. ამ სემებიდან ზოგიერთი ერთმანეთზე დაიყვანება. მაგალითად, მენტალური პრედიატები და “მეტყველება” ადვილად თავსდება ქმედებებსა და მოვლენებში. შეფასებისა და აღწერის (დახასიათების) გამიჯვნა სწორია. დახასიათებისას გამოიყოფა საგნის ან მოვლენისთვის ნიშანდობლივი ელემენტები. მაგალითად, დიდი მწვანე ჩანთა. სიდიდე და სიმწვანე ამ კონკრეტული ჩანთის მახასიათებლებია, მაგრამ კარგი და ცუდი (უნივერსალური შეფასებები) გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას ამ საგნისა თუ მოვლენის მიმართ და ყოველი შეფასება კონკრეტული კონტექსტით / სიტუაციით განისაზღვრება. თუმცა აღწერა (დახასიათება) შეიძლება გაერთიანდეს დეტერმინანტების კლასში. დროისა და სივრცის სემები ასევე განაწილდება სუბსტანტივებსა და დეტერმინანტებში.

“პირველადი სემანტიკური კონცეპტების” წინამორბედად შეიძლება ჩაეთვალოს არისტოტელეს კატეგორიები. არისტოტელე ფიქრობდა, რომ არსებობს ყოფიერების ათი უმაღლესი სახე (τὰ ὑψηλὰ τὰς ἐπιστῆμης), რომელთაც შემდეგ კიდევ ხუთი დაამატა. თითოეული კონკრეტულ შეკითხვას პასუხობს:

1. არსება ანუ სუბსტანცია (οὐσία). ეს კატეგორია პასუხობს კითხვაზე რა (τίστι). იგი მოიცავს ყოველივე არსებულს.

2. რაოდენობა (τὸ ποσόν), პასუხობს კითხვაზე რამდენი (ποσόν). აქ შემოდის ყოველგვარი საზომი (ღიდი, პატარა, ხუთი, ოცდაათი და ა.შ.). ა. ვეებიცასთან ღიდი და პატარა შეღის აღწერაში, ხოლო ხუთი, ოცდაათი - რაოდენობაში.

3. თვისება (τὸ πῶς). ეს კატეგორია პასუხობს კითხვაზე როგორი (τὸ πῶς) და ყოველგვარ თვისებას მოიცავს (თეთრი, კეთილი, მაგარი და სხვა). ესეუ აღწერა/დახასიათებაში შეევა ა. ვეებიცასთან.

4. მიმართება (πρὸς τι). დაესმის კითხვა რაგომ, რის გამო. რასთან მიმართებით (πρὸς τι).

5. საღ (ποῦ) კატეგორია, ე.ი. სიერის კატეგორია.

6. ეს კატეგორია პასუხობს კითხვაზე როდის (πότε), ე.ი. დროის კატეგორია.

7. მღგომარეობა (κείσται).

8. ფლობა, ქონება (ἔχειν).

9. მოქმედება (ποιεῖν).

10. ენება (παθεῖν).\*

ს. დანელიას აზრით, არისტოტელემ ლოგიკური კატეგორიები წინადადების აგებულებიდან გამოიყვანა. მან შეისწავლა წინადადების წევრები, მათი კითხვები და გრამატიკული განსაზღვრებები ლოგიკაში გადაიტანა. ენის კანონები არსებობის წესებად გამოაცხადა (დანელია 1986: 390).

ადელია საერთოს დანახვა არისტოტელეს “ყოფიერების უმაღლეს სახეებსა” და ა. ვეებიცას “პირველად სემანტიკურ კონცეპტებს” შორის, თუმცა ისინი სხვადასხვა მიზანს ისახავენ. თავისთავად ღგება ასეთი საკითხი - რა მნიშვნელობა აქვს ამ სემების გამოყო-


\* არისტოტელეს „ყოფიერების უმაღლესი სახეები“ დამოწმებულია ს. დანელიას ნაშრომის მიხედვით. С.И. Данелия, К вопросу о соотношении грамматики и логики. – Очерки из истории античной и новой философии, издательство ТГУ, Тб., 1986, 389-390.

ფას, რითი შეიძლება დავაზღვეოთ მათი სარგებლიანობა. სემათა კლასიფიკაცია აუცილებელია ენის რეფერენციული ძალისა და მეტალინგვისტური ფუნქციის კვლევისთვის. ენები ერთმანეთისგან რეფერენციული ანუ დამანაწევრებელი ძალითა და სემანტიკური წესებით განსხვავდებიან. “პირველადი სემანტიკური კონცეპტები” ანუ სემები ხელს შეგვიწყობს ამა თუ იმ ენის სემანტიკურ წესთა გამოვლენაში.

### § 3. კონცეპტი “სახე, ტიპი”


სულხან-საბა ორბელიანი სიგყვათა განმარტებისას ყველაზე ხშირად გაქსონომიისა და ცნების (მთელის) სახეებად (ნაწილებად) დაყოფის პრინციპს იყენებს. კონცეპტი “სახე, ტიპი” ადამიანური კატეგორიზაციის საფუძველია. ლინგვისტური კვლევები ადასტურებს, რომ სახე (სახეები) ლექსიური უნივერსალია. ყველაზე ხშირად ასეთი კითხვები ჩნდება: “X Y-ის სახეა?” ან “Y-ის რამდენი სახე არსებობს?” (ვეებიცა 1996: 63).


ადამიანის წინაშე ყოველთვის იღვა გარესამყაროსა და საკუთარი გრძნობების სისტემატიზაციის ურთულესი ამოცანა. გარემომცველი და სოციალური უნივერსის შესაქნობად ძირითადად საკლასიფიკაციო სქემები გამოიყენება. განვითარების ადრეულ საფეხურზე კლასიფიკაციის უმარტივესი ფორმა ალბათ ბინარული იყო. ბინარული ოპოზიციების კონცეპტუალური ქსელის შემადგენელი ზოგიერთი ან ყოველი ოპოზიციის თანდათანობით დაყოფით მიიღება ბინარული ხე (ბიერტონი 1990: 295-297):



ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა არსების “განყოფილების” სქემა (იგი ნათესავის განმარტებაში შედის) სულხან-საბა ორბელიანის “სიგყვის კონაში” (I: 563). (სქემა იხ. გვ. 102).

უფრო სწორი იქნებოდა ცხოველის შეგანა უსიგყვოს კლასში, ვიდრე მისი მოთაქსება მოკუდავის კლასში, რადგან მოკუდავი სიგყვიერის განაყოფია. ცხოველს შეეფერება მგრძნობიარე უსიგყვო არსების კლასი. მოკუდავობა კაცის გარდა ცხოველის მახასიათებელიცაა, მაგრამ სიგყვიერი არ არის. შეიძლებოდა გეეფიქრა,





რომ უსიგყვო და უკუდავი საბას ღლეუანდელისაგან განსხვავებულად ესმოდა, მაგრამ ეს ლექსიციონიდან არ ჩანს.

უკუდავის განმარტება:

არ(ა) მოყედეს ZABG (II: 159), ე.ი. ვინც, რაც არ კედება, ხოლო სიგყუად გაგებულია მეტყველებად, რომელიც განიყოფება სულის შინაგან უხმო მეტყველებად ან წარმოჩენილ სიგყუად (ანუ კმასა შინა სიგყვის-გებათ) (II: 95). ცხოველი მოუდავი სიგყვიერის ნაცელად უსიგყვიო მგრძობელი ცხოველის კლასში უნდა შევიდეს. არსების კლასიფიკაციის ბინარული ხე ისეთ სახეს მიიღებს, როგორც ეს 104-ე გვერდზეა.

არსების სულხან-საბა ორბელიანისეული დაყოფა დაეალებული უნდა იყოს V საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსის, ალექსანდრიული ნეოპლატონური სკოლის მეთაურის ამონიოს ერძისის თხზულებისაგან - "მოსაკსენებელი "ხუითა კმაოადმი" პორფირი ფილოსოფოსისათა:

"რამეთუ სიგყურად ვიდრემდე ითქუმის სიგყსაებრ და ბჭობისა მქეცი, ვითარი კაცი, ანგელოზი; ხოლო უსიგყუად - თნიერ სიგყსა და ბჭობისა, ვითარ ცხენი, კარი და სხუანი უსიგყუნი ცხოველნი. ვინაჲცა ესე უკერძობითესი ვიდრემდე არს ნათესაუთასა, ხოლო უსაყოველთაოესი - სახეთასა, ვითარ სიგყური და მოუდავი, რამეთუ სიგყური უკერძობითესი არს ცხოველისასა (რამეთუ შეუცაეს ცხოველსა ესე [სიგყური] და უსიგყუ), ხოლო უსაყოველთაოეს - სახისასა, რამეთუ მრავალნი სახენი გარემუეუენან სიგყურსა: ანგელოზი და კაცი. და სხუებრცა უკერძობითეს არს ნათესაეისა განყოფილებაჲ, ვითარ იგი ნათესაეისა ქუემუ დაეარდების, ხოლო უსაყოველთაოეს სახისასა, ვითარ სახედ ორთა რაჲმე გარემუმეეელი არს იგი: სიგყურისა და უსიგყუელისაჲ, რომლისა ქუემუ ყოველნი ცხოველნი ვარდებიან. ხოლო სახე ერთისა მხოლოესა არს გარემუმეცაჲ, ვითარ კაცისა, ცხენისა ანუ სხუსა რაჲსმე. ხოლო განთუსებული ერთისა სახისა არს მხოლოესა, ვითარ განთუსებულად კაცისად ითქუმის მოცინარობითი, რამეთუ მის მხოლოესა არს და ყოელისა. ხოლო შემთხუეითი არს შემძლებელი თნიერ ვნებისა რაისმეგან ქმნად, რომლისა შორის იყოს. ვითარ თეთრი, შავი, ჯდომაჲ, ღვომაჲ" (იხ. რაჲჲაჲ 1983: 28, 37-41; 29, 1-2).

ერთი ღროს გაურყვეველი იყო, ვისგან გადმოიღო ან რის “შიბაძეთ შეიმუშავა საბამის მეთოდი, რომელსაც იგი იყენებს “ზოგად სიგყათა” განსამარტავად, თუმცა ასეთი განმარტება ყველას მოსწონდა. ილია აბულაძე წერდა: ამ სახეობებით, გვაროვნული ცნების შემადგენელი ცალკეული კომპონენტებით, რომელთა ერთად მოყვანითა და თითოეული მათგანის დახასიათებით კარგად იყვითება ამა თუ იმ სიგყვის განმასხვავებელი თუ დამახასიათებელი ნიშანი. მთლიანობაში ადვილი წარმოსადგენი ხდება კერძო მნიშვნელობებიც და წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე (აბულაძე 1998: 28).

სულხან-საბა ორბელიანი არამარტო ნათესავის განმარტებისას ეყრდნობა ამონიოს ერმისის თხზულებას, არამედ, საერთოდ, განმარტების ერთ-ერთი სახე - მთელის ნაწილებად, ზოგადის კერძოდ დაყოფაც - ამონიოს ერმისის თხზულებებიდან იღებს სათავეს. ლოგოკური განმარტების სახეები - განსაზღვრება, წარწერა, განწვალება და სხვა ორბელიანს ერმისის მიხედვით აქვს კომენტირებული.

განსაზღვრება იმით განსხვავდება წარწერისაგან, რომ განსაზღვრება ხდება არსებითი ნიშნების მიხედვით, წარწერა კი - არა-არსებითი ნიშნებით.

“განსაზღვრებაა არსებისაგან აჩვენებს საქმეთა, ხოლო წარწერაა - შემთხუეითაგან” 41, 38.

განსაზღვრება სრული, ანუ ზუსტი უნდა იყოს. მას არც უნდა ემატებოდეს რამე, არც აკლდეს. რჩეული, ე.ი. ზუსტი განსაზღვრება ზომიერებას შეიცავს. ზომიერებას უპირისპირდება ნაკლებუმონაგებობა (ნაკლებება) და მრავალმონაგებობა (მეტობა) (რაფაეა 1983: 0116-0117). განწვალებითი მეთოდი ითვალისწინებს გვარ-სახეობრივ დაყოფას. მაგრამ დაყოფა უნდა იყოს სწორი. თანმიმდევრული და თანდათანობითი (რაფაეა 1983: 0122) (შდრ. განწვალების ორბელიანისეული განმარტება II: 145).

ამ გერმინთა გარდა სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონის დამუშავების ღროს ფილოსოფიური გერმინები და მათი განმარტებანი სხვა ფილოსოფიური წიგნების გარდა ამონიოსის თხზულებებიდანაც ამოკრებიან. ასეთია ორმოცამდე გერმინი (რაფაეა 1983: 0150). ორბელიანის “ანდერძნამავში” მოხსენებულია არისგოტელესა და პორფირის კათილორიანი. მაგრამ როგორც ელ. მეტრეველმა აღნიშნა. ეს თხზულებები არ არის უშუალოდ არისგოტელესა და



პორფირის შრომები, არამედ ამონიოსის კომენტარები არისტოტელესა და პორფირის ნაწარმოებებისა (მეტრეველი 1956: 208-211).

აქვე უნდა აღვნიშნოთ VIII საუკუნის ბერძენი თეოლოგის იოანე დამასკელის “დიალექტიკა”, რომლისგანაც ასევე დაეალებულია სიგჳვათა ლოგიკური განმარტების პრინციპი ორბელიანის ლექსიკონში.

განსაზღვრების ამონიოს ერმიასისა და იოანე დამასკელის დეფინიცია ფაქტობრივად ერთნაირია:

“ხოლო სახელი განსაზღვრებისაჲ მოპოვნებულ არს ქუეყანისა საზღვრის-დადებითგან, რამეთუ ვითარ-იგი საზღვრის-დადებამ განჰყოფს თუსსა თუთოეულისასა, ეგრე განსაზღვრებით განჰყოფს ბუნებასა თითოეულისასა სხუსა ბუნებისაგან. ხოლო სიმართლე განსაზღვრებისაჲ არს, რაჲთა არცა ჰმატლეს, არცა აუღდეს ლექსთა შინა, რამეთუ დიდად დააყენებს და ბოროტჰყოფს მას მეგობამ გინა ნაყლულეანებაჲ” (დამასკელი 1976: 16, 8-9).

განსაზღვრების საბასეული განმარტება:

“...განსაზღვრებაცა განჰყოფს თუსსა თუთოეულისასა სხვისა ბუნებისაგან. ხოლო საზღვრისა სიმართლე არს და არცა ნამეგნობა და არცა ნაყლებობა ლექსთა. ითქმის განსაზღვრება მიღებითა ქუეყნისა საზღვრისა დადებისაგან, რამეთუ ვითარ-იგი საზღვრის დადებამ განჰყოფს თვისისა თითოეულისასა, ეგრეთევე განსაზღვრებაცა...”

იოანე დამასკელი სპეციალურად განიხილავს გეარ-სახეობრივი დაყოფის ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა გამოვუეთამა, განზოგებაჲ, განკუეთამა, განწვალებამ და სხვა. სულხან-საბა ორბელიანს იოანე დამასკელის თხზულების მიხედვით აქვს განმარტებული თანამონათესავე, თანამოსახელე და სხვა.

ორბელიანი არა მარტო იმოწმებს ამონიოს ერმისსა და იოანე დამასკელს, არამედ სიგჳვათა განმარტებისას ამ პრინციპს პრაქტიკულად ახორციელებს. ამის მაგალითად უკვე დავიმოწმეთ არსების განმარტება.

განყოფითი განყოფილებამ, იგივე განმწვალებელობით განყოფილებამ იოანე დამასკელთან ნიშნავს ნიშანთა ისეთ ერთობლიობას, რომელთაგან თითოეული მიეწერება მხოლოდ ერთ სახეს. სულხან-საბა ლექსიკურ ერთეულებს აერთიანებს მათი ცნებობრივი თანაფარდობის საფუძველზე, გარკვეული ნიშნის მიხედვით.

ზოგჯერ ეს მიზნად ისახავს გარეენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაციას, მათი ურთიერთმიმართების ჩვენებას.

“განცისკრება არს უწინარესი განთიადისა, ხოლო განთიადი არს მოწვენა ნათლებისა, ხოლო რიეურაჲი აღმოჩენა ნათლებისა, რამე ნაწილი. ხოლო ალიონი, რა ღამე და ღლე განირჩეოდეს. ამათ ყოველთა ღილა ვიდრე მზის ამოსვლამდე და ვიდრე მზის ამოსვლამდე წითელთა ღრუბელთა ორიონი ეწოდების”.

ორიონისსინონიმად ხელნაწერთა ერთნაწილში დასახელებულია დაფიონა Z.Aa (I: 152).

განცისკრება, განთიადი, რიეურაჲი, ალიონი, ღილა, ორიონი (დაფიონი) სწორედ “განმწვალებლობით განყოფილებაჲს” პრინციპითაა განმარტებული.

სულხან-საბა ორბელიანი ამონიოს ერმისისა და იოანე დამასკელის თხზულებებს, რა თქმა უნდა, ძველი ქართული თარგმანებით იცნობდა. პირეულად “ღიალექტიკა” ეფრემ მცირემ თარგმნა XI საუკუნის ოთხმოციან წლებში, მეორედ კი - არსენ იყალთოელმა. ამონიოს ერმისის ორი თხზულება ბერძნული ენიდან XII საუკუნეში ითარგმნა პეტრიწონული სკოლის წარმომადგენლის მიერ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს “ღიალექტიკის” ისეთი ტექსტი, რომელიც ბერძნული ხელნაწერებით დღემდე უცნობია, რის გამოც ქართულ თარგმანებს ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის საქმეში გარყვეული ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვთ (რაფაეა 1983).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიგყვათა განმარტებებზე დაყვირება ნათელს ხდის, რომ ლექსიკოგრაფს ენა წარმოუდგენია არა იზოლირებულ სიგყვათა უბრალო ჯამად, არამედ დანაწევრებულ ურთიერთდამოკიდებულებათა მთლიანობად. სულხან-საბამ საგანთა სამყაროს წვდომის ამ წესს, რომელიც უნივერსალური ხასიათისაა, ინტუიციით მიაგნო. ორბელიანის ლექსიკონში სიგყვა სხვა სიგყვათა რაღაც გროვიდან ამოუვეთილი ერთეული კი არ არის, არამედ სასიცოცხლო კავშირებიდან ისეთნაირად არის ამოგანილი, რომ მისი წარმოთქმა და განმეორება მთელი ენის ექოს გადმოსცემს (რამიშვილი 1978: 62, 64).

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთი მაგალითი. სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს მწუხარებას (+26, 37 მათე Z.Aa):

“ხოლო მწუხარებისა სახენი ოთხ არიან: მკმუნეარება, ურვა, შური და წყალობა. მკმუნეარება უკვე არს მწუხარება შექმნილი უკმოობისა, რომელ(სა) უწოდენ შთობად; ხოლო ურვა მწუხარება დამამძიმებელი და შური - მწუხარება უცხოთა კეთილსა ზედა - ხოლო წყალობა - მწუხარება უცხოთა ბოროტსა და ჭირსა ზედა (+34,7 დაბად. ZA) ZABCDE (I: 547-548). თავის მხრივ, მწუხარება შედის სულიერი ენების კლასში: ენება (+26, 20 დაბად. ZAA) ითქმის ენებად კორციელნიცა, ვითარ-იგი სნეულებამ და წყლულებამ; ითქმის ენებამ სულიერიცა, რომელ არს გულის-თქმა. გულის-წყრომა და ეგეეითარნი (+რომელ არს გვირთვა B) ZAB”.

CE ნუსხაში გულისთქმის სახეებად დასახელებულია: გემო, შიში, მწუხარება. გემოა: სიტკბო, სიმწარე, სიმლაშე, სიმყრალე (I: 156);


“ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად: მცონარება ეიდრემდე არს შიში ყოფადისა მოქმედებისა; ხოლო კდემულება - შიში მოლოდებითა ძაგებისათა და კეთილ არს ესე ენებამ; ხოლო სირცხვილი - შიში ბილწებისა რასამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხოვრებისაგან; და განევირება - შიში ღიდისა ოცნებისაგან; ეგრეთვე განცეფურება - შიში უჩვეეელისა საოცი-საგან; ხოლო უღონოება - შიში განვრლომილებისა, რამეთუ შეგ-ეშენის რამ. ხეებულ ყოფასა უღონოებითა (II: 303).

სულხან-საბა ორბელიანს ეს განმარტება ირანე დამასკელის “გარდამოცემიდან” აულია. შემდეგ მიუთითებს იმ სხვაობებზე, რომლებიც ნემესიოს წიგნში (AB) უნახავს (II: 303).

გულის-თქმის კლასში, გემოსა და შიშის გარდა, ერთიანდება მწუხარება, რომლის სახეები უკვე ჩამოვთვალეთ. შურის კლასში, თავის მხრივ, შედის: ღამოობა, გვაჯი და ბაძი.

“შური (31, 2 რიცხვ.) არს მწუხარებამ სხვისა კეთილსა ზედა, ხოლო ღამოობა არა თუ ოდენ მწუხარებისა ქონებამ, არამედ უძვირესიცა, რამეთუ ენების მოსპოლვა კეთილმოქმედებისა მის მოყვისისა; ხოლო გვაჯი არს არათუ მწუხარებამ, არამედ სხვის წინააღმდეგომად ანუ უადრეს ანუ შემდგომად ქმნას; ხოლო ბაძი ჰგავს შურსა, არამედ განეყოფის, რამეთუ უკეთუ კეთილი ნა-ხოს მოყვისისა, გინა ბოროტი და კეთილად აღუჩნდეს, წადილით მსგავსად მისსა ქმნას და ეგრე იქეოდეს ZA” (II: 310).

მთელი ეს გვარ-სახეობითი დამოცილებულება შეიძლება ასეთი სქემით გამოიხატოს:



შური და წყალობა ანგონიმიებიცაა, რადგან “შური არს მწუხარება უცხოსა კეთილსა ზედა, ხოლო წყალობა მწუხარება უცხოსა ბოროტსა და ჭირსა ზედა”, მაგრამ მათ აერთიანებთ მწუხარება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებათა წყაროა იოანე დამასკელის “გარდამოცემის” არსენ იყალთოელისეული თარგმანი და გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილია “ეპიტაფიად ბასილისა”, რომელიც თარგმნა ეფრემ მცირემ კომენტარებითურთ. საყურადღებოა, რომ შურის განმარტების პირველწყარო არც გრიგოლ ნაზიანზელია და არც იოანე დამასკელი. იგი ბევრად აღრება ჩამოყალიბებული. შურის ასეთი განმარტება გვხვდება პლატონისა და არისტოტელეს ნაწარმოებებში და შემდეგ, ანტიკურობიდან მოყოლებული, შუა საუკუნეთა მრავალი ავტორი სხვადასხვა ვარიაციით იმეორებდა ამ მოსწრებულ განმარტებას (რაფაეა 1989). შურობაა და შური ასეა განმარტებული A-390 ხელნაწერში:

“შურობაა ესრეთ განიყოფების შურისაგან, რამეთუ შურობაა ოღესმე ამისთჳსცა იყვის, რამეთუ მისთჳსცა შურობნ და თჳთცა უნებნ. რასა – იგი შურობნ, ხოლო შური ესე არს, რაჲამს არცა თჳთ უნდეს და არცა სხჳსა ქონებად მისსა თაეს – იღებდეს” (33, 299-56, სარჯველაძე 1984 : 230).

როგორც ვნახეთ, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტების ძირითადი პრინციპი სიგყვათა შორის გვარ-სახეობითი მიმართებების დადგენაა. მ. ქავთარიას დაკვირვებით, სახეობრივი განმარტებისათვის, ე.ი. ისეთისათვის, სადაც შემოკრებით და სათანადო ახსნა-განმარტებით წარმოგვიდგენს ამა თუ იმ ზოგადი სახელის სხვადასხვა სახეობას, სულხან-საბას პქონდა სპეციალური ნიშანი - ს. ამ ნიშნის განმარტებების რიცხვი ყოველ ახალ რედაქციაში იზრდება. მაგალითად, E-ში 36 განმარტებას უზის, D-ში - 43-ს, Ca-ში - 100-ს და ა.შ. (ქავთარია 1960: 10). ეს პრინციპი ნელ-ნელა “სიგყვის კონაში” ლექსემათა დალაგებისა და განმარტებისას გადამწყვეტი ხდება. ი. აბულაძის აზრით, “ს” (EDC ხელნაწერებში) და “სა” (Aa ხელნაწერებში) სულხან-საბა ორბელიანის სახელის დასაწყისია (ინიციალია). მსგავსი შემოკლება, - აღნიშნავს მევლეეარი, - არც “ვეფხისტყაოსნის” იმდროინდელი ნუსხებისთვის არის უცხო. ინიციალებს იქ ჩანართი სტროფების გასწვრივ კიდევ ათავსებენ ინტერპოლატორთა ვინაობის აღსანიშნავად (აბულაძე 1998: 28). ი. აბულაძე ასევე იტყობს, რომ “ს” და “სა” სიგყვის საკუთრივ საბასეულ განმარტებას აღნიშნავს. ნუსხათა შეჯერებით მან გაარკვია, რომ “ასეთი მითითება ყველგან საჭიროდ არ მიუჩნეოდა ავტორს თუ გადამწერს, არამედ მხოლოდ უმთავრეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიგყვებთან მიუწერია. სახეებით მცირეშემადგენლობიან ზოგად სახელებს ასეთი მინიშნებით “ს” და “სა” აქა-იქ თუ შეხედება კაცი და ისიც არა ლექსიკონის ყველა ნუსხაში (აბულაძე 1998: 29). ს და სა ნიშნები ყველაზე ხშირად “ზოგად” სიგყვათა ანუ ცნებათა დაყოფისას გვხვდება. ეს შესაძლოა იმაზეც მიუთითებდეს, რომ “სახე, ტიპი” კონცეპტის გამოყენებას თავად სულხან-საბა ორბელიანიც სიგყვათა მისეული განმარტების ძირითად მეთოდად თვლიდა.

## § 4. შეფასებითი განმარტებები

### კეთილი - არაკეთილი

“სიგყვის კონაში” შეფასებები ძირითადად ასეთია: კეთილი (კარგი)\*, არაკეთილი (ცუდი, ბოროტი). ეს შეფასებები პირველადი კონცეპტებია და მართლაც უნივერსალური ხასიათისაა. ბინარული ოპოზიცია კეთილი - არაკეთილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გამოყენებულია “განყოფილებათა შემოკრებილად დაწერისას”. აი, რამდენიმე მაგალითი:

დაბათილება დაბრკოლება და დაბათილება ემსგავსებიან. დაბრკოლება არს, რა კეთილის საქმისაგან დაახრწიო კაცი, ხოლო დაბათილება არს, ოდეს ამოსა საქმესა მოაყთუნოს; დაბათილება - კეთილ, ხოლო დაბრკოლება - არაკეთილ ZAA (I: 184).

მანქანება მრავალ გეარი ხერხი საზიანო B. გრიგოლ ღთის-მეტყველი იტყვის: გამგებლობა და მანქანება ემსგავსებიანო, გამგებლობა კეთილ(ი), ხოლო მანქანება - არა. მანქანი არს (+მბრუნავი CqD) ვითარცა ჭახრავი და მანქანებაა საქმისა კაცობრივისა სიბრძნით ბრუნებაა საძლეველად სხვათათვის ზაყით CbqD (I: 436).

მენე (+1,6 ისო ZA) შემძლებელი, გინა ხელგამომავალი. ემსგავსებიან სიბრძნე და სილაღე: სიმხნე კეთილ, ხოლო სილაღე - არაკეთილ (I: 554).

სიბრძნე (+6,2 მარჯ. ZAA) ესე არს მშობელი ჭკუ(ე)ისა და განმსჯელი ცნობათა. სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე - კეთილ, ხოლო სივერაგე - არა (II: 87).

### კეთილი - წინაუკმო (პირიქით ანუ არაკეთილი)

ნეტარება ესე არს ყოველთა კეთილთა შესაჯერებელი, რომლისა არც ერთი მოყლებული იყოს, ხოლო უბადრუკება


\* ზენდლერის დაკვირებით, კარგი სიტყვით საგანი ან მოვლენა ხასიათდება სამ შემთხვევაში: I ვინმე ან რამე ხასიათდება კარგი ზედსართავით ქმედებიდან გამომდინარე (კარგი მოუყეავეუსართოდ კარგად იყეკავს). II. როცა ვინმე ან რამე ფასდება მისი გამოყენების ან საჭიროების თვალსაზრისით (კარგი კალამი = კალამი, რომელიც კარგად წერს). III ვინმე ან რამე ფასდება კარგი ზედსართავით თავისი საქციელის გამო (კარგია, რომ ღარიბებს ესმარება). უფრო დაწვრილებით იხ. 3. Вендлер, О слове „good“. – Новое в зарубежной лингвистике, Выпуск X, „Лингвистическая семантика“, М., „Прогресс“, 1981.

წინაუკმო - (+ყოველთა ZAB) შესაწუხებელთა (+და ZABD) ენებათა განსაცდელი ZABCD (I: 591).

პატივი (+21,23 გამოსლ. ZAA) კეთილის მიპყრობა სიგყვით და საქმით, სოლო პატივი - წინაუკმო: უპატიურად და შეუპირეებითი პყრობა ZAB (I: 617).

**ნეიტრალური - კეთილი - არაკეთილი (ბოროტი, ცუდი)**

ამა თუ იმ ცნების სახეებად დაყოფისას ზოგჯერ პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ თითოეული სახის დახასიათებისას იგრძნობა, როგორ ფასდება იგი - როგორც ნეიტრალური, როგორც კეთილი (კარგი), თუ როგორც არაკეთილი (ბოროტი, ცუდი). შეფასება ზოგჯერ თვისებებიდან გამომდინარეობს, თუმცა კი ხშირად შეფასება სიტუაციურია და არა ზოგადი.



## § 5. ენობრივი ნიშნები სინგაქტიკური თვალსაზრისით

სინგაქტიკური მიდგომით, ენა ობიექტთა ისეთი ერთობლიობაა, რომელშიც მოქმედებს წარმოქმნისა და გარდაქმნის წესები. ფართო გაგებით, სინგაქტიკის მიზანი ორი (ან მეტი) ენობრივი ნიშნის აღსანიშნებისა და აღმნიშვნელების “ჰორიზონტალური” ურთიერთობის კვლევაა (ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. მორისი 2001: 56-62, გამყრელიძე 2000).

ნიშნიდან ახალი ნიშნის, ან ნიშანთა ამოსავალი სისტემებიდან ახალი სიმრავლის მიღება ყოველთვის ხდება ისეთი ნიშნებით, რომელთა დესიგნატი თვით ენაშია და ნიშანთა შორის მიმართებებზე მიუთითებენ. ასეთი ნიშნები სულხან-საბა ორბელიანს “სიგყვის კონაში” ცალკე სალექსიკონო ერთეულებად აქვს გაგანილი და ძირითადად ართრონში აერთიანებს (გეწაძე 1978, შანიძე მ. 1990). სულხან-საბა ართრონს ნაცვალსახელებს და ნაწილაკებსაც უწოდებს, მაგრამ, თანამედროვე ლინგვისტური ტერმინები რომ გამოვიყენოთ, ორბელიანისთვის ართრონი ძირითადად ფლექსია და წარმომქმნელი აფიქსებია. მაგალითად:

გა ართრონი არს სიგყვათანი, რომლისა მიერ ითქმის: გაღმრთობა, გამეფება, გაუფლება, გაცხოყლება, გაქალაქება, გაკეთება, გაყემა, გაბოროტება და ესევეითარნი (I: 126).

გან ესე ართრონი არს ბოლოს კერძოა, ვინა ვიყითხავთ: იქმნა მეფისაგან, ვინა კაცისაგან, ანუ მხეცისაგან და ესევეითარნი. ხოლო თავის კერძო ართრონად: განღმრთობით, განკაცებით, განგულეებით და მისთანა ყოველთა ზედა (I: 135-136).

ენი ხმიანი ასო არს და ართრონი მრავალთა და სიგყვის თავადაც მოვალს და ბოლოდაცა...: ელოდე, ეტყოდე, ემორჩილებოდე, ესევეითარი ყოველსა ზედა მოვალს ZA (I: 229).

ვე ესე ართრონი არს ბოლოსი, რომელსა ვიგყვით: აქავე, იქავე, კაცყე, ცხენიყე და მისთანანი ZA (I: 259).

თანა ყოველთა ბოლოდ მოვალს, ვითარცა: ანგელოზთ, კაცთ. ცხო(ვ)ელთა, მეფეთ. ქალაქთ, ქვათ, მიწათ, ხეთ, ბალახთ (+ და Z) თითოეულთა ყო(ვ)ელთა ნივთთა ზედა ესრეთ მოვალს ZA (I: 294).

ინი ხმიანი ასო არს და ართრონი მრავალთა სიგყვათა. ინი თავადაც ყოველთა სიგყვათა მოვალს და ბოლოდაცა, ვითარცა ზემოთ დაგვიწერია: იგყოდი, იქმოდნი, იხარებდი. ესრე მოვბაყების თავ-ბოლოთა. ხოლო მარგო თავად: იმეფე,



იბაგონე, იყაყე, იპირუტყვე და ესევეთარნი, ხოლო ბოლოდცა ყოველთა მოეზაეების, კეთილად გასინჯე ZA (I: 319).

ში (+12,24 გამოსლ. ZAA) მისყენ ნაყეეთი, გინა მიმარსისა ZA (I: 478).

ონი ხმიანი ასოა (ასო არს B) და ბოლოდ ყო(ვ)ელთათვის ZAB (I: 599).

ი ესე (+იე) ბოლოდ მრავალთათვის მოვალს და (ხოლო A) თავად არა ღია ZA (I: 599).

რა ესე არს (ართრონი რამე სიგყვათა B) სიგყვათა შენიერმყოფელი, რამეთუ ვიგყვით თანამაჟალთა ჩვენთა: "ვილოდე წინარე", გინა მოამბეთა: "გვითხრა (გვითხარ A) უჭემშარიტესადრე" და ეგევეთარნი ZA (II: 7-8).

შე ართრონი არს ყო(ვ)ელთა ქმნილთა წინაყერძო ითაე, რამეთუ რაჟცა ქმნად გვენებოს, ვიგყვით ესრე: შევიწყალებ. შევიწყნარებ (+შევიყუარებ A), შევრისხავ, შევბორცილავ, შევიქმ და ეგევეთარნი, გინა სხვათ ეგყვით ქმნად: შეიწყალე, შეიწირე, შეიძღვენ, შექენ, შეკარ, შეაერსუ და ეგევეთარნი ZA (II: 281).

ჩამოთვლილ მაგალითებში სწორად არის გამოყოფილი გან, გა, მი და შე ზმნისწინები, გან თანდებული, რე და ვე ნაწილაკები, თ მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ე და ი ზმნური პრეფიქს-სუფიქსები, მაგრამ არსად არ არის მითითებული თითოეული მათგანის კონკრეტული ფუნქცია, გარდა იმისა, რომ ყველა ართრონად იწოდება. აღნიშნულია მხოლოდ ადგილი - ართრონი სიგყვის თავში გვხვდება, ბოლოში თუ თავსა და ბოლოში.

ახლა ენახოთ სხვა შემთხვევები:

ასა ართრონია. რომლისა შიერ ითქმის: ასალები, ასაიდი, ასაგანი, ასაზიდი და ესევეთარნი (+მრავალთა ზედა მოვალს A) ZA (I:68).

გი ართრონი არს, ვითარცა: გიპაგივე, გიყმევე, გიმდაბლე, გიმსახურე, გიპაგრონე და მისთანანი ZA (I: 159).

დ ღონი არს ართრონად სიგყვის თავად და ბოლოდ, სა-დაც(ა) გაეწყოს სიგყვათა, ვითარცა თავს დაგვიწერია: დადებად, დაგებად და დასსმად. ესრეთ თავადაც მოვალს და ბოლოდაც, უმრავლესთა სიგყვათა მოეზაეების (+ღისო არს ართრონი ხანთა პირის დადებისა: აქამღისო, ორ წლამღისო, საღამომღისო და ეგევეთარნი ZAA) ZA (I:182).

ვინი ართრონი არს და თავად მრავალთათვის მოვალს, ვითარ-იგი ვიგყვით: ვამეფებ, ვაყეთებ, ვამონებ (A). ვამოყ-

ვრებ, ვაშენებ, ვაპირებ... (+ხოლო ბოლოდ კერძო ვითარ საკუთართათვის: ღმრთივ, კაცებრივ, გეცივ, მხეცივ, სიგყეითავ, საქმითავ. იმაე და ესრე ყოველთა ბოლოდ მოვალს A (I: 251).

მანი მრავალ-რიგად მოვალს ართრონად და თავადაც ყოველთასა მოვალს და ბოლოდაც ვიეთათვის, რამეთუ აქა მა მოკალს: მანგელომა, მამეფა, მაყმო, მამონა, მაუბნა და ესევითარი ყოველთასა ზედა სიგყეათა ZA (I: 425).

მე ართრონი არს, ვითარ: შეაბანოვე, მეგრეჲ, მეწალკოცე, მეჯინიბე, მეზროხე, მექათმე და მისთანანი ყოველთა ზედა ZA (II: 457).

მო ართრონი არს, მრავალთა სიგყეათა თავად მოვალს, ვითარცა: მოქმელი, მოქენე, მოქალაქე, მოფელე და მისთანანი ZA (I: 493).

ნა, ნარი ყოველთა მყოფობიდამ გარდასრულთა ართრონი არს. გინა სამნეოდამ გარდადგინებულთა სახელთა, თავისა, ვითარცა: ნანგელოზევი, ნაეშმეკევი, ნამეფევი, ნამეფარი, ნასალთხუცივი, ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნავენახარი და ყოველსა ნიეთსა ზედა ესრეთ მოვალს, ხოლო ბოლოდ: ღმერთმან, უფალმან, ანგელოზმან, კაცმან, მხეცმან, სოფელმან, ქეეყანამან და ყოველმან არსმან; ხოლო თავად და ბოლოდ: ნამეფარმან, ნაერისთაემან, ნაეჯიბარმან, ნაეაყეემან და ყოველსა ზედა; გინა სამრავლოდ: ანგელოზნი, ეშმაკნი, კაცნი, ცხოველნი და ეგევითარნი; გინა სადად: ანგელოზნი, კაცნი, ცხოველნი, ძმანო, შვილნი და ეგევითარნი Z (I: 555).

ნი ართრონი არს სამრავლო: ანგელოზნი, კაცნი, ცხოველნი და მისთანანი Z (I: 592).

ს სანი არს მრავალრიგი ართრონი და თავადაც ყო(ე)ელთა სიგყეათასა მოვალს და მოეგავების და ბოლოდაცა, და მყოფა და ადგილთა გაჩენებსთ ესრეთ: საღმრთო, საანგელოზო, საეშმაკო, სამოქალაქო, სასოფლო, საეაყო, სადედაეაყო, საყმა(რ)წვილო, საბერო და მისთანანი. ხოლო სანი თავსა და ბოლოს ვითარ მოვა, ამა წიგნსა თავსავე დაგვიწერია: ყო(ე)ელსა სიგყეასა ზედა ესრეთ მოვალს, რომელიც გინდოდეს ZA (II: 18).

უ უნი სმიანი ასო არს და ართრონი უმრავლესთა (მრავალთა B) და თავად მოვალს ყოვლისა უქონელობისა (+და უყოლელობისა ZA) ვითარცა (ვითარმედ B) (უღმრთოთ A), უკაცოდ, უცხენოდ (უმამულოდ ZA), უსაქონლოდ, უთვალოდ,

უხელოდ. ესრეთ ყოველთა სიგყვათა (+ და სახელთა ZA) ზედა მოვალს ZAB (II: 151:152).

წა ესე წა არს თაჲი რასმე ართრონვილთა (ართრონვილი B) სიგყვათა წარზიდულთანი, რაშეთუ წარზიდვით სიგყვით: წავიდა, წაიგანა, წაილო, წაირბინა, წამიგანა, წამივიდა, წამართუა (წამართო B), წამომეჭვიდა (-B); (+და B) ესრეთ მოვალს უმრავლესთა (ყოველთა B) სიგყვათა ზედა ZAB (II: 361).

ჩამოთელილ მაგალითებში მხოლოდ ზოგიერთგან არის მითითებული ართრონთა ფუნქციები. ნა- განმარტებულია როგორც “ყოველთა მყოფობილად გარდასრულთა ართრონი” (თანამედროვე გერმინით, წინა ვითარების სახელები), მაგრამ საილუსტრაციოდ დამოწმებულ მაგალითებში - ნანგელოზი, ნაქლაქევი, ნასოფლარი, ნავენახევი - წინა ვითარების მნიშვნელობას მხოლოდ -ნა - ვერ წარმოქმნის. აქ აუცილებელია ნა-ევ და ნ-არ კონფიქსების გამოყოფა. უ ართრონთან დაკავშირებით სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, რომ იგი სიგყვას თაჲში დაერთვის და უქონლობას გადმოსცემს. მხოლოდ უ- ვერ წარმოქმნის უქონლობის (/უყოლობის) შინაარსს -ო-ს გარეშე.

სწორად არის მითითებული -ნ-ს, როგორც სახელთა მრავლობითის მაწარმოებლის ფუნქცია: “სამრავლოდ - ანგელოზნი, კაცნი” და ა.შ. თუმცა იქვეა მითითება: “გინა ხადად: ანგელოზნი, კაცნი...” აქ უკვე აღარ ჩანს, -ნ-ს ხადის (ძახილის, თანამედროვე გერმინით, მიმართვის (წოდებითის) მაწარმოებლად მიიჩნევს, თუ იმაზე მიუთითებს, რომ -ნ მრავლობითობას (სამრავლოს) აღნიშნავს “ხადის” ღროსაც.

სულხან-საბა ორბელიანი ართრონებს (აფიქსებს) ძალიან იშვიათად ახასიათებს ფუნქციის მიხედვით. რაც შეეხება ართრონების დახასიათებას ადგილის მიხედვით, იგი განარჩევს სიგყვაზე წინდართულ (“თავსა მოეზავების”) და ბოლოს დართულ (“ბოლოდ მოეზავების”) ართრონებს. კონფიქსის (ცირკუმფიქსის) გაგება მნიშვნელობის წარმოქმნაში ან ფორმის ცელაში ცალკე გამოყოფილი არ არის. ზოგჯერ ართრონად აფიქსის მხოლოდ ნაწილია ჩათვლილი. მაგალითად, წა წამო-ს ნაცელად, დ -და-ის ნაცელად. ხშირად რამდენიმე აფიქსი (ართრონი) შეერთებულად არის მოცემული ასა ა-სა-ს ნაცელად, გი გ-ი-ს ნაცელად და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ზემოთ დამოწმებული შემთხვევების ასეთი კლასიფიკაცია.

არის	უნდა იყოს
ასა	ა-სა- (ასალები)
გი	გ-ი- (ვიპაგრონე)
ღ	ღა- (ღაღება)
ღ	ღა- (ღასსმად)
ღისო	-მღის-ო (საღამომღისო)
ვ	-ივ (ღმრთიე)
მა	მ-ა (მამეფა)
მე	მ-ე (მეჯინიბე)
მო	მო-ე (მოქალაქე)
ნ	-მან (ნამეფარმან)
ნა	ნა-არ (ნავენახარი)
ნა	ნა-ეე (ნაქალაქევი)
სა	სა-ო (სასოფლო)
უ	უ-ო (უხელოდ)

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ორი განსხვავებული აზრი არსებობს ლექსიკონში გმნის მეთაური ფორმის შესახებ. ა. შანიძე მიიჩნევდა, რადგან ქართულს ინფინიტივი არა აქვს, გმნის მეთაურად საწყისი უნდა ავიღოთ (ა. შანიძე 1959: 250). არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ინფინიტივის უქონლობა ხელოვნურად ამცირებს გმნის ლექსიკურ ერთეულებს, ქმნის არასწორ წარმოდგენას ქართული გმნის ლექსიკური შესაძლებლობების შესახებ. მასდარის წყალობით იზრდილება არა მხოლოდ ვნებითი, არამედ სასუბიექტო და საობიექტო ქცევა. ისინი ლექსიკონში არ აისახება, რაკი მათ მასდარი ვერ განასხვავებს. საჭიროა პირიანი ფორმა გამოვიყენოთ სალექსიკონო ერთეულად, რომ ხელოვნურად არ გაგვალარიბოთ ლექსიკური ერთეულებით ქართული გმნა, რომ ქართული გმნის სიმდიდრე სათანადოდ აისახოს ლექსიკონში (ჩიქობავა 1959: 270-271). ორივე მეცნიერი თავისი მოსაზრების გასამაგრებლად სულხან-საბა ორბელიანს იმოწმებდა. ა. შანიძე წერდა: სულხან ორბელიანს არ დაუწერია რაიმე თეორიული ხასიათის ნაშრომი ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. კერძოდ, იმის შესახებ, როგორ უნდა იქნეს გაწყობილი ქართული გმნები ლექსიკონში, მაგრამ მისი ლექსიკონის შესწავლა მრავალ საგუ-

ლისხმო ფაქტს გვიჩვენებს. სულხანს თავის ლექსიკონში ზოგი ზმნა შეუტანია პირიანი ფორმით, ზოგიც - საწყისით, არის მიმღებობებიც. პირიანები სხვადასხვა პირის ფორმითაა მოყვანილი, თანაც ისე, რომ წინ სუბიექტური პირია ნაჩვენები, ხანაც - ობიექტური. სუბიექტურებში ხშირია მეორე ბრძანებითი. ერთი შეხედვით, კაცი იფიქრებს, რომ სულხანს ზმნების ფორმათა გაწყობისას ლექსიკონში გარკვეული სისტემა არა აქვსო (ა. შანიძე 1959: 251-252). ა. შანიძე სპეციალურად დააკვირდა ბ და გ ასოებზე დალაგებულ ზმნებს და დაასკვნა, სულხან ორბელიანი ზმნათა გაწყობის საკითხში გარკვეულად იმ ამრისაა, რომ ზმნის ფორმათა სამეთაურო სიგყვა საწყისია ისე, როგორც სახელისთვისაა სახელობითი. ეს წესი სულხანმა ბუნებრივი ალლოთი მონახა, მას ინტუიციით მიაგნო და გამოიყენა კარგად და უპრეტენზიოდ, - წერს ა. შანიძე (ა. შანიძე 1959: 257).

არნ. ჩიქობავას ამრით, თუმცა საბას ცდას, შეეგანა ლექსიკონში ზმნის პირიანი ფორმა, აკლია თანმიმდევრულობა (ზოგი ზმნისა შექავეს, ზოგისა - არა), მაინც ამ ცდას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იგი გვანიშნებს საშუალებას, რომლის მეოხებითაც ქართულ ზმნას შეეძლება ისეთი ადგილი დაეკავოს ლექსიკონში, როგორც მას აქვს ქართულ ენაში. არნ. ჩიქობავამ ზმნის წარმოღგენა ქარიული ენის განმარტებით ლექსიკონში სწორედ ამ გზით გადაწყვიტა. ზმნურ ლექსიკურ ერთეულებად მიღებულია პირიანი ფორმა (აწმყოს მესამე პირი) და ლექსიკონში ასახულია ენებითიც და ქცევებით (სასუბიექტო, საობიექტო): თუ საბას აქვს ჩაიგანა, განმარტებით ლექსიკონშია: ჩააგანს, ჩაიგანს, ჩაუგანს, ჩაიგანება, ჩაეგანება, ჩააგანინებს... აგრეთვე ჩააგანო, ჩაგანინება (ჩიქობავა 1959: 271).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ზმნის ფორმას, ჩეენი დაკვირვებით, ძირითადად ართრონი განაპირობებს. მაგალითად, ე ასოზე დალაგებული ლექსემები თვით ე ხმოვნის (ხმიანი ასოს) თავკიდურ ართრონებზე მითითებით იწყება და სწორედ ეს განსაზღვრავს ლექსიკონის ამ ნაწილში ზმნების ფორმათა ხასიათს - მთავარია, ზმნის ყველა ფორმა - ე თავსართით იწყებოდეს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნაწილში ზმნები ძირითადად წარსული დროის მესამე პირის ფორმითაა მოცემული.

ეაზრა	ეცყოლა	ეუცხოვა
ეარა	ეცყორცნა	ეუწყა
ეასპარეზა	ეუარა	ეფეთებოლა (I: 245)

ეაუგა	ეურეებოლა
ეაჯა	ეუშლა
ებანა (I: 229)	ეუმჯულოვა

იგაყე შეიძლება ითქვას ვ ართრონშე, რომლითაც იწყება ე-ზე დალაგებული სიტყვები ლექსიკონში. ამ ნაწილში ზმნები უმეტესად წარსული დროის I პირის ფორმითაა მოცემული:

ეაადვილე	ეაშაადებ	ეიქმენ	ესხეკ
ეააზაყრე	ეამყენ	ეიქნები	ესხეხადი
ეააზაგე	ენაყვალე	ვიქივი	ვიტირ
ეიგინე	ენაღე	ვილუაწო	ვიყვი
ეაგონე (I: 251)	ეაპირებ	ვიყაე	ვიყუოლი

(I : 272)

ეაქამნე (I: 253) ვიცი (I: 267)

ი ხმოვანზე დალაგებულ სიტყვებში ზმნები -ი პრეფიქსიანი ფორმითაა წარმოდგენილი.

ინაღიმა	იყეფა	იშენა
ინაღირა	იყეღრა	იშეღლა
ინასალა	იყეირა	იშეილა
ინაგრა	იყეღლა	იშეიებს
ინაყოფა	იყმო	იშეივნა
ინაყროენა	იყო	იშეა
ინაწილა	იყეღრა	იშეღლა (I: 341)
ინახ-იღვა (I: 330)	იყეჩა	

არასრონებად მიჩნეულია მა (მ-ა), მი- და მო. ბოლო ორი ზმნისწინაა. სხვათა შორის, ლექსიკონში მოცემულია მო ზმნისწინის დიალექტურ ფორმაზე მუ-ჩე დაწყებული ზმნებიც:

ჩა

ჩააეაზაყა	ჩაამო	ჩაარსა	ჩააჯა
ჩაბრალა	ჩაანაბრა	ჩაასპარეჩა	ჩაბადრაგა
ჩაალერსა	ჩაანდერძა	ჩაახლი	ჩაბანა (I.425)
ჩაამეხელს			

მი-ი, მი

მიანდერძა	მიგურა	მიიმილა	მიითუალა
მიაჯა	მიღგმა	მიიბარა	მიიყონა
მიბრემა	მიღგომინება	მიიგორეა	მიიყრა
მიბარა	(I: 479)	მიიგროვა	მიიღეწა
მიბრჯნა		მიიღეენა	(I: 481)

## § 6. ენობრივი ნიშნები პრაგმატული მიდგომით

სულხან-საბა ორბელიანს ენაში სიგყვათა სესხება ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია. ამას ადასტურებს ლექსიკონში “მანშური” სიტყვაზე დართული კომენტარი:

“მანშური სხვათა ენაა, სიგელისათვის დაურქმევიათ ცულად ZA. მანშურისას მეცილებიან და ვიეთნიშე იგყვიან სპარსთა ენა არსო. ესევითარნი ყოველსა ენასა შინა იქმნებიან ანუ შემობლობისა მიერ, ანუ შემოღებისა მიერ, რამეთუ სპარსულად ეწოდების მაღარ ღელასა, ხოლო ფრანგულად მათერ, ვინა ორნივე ერთი; ლათინთა ენითა სულარი - მვედრისა სახვეველსა, ეგრეთვე ქართულად, ანუ ქარტა, ანუ სანდალი ლათინთა და ქართულთა საზიარო არს. ეგრეთვე ყოველთა ენათა შინა მრავალის მოვალს. არამედ ესე მანშური არა თუ საღ-თითა წერილთა შინა ძეს, არამედ გარეშეთა Cb წიგნთა დასამტკიცებელი CqDE (I: 436).

“სიტყვის კონის” ადრეულ რედაქციებში (E-სა და D-ში) უცხოური ლექსიკური ერთეულების, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, “სხვათა ენის” სიტყვების, კერძოდ კი, საზოგადო სახელების აღსანიშნავად იყენებდა ე.წ. ჩიგის თვალს ©. ეს ნიშანი E რედაქციაში ძალიან ბევრ სიტყვას აქვს მიწერილი. D-ში კი ასეთი სიტყვების რაოდენობა კლებულობს, რაც ი. აბულაძის აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ლექსიკოლოგი ახალ ეტაპზე ამზადებდა ნიშნის სიტყვებს ქართული ენობრივი მარაგის კუთვნილებად თვლის. მერმინდელ რედაქციებში უცხო წარმოშობის საზოგადო სახელები ახლა მარტო მიველულ განმარტებებს ინარჩუნებენ. მათი მხლებელი ჩიგის თვალი © ამიერიდან უკვე უცხო წარმოშობის პირთა და გეოგრაფიულ საკუთარ სახელებს აქვთ მიწერილი (აბულაძე 1998: 30).

“სიტყვის კონაში” მრავალი უცხოური ლექსიკური ერთეულია განმარტებული. თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სულხან-საბა დიდად იყო დავალებული ქართული ლექსიკონების შემდგენელი იგალიელი მისიონერებისაგან (უთურგაიძე 1990:123), მაგრამ ნ. ორლოვსკაიამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ორბელიანის ლექსიკონში მოხვედრილი თვით იგალიური მასალაც კი არ მომდინარეობს XVII საუკუნის ქართულ-იგალიური

და იგალიურ-ქართული ლექსიკონებიდან, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ ქართულ ლექსიკაზე (ორლოვსკაია 1960: 195). “სიგყვის კონაში” იგალიურ თარგმანებს მხოლოდ იმ რედაქციაში ვხედებით, რომელმაც სულხან-საბა უცხოეთში მოგზაურობის დროს მუშაობდა. სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ იგალიაში, იგალიურ ენობრივ გარემოში შეეძლო ორბელიანს შესდგომოდა თავისი ლექსიკონის ამ მასალით შეესებას. საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი - “სიგყვის კონის” ბოლო რედაქციაში ავტორმა არ გაღიგანა იგალიური მასალა, რაც ნ. ორლოვსკაიას აზრით, განპირობებული იყო ევროპაში სულხან-საბას მისიის წარუმატებლობით და საქართველოში შეცვლილი პოლიტიკური კონიუნქტურით. როგორც ჩანს, თვით ავტორის თვალშიც დაეკარგა ფასი ამ მასალას, რადგან გაქრა ევროპასთან კავშირის ყოველგვარი იმედი (ორლოვსკაია 1960:210).

ორბელიანის ლექსიკონში ისეთი სიგყვებიც გვხვდება, რომლებიც მხოლოდ მეგრულ-ჭანურსა აქვს ნასესხები და არა ქართულს. ასეთებია, მაგალითად:

საავაგო (შდრ. მეგრ. საბაგონი) შაბათი

ღუგუნი ოსმალთა ენით ქორწილი. შდრ. ჭანური ღუგუნი (ღუღუნი) - ქორწილი

თერმონი თბილი შაქარ-წყალი. ჭანურში თემონი დამკვიდრებულია ბერძნულიდან (დანელია 1984: 68-70).

ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს აღმოსავლური დასტი, რომელსაც ლექსიკოგრაფი ასეთ კომენტარს ურთავს:

ჭანნი კოყას უხმობენ (I:202).

უცხოენოყან ლექსემებზე დართული კომენტარები შეიძლება ასე დაეაჯგუფოთ.

I. [სიგყვა] ქართული არ არის / სხვათა ენაა, ქართულად ჰქვიან / უწოდებენ

ახორი ქართული არ არის, ბაგას ჰქვიან ZA (I: 85).

ბაბრი (ოთხფ.) სხვათა ენაა, ქართულად ჯიქი ჰქვიან(ZA (I: 87)

ბოსტანი სხვათა ენაა, ქართულად მტილი Z (I: 111)

გუფთა ქართულს არა ჰგავს, მენაყილს ხორცს(ა) ჰქვიან ZAB (I: 180)

ღურბინი სხვათა ენაა, ქართულად შორ(ს) სათვალე და ჭოგრი ჰქვიან ZAB (I: 227)



ზანდუკი სხვათა ენაა, რომელსა აწ უწოდებენ, ქართულად კილობანი ჰქვიან ZA (I: 276)

კუტი სხვათა ენაა, ქართულად საპყარი ჰქვიან B ესე კუტი თათართა ენაა, ეამთა ვითარებით შემოულიათ, ქართულად საპყარია E (I: 400)

ნამი სხვათა ენაა, (+ ქართულად A) გენი ჰქვიან ZA (II: 57)

სირმა სხვათა ენაა, ქართულად ოქროს-თმა ჰქვიან ZAB (II: 94)

ურდო სხვათა ენაა, ქართულად მეფის ჯარი ჰქვიან(6) (ეწოდება B) ZAB (II: 166)

## II. მითითებულია უცხოური სიტყვის წარმომავლობა

ლექსიკონში განმარტებულია სომხური, ბერძნული//ელლინური, არაბული, თურქული//თათრული, ქალდეური, ხაზარული, გუთური, ასურული, ებრაული, ლათინური, ფრანგული, ოსმალური, რუსული და ჯალათას ენიდან შემოსული სიტყვები. ი. აბულაძის დაყვირებით, აღმოსავლური ენებიდან შემოსულ ლექსიკას ორბელიანი ზედმიწეენით ვერ არჩევს ერთმანეთისაგან. ერთსა და იმავე სიტყვას იგი ერთ შემთხვევაში ერთ ენას აკუთვნებს ხოლმე და სხვა შემთხვევაში - სხვას. ასე მაგალითად, თურქთა ენა და თათართა ენა ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. მეცნიერის აზრით, "თათართა" გარეყული ენის მქონე "ტომს" თუ "ხალხს" არ უნდა აღნიშნაედეს საბასთან, რადგან მას "უსჯულონი" ენაცვლება, რაც მაჰმადიანს უნდა გულისხმობდეს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ორბელიანი მოგჯერ "ლათინთა ენას" "ფრანგულს" უნდა ეძახდეს (აბულაძე 1998: 17-18).

ზემოთ დასახელებული ენებიდან ქართულში შემოსულ სიტყვებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ.

აზი სომხურია, თავისუფალს ჰქვიან ZAB (I: 41)

განძი სომხურია, უნჯსა უწოდებენ E (I: 144)

დევი სომხურად ემმაყს(ა) ჰქვიან, ხოლო ქართულად რომელთამე წერილთა შინა დევი გველემშაპის ადგილს აღუწერიათ და გარეშეთა წერილთა, რომელი საწარმართოა აღუწერიათ, აე-სახე კაცის მსგავსი, რქიანი; იგი მოგონებული გყუ(ე)ილია ZA (I: 215-216)

- გეგორა სომხურია, ქართულად თხიერაჲი ჰქეიან ZA (II: )  
 ანგალია ბერძულად საყენებელი წყალთა Z (I: 57)  
 არქი ბერძულად მთაყარი ZA (I: 67)  
 გენეთელია ბერძულია, შობისად გადმოითარგმნების ZA  
 (I: 156)  
 ეგიმოლოგია მზა სიგყვა, ბერძულია ZA (I: 245)  
 იპოდრომი ბერძულია, ცხენთ სარბიელი ZAB (I: 332)  
 ირისე (10,1 გამოცხ.) ცისმშვილდი ბერძულად ZAA (I: 334)  
 პალატი (+4,6 ესთერ. ZAA) ერყელი და დიდი სახლი ZA  
 ბერძულია, ქართულად ღარბაზი ჰქეიან B (I: 614)  
 საფიდა ელლენებრ მაღალი ZA (II: 60)  
 სეპატრა (+6,13 ბარუქ ZA) ელლენთა ენაა, სამეფო ჯოხი,  
 ქართულად ფაენი ჰქეიან ZAB (II: 102)  
 ფილოტიმია პატიყის-მოყვარება ელლენებრ ZAB (II: 192)  
 აემანი (ვისრაამ.) სპარსულად მასპინძლობა Z (I: 39)  
 ალაში სპარსულად დროშა, ქართულად სამხრე ზორტი, გინა  
 ნიშანი რამე შუბთა და მისთანათა Z (I: 45)  
 მითრად ძველის სპარსულის ენით მზე ZAB, მითრად სახელ-  
 სდებენ(ო) სპარსნიო მზესა, დიონოსი(ო)სის წიგნში ეწერა C (I:  
 481)  
 მურასა სპარსთა ენაა, ქართულად მოოჭვილი ჰქეიან ZAB  
 (I: 527)  
 ბარაქა არაბულად კურთხევა ABCDE (I: 95)  
 ფიქრი არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, განზრახვა (+  
 და A) გულისთქმა, (+ და Z) წვლილ-მოგონება ჰქეიან ZAA (II:  
 194)  
 ხაბაზი არაბულია, მეპურე ZA მეპურე არაბულად BCD  
 (II: 412)  
 ბუხარი ეს(ე) თურქთა ენით არს. ყო(ე)ელსა აღორთლება(ს)  
 სგომაქისა ანუ ქვეყნისა ბუხ(ა)რად უწოდენ, კედელთა  
 სახლისათა დაგანებულსა საცეცხლითაუცა ბუხარსაეე უხმობენ,  
 ქართული არ არის ZA (I: 124)  
 რახტი თურქთა ენაა, ქართულად აღვირედი ჰქეიან ZAB  
 (II: 7)  
 ულუსი თურქთ(ა) ენაა, ბანაკს ჰქეიან ZAB თურქთ ბანაკი Cb  
 (II: 160)  
 ოყა თათართა (თათრული A) ენაა, 8 თუხგის წონაა ZAB  
 (I: 610)

დეგუნი ოსმალის ენით - ქორწილი B სხვათა ენაა, რომელსა ხორცთა ზელა დაისმენ კაცნი წათხისა სადინებლად, რომელსა ქართულად საწათხე ეწოდების Z (I: 227)

სტრაპი ქალდეურის ენით თაყაღი და ხაზარულად მოურავი ZA (II: 111)

რეგონი მთავარი, გუთთა ენითა ZAB (II: 8)

რაკა (5,22 მათე) ასურულითა (ასურთა B) ენითა ვაი მენ, გინა სანერწყველი ZAB (II: 4)

პროერესი ებრაულად ნებისა ჩვენისა კეთილის(ა) და ბოროტის(ა) აღმასრულებელს ეწოდების ZABCDE პროესი - იგივე ZAa (I: 630)

სავაგო (სავევაგო D) ებრაულად მეშვიდე, გინა შაბათი ZAB (II: 27)

დეკანოზი ლათინურად ხუცესთ-უხუცესი ZA, ლათინურად უხუცესი B (I: 216)

იპოსტისი გვაში(ა) ლათინურად ZABCD (I: 333)

ისტორია ქვეყნის ამბავი ლათინურად (I: 337)

მუსიკა (3,15 დანიელ) ლათინურია, ხმოანებად მოვა, ქართულად სახიობა პქეია(ნ) Z (I: 528)

სინჯაბი (ოთხფ.) რუსული თრითინა ZAB (II: 92)

დეკა ფრანგულად თაყაღი Z (I: 227)

კანდელი ფრანგულია, ქართულად სანათი (+პქეიან ZAa) ZA (I: 250)

სალათა (ბალ.) ფრანგულია, ქართულად ტაბუცუნი პქეიან ZAB მხალი ზეთძმრიანი Gb (II: 35)

ბოქაული ჯალათას ენა არს, ქართულად მშვიდობისასა მანდატური ეწოდების, ხოლო რისხეისასა მტარეალი C იასაული ZAB (I: 111)

### III. უცხო სიტყვა გამოყენებულია მნიშვნელობის დასადგენ საკონკრეტო საშუალებად

ამჟი ილეკროს ძაფი, რომელსა თურქნი მაყთულსა ეწოდენ Z (I: 82)

გაჯი მიწა-ყარცი ZAB საგომელი (+ქართულად ყარცი ეწოდება და სომხურად ბრუოე Cb) Cab (I: 154)

კათოლიკე ძარღე (+კარაბად. ZAA) მელაის შუა ძარღვი, (+რომელსა თურქი ბელენს უხმობენ Z) ZA, ესე არს მელაის შუა ძარღვი, რომელსა სპარსნი ბელენად უხმობენ C (I:346-347)  
კარაჭინი ნაქსოვის ფეხსაცმელი, რომელსა სპარსნი ზორაბს უხმობენ Z (I:353)

კინგრო (2 ნემეს.) ესე არს ქვეყნით ცის კიდის კიდე ჩენა რაოდენისაცა, რომელსა ფრანგნი ორიზანტელ (ორიზონტელ Ab) უწოდენ ZA (I: 374)

ლითონი მას ადგილს ეწოდების, სადა ილეკროს სთხრიან, ანუ მარგალიტი და სპეკალი გამოდის, რომელსა სპარსნი მაღანსა და ქანს უხმობენ ZA (I: 415)

მნა (+19.13 ლუკა ZAA) ებრაულად კინახარეს, ხოლო ელ(ლ)ენებრ გაღანტი, რომელ არს ქანქარი ZA (I: 493)

ნამუსი ქართული პირისწყალი (+ და A) არაბულად შჯული ZAB (I: 574)

უგევანი (11.18 იოანე) უგევანი არს სგადიონი, რომელსა სომეხნი ასპარეზს უწოდენ, ხოლო ლათინნი და ელენნი სგადის, რომელი 143 ბიჯი იქ(მ)ნების ZA (II: 172)

#### IV. სიგევა უცხოურია, მაგრამ განმარტებაში ეს მითითებული არ არის

ამირბარი სპასქეგი, სპასალარი, გრიბონი, სგრატილაგი (ყველა უცხოურია, თ.ბ.), მხედართ-მყენანებელი, მხედართ-მოდღვარი, მხედართ-მთაყარი (+ ყოველიე A. ესე ყლნი B) ლაშქართ თაენი არიან, რომელიმე უმაღლესი (+ და ZA) რომელიმე შექმდომი ZAB (I:51)

არკადიშია სახლი საფილასოფოსო ZA საფილასოფოს(ო) სახლი BC

არმაღანი შორით მოს(ს)ულისაგან მოღებული მის თემის ძლეენი ZAB (I: 65)

დეკატორი (დეკატორი თუ დეკტორი E) ორთა სამთაყროსა მთაყარი (I: 221)

ეპისტოლე მინაწერი ZABCDE (I: 239)

კეიგონი სამშობიარო სახლი ZAB (I: 364)

კულატპალატი მეფის ადგილს მჯღომელი გა(ნ)მტებლად ZA (I 396)

ლეკტორი მოსწავლეთ მოძღვარი ZAB (I: 415)

- მიზლი (+29,15 გამოსლ. ZAA) ასალები რამ სარგო, ქირა ZA  
 მუქაჭა (+ვგ. Z) საპასუხო ZABC (I: 529)  
 მუშაითი საბელზე(დ) მოთამაშე ZABC (I: 530)  
 ნევროს ძარღვია სისხლმციერე ZAB (I: 589)  
 პატრივი ერისთავთ-ერისთავი ZAB (I:617)  
 პრეტორი სამსჯავრო გაძარი ZAB (I:629)  
 სუნიდისი (+4,1 ზირაქ. ZAA) მამხილებელი გონება ZA (II:  
 119)  
 სხოლიო წიგნთ თარგმანი გარ(ე)შე მოწერილი ZAB (II:  
 126)  
 ფეიქარი ლარის მქსო(ე)ელი ZABC (II: 187)

### V. “უკმარი” სიტყვები

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ იმ უცხოენოვან სიტყვებზე, რომელთაც სულხან-საბა ორბელიანი “უკმარს” უწოდებს. “უკმარ” სიტყვათა დიდი ნაწილი შემოსულია “სოფლისა ჟამთა ვითარებისაგან” ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობს, “ჟამთა შლათაგან”, რომელთა ხმარებას უნდა ვერიდოთ. ასეთი სიტყვები საბას ლექსიკონში იმისთვის შეუტანია, რომ “მოსწავლეჲმან ცნას საკმარი და უკმარი, ჯეროვანი და უჯეროა”. “უკმარ” სიტყვებს აქვს ნიშანი ა• “ანდერძნამაგში” ორბელიანი წერს:

“რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვეძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ეპოე, ადვილად თან მოვაწერე... რაოდენი ძალ-მედვა, ეყაღე, ელლენთა, ლათინთა, სპანიათა, სომხურთა და რუსთა წიგნებთა შემოწმებითა გარდმოვიღე”.

ი. აბულაძის დაკვირვებით, ა• ნიშნიანი სიტყვები\* განსაკუთრებით ბევრია E რედაქციაში, ხოლო D-სა და უკანასკნელ, ანუ Z რედაქციაში კი მხოლოდ ერთეულები თუ შეგვხვდება. ჩანს, წერს მეცნიერი, - გამოწვლილვის შედეგად ზოგიერთს შეუნარჩუნებია არსებობის უფლება (აბულაძე 1998: 32). თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო ადრეულია ლექსიკონი რედაქციულად, მით უფრო მნიშვნელოვანია წყაროების შესწავლის თვალსაზრისით (მეტრეველი 1956: 30).

\* უკმარობის პირობითი ნიშნის გამოსახულების ნაცულად გამოცემაში ყველგან არის უკმ. (აბულაძე 1998 : 35)

ენის კოდიფიცირების ერთ-ერთი მიზანი ენობრივი კოლექტივის თვითდამკვიდრება და სტაბილურობაა (ჰაუგენი 1972). სწორედ ეს განაპირობებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სხვათა ანუ უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებზე დართულ კომენტარებსა და მათთვის ქართული შესატყვისების ძიებას. ასეთი დამოკიდებულება უცხოური წარმომავლობის სიტყვებისადმი გამოწვეულია მრავალრიცხოვან აგრესორთა პოლიტიკური და კულტურული ძალადობით. ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის საბა მეთოდურად და დაბეჯითებით აკეთებდა ამას. ორბელიანი თავის ლექსიკონს, პირველ რიგში, სასწაელო მიზნებს უსახავდა. თელიდა, რომ აუცილებელი იყო ენის სახელმძღვანელო უპირველესად ლექსიკონის სახით, ურომლისოდაც ენა ირყენება, ფუჭდება (აბულაძე 1998: 32).

აი რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომელთაც სულხან-საბა "უკმარად" აფასებს.

ბურჯი სხვათა ენაა ეამთაგან მოსული. ვარსკვლავთა ზოლიაქსა უწოდენ და კედლისასა გოდლედი ჰქვიან Z (I: 122)

თამამი ეამთაგან შემოღებულ(ი)ა და ცუდი. ქართულად კადნიერი ეწოდების: თამამი თურქთა ენითა სრულსა ჰქვიან ZA (I: 297)

ჟალი არა არს ქართული და უკმარცა. მისნობად უწოდენ CD (II: 182)

ქოსა არ არს ქართული, არამედ (და უკმარც Cab) ეამთა ეითარებისაგან შემოღებულია, ქართულად პოპლიცი ეწოდების C (II: 232)

მურდასანგი სხვათა ენათა შემოღებულია Z სპარსულია, მექლარი ქვა Aa (I: 527)

მოროს ბერძულ(ად) სულელს უწოდენ ZA (უკმ.) ბერძულ და ლათინურად სულელს უწოდენ (I: 504) (მდრ. მეგრული ბორო, - თ.ბ.)

ნაეროზი (უკმ.) სპარსთა ენაა, ქართულად ბუნიობა ჰქვიან B (I: 555)

ოლა (უკმ.) თურქთ(ა) ენაა. სენაქსა ჰქვიან ZAB (I: 600)

სიჯიმი (უკმ.). სხვათა ენაა, ქართულად ხეზი ჰქვიან ZAB (II: 100)

ქაფი (უკმ.) სხვათა ენაა, ქართულად პერი ჰქვიან ZAB (II: 217)

ქულა (უკმ.) სხვათა ენაა, ქართულად ღეგი ქეიან ZAB  
(II : 226)

ამა თუ იმ ნასესხები ლექსიკური ერთეულის “უკმარ” სიტყვად გამოცხადებაში ვლინდება ენობრივი ნიშნის მიმართ ენის მომხმარებლის დამოცილებულება, რაც პრაგმატიკის შესწავლის ობიექტია.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ენობრივი ნიშანი შეიძლება განვიხილოთ სამი განსხვავებული თვალსაზრისით – სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატული, ამასთან ენობრივი ნიშნის სემანტიკური და სინტაქტიკური მიდგომით მიღებული შედეგები შეიძლება არ დაემთხვეს მისი პრაგმატული ასპექტით შესწავლისას მიღებულ შედეგებს, რადგან პრაგმატიკა გულისხმობს ენობრივ ნიშანთა სისტემისადმი ენის მომხმარებელთა დამოცილებულების შესწავლას (გამყრელიძე 2000 : 241). სწორედ ენის მომხმარებლის ანუ ენობრივი ნიშნის ინტერპრეტატორის თვალსაზრისზე წერდა ემილ ბენვენისტი:

“მეცყველისათვის ენა და გარესამყარო მთლიანად აღქვატურია. ნიშანი მთლიანად უარავს რეალობას და ბატონობს მასზე. უფრო მეტიც, ის თვითონაა რეალობა. მეცყველის თვალსაზრისი იმდენად სხვაობს ენათმეცნიერის თვალსაზრისისაგან, რომ ენათმეცნიერის მტკიცება ნიშნის ნებისმიერობის შესახებ ოდნავადაც ვერ არყევს მის განპირობებულობაზე მეცყველის რწმენას. როგორც უნდა იყოს, ენობრივი ნიშნის ბუნებას, სოსიურის განსაზღვრებით, ეს სულაც არ ეხება, რამდენადაც ამ განსაზღვრების მიზანი ისაა, რომ აჩვენოს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობა. ამგვარად, ნებისმიერობის სფერო ენობრივი ნიშნის გარეთაა გაგანილი, სოსიური ამბობდა: “ენა ეურაფრით იცავს თავს იმ ძალებისაგან, რომლებიც ყოველწუთიერად ცელიან მიმართებას აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის. ეს ნიშნის ნებისმიერობის ერთ-ერთი შედეგია”. ამ დასკვნის ფასი, ოდნავადაც არ შემცირდება, პირიქით, გაიზრდება, თუ შესტად ვიგყვით, რა მიმართებაზეა აქ საუბარი. ცვალებადობისა და იმავდროულად უცვლელობის უნარი აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობას კი არ ახასიათებს, არამედ საგანსა და ნიშანს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშვნის საგნობრივ მოტივაციას (motivation objective de la désignation), რომელზეც ყოველთვის მოქმედებს სხვადასხვა

ისტორიული ფაქტორი. სოსიურის დასკვნა სწორია, ოღონდ არა ნიშნისთვის, არამედ მნიშვნელობისთვის (signification)" (ბენვენისტი 1974: 93-94).

ამა თუ იმ სიტყვის "უკმარად" ანუ უსარგებლოდ შეფასება აჩვენებს, როგორ უყურებს, რა წარმოდგენები აქვს ინტერპრეტატორს, ამ შემთხვევაში ქართული ენის ლექსიკის კოდიფიკატორს - სულხან-საბა ორბელიანს - ქართული ენის ლექსიკური ერთეულების მიმართ. მისთვის ენობრივი ნიშანი არამც და არამც არ არის ნებისმიერი, იგი აუცილებლად განპირობებულია. ემილ ბენვენისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, სულხან-საბასთვის ქართული ენა და გარესამყარო მთლიანად აღექვატურია. როდესაც ამა თუ იმ სიტყვას მოსდევს კომენტარი "სხვათა ენაა, უკმარი და ცუდი", აქ იმაზე კი არ არის მითითება, რომ გარყვეული ბგერათყომპლექსი, მაგალითად, შალავათი (II: 281) ცუდად ასახავს ამ ცნების ("შეღავათი") არსს, არამედ იგი ცუდია (უკმარია) იმის გამო, რომ სხვათა ენაა. "ეამთა ვითარებით შემოღებულია", როგორც ამას აღნიშნავს, მაგალითად, ქარაევანის განმარტებისას: "არაბთა ენაა, ეამთა ვითარებით შემოღებულია, ქართულად მოგზაური ეწოდების" E (II: 212-213). თავისთავად აღმნიშვნელები "ქარაევანი" და მოგზაური ("აკუსტიკური ხატები", როგორც ფერდინანდ ლე სოსიური უწოდებდა) ერთნაირად ნებისმიერია ცნების (აღსანიშნის) მიმართ, მაგრამ ქართულ ენაზე მეტყველისათვის მოგზაური კარგია და "საკმარი", ქარაევანი კი ცუდია და "უკმარი". ეს არის ენობრივი ნიშნის მიმართ მომხმარებლის პრაგმატული დამოკიდებულება. მისთვის "მოგზაურ" ბგერათყომპლექსსა და აღსანიშნ ცნებას შორის განპირობებული ურთიერთობაა. ასეთი ურთიერთობა არ არის ქარაევანსა და იმავე ცნებას შორის.

სულხან-საბა ორბელიანი უცხო წყაროებსა და "სხვათა ენას" სხვადასხვა მიზნით მიმართავს:

ა) უცხო წყაროების საშუალებით ის განმარტებებს უძებნის ქართულ "ძნელოვან სიტყვებს";

ბ) "სხვათა ენის" საშუალებით სიტყვის ეტიმოლოგიას არყევს;

გ) ქართული ენის წიაღიდან უცხო ლექსიკური მასალის გამოყოფით ორბელიანი ქართული ენის სიწმინდის დაცვას ცდილობს (მეტრეველი 1956:14).



სულხან-საბას სიგყვათა სესხება ენისთვის ჩვეულებრივ მოე-  
 ლენად მიაჩნია. ამიგომ ენის სრული გაწმენდა უცხოური ელემენტ-  
 ებისაგან შეუძლებელია და საჭირო ხდება კრიტერიუმის გამოძებნა  
 - რომელი არაქართული ლექსიკური ერთეული იქნეს შეწყნარე-  
 ბული და რომელი - არა. როგორც ელ. მეტრეველის დაკვირვება  
 ცხადყოფს, ორბელიანი სიგყვის სადაურობასა და მის ქართულ  
 შესატყვისის ზოგ შემთხვევაში რამდენიმე რედაქციის მანძილზე  
 ეძებს. მაგალითად, სიგყვა სუფრის სადაურობისა და მისი ქარ-  
 თული შესატყვისის ძიების დროს საბა სიძნელეებს შეხვედრია.  
 მას სუფრა კი მიუჩნევია უცხოურად, სპარსულად, მაგრამ ვეღარ  
 გადაუწყვეტია, რომელი იყო მისი ქართული შესატყვისი - ტაბლა  
 თუ დასტახანი. ამგვარი შეეჭვებისთვის ლექსიკოლოგს საფუძვე-  
 ლი ნამდვილად ჰქონდა, რადგან არც ერთი ეს სიგყვა ქართული არ  
 არის. ტაბლა - ბერძნულია, სუფრა - არაბული, ხოლო დასტახანი -  
 სპარსული. ორბელიანს სიგყვის ქართულობის საზომად აუღია მისი  
 გავრცელების ხანგრძლივობა. ტაბლა დამოწმებულია უძველეს ქა-  
 რთულ ტექსტებში, ოთხთავის ქართულ რედაქციებში, ხოლო სუფრა  
 და დასტახანი კლასიკურსა და აღორძინების ხანაში შემოსული და  
 გავრცელებული სიგყვებია. სულხან-საბა ქართულად თელის ტაბ-  
 ლას. ამგვარად, იგი ქართულად მიიჩნევს იმ უცხოური წარმომა-  
 ვლობის სიგყვებს, რომელნიც დიდი ხნიდან გავრცელებულან ქა-  
 რთულ ლიტერატურასა და სამეცყველო ენაში, შესულან ქართული  
 ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში (მეტრეველი 1956: 19).

1884 წელს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი გამოიცა  
 რაფიელ ერისთავის რედაქტორობითა და ალექსანდრე ეპისკო-  
 პოსის საფასით. ამ წიგნს რედაქტორ-გამომცემელმა რაფიელ  
 ერისთავმა წინასიტყვაობა დაურთო, რომელშიც ახსნილია ორ-  
 ბელიანის ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობა. ერთ-ერთი მიზე-  
 ზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ

“ზოგიერთი ლიტერატორების ნაწერებში შემოსულია უცხო  
 ენის სიგყვები, რომლების სამაგიერონი და უფრო ნამდვილნი  
 მოიპოვებიან სულხან ორბელიანის ლექსიკონში. მამასადამე, ეს  
 ლექსიკონი რომ ყოფილიყო აქნობამდის დაბეჭდილი და გაერ-  
 ცელებული, მამინ უცხო სიგყვები აღარ შეამღვრევედა ქართულს  
 ენას, რადგანაც თუთ ამ ენაზედ მოიპოვებიან ჯუროვანნი და  
 უფრო მარჯვე სახელწოდებანი. იქნება სთქვან, რომ ზოგი  
 ქართული სიგყვები დაძველებულან და გაუგებარნი არიანო,

მაგრამ, ჩემის აზრით, სჯობს, რომ ისევე ის ძველი სიტყვები განეაახლოთ და შემოვიტანოთ ლიტერატურაში სახმარებლათ, ვიდრე სხვა ენას დავესესოთ: ხომ იმასაც ხელ-ახლა შესწავლა და შეჩუქვა დასჭირდება და ამასაც, და თუ კი უცხო ენებიდან იმ გუარი სიტყვების შემოტანა დაგეჟირდა, რომლებიც ქართულში სრულიად არ მოიპოვებია, მაშინ ჩვენც ვისარგებლოთ იმ სიტყვებით, რომლების სესხობასაც არ თაკილობენ ჩვენზედ უფრო დაწინაურებულნი და განათლებულნი ხალხნი” (ერისთავი 1884: II).

რაფიელ ერისთავი, ისევე როგორც ორბელიანი, სიტყვათა სესხების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ძველ ქართულ ლექსიკაზე უარის თქმას. პირიქით, მისი გააქტიურებაა საჭირო. ასეთი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, უცხოენოვანი ლექსიკისა და, მეორე მხრივ, ძველი ქართული ლექსიკის მიმართ XIX საუკუნეში ძალიან გავრცელებული იყო. აი, რას წერდნენ ამ საკითხზე იმპრონინდელ პრესაში:

პეტრე მირიანაშვილი: “...უცხოენოვანი სიტყვები მსოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ, ... იმის მაგიერი აქ არ უნდა იყოს, ... მაგრამ ის, რაც ჩვენს ენაშია, უნდა ვამჯობინოთ სხვას და ამიგომ სხვისი ენა უნდა მოვიშველიოთ დიდის სიფრთხილითა და გამორჩეიით” (მირიანაშვილი 1888).

გრიგოლ ყიფშიძე: “შევიძინოთ ევროპელთაგან: რუსთა, ფრანგთა, გერმანელთაგან, გარნანუ წაეხსენოთ და ხუ გავრყენით ჩვენს ენას ნურც რუსიციზმებით, ნურც გალიციზმებითა და ნურც გერმანიზმებით” (ყიფშიძე 1903: 4).

სილოვან ხუნდაძე: “შეუძლებელია რომელიმე ენაში უცხო სიტყვა არ შევიდეს, მაგრამ ეს სიტყვა უთუოდ იმისთანა გექნეური, განსაკუთრებული მნიშვნელობის მექონი უნდა იყოს, რომლის მგავსიც ამ ენაში არასოდეს ყოფილა” (ხუნდაძე 1927: 77).\*

ძველი ქართული ლექსიკიდან აღებული სიტყვებისთვის ახალი სიტოცხლის შეძენა თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ერთ-

\* J. Mირიანაშვილი, გრ. ყიფშიძე და ს. ხუნდაძე დამოწმებულია შუქია აფრილონიძის სტატიის მიხედვით – Apridonidze Sh., Purism and Normalization of Language in Georgia: Traditions and Tendencies, Paper read at the conference “Purism in the Age of Globalization”, University of Bremen, 18-21 September, 2001

გვარ მოღაღ იქცა. საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან ირჩევენ ძირითადად ისეთ სიტყვებს, რომელთაც უცხოური ელერადობა და ქართული წარმომავლობა აქვთ. მაგალითად:

არდი (+ კაემ. Z.) აწ ZC. აწ, სომხურია (სომხურად AbB) AB (I: 61).

მიუხედავად იმისა, რომ სულხან-საბა აღნიშნავს არდის სომხურობას, იგი დაურქვეა სასწრაფო დახმარებას.

ვარი გაზაფხული ZABCD (I: 229).

ვარი აირჩიეს მოსწავლეთა საგაზაფხულო ფესტივალის სახელად.

ზანდური (ბალ.) თათუხი ZABC (I: 276).

ერთ-ერთი კერძო პურკომბინატის სახელწოდებაა.

ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რყინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად ZA (I: 327)

– რუსთავის მეტალურგიულ კომბინატთან არსებული მცირე საწარმოს სახელია.

ამ გიჟის მაგალითებიც მეტყველი კოლექტივის ენობრივი ნიშნისადმი დამოცილებულების მაჩვენებელია. პრაგმატული თვალსაზრისით მეტყველი კოლექტივისთვის ერთი ენის ლექსიკური ერთეული (resp. ენობრივი ნიშანი) სხვა ენის ერთეულს სჯობს. როგორც სოსიური ამბობდა, ენა თავისი ბუნებით თავსმოხვეულია საზოგადოებაზე, მაგრამ იმავდროულად არ არსებობს საზოგადოება, რომელიც კმაყოფილი არ იყოს თავისი ენით. უფრო მეტიც, ენა ბაღებს სიამაყის გრძნობას მასზე მეტყველ კოლექტივში. ეს გრძნობა განსაკუთრებით გამძაფრებული აქვს ენის კოდიფიკატორს. ამიტომ დაუფერებელი ჩანს მტკიცება, თითქოს სულხან-საბა ორბელიანმა “ლექსიკონი ქართული” ყრმათათვის არაქართული ენების სწავლების მიზნით შექმნა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ძალიან ბევრ სიტყვას, განმარტების გარდა, ახლავს ქართული ასოებით ჩაწერილი თარგმანები იგალიურ, სომხურ და თურქულ ენებზე. “სიტყვის კონის” მთელ რიგ ნუსხებში ვხვდებით შემდეგ მიწერილ რუსულ თარგმანებსაც (ქუთათელაძე 1957). მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია,

რომ ეს უთუოდ დროის პრაქტიკულმა მოთხოვნებმა განაპირობა. ი. აბულაძე წერდა: ახალგაზრდებს “უცხო ენათაგან უფრო მეტად ესაჭიროებოდათ თურქული და სომხური - კარის მეზობელთა ენები. ამან, ცხადია, თავიდანვე განაპირობა ამ ენების სიტყვათა შემოგანა საბაჰ ქართულ ლექსიკონში. ამავე მიზეზით, ეტყობა, არ პოვა ასახვა ლექსიკონის მომდევნო რედაქციებსა და ნუსხებში იტალიურმა ლექსიკამ, რომელიც ევროპაში ყოფნისას ლექსიკოგრაფს შეუგანია ერთ-ერთს ავტოგრაფულ ნუსხაში (H1658), თან რომ ჰქონდა წაღებული (აბულაძე 1998:27).

ე. აბულაძეს მიაჩნია, რომ საბა, უეჭველია, გრძნობდა თარგმნითი ლექსიკონების საჭიროებას, განსაკუთრებით იმ ხალხთა ენებზე თარგმნის საჭიროებას, რომლებთანაც ჰქონდათ მაშინ ქართველებს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა. ე. აბულაძის აზრით, სულხან-საბაჰ ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები ყრმათათვის “თაირულ”-თურქული ენის სასწავლოდ ყოფილა გამიზნული!\* (ე. აბულაძე 1968: 194-197). მამასაღამე, თუ მკვლევარს დაეუჯერებთ, ორბელიანს მიზნად დაუსახავს ქართველებისთვის თურქული ესწავლებინა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები სანდო და ფასეული მასალაა ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის შესასწავლად, თურქული ენების ფონეტიკის საკვლევად, თურქულ ენათა ლექსიკის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების გასაშუქებლად. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული გრანსკრიპციით გამოხატულია იმ დროის თურქული მეტყველება და არა ლიტერატურულ-მწიგნობრული წარმოთქმა (ე. აბულაძე 1968: 26). მაგრამ სწორი არ იქნება, ქართული ენის კოდიფიცირების მიზნით შექმნილი ლექსიკონი თურქული ან რომელიმე უცხო ენის შესწავლისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოვაცხადოთ.

\* Необходимо было в Грузии того времени знание “татарско”-тюркских языков. Одним из учебных пособий изучению “татарско”-тюркского языка являются и тюркские переводы словника “Лексикони картули” (ე. აბულაძე 1968 : 197)

## § 7. მეტაფორული ენობრივი ნიშანი და მეტაფორული განმარტება

ციცერონი წერდა: თავდაპირველად განსაცემელი სიცივისაგან დაკვის მიზნით შექმნეს, შემდეგ კი სხეულის გამშენიერებისა და გაკეთილშობილებისათვის იყვამდნენ. ასევეა მეტაფორაც უკმარობის გამო შექმნილი ტკობისთვის განაეითარეს. ტკობაში მისი მხატვრული ეფექტი იგულისხმება და მეტაფორის შესწავლის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ყურადღება სწორედ ამაზე მახვილდება. მაგრამ რას გულისხმობს ციცერონი უკმარობაში და რამდენად ავსებს მას მეტაფორა. ეს საკითხი ადამიანის ცნობიერების შექმნაზე მრავალ დარგს აინტერესებს, რადგან იგი რეალობის კონცეპტუალიზაციის, სინამდვილის ფაქტის ცნობიერების ფაქტად გარდაქმნის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა ცისარტყელა. მას სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს:

“რა ნისლი ამაღლების და ღრუბლამდისინ მიიწევის, ცუარნი ნისლთანი განზრქელდებიან და მზის(ა) შარაუანდელისა მიერ შეიქობიან (+და მზისა მიერ Caq D) ფურად-ფურადად სახილველ იქმნებიან. კეთილი ნიშანია მრავალგზის მისი გამოჩინება” (II : 338).

ასევეა განმარტებული ცის-მშულდი (ცის-მშვილდი).

ასე გელმიწეენით ახსნილი მოვლენის, ანუ რეფერენტის შესაბამისი ენობრივი ნიშანი მეტაფორულია. ცისარტყელა მოტივირებული ნიშანია, რაც გამომდინარეობს მისი აღსანიშნისა და აღმნიშვნელის “ჰორიზონტალური” მიმართებით ამავე სისტემის სხვა ნიშანთან. იგი ასოცირდება სარტყელთან. მოტივაციის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს. მეტაფორის შემთხვევაში მოტივირებულობა გადაგანის შედეგია. მაგრამ ეს ვერ ცელის ცისარტყელის ნებისმიერობას, რადგან “ვერტიკალური” მიმართება ცნებასა და აკუსტიკურ ხატს შორის პირობითია (გამყრულიძე 2000).

ცისარტყელას სინონიმი ცის-მშვილდი ბიბლიიდან მომდინარეობს. წარღენის შემდეგ კიდობნიდან გამოსული ნოე და მისი შვილები აკურთსა ღმერთმა და აღთქმა დაულო, რომ ამის შემდეგ აღარ მოაველენდა წარღენას ქვეყნიერების დასაღუქაეად.

“რამეთუ მშულდა ჩემსა ღვესდებ ღრუბელთა შინა და იყოს სასწაული აღთქმისა ჩემისა, რომელ არს შორის ჩემსა და თქუენსა და ქუეყანასა”... და იყოს მშულდი ჩემი ღრუბელსა შინა და ეიხილვიდე მოსახსენებლად აღთქმისა საუკუნოჲსა (შესაქმისაჲ 9,13,16).

მშულდს სექტუაგინტაში შეესაბამება τὸ τῶνον μὴν. ა. ვაისმანი τῶνον-ს განმარტავს როგორც πῦρ, ვადაგანითი მნიშვნელობით στρελα (ვაისმანი 1991: 1249). შღრ. ინგლისური rainbow - წვიმის რკალი, წვიმის მშვილდი; რუსული радуга (дуга въ облаках (Национальная энциклопедия, 1990:1, 593), - ეს ენობრივი ნიშნებიც მკეგაფორულია. თანამედროვე ქართულ თარგმანში მშულდს ცისარტყელა შეესატყვისება. “კეთილი ნიშანია მრავალგზის მისი გამოჩინება”, - წერს სულხან-საბა. ცისარტყელის კეთილ ნიშნად მიჩნეეკას საფუძელად სწორედ შესაქმისეული ამბაეი უღვეეს. ხშირია მისი პოეგური რემინისცენსიეები (მაგალითად, ილიას “აჩრდილი”, აკაკის “თორნიეე ერისთავი”). ე. კასირერი წერღა:

როგორც უნღა განსხეეელებღუნენ მითი და ენა. ორიეესთ-ეის ნიშანღობლიეია ერთი და იგიეე კონეექტუალური ფორმა, რომელსაც მოელედ შეიღლება მეგაფორული აზროენება ეუ-წოღოთ. რაეე ჩენი გვიანღელი რეფლექსიით უბრალღ გაღღატანა ჩანს. მითისთეის სწორედ ისაა ჭეშმარიტი იღენგურობა (ღაეოფი, ჯონსონი 1980: 39).

აღამიანის, როგორც აქტიური და შემეეენებელი სუბიექტის, ფიღღოსოფური განხიღვის ყვეღაღე აღეეეეგური ღინგვისგური მიღღგომღ უნღა ამოღიღღეს აღამიანის ენობრივი და ინგელექტუალური უნარეების თაეღაპირეული ერსიანობის პოსტულატიღან (ამის შესახებ იხ. რამიშვილი 2000). ამიგომ მეგაფორა მხოლოღ რიგორიეულ ფიგურად კი არ უნღა წარმოვიღგინოთ, არამედ იგი უნღა შეეის-წაელოთ როგორც ენის არსებობის კონსტიტუტური პირობა, რაც თაეისთაეად უკაეშირღება ენაში ცნებათა წარმოქმნის ანუ რეფერენციის საკითხს.

კეინტიღიანე მიუთითებღა:

მეგაფორული ფუნქცია ენის მხოლოღ ნაწილი როღია, არამედ მთლიანად განმსჭეღალაეს მას. რაღღან ცნებითი სისგემა უპირატესად მეგაფორული ხასიათისაა, ჩეენი აზროენება, ყოველღღიური გამოიღღლება და ქეეეეეე მნიშვნელოვანწიღად განპირობებულია მეგაფორით (ღაეოფი, ჯონსონი 1980 : 3-5).

იგივე ითქმის ჩვენს შეფასებით სისტემაზე. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა ლინგვისტური მონაცემები. მაგალითად, კონცეპტის - Good is up; Bad is dawn - კარგი ორიენტირებულია ზევით, ცუდი - ქვევით - რეალიზაციაა შეფასებებისა: სიყვარული აგვაბაღლებს და ცოლით დაცემა. კარგი - ცუდი შეფასებები უნივერსალური ხასიათისაა (ამის შესახებ იხ. ამავე თავის §4).

მეტაფორა ძალიან ახლოს დგას შედარებასთან. კლასიკური განმარტებით, მეტაფორა შემოკლებული შედარებაა. თუ ამ განმარტებას გავიზიარებთ, ერთი შეხედვით, თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ მეტაფორასა და შედარებას შორის სემანტიკური სხვაობა არ არსებობს. ამასთან დაკავშირებით ა. ვეჭიბუკაია წერს: მეტაფორა და შედარება სიღრმისეული სტრუქტურით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ ორი ენობრივი მოვლენის უძველესი ღროიდან შემჩნეული სიახლოვე, რა თქმა უნდა, აისახება მათთვის პოსტულირებულ სიღრმისეულ სტრუქტურებში, მაგრამ ეს სტრუქტურები ერთმანეთს არასდროს არ დაემთხვევა (ვეჭიბუკაია 1990: 143).

A ისეთივეა როგორც B.

A ჰგავს B-ს.

A მაგონებს B-ს.

A, როგორც ჩანს, B-ა.

A - ეს B-ა.

ამ ფორმულებიდან მეტაფორას ყველაზე კარგად აღწერს ბოლო, დანარჩენები კი, რომლებიც აღვიღად გრანსფორმირდებიან - A - ეს B-ა - სქემაში, გამოდგება შედარების ზედაპირული სტრუქტურის გადმოსაცემად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეტაფორასა და შედარებას სიღრმისეული სემანტიკა საერთო აქვთ. საერთოობის მაჩვენებელია A და B, ანუ შესადარებელი ობიექტი (A) და ის, რასაც ვუდარებთ (B), რომლის თვისება/თვისებები ვადმოგანილია A-ზე.

მეტაფორისა და შედარების საერთო სიღრმისეულ სემანტიკას ნათლად აჩვენებს მეტაფორული შედარება. აი, როგორ განმარტავს სულსან-საბა ორბელიანი არწივს (ფრინ.) (19,4 გამოსლ.):

ამისასა იყვიან მეხუთასესა წელსა განჭაბუკებასა, სიმაღლით აერით ჩამოჭრასა და წყალთა შთავარდნით განახლებასა. წყლის პირს მებუღრობს თევზის ჭამისთვის. ბოლო თეთრი აქვს წინა კერძო Z (I: 67).

ეს განმარტება ეფრემ მცირის "ფსალმუნთა გამოყრებული თარგმანებიდან" მოდის. სულხან-საბას დამოწმებული აქვს მხოლოდ ის ნაწილი. რაც უშუალოდ არწივს ეხება. ფს. 102, 5 "განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე ჩუენი" - ფსალმუნის ამ ალევგორიულ სახეს ეგზეგეტიკოსი ასე განმარტავს:

"ხოლო აღმოგვიკითხავს არწივისაიუს, ვითარმედ მეხუთასე წელსა კუალად განახლდების, რამეთუ დაძულებული იგი და მზისაგან განკურნებული შთაკლების წყალსა და განიყრის ფრიუსა და განახლდების. ეგრეთეუე კაცი განკურდების ცეცხლითა სულისაათა და განისწაელების სიგყუთა მღუღელისაათა და შთაკლების წყალსა ნაილისღებისასა, რათა განიყაროს დაძულებული იგი კაცი და შეიმოსოს ქრისტეს მიერ განახლებული" (ამის შესახებ დაწერილებით იხ. ღობორჯინიძე 1998: 63).

არწივ-თან შედარებით ცისარტყელის განმარტების მეტაფორულობა უფრო მეტად იყო მოსალოდნელი. ასეთი შემთხვევები უპირველესად იმის მაჩვენებელია, რომ თუ სულხან-საბას ხელთ არსებული უამრავი წყაროდან დამოწმებულ რომელიმე სიგყუას სახისმეტყველებითი განმარტება ახლავს, იგი აუცილებლად სვდება "სიგყუის კონაში".



## თავი V

### შესღობები კოდიფიკაციაში

---

სამეცხველო ქმედების ეფექტურობისათვის აუცილებელია, რომ მისი მონაწილეები საერთო კოდით სარგებლობდნენ. მეცხველება გულისხმობს გარევეული ენობრივი ერთეულების არჩევასა და მათ კომბინაციას, მაგრამ მეცხველი (ან მწერალი) ბოლომდე თავისუფალი არ არის არც არჩევანში და არც კომბინირების დროს (იხ. III თავის § 3). მას ზღუდავს ენის კოდიფიცირებული ნორმები.

ენისთვის მზრუნველმა (კოდიფიკატორმა) შეიძლება აღწეროს უკვე არსებული ნორმა, ან შექმნას ახალი და მის დატვირდვას ეცადოს. ახალი ნორმის შექმნა ყოველთვის ერთნაირად წარმატებული არ არის. კოდიფიცირებისას ყველაზე მეტი შეცდომა სწორედ ახალი ნორმის შექმნის დროს მოსდით. ამჯერად განვიხილავთ ენის ბგერითი ინვენტარის, მორფოლოგიის კოდიფიცირებისა და სტილის არჩევისას დაშვებულ შეცდომებს ქართული ენის ისტორიის მაგალითზე.

## § 1. შეცდომები ენის ბგერითი ინვენტარის კოდიფიკაციაში

ხანგრძლივი და მდიდარი გრადიციის მქონე ქართულ ენას; მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო მწიგნობრობის ენა მრავალრიცხოვანი ენა-კილოებისა და ხანგრძლივი, მრავალმხრივი, თანაც სხვადასხვა მასშტაბისა და სიძლიერის კონტაქტები ჰქონდა ასევე მრავალგვარ მგერ-მოყერის ენებთან, თავისი ფონოლოგიური მოდელი არსებითად არ შეუცვლია თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში (ლომიათიძე 1993: 28).

ცელილება მხოლოდ რამდენიმე ბგერას შეესო. *ა*-ს, როგორც ი ფონემის პოზიციური ალოფონისა და უმარცვლო *უ*-ს დაკარგვას მოჰყვა ღიფთონგთა მოშლა; დასუსტდა *ხ*-*კ* ფონოლოგიური ოპოზიციის დისკინქტური ძალა. ამ ცვლილებებს თან მოჰყვა *შ*, *ჯ*, *ა*, *კ* გრაფემების დაკარგვა, რითაც ქართული ანბანი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფონოლოგიური გიპის ანბანად.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ქართული ანბანი წარმოდგენილია ორმოცი ასო-ნიშნით, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ნუსხა სხვადასხვა თანმიმდევრობას აჩვენებს. ამ საკითხს ლექსიკოგრაფი ეხება “სასწავლო ყრმათას” ნაწილში. კონსტანტინოპოლურ ნუსხას (B რედაქციას) ეს ნაწილი დაკარგული აქვს, ხოლო C და A რედაქციები სხვადასხვაობას გვიჩვენებენ. C რედაქციის ნუსხებში ანბანში წარმოდგენილია 39 ასო, *უ* მოთავსებულია *უ*-ს შემდეგ. A რედაქციის Aa ნუსხაში ბგერათა რაოდენობა ორმოცამდეა გაზრდილი. დამატებული აქვს *ფ* და სიგყვის შემერავი *ღ*. ხოლო *ჟ*-მ გადაინაცვლა ანბანის ბოლოსაკენ.

*ფ* გრაფემა ელინოფილი მთარგმნელების შეპოგანილია ბერძნული ენიდან შემოსულ სიგყვებში (მაგალითად, *ფილოსოფოსი* და *მისთანანი*). სულხან-საბას გააზრებული ჰქონდა, რომ *ფ* გრაფემის შესაბამისი ბგერა ქართულს არ ახასიათებს. იგი წერს: “*ფ* ესე ფარსა და *ჟ*-ს საშუალია, ძველს წიგნში ახლა ვიპოე. სხვათა ენის თარგმანში ფრიად საკმარ არს, ამისთვის ბოლოს დამიწერია, ... ამისი კმარებით ღია გამშვენიერდება სიგყვა” (II: 471).

ანბანში *ფ*-ს შეგანა სულხან-საბა ორბელიანის “დამსახურებად” ითვლება. იქამდე იგი ანბანში არავის შეჰქონდა, თუმცა ქართულად ნათარგმნი ლიტერატურის გექსტებში ეს ასო უკვე XII საუკუნეში გამოჩნდა (ბაბუნაშვილი, უთურგაიძე 1991: 27).

სულხან-საბა ორბელიანი ხაზგასმით აღნიშნავს:

ეს(ე) ჟა ძეულს წიგნებში იჟდა ღა მწერლებს უგულებელს-  
ეჟმნა(თ). მე ახლა ჩაუმაგე ZAA (II: 471).

ამ ასოზე დალაგებული სიგყეებით სრულდება “სიგყეის კონა”:

ჟაჟინთი სყლაგი თუ შალი ZA  
 ჟარმანდი ანაჟორასაჟით საყეაშია ZA  
 ჟარმე კურგაჟი ZA  
 ჟეხნები მსხვერპლის საყეი ZA  
 ჟილასოჟოსი სიბრძნის მოყეარე ZAA  
 ჟილასოჟოსი ჟილოსოჟოსი ZA  
 ჟოილნი ოთხი ქრთილის წონა(ა) ZA  
 ჟობ ეაისაჟით ZA  
 ჟოოგა ურიონი ZA  
 ჟულოყავ ელოყავ ZA

ამ ჩამონათვაღში საყურადღებოა ორი მაგალითი:

1) ჟილასოჟოსი, რომელიყ ერთგან განმარგებულია როგორყ სიბრძნის მოყეარე, მეორეგან კი მოყემულია მისი ქართული ენის-თეის ბუნებრივი დაწერილობა: ჟილოსოჟოსი;

2) ჟულოყავ, როგორყ განმარგება ელოყავ აჩვენებს, ჟ ე-ს პოზიციური ალომორჟია (ამის შესახებ იხ. გ. ახელედიანი 1949).

ქართული ენისთეის უყხო ჟონემა ჟ სხეა ენათა გავლენით დღეს ხშირად ისმის: კაჟე, სერთიჟიყაგი, ჟორუმი, კონჟერენცია, კონჟრონგაყია, მაჟია ღა მსგაესი სიგყეები. ქ. ლომთათიძის და-კვირეებით, ყალიბდება სრულიად გაუმართლებელი ე.წ. “ჟსეელო-ჟონოლოგოური” დაპირისპირება ქართულ ენაში ჟ-სა ღა ჟ-ს შო-რის. ხდება მათი “გადანაწილება” (ლომთათიძე 1993: 30). მაგრამ ეს მხოლოდ მოღური ცდუნებაა, მეგყეელების ჟაქტია. იგი არ ეხება კოდს.

როგორყ აღინიშნა, ანბანში ორბელიანს შეგანილი აქეს დ:

“ესე არს სიგყვათა შემაერთებელი ღა ცალკე ასოა. ყოველთა ენათა ანბანთა ბოლოს უზის ღა მეყ ბოლოს დაესეი, თუმყა ღონს ასო გედეთ აბია, შემყერელი ასო არს ღა თუმყა ანი გვერდით უზის, სიგყვისა შემწე არს”.

ორბელიანისეულ ანბანში გყხელება მ, ჟ, ჟ, ჟ, ჟ გრაჟემები, ანუ ყველა, რაც კი ძეულ ქართულ ხელნაწერებშია გამოყენებული. ანბანის მომღენოდ წარმოღგენილ ნაწილში “მეორედ სწავლება

ანბანისა რიგისა, სადა კმიანი ასო საკმარ არს რიგით", ყოველი თანხმოვანი ხმოვანთან ერთად არის წარმოდგენილი. აქ არსად გვხვდება მ, ძ, ჯ, შ, და ღ ბგერები. ლ. ბაქურაძის სწორი მითითებით, ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათ არა აქვთ ფონოლოგიური ღირებულება და სწავლების თეალსაზრისით არანაირი ფუნქცია აღარ გააჩნიათ (ბაქურაძე 1998: 80). მოსალოდნელი იყო, რომ ამ ასოებზე ლექსიკონში არც სალექსიკონო ერთეულები არ იქნებოდა, თუცა საქმე სხვაგვარადაა.

### მ

ესე მე სიგყვისა (სიგყვათა B) თავად ამის მეგი არ მოვალს და ბოლოდაც (ბოლოდაც B) იშეიათ, ხოლო საშუალ - მრავლად ZAB.

მე ესე მე კმიანის ასოსაც(ა) შემწეა და სიგყვის თავად ამის მეგად არ(ა) მოვალს და ბოლოდ- მრავლად, არამედ საშუალ - უმრავლესად C.

მე (3 მეფ. 18,5) ჰე, ჰო ZA.

მეებრაულ ებერისაგან(ო) ZAB (I: 294).

### ძ

ძ ესე (+ იე) ბოლოდ მრავალთათვის მოვალს და (ხოლო A) თავად არა ღია ZA. ესე ბოლოდ მრავალთათვის მოვალს, ხოლო თავად არა B. ნახევარკმიანი, არათავი, ბოლო და შუა C.

ძე ZABCDE.

ძროელ იროელ ZAB (I: 599).

### შ

ში (+6,7 გობია ZAa) (+ში B) არს არსრონი სიგყვათა დამამშენებელი ZAB.

ში საკვირველადცა ითქმის, კაცთა მიერ განსაბეცებულად და მჭმუნვარის მიერ კმოანებადაც D.

შიმე საკვირველად გასაჩემი ZA. "ში"-სავე შეთქმა არს (+გინა საკვირველო B) BD.

შორომი (შორომი ZA) ესე არს ცომის გუნდათა დასაწყობელი გამოსაცხოვლად (გამოცხოვამდე B) ZAB (II: 469).

ძ. შ ბგერებისა და შ დიფთონგის ფონეტიკური დახასიათება, სულხან-საბა ორბელიანს, შეიძლება ითქვას, სწორად აქვს მოცემული. ძ-ზე იგი წერს, რომ "ნახევარკმიანი", ანუ ნახევარხმოვანია, მ-ზე აღნიშნავს, რომ "კმიანის ასოსაც(ა) შემწეა", ანუ ხმოვანთან ერთ-

თად გვხვდება. მ ალბათ ე ხმოვნად არის გაგებული, რომელიც შედის ემ დიფთონგის შემადგენლობაში და ანბანის რიგში მერვე ადგილზეა მოთავსებული.

ფუნქციის მიხედვით მ, ფაქტობრივად, მორისდებულად არის მიჩნეული. ამაზე მიგვითითებს დახასიათება: “საყრველადცა ითქმის, კაცთა მიერ განსაბეცებულად და მკმუნვარის მიერ კმიანებადაც”.

ძირითადი შეცლომა ისაა, რომ სულხან-საბას მ, ა, ჰ-ზე მოცემული აქვს სიტყვები არასწორი დაწერილობით: მებრაელი, მროელი, შორომი.

უ-ს დახასიათებისას ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს მის ადგილზე ანბანში და შესაბამის რიცხვით მნიშვნელობაზე:

ესე უე ძველად გართან იჯდა და რიცხვშიაც მეოთხასედ ყოფილა. წერილთა შინა ღია საკმარია და ონსა და უს უნად სვემდენ. და შემდგომად უე რიცხვიდამ ამოულიათ და ოთხასად უნი დაუსვამთ, რადგან ფარი მეხუთასე იყო, უნსა და ფარს შუა უე ცულად რალათ მჯდარიყო, ამისთვის ბოლოს შეს ქვეშეთ დაესვი, რიცხვი რიცხვს მოებას და ეს(ე) ბოლოს იყოს, რათა რიცხვი არ(ა) აირიოს ZA” (II : 469).

უ ანუ უი დიფთონგი წარმოიქმნება მორფემათა მღვარზე, მაგალითად, დათუ-ი - დათუ, “სიტყვის კონაში” კი უ-ეს ქვეშ ათი სიტყვა აქვს შეტანილი და განმარტებული:

უაინთი, უვილოსი, უოცა, უბაგოსი, უპოლიასგოლი, უპოვათ-რად, უსსოპი, უფ, უფენ (II: 469-471).

ანბანის მომდევნოდ წარმოდგენილ ნაწილში “მეორედ სწავლება ანბანის რიგისა, სადა კმიანი ასო საკმარ არს რიგით”, კ ხმოვანთან კომბინაციაში გვხვდება, რადგან იგი ფონემაა: კა-კე-კი-კო-კუ. თუ ლექსიონში მ, ა, უ და ჰ-ს ხმარების წესები აღრუელია, კ-ს მტკიცედ განსაზღვრული ფონოლოგიური ღირებულება აკისრია. კარისა და ხარის ხმარება არსად არ არის დარღვეული (ბაკურაძე 1998: 80).

ხელი - გივი

კელი - მაჯას წინათ

ხდომა - წილის რგება

კდომა - მოხდომა, გინა წინააღმდეგობა

ხუვილი - წყალთა და

კუვილი - ყანის თავთავი

ქართა ხმა

ხვირი - სამღვედლო

კური - ჯინი

თავსაბურავი

კ ასოზე ლექსიკონში მრავლადაა სიტყვები შეგანილი და განმარტებული, თუმცა უკვე იმ დროისთვის სალიტერატურო ქართულში მას დისკინქტური ძალა დაკარგული ჰქონდა.

ქართული ენის ბგერითი ინენცარის კოდიფიცირების პრეგენზიას გამოთქვამდა ანტონ პირველი. იგი წერდა:

“გარნა ჩუჲნ, ოღეს იგი ღრამმაგაციოსობის კელოუნებასა შინა გამოცდილ ვიქმენისით, არა მოუღედ განმსჯულთა ვასაჭიროეთ მომაგებაჲ კმოვანისაახლისა, რომელაგდა კულად ღაქართუენით ხმოვანთა ესენი: მ, ა, უ და ყოველნიეუ ცხრა ვპყუენით და თანად ყოველნიეუ შევაორმოცეთ, რომელნიცა აქა იჩუენებიან: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ჯ, ჟ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, კ, ჯ, ფ, პ, მ” (ანტონ პირველი 1997: 123).

რაც ასე უნდა გავიგოთ: გარდა იმისა, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ ახალი ე ხმოვნის მომაგება, მ, ა, უ ხმოვნებიც კელავ დავურთეთ (ე.ი. აღვადგინეთ) და, საერთოდ, ბგერათა რაოდენობა “შევაორმოცეთო”

ანტონ პირველის ქმედება მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა ქართული ენის ფონეტიკისა და ორთოგრაფიის კოდიფიცირების საკითხში. იგი ყოველნაირად ცდილობდა მის მიერვე შექმნილი ნორმის გაგარებას და ახერხებდა კიდეც. მან დაიწუნა 1764 წელს თბილისში კუროთხევანის ახლად ნაბეჭდი დასაწყისი გვერდები, რადგან “გარეგან ღრამმაგაციისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი”. ამის შემდეგ ებრძანა ილუმენ მისაილს და “გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამმაგაციისასა”. თბილისსა და შემდეგ ქუთაისში დაბეჭდილი წიგნების ანდერძებში ხშირია იმის აღნიშვნა, რომ წიგნი გამართულია “ღრამმაგაციისა კანონსა ზედა”, რაც ანტონ პირველის გრამმაგაციით შემოღებული წესების გაგარებას გულისხმობდა (ა. შანიძე 1964 : 7), მიუთითებს, რომ ანტონ პირველი იყო ნამდვილი კოდიფიკატორი (ე. ჰაეგენისეული გაგებით), არბიტრი, რომელიც საზოგადოებაში მიჩნეული იყო ანგარიშგასაწეე პიროვნებად. მის მიერ შემოტანილ ენობრივ ნორმებს კანონის ძალა ჰქონდა.

ქართველი რომანტიკოსები ანტონისეული ორთოგრაფიის მსუბუქ გაულენას განიცდიდნენ (კ. დანელია 1980: 242), ამიგომაც მათი ნაწერებისთვის დამასასიათებელია ასეთი ფორმები:

გინდა ხარამობაყა ექნათ, მხატვრებიც ყიყენეთ, ინეინრებიც, ფილასოფოსებიც და ლიტერატორებიც (ალ. ორბელიანი 1980 : 185).

ფაქტად ქალაღმედ დაწერონ და ვნახოთ, პასუხის მიცემას შეიძლებს ვინმე (ალ. ორბელიანი, იქვე: 184).

გამოცდილი ორაგორი იხმარებს შესაბამსა ძრამასა წინადა-  
ლებისასა (დოდაშვილი 1980: 73).

კეკლეუობით სეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე,  
შლექებ გაშლილნი! (გრ. ორბელიანი 1980: 107).

გაწყობილი ხმა მისი აწარმოებს სმენისათვის სასიამოვნოსა  
სიმჟონიასა (დოდაშვილი 1980: 68).

ი. ჭავჭავაძემ ცნობილ კრიტიკულ წერილს “ორიოდე სიტყვა თავად რევამ მალვას ძის ერისთავის კაბლოვიდგან “შემლილის” თარგმანზედა” დაურთო ასეთი შენიშვნა: “ჭ, ჭმ, ძ, ჯ, კ ეს ასოები სულ არ გვიხმარია ჩვენ სტაგიაში. თუ, ვინიცობაა, ეს ენის წინააღ-  
მდეგ მიაჩნდეს ვინმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პა-  
სუხი და გამოვაცხადოთ, რა მიზეზითაც არ ვხმარობთ” (ჭავჭავაძე  
1991: 11). ი. ჭავჭავაძემ ანგონის მსგავსად კი არ მიაწერა ენას  
მისთვის არაბუნებრივი ბგერები, არაჟედ აღწერა და გამოიყენა  
ენის რეალური ნორმა.

## § 2. შეცდომები ენის გრამატიკული კატეგორიის კოდიფიკაციაში

ქართულ ენას სქესის გრამატიკული კატეგორია არ ახასიათებს. იგი მხოლოდ ლექსიკურად განასხვავებს ზოგი სულიერი საგნის ორ ბუნებრივ სქესს - მდედრობითსა და მამრობითს (ღონდუა 1967: 167; დანელია 1986: 87), მაგრამ ძველი ბერძნული ენის femininum-ის გადმოსაცემად ელინოფილური მიმართულების ქართველმა მთარგმნელებმა საციკალიური მორფოლოგიური ნიშნები შექმნეს.

XI საუკუნის მეორე ნახევრის ასკეტის თარგმანში ეკისხულობთ: “მდიდარაჲ მოიღებენ ჭიჭნაურსა, ხოლო ქურივი მაგყლსა შეღებილსა”. ეფრემ მცირე საზგასმული ფორმის კომენტარებისას წერს:

“შეისწავე: მდიდარაჲ ახალ მოპოვნებულად დედლად სიგყუად (ე.ი. მდედრობითი სქესის სახელად, თ.ბ.), რაჩეთუ დედაყაი არს მომღებელი ჭიჭნაურისაჲ” (კეკელიძე 1956: 254; სარჯველაძე 1984: 231, 245).

დიას, “ახალ მოპოვნებული” ანუ ახლად შექმნილია - ა სუფიქსი გრამატიკული მდედრობითი სქესის ნიშნად. საინტერესოა ბიბლიის გელათური ვერსიის (ამის შესახებ იხ. გიგინეიშვილი, კივიძე, 1966: 155) ერთი ადგილი:

და იყოს ერი ვითარცა მღელი. და ყრმა ვითარცა უფალი და მკევალი ვითარცა უფალა. ესაია 24.2.

ამ წინადადებაში ერთდროულად თანაარსებობს სქესის გამოხატვის თვალსაზრისით ქართულისთვის ბუნებრივი და ხელოვნური ფორმები:

ყრმა - მხევალი აქ სქესი ერთი სემანტიკური ჯგუფის ანგონური ლექსიკური წყვილით გადმოიცემა.

უფალი - უფალ-ა შექმნილი მორფოლოგიური ნიშნის -ა სუფიქსის დართვა-დაურთველობა ქმნის გრამატიკულ სქესში სხვაობას, რაც ამ შემთხვევაში ბუნებრივ სქესს ემთხვევა.

ა- სუფიქსის გარდა, რომელიც გვხვდება, ყრმაა, ებრაელა, მობელა, წინასწარმეტყველა, მოხუცებულა, ჭაბუკა, იგია სახელებში, გამოყენებულია -იდ ბოლოსართი: ჭაბუკიდი, ბრმიდი, თითოეულიდი (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გიგინეიშვილი, კივიძე 1966).



სასულიერო ძეგლების ქართულ თარგმანთა ბერძნულ წყარობთან დაახლოების გენდენციამ იჩინა თავი XI საუკუნის მეორე ნახევრიდან და XIII საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა. მართალია, ამავე პერიოდის ქართულ გრამატიკულ ტრაქტატში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ბერძნული ენის მამალ, დედალ და შუა სქესს გარკვეული ართრონები შეესაბამება (რაც ამ ენის დიდ ღირსებადაა მიჩნეული), მაგრამ იქვე ნათქვამია:

“შეუძლებელ არს თარგმანებაჲ მისი ენასა ზედა ქართულისაო”.

ტრაქტატის ავტორის სწორი აზრით, ბერძნული ართრონიანი სიტყვები უართრონოდ უნდა ითარგმნოს:

“რამეთუ ჩუენსა ენასა არა ჰქონან სახელთა წინა დასასხმელნი ართრონი, ეინაჲცა. რაჲემს გეგულებოდის ბერძნულსა ართრონიანსა სახელსა თარგმანებაჲ, “თოს“-სა ესრეთ სთარგმნი, ვითარმედ “ღმერთი”. რამეთუ არა არს ართრონი ენასა ზედა ჩუენსა და ვერ შესაძლებელ არს თარგმნაჲ მისი, ეინაითვან არა არს”.

ქართულში ართრონის საჩვენებლად მას ბერძნული ართრონების გამოყენება დასჭირვებია. იგი იძლევა ბერძნულ ართრონდართული ქართული სიტყვების ბრუნების მაგალითებს: “ო, ღმერთო, გუ ღმრთისაჲ... გის სამებისაჲ, გინ სამებასა...” და ა.შ. საბოლოოდ კი ასკენის:

“გარნა არცა ეგების ესრეთ თქუმაჲ ქართულად და არცა შეუენის ენასა ჩუენსა ართრონი ბერძული; და ქართულნი ართრონი არ არიან” (მ. შანიძე 1990: 60, 63).

გრამატიკული ტრაქტატის “სიტყვაჲ ართრონთათუს” ავტორისთვის სავსებით ნათელია, რომ სქესის გრამატიკული კატეგორია ქართულისათვის ხელოვნური და თავსმოხვეულია.

სულხან-საბა ორბელიანმა “ლექსიკონი ქართულის” “ანდერძნამაგში” დაიწუნა ელინოფილთა “ღვარჭნილი” სტილი, მაგრამ “სიტყვის კონაში” მაინც არის მსჯელობა ქართულში სქესის მორფოლოგიური გამოხატვის შესახებ.

“...მამალ-დედლურთა ენათა შინა უმრავლეს არიან ართრონი. ხოლო ქართულიცა ენა ითქმიან მამალ-დედლად უკუეთუ ენებოსთ, რამეთუ პირვანდელთა წიგნთა შინა მრავალგან


მინახვან ეგრე მამალ-დეღღურითა სიგყვით ნაწერი. როშელთამე ადგილია აქაცა ჩაშირთავს ქვემორე” (I: 64).

ეს ადგილი ალბათ ასე უნდა გაეიგოთ: ქარსულ ენაში შეიძლება მღღღრობითი და მამრობითი სქესის გარჩევა, თუკი გვსურს (თუკი მოეინდომებთ), რადგან ძველ წიგნებში ხშირია ასეთი რამ და ზოგიერთ ადგილას ქვემოთაც ჩაფურთავ.

უაქტობრივად, გრამატიკული სქესის გარჩევა ქართულისთვის მხოლოდ შესაძლებელ მოვლენადაა აღიარებული და არა აუცილებელ. ენის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე მორფოლოგიურ კატეგორიად. მართალია, ორბელიანი წერს, რომ ეს მოვლენა მხოლოდ ფილოსოფოსთა ენას ახასიათებსო, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში სულხან-საბა იწონებს ელინოფილთა გემს.

“ესრეთ ჯერ-არს თქუმაღ, რათა ერთისა სიგყვისა თქმასა განყოფელთ ხსენებასა მამაკაცისასა და დედაკაცისა” (I: 432).

სულხან-საბა ერთად იძლევა სქესის ლექსიკურ და მორფოლოგიური გამოხატვის მაგალითებს. კაცის (I: 359) განმარტების მიხედვით დაყოფა ასეთი იქნება:



ჭაბუკი (ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე) მოხუცებული (ორმოცდაათის შემდგომად)	ჭაბუკ-ა მოხუცებულ-ა
ბერი	ბებერი
მამაბერი	დედაბერი

არ ჩანს, რომელს მიეკუთვნება მიხრწნილი; ჭარმალი და მცოვანი კი კაცის მახასიათებლები უნდა იყოს, რადგან წვერთეთროსანს აღნიშნავს. ასეთი კლასიფიკაცია ორბელიანის ლექსიკონისთვის დამახასიათებელია (იხ. თავი IV), მაგრამ სქესის კატეგორია ქართულ ენას მისი ფიქსირებული ისტორიის მანძილზე არ ჰქონია.

სქესის ლექსიკურად გამოხატვის მაგალითებიც არის “სიგყვის კონაში”:

მრუში - არს ეაჲი (კაცი B) ცოლოსანი ბოზობდეს, ხოლო მემრუშე - ქალი ქმრიანი ZAB (I: 463).

გამზრდელი ეაჲთა მზრდელსა გამზრდელი ეწოდების, ხოლო ჩჩვილს ქალთასა - გადაა Z (I: 132).

-ა- როგორც მდედრობითი სქესის მაწარმოებელი

1. ბატონ-ა ქალი მეპატრონე ZAB. ბატონი ეაჲი მეპატრონე ZAB (I: 97).

2. ქალწულ-ა ქალი უბიწო ZABCb. ქალწული - ეაჲი უბიწო ZAB. კაცი უბიწო Cb (II: 211).

ქალწულის უბიწო ვაჲად ან უბიწო კაცად განმარტება, რა თქმა უნდა, არასწორია, მით უმეტეს, რომ კომპოზიტი ქალწულში ქალ ფუძე შედის. ამ განმარტების მცდარობას სულხან-საბა ორბელიანიც გრძნობდა, რის გამოც ქალწული განუმარტავია CaqDE ხელნაწერებში. ZABCb ხელნაწერებში ამ სიგყვის არასწორი განმარტება გამოიწვია ქალწულ-ა ხელოვნური ფორმის შემოგანამ ლექსიკონში.

3. დედოფალი, მეფ-ა, უფალ-ა - ყველა ერთსა ჰქვიან B. დედოფალი ეწოდების ყოველთა მლიდართა სახლის უფალსა მას ცოლსა, ხოლო მეფის ცოლსა - უფალა. ერისათვის ცოლსა - ბეჲ-ა (? - თ.ბ.), სხვათა მებატონეთა ცოლსა - ბატონ-ა... XA (I: 215).

4. მეფე ეწოდების კაცსა ხელმწიფესა, მაღალსა და გვირგვინოსანსა. ხოლო მეფ-ა - ქალსა, რომელ არს დედოფალი ZA (I : 467).

5. მონაზონ-ა ქალი მოწესე ZAB. მონაზონი ვაჟი მოწესე ZA (I : 502).

6. მოყუასი კაციისთვის ითქმის, მოყუას-ა ქალისათვის C (I : 511).

7. მხილველ-ა - წინასწარმეტყველ-ა ZAB. მხილველი - წინასწარმეტყველი ZABCaD (I : 552).

8. მამალ-დედღურითა ენითა ვაჟისათვის ითქმის ყრმა და ქალისათვის ყრმააჲ, მონისათვის ყრმა (+ და ZA). მხეელისათვის - ყრმაა (+ და ZA). მონათა ანუ ყრმათა სუბუქ სახელად - ყრმააჲ ZAB (II : 271).

#### -ი//-ჲ როგორც მღედრობითი სქესის მაწარმოებელი

1. ავ ითქმის კაცისა ბოროტისათვის და ავ-ი ქალისა ბოროტისათვის და პაჲი ყო(ე)ელთა სხუათ(ა) ბოროტათვის ZAB (I : 40).

2. მაფა-ჲ, მეფა-ჲ, დედუფალი ZAB (I : 447).

3. მონა ნასყიდი ვაჟი ZAB. მონა-ჲ ნასყიდი ასულ-ა (ასული Aa) ZAa (I : 502).

4. ყრმა-ს მღედრობითი სქესის საწარმოებლად ა-ც დაერთვის და -ჲ-ც

ყრმა-ა მკეცალი ZAB; ყრმა-ჲ - ქალწულას უწოდენ ZA. ქალს უწოდენ B (II : 271).

სულხან-საბა ორბელიანი -ა, -ი//-ჲ აფიქსებს მხოლოდ არსებით (ან გარსებითებულ) სახელთა მღედრობითი სქესის გამოსახატავად როდი იყენებს, არამედ ნაცუალსახელებისა და გმნის ფორმებშიც. როგორც ჩანს, იგი ასეთ შემთხვევებში ძველ ქართველ მთარგმნელ-განმმარტებლებს ეყრდნობა.

5. იგი კაცისათვის ითქმის და იგიაჲ (იგიაი B) დედაკაცისათვის ZA (I : 323).

6. ფილოსოფოსთა სიგყვითა მან მამალად ითქმის, მან-ა - დედღალ, მასი მამაკაცისათვის და მასა-ჲ დედაკაცისათვის, ამისათვის რამეთუ ესრეთ ჯერ-არს თქმად სიგყვათა, რათა ბოლოს(ა) მარცვალთა მიერ ვიცნათ განყოფა მამაკაცთა და

დედაყაყა, ოდეს(ყა) ეთქვით: წინასწარმეტყველი, ეაკსენეთ მოსე, ღაყით, ესაია და გინა სხვა ვინმე მამათაგანი, (+ხოლო ZA) ოდეს ეთქვით: წინასწარმეტყველა, გვითქვაჲს მარიამ, ღებორა, ანნა და ერთი დედათაგანი; აგრევე მოციქული და მოციქულა (+ და მოწამე და მოწამა, მონაზონი და მონაზონა ZA), ხოლო უკეთუ ეთქვათ, მოვიდა, ვიგყვით მამაკაცისასა (მამაკაცისათვის B) და უკუეთუ ეთქვათ, მოვიდაჲ - დედაყაყისათვის, აგრევე ყოყელი საზოგადო სათქმელი განყოფებიან ZAB (I: 432).

როგორც ეს მაგალითები მოწმობენ, მდებრობითი სქესის აღმნიშნელი სუფიქსი -ი შეიძლება პირიან ზმნასაც მოუდიოდეს, მაგრამ საერთოდ რომელიმე სიგყვას (სახელს ან ზმნას) მდებრობითი სქესის გამოსახაგაეად კონკრეტულ შემთხევევაში რომელი სუფიქსი უნდა დაერთოს, მტკიცედ განსაზღვრული არ არის. უფრო ნებისმიერია. გამოყენებული იქნება ის ნიშანი, რომელიც ფუძისთვის უფრო შესაფერისი აღმოჩნდება (დანელია 1986: 99), ანუ “რომელიც(ა) მას სიგყვას(ა) კეთილად მოეზაოს” (I: 433).

კ. დონდუას ამრით, მდებრობითი სქესის აღმნიშნელი -ა (რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ამ ფუნქციით) აფიქსი საყუთირიე ქართული წარმომავლობისაა და არა რომელიმე ინდოევროპული ენიდან (მაგალითად, ბერძნულიდან) შემოგანილი. იგი უნდა მოდიოდეს -აღ სუფიქსიდან: ა ← -აღ. მისი საფუძველი უნდა ვეძებოთ ისეთ სიგყვებში. როგორცაა ღედა, ღა. ამ ხმოყანზე მამრობითი სქესის აღმნიშნელი სიგყვებიც ბოლოვდება: მამა, ძმა და სხვა, მაგრამ გასათეალისწინებელია, რომ ქართულში მხოლოდ მდებრობითი სქესისთვის არის სპეციალური ნიშნები და არა მამრობითისთვის: “В грузинском слова феминизируются, но не маскулинизируются, и, следовательно, здесь не может быть основной для каких-либо недоразумении” (დონდუა 1967: 179).

ღ. ბაკურაძე მიიჩნევს, რომ -ი და -ა სუფიქსები მამრობითი და მდებრობითი სქესის სახელთა დასაპირისპირებლად გამოიყენება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში:

მამრ: -ი	მდებრ: -ა
ქურიე-ი	ქურიე-ა
ჩჩულ-ი	ჩჩულ-ა
უსუარ-ი	უსუარ-ა

ლ. ბაკურაძის აზრით, -ი-ს ამ ფუნქციით წარმოდგენა მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ გაეისხენებთ, რომ სულხან-საბას, იგალიელ მისიონერთა მსგავსად, -ი სახელობითი ბრუნვის ნიშნად არა აქვს გამოყოფილი. მისთვის ნათელია, რომ ეს -ი არც ფუძისეულია. ამდენად, სისტემის შესაქმნელად მას ორბელიანმა ბუნებრივად დააყენა ახალი ფუნქცია. -ი მორფემა ფრანჩესკო მარია მაჯოს "ქართული ენის გრამატიკაში" ფუძისეულადაა მიჩნეული. ამიტომ -ი არ არის სახელობითი ბრუნვის ნიშნად გამოყოფილი და ამის გამო მოთხრობითშიც კი, რომელსაც მაჯო მეორე სახელობითს უწოდებს, -ი შენარჩუნებულია: ბიჩი - ბიჩიმა. როგორც ჩანს, ლაასკენის ლ. ბაკურაძე, საბაე სწორედ ასე მოიაზრებს -ი-ს ადგილსა და ფუნქციას ამ სიტყვებში (ბაკურაძე 1998: 26, 30). ეს კი ყოველად შეუძლებელი და დაუჯერებელია. სხვა თუ არაფერი, სულხან-საბა ორბელიანს თავისი ენობრივი ალლო უკარნახებდა, რომ ბიჭიმა (მაჯოს ბიჩიმა) ფორმა ქართულისთვის არაბუნებრივი იყო.

გრამატიკული სქესის შესახებ მსჯელობა გვხვდება როგორც ზურაბ შანშოვანის, ისე ანტონ პირველის "ქართულ გრამატიკაში". ანტონ ბაგრატიონი წერს:

"მღევარი ესა ანუ შენადრგენი სახელისა. რომელა ნათესაჲი, ესა ცნობილ არს, ვითარმედ ოთხთა მიმართ სახეთა აქუს წუალებამ, რამეთუ სახელი ენისაშებრ ჩუჩნისა ანუ არს მამრობითი ანუ მდედრობითი ანუ უმუშუმობითი და ანუ საზოგადო... არარამჲე აქუს ნიშან ჩუჩნისაშებრ ენისა სახელსა არსებითსა, მამრობითად თქმულსა და არცაღა მდედრობითად. ხოლო გედშესრულთა სახელთა მდედრობითად აქუს რომელთამჲე დამაბოლოებელ. მაგალ.: ჳაბუკა, უფალა, მეფა, წინასწარმტყვეველა, ყრმაა, ებრაელა, მოაბელა (ანტონ პირველი 1997: 138-139).

ასეთ ფორმებს ქართული რომანტიკოსებიც იყენებდნენ:

მეფას თამარის დროში, ჩვენში აღყუაყუებული სიტყვიერება საყიერველად ნუ გექმნებათ, ამისთვის, რომ ძლიერი იყო (ალ. ორბელიანი 1980: 143).

მეფა თამარი - მეფე თამარი ეს ლექსი... თორმეტს მშენიერს ქართუელზე დაწერილია რამშაძისაგან (ალ. ორბელიანი 1980: 253). ქართველა - ქართველი ქალი.

XIX საუკუნეში, რუსიფიკატორული პოლიტიკის მეოხებით, შეიქმნა კნეინას (რუსული княгиня) მსგავსი ხელოვნური ფორმები. როგორც კ. დონდუა წერს:

“Чудовищнос (любопытный пример смешения! Грузинско-русское **მთავრინა**, груз. მთავარ + русск. суфф. женского рода -ыня) слово, освященнос церковью и охотно сю употреблявшееся при молитвенных возношениях о царствовавшем доме, или точно такого же типа грузинско-русское **თავადინა**” (დონდუა 1967 : 169).

სწორედ კნეინა და თავადინა გიპის სიტყვებითაა გარითმული საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ეკატერინე ჭავჭავაძის ხელნაწერ ალბომში (S8) ჩაწერილი ორი ლექსი:

“სჭურეცს ორიონით, ნათელ მერთოლინა,  
მთიებრ შუქ-მფენი სპეგაც - ბროლინა,  
თჳალ-შაუარდენა, მეერდ-მწყაზარინა,  
გულის შიდამოს სულს მომწადირნა.  
მშულდნი მოზიდნა, გიშრის ისრინა,  
ინდთ რაზმით ფრინა გულს განასრინა,  
ვარდთ კოცობთ მყინა კაეკას მზირინა -  
ესრეთ შემეულ არს ეკატერინა .”

გამოყოფილი სიტყვები საბოლოოდ ერითმება ეკატერინას, მაგრამ წარმოებით ყველა ხელოვნურია და მისდევს თავადინა გიპს.

“ეკატერინა - ეარდ კოცობინა,  
სულნელ ვაზისა ალო შგახსინა  
ცქრიალა, მცინა, კარგ თვალთ მაქცინა,  
სიხარულის ფრთით კოლხიდს მომფრინა.  
თუალ თილისმინა, ბაგე ყანდინა,  
წელწერწეგინა გულს განმეკრთინა,  
ვით მტრედ-გურიგინა შენდა მლიდინა,  
სიხარულის თავს გოლს შემზინა.

საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ

1839 აპრილის 18

### § 3. სტილის არჩევისას დაშვებული შეცდომები

ანგონ პირველი სამი სტილის შესახებ “ქართული ღრამმატიკის” პირველ ვრცელ რედაქციაში წერს:

“პირუშილი იგი არს, რომელსა აქუს სიმცირე რჩეულმობრახობისაგან, გარნა უფრორე აღიელ გასაგონ ვიდრეჲ არს ყოველთა, ვითა არს სითხზუმ სენაქსრისა და მოთხრობათა. მეორე უკემ არს. რომელსა სამუალქცევაჲ აქუს რჩეულმობრახობისაგან და გკბილსიგყუაობისაგან და არა არს ეგოდენ აღიელ გასაგონ ყოველთა. ვითა-იგი არს სიოხზუმ უმეტესთა კერძითა საღმრთოთა წერილთასა. მესამე ვიდრეჲმე არს, რომელსა სრულად აქუს რჩეულმობრახობისაგან და გკბილსიგყუაობისაგან და არა არს გასაგონ ყოველთა, არამედ მხოლოდ მეცნთა შორის აქუს ნაყოფი თუსი” (ანგონ პირველი 1997 : 383).

სტილთა აქ მოცემული განსაზღვრებების მიხედვით მათ შორის სხვაობას ორი ფაქტორი განაპირობებს: რაც უფრო მეტია თხზულებაში რჩეულსიგყუაობა, მით უფრო გაუგებარია იგი მკითხველისათვის.

სტილთა ქანრობრივ განპირობებულობას განსაკუთრებული ყურადღება ევროპულმა კლასიციზმმა მიაქცია და ეს ნაცოლა ბუალოს სახელს უკავშირდება. სტილთა სხვაობაზე მსჯელობა სულხან-საბას “სიგყვის კონამიც” იყო (ამის შესახებ იხ. თავი III, §2). მის მიერ გამოყოფილ ზეშთა, სწორ და დამხე სტილს საღმრთო წერილი. გარეშეთა წერილი და ზღაპრობანი შეესაბამება (ბაკურაძე 1998: 2).

სტილი რეალურად სამზე გაცილებით მეტია, მაგრამ საქმე სტილთა რაოდენობა კი არა, სტილის არჩევაა. ანგონ პირველისთვის ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია მისაღები იყო იმდენად, რამდენადაც ეს თეორია მას შესაძლებლობას აძლევდა, ეწერა და გაეგრესებინა მაღალი ხელოვნური სტილი (ბაბუნაშვილი 1963: 30). რა იგულისხმებოდა მაღალ სტილში? ანგონმა მაღალი სტილისთვის დააკანონა ძველი ქართულის თავისებური სუროგატი, “ენა ღელარჭნილი, რთულ წინადადებათა მოგრაფიალე, მიძლეობებით მდიდარი, მზნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი” (ჩიქობავა 1950: 021). ეს იყო ფსევდო ძველქართულისებური სტილი. აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მომენტს. ვ. ბოედერის მართებული დაკვირვებით, XVII-XVIII საუკუნის მოღ-



ვაწეები მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს “ისტორიულ”, “გარდასულ” ადამიანებად არ თელიდნენ, მათ “კელაე მყოფებად” მოიაზრებდნენ და საერთოდ ახასიათებდათ უწივეობის განცდა (ბოედერი 2001: 13). მაღალი სტილი ენობრივ სიწმინდეს გულისხმობდა, რომელიც, თავის მხრივ, სამაგალითო იდეალებთან დაბრუნებად გაიაზრებოდა. მაგრამ სულხან-საბასა და ანტონ I-ს შორის ამ თეალსაზრისით სხვაობაა. ისინი განსხვავებულად ეკიდებოდნენ ენობრივ მეგვიდროებას. ანტონ პირველს პირდაპირ გადმოჰქონდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისთვის დამახასიათებელი ენა და ამით კოდიფიკაციურ შეცდომას უშვებდა. კოდიფიკაციაში შეცდომები სულხან-საბასაყ მოსდის (იხ. ამავე თავის §2), მაგრამ კრიტიკულად უდგებოდა ელინოფილთა ენას და, როგორც უკვე აღენიშნეთ, “ღელარჰნილი” უწოდა. ეს ეპითეტი “ღელარჰნილი” შემდეგ გამოიყენა არნ. ჩიქობავამ ანტონ პირველის მაღალი სტილის დასახასიათებლად (იხ. ზევით). ორბელიანმა ენის ბუნებრივი განვითარების ჩვენებისკენ აიღო გეზი და სტილებსაც ბუნებრივი (ცოცხალი) ენის ფარგლებში განასხვავებდა, ამიგომ საბასეული დაყოფა ძირეულად სხვაობს სტილთა ანტონისეული დაყოფისა და, რაც მთავარია, არჩევანისაგან.

აღ. ორბელიანი წერს:

“ქართული ენის თვისებას რომ ერთიუ ზედ დაუმატოთ, სამათ გაიყოფება: პირველი საღმრთო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე მდაბიურად ანუ დარბაისელთ უბნობად და მესამე გლეხკაცების ენად” (აღ. ორბელიანი 1980: 149).

ამის საილუსტრაციოდ იგი იმოწმებს ერთ-ერთ ფსალმუნს (დავითნიდგან კანონი ე. ფსალმუნი მბ.)

“საღმთო ანუ საეკლესიოს წერილის მიხედვით, მასუკან ეს დედანი დარბაისელთ ენის თესებაზედ გადმოვილოთ და მერე გლეხკაცების ენაზედ, ენახოთ, ამ სამში რომელი საუკეთესო ენა იქნება?” (აღ. ორბელიანი, 1980: 149).

“საეკლესიო წერილი”:

“მისაჯე მე, ღმერთო, გამოაელინე ნათელი შენი, და ჰეშმარიტება შენი. ესენი მიმიძღუეს და მიმიყანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა, და შევიდე მე წინამე საკურთხეველსა ღუთისასა, ღუთისა მიმართ, რომელმან, ახარა

სიჭაბუკესა ჩემსა, ალგიარო შენ ბობლნითა, ღმერთო ჩემო. რად მწუხარე ხარ. სულო ჩემო: ანუ რად შემადრწუნებ მე: ესდევდე ღმერთსა, რამეთუ მე აუარო მას მაყხოვარსა პირსა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა”.

### ღარბაისლების სიკყურებით:

“განსაჯე, გამისამარაულე, ... ღამსაჯე მე, ღმერთო, მიწ-ყალოზე მე ჭემმარიგი სამართალი. ამან გამაბედუინოს შენთან ხლება შენს უმანყო სასახლეში, სადაც მოგმართო და შემოვიდე შენს საუკეთესოს სენაეში, რითაც მოეცემა ჩემს სიჭაბუკეს დიდი ნუგეში, მაშინ გულის სიწმინდით აღჯარებ საყრავით, შენს დიდ მსაჯულებას, ამისთვის, სულო ჩემო, რაღათ მწუხარებ შენ? ანუ რისთვის შემადრწუნებ მე? მიენდე ამ დიდს მსაჯულს, რომელსაცა მიუუახლოვდები ჩემს განმაცოცხლებელს პირსა და ღმერთსა ჩემსა”.

### გლესკაცების ენით:

“გასინჯე, ისე მიბოძე სამართალი, ღმერთო, შენს წყალობას მოველი, სწორე სამართალი მიბოძო, იმან გაჭაბედუინოს, შენთან გიახლო, მეგად კარგს სასახლეში, რომ შენს საყუთარს სადგომში შემოვიდე და შემოგეციზნო. ეს იქნება ჩემი ყმაწვილკაცობისთვის დიდი წყალობა შენი. მაშინ შემოგიდგები დაჟიო, ღმერთო ჩემო. ახლა, ჩემო სულო, რაღათ უნდა შესწუხდე და ან შუოთაედე? იმისთანას დიდს მოსამართლეს მიენდე. დაგიახლოვოს იმ ჩემმა შემწემა და იმ ჩემმა დიდმა მოსამართლემ ღმერთმა”.

ამ სამი “უბნობიდან”, როგორც ალ. ორბელიანი უწოდებს, იგი ირჩევს “საშუაღს ენას, ღარბაისელთ ენას”, რადგან ამ ენაზე შეიქმნა “რუსულანიანი, ვისრამიანი, დაერიშიანი, სიბრძნე სიერუე, ყარამანიანი; სხეანი და სხეანი და ბოლოს ვიგყვ “ვეფხვს-გყაოსანი” (ალ. ორბელიანი 1980:151). ღარბაისელთა ენა, რომელიც ალ. ორბელიანის აზრით, ახლოსაა როგორც საეკლესიოსთან, ისე გლესკაცების ენასთან, ფაქტობრივად ისაა, რასაც დღეს ახალ ქართულ ენას უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით კ. დანელია წერს:

“არქაიზმებისა და ანტონისეული ორთოგრაფიის მსუბუქი გავლენის გამოა, ალბათ, რომ რამდენადმე მიჩუმათებულია რომანტიკოსთა როლი ახალი სალიგერატურო ქართულის

ჩამოყალიბების საქმეში, რა თქმა უნდა, რომანტიკოსებს მიზნად არ ჰქონიათ (და პრინციპულად არც უნდოდათ) სამწერლო ენის დემოკრატიზაცია, მაგრამ მათ თავიანთი ლიტერატურული ნაღვაწით სტიქიურად პირველად აჩვენეს ახალი ქართულის ლიტერატურულ ენად გამოყენების შესაძლებლობა... ამდენად, ილიასა და სამოციანელებს უკვე ჰქონდათ მშეენიერი ნიმუშები იმისა, თუ როგორ უნდა მოეხდინათ ენის დემოკრატიზაციის თაობაზე შემუშავებული პრინციპული მსოფლმხედველობის რეალიზაცია მხატვრულ შემოქმედებაში” (ქ. დანელია 1980 : 243).

ენის სოციოლინგვისტურ გიპს განსაზღვრავს მისი მახასიათებლები (სხ. თავი I). ქართული ენა სტანდარტიზებულია, რადგან აქვს *de jure* დადგენილი კოდიფიცირებული ნორმები, რომელიც მიღებულია და გაზიარებულია მასზე მეტყველი ცოცხალი კოლექტივის მიერ და აქედან გამომდინარე, აქვს ფაქტობრივი ნორმებიც.

თანამედროვე ქართული ენა პომოგენურია, ანუ მისი ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი გამომდინარეობს მისი განვითარების წინარე სტადიებიდან. ქართული ენის ისტორიის ძირითადი პერიოდის შესახებ გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს სწორედ ამ ენის პომოგენურობა აერთიანებს. იმის მიუხედავად, რა პერიოდებს გამოეყოფთ - ძველსა და ახალს (არნ. ჩიქობავა 1950: 018). თუ ძველს, საშუალსა და ახალს (ა. შანიძე 1939: 272. სარჯველაძე 1991) - ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართული ენის ისტორიის ყოველი შემდგომი პერიოდი წინაპაველს ბუნებრივი გაგრძელებაა.

მასპასადაძე, ქართული ენა, მისი სოციოლინგვისტური მახასიათებლების (აგრიბუტების) მიხედვით, სტანდარტულ ენათა გიპს ეკუთვნის, რადგან ავტონომიურია, აქვს ისტორია, მასზე მეტყველებს ცოცხალი კოლექტივი და პომოგენურია. სწორედ აქედან ამოსვლით უნდა დაეკვირდეთ მის ღიაპაზონს.

თანამედროვე ქართული ენის ღიაპაზონს ქმნის სალიტერატურო ქართული. ქართული ენის გერიტიორული და სოციალური ღიალექტები. ქართული ენის საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ ღიალექტებს ინგილოურს, იმერხეულს, მოზლო-

კურს, პლასტუნიკურსა და ფერეიდნულს შეიძლება ეწოდოს ადგილობრივი ენა, რადგან სრულიად ეთანხმებიან ამ გერმინის იუნესკოსულ განმარტებას: ადგილობრივი ენა იმ ჯგუფის დელაინაა, რომელიც სხვა ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის სოციალურ ან პოლიტიკურ გავლენას განიცდის (იუნესკო 1953: 46). ეგვევ ითქმის ბოლო ხანს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას ემიგრირებულ, კომპაქტურად მოსახლე ქართველთა ენაზეც.

საღვთისმსახურო ლიტურგიაში გამოიყენება კლასიკური ქართული (resp. ძველი ქართული). უკანასკნელ ხანს საზეიმო ეპისგოლეებსა და საქართველოს საპატრიარქოს ისეთ გამოცემებში, როგორცაა “ჯუარი ვაზისა”, ეკლესიის კალენდარი და სხვანი, ავტორები ციგაგებს უმეტესად ბიბლიური წიგნების თანამედროვე ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანებიდან იმომეზენ (იგავე ითქმის საერო გამოცემებზე).

იდეოლოგიებულ ღირებულებებში, რომლებიც „დიდ (ლიად) გრადიციას ქმნიან, ენის კლასიკური სახეც იგულისხმება. მაგალითად, თანამედროვე ანგლიკანურ ეკლესიაში ღვთისმსახურების ენაა თავისებური “კლასიკური” ინგლისური, რომელიც ეყრდნობა მეფე იაკობ პირველის ბიბლიის ენას. კათოლიკურ ღვთისმსახურებაში ლათინური გამოიყენებოდა მანამ, სანამ. ვატიკანის დაღვინილებით, ღვთისმსახურება “ადგილობრივ” ენებზე გადავიდოდა (ბელი 1980: 342).

ღვთისმსახურებაში პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, კვლავ კლასიკურ ქართულს უნდა მიეცეს, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა იმიო, რომ კლასიკურ ანუ ძველ ქართულზე თარგმნილი ბიბლიური წიგნების გარდა შექმნილია ჩვენამდე მოღწეული მდიდარი ორიგინალური ლიტერატურა. იგი დალექილია პასიურ მეხსიერებაში და ეპოქიდან ეპოქაში კვლავ ცოცხლდება ხელახალი გააზრებით, რაც განაპირობებს მის გრადიციულობას. კლასიკურ ქართულზე აღსრულებული ღვთისმსახურების თანამონაწილე თავს გრძნობს, უმეტეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა. ქვეყნობიერად, მასთან დროში დიდად დაცლებული წინაპრების შემევიდრედ, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. როგორც გ. რამიშვილი წერს,

“თითოეული მლოცველი თვითონ აღაველენს ლოცვას, მაგრამ რაკი იგი ქართულად სრულდება, ამით ყოველი მლოცველი მინაგანად ერთსიანდება ერთ დიდ საზოგადოებაში... ეს შინაგანი

ერთობა ემყარება ქართული ენის შინაგან გამაერთიანებელ ძალას, მისი შინაფორმის შეგრძნებას. ლოცვის ღრმად პიროვნულ აქტივობა თითოეულ ქართულ სიტყვას მინიჭებული აქვს ღვთიური ძალა და ამ ძალის შეგრძნება გამსჭვალავს საზოგადოების ყოველ წევრს. პირველ ყოვლისა, ერის მასშტაბით! ... ეს არის ენობრივი მსოფლგაგებით შეკრული ერთობა" (გ. რამიშვილი 2000: 155).

ბიბლიური წიგნების თანამედროვე ქართულზე გადმოტანას საზოგადოება ერთნაირი მოწონებით არ ხვდება. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი გაყოფილია. ერთი მოსაზრებით,

თანამედროვე ქართველს წმინდა წერილის ძველქართულად კითხვა ამორებს ყოველღვთაურ მეტყველებას და ხლის ეფუემისტურს, მოსარიღებელსა და საყრძაღველს. გაუმართლებელ შიშობად მიაჩნიათ ძველი ქართული ტექსტების გაუგებრობის დასახელება, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ქართული ენა პოლიგენურია და თუ მაინც ხვდება მკითხველს გაუგებარი ადგილები. ასეთ შემთხვევაში უნდა მიემართოთ განმარტებისა და კომენტარების ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზე აპრობირებულ და შედეგიან მეთოდს (თ. ბოლქვაძე 1997 : 50).

მეორე მხრივ, არსებობენ მთავარეპისკოპოს მიხეილ მულდინის მოსაზრების გამზიარებლებიც. მთავარეპისკოპოსი მიხეილი ამბობს:

"შართლმადილებელი ადამიანი გაძარნი სალოცავად და განსასწავლად მოდის და არა რომელიმე ენის დასაუფლებლად და მისით ტკობისთვის".

ბიბლიურ წიგნთა თანამედროვე ქართულ ენაზე მთარგმნელი პროფ. გ. კვიციანი წერს:

"წმინდა წერილისათვის პრივილეგირებული, განსაკუთრებული სიწმინდით შემოსილი ენები არ არსებობენ. ამ მხრივ, როგორც პაულე მოციქული ამბობს, ქრისტეში არ არის არც ელინი, არც იუდეველი, არც სკვითი, არც ბარბაროსი, და - დაუძენ მე. არც ძველი და არც ახალი, არც ფლექსიურ-სინთეტური, არც აგლუგინატიური" (კვიციანი 1998: 25).

თანამედროვე ქართული ენის დიაპაზონს ქმნის სალიტერატურო ქართული, კლასიკური ქართული, დიალექტური ქართული (იგუ-

ლისხმება ქართულის გერიტორიული და სოციალური დიალექტები) და ადგილობრივი ქართული.

სოციოლინგვისტიკის სფეროში შემავალ საკითხთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ენობრივი სიტუაცია. მასზე დაკვირვებისას უნდა განისაზღვროს, რამდენი ენაა გავრცელებული მოცემულ არეალში, რომელია ეს ენები, რამდენი კაცი ლაპარაკობს თითოეულ მათგანზე და რა პირობებში გამოიყენებიან ისინი. რა დადგენილებები და შეხედულებები არსებობს ამ ენათა შესახებ მოცემულ კოლექტივში. ენობრივი სიტუაცია, როგორც წესი, იერარქიულობით ხასიათდება, რასაც მოცემულ არეალში გავრცელებული ენების განსხვავებული სტატუსი განაპირობებს.

ისტორიულად ენათა სიმრავლე საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. საქართველოში ქართულის გარდა გავრცელებულია აფხაზური, ოსური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული, ბაცური, ქურთული, აისორული. ამას გარდა სხვა მრავალ ენაზე მეტყველებენ საქართველოში მოქალაქეთა პატარ-პატარა ჯგუფები. უახლოეს წარსულში (უკანასკნელ თხუთმეტ წელში) მომხდარი პოლიტიკური ამბებისა და სულ უფრო და უფრო მზარდი ემიგრაციის გამო ჭირს ზემოთ ჩამოსული ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობის დადგენა.

ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა, რაც გულისხმობს მის შეუზღუდავ გამოყენებას რესპუბლიკის ხელისუფლების, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოებში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (ჯორბენაძე 1996: 11) (ქართულის სტატუსის შესახებ საბჭოთა პერიოდში იხ. თავი II).


ენობრივი დაგეგმვის საქმეში გადამწყვეტი ხმა აქვს ელიტას (ელიტის შესახებ იხ. თავი III, §2). ელიტის შედგენილობას განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური პირობები. თანამედროვე მდგომარეობით ელიტას ქმნიან მმართველი წრეებიდან გამოსული ძლიერი ბიზნესმენები, წამყვანი ინტელექტუალები, პოლიტიკური ლიდერები, სახელმწიფოს უმაღლესი ჩინოვნიკები, არმიის დაწინაურებული ნაწილი, ეკლესიის რელიგიური და საერო ხელმძღვანელები, პროფკავშირების, ფერმერული და სხვა გაელენიანი წრის წარმომადგენლები. როგორც ლერნერი და გორდენი წერენ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ელიტის წევრი შეიძლება გახდეს

ნებისმიერი სოციალური ფენიდან გამოსული ადამიანი (ლერნერი და გორდენი 1969: 77), რაც ხშირად აძნელებს ოქროს შუალედის მიგნებას ენის დემოკრატიზაციასა და ენის გაუხეშებას (დისფემიზმს) შორის.

ადამიანის ქცევა საზოგადოებაში გულისხმობს შესაბამის ენობრივ ქცევასაც. ისმის კითხვა - საქართველოში მცხოვრებს რამდენი ენის გამოყენება უხდება ერთი დღის განმავლობაში და ქართულის არციოდნა უქმნის თუ არა არაქართველს დისკომფორტს. როგორც უკვე აღინიშნა, გაგარებული ენობრივი პოლიტიკის მიხედვით, საქართველო ენდოგლოსურ სახელმწიფოს ჰგავს, სადაც ქართული ენა ეროვნულ-ოფიციალური და მოსახლეობის უმრავლესობის მშობლიური ენაა, მაგრამ აუცილებელია, რომ მან გაიფართოვოს სოციოლინგვისტური ფუნქციები. ეს კი იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ქართულმა შეაღწიოს საქართველოს ყოველი მოქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამდენად ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ქართული ენის სოციოლინგვისტურ ფუნქციებზე და მხოლოდ ამ ფონზე უნდა ხდებოდეს მოწოდება ქართული ენის ნორმების დაცვისკენ.



ენათა ტიპების, ენობრივი სიგუაციის, ენათა სტატუსის, მათი როლებისა და დიაპაზონის შესწავლა მიზნად ისახავს ფუნქციონალური სოციოლინგვისტური გეოლოგიის აგებას. ასეთი სამუშაო გულისხმობს როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ მიდგომას. სინქრონიული მიმართულება მოიცავს მრავალენოვან საზოგადოებაში ენათა იერარქიისა და მათი ფუნქციების კვლევას. დიაქრონიული კი, თავის მხრივ, იყოფა რეგროსპექტულ და პროსპექტულ მიმართულებებად. რეგროსპექტული მიდგომით ვარკვევთ ენის ადგილს "დიდ გრადიენტში", პროსპექტული მიმართულება მოცემული ენის შესაძლო მომავლის პროგნოზირებას გულისხმობს.



საკითხთა ამ წრის კვლევა შეუძლებელია ენის სოციოლინგვისტური ატრიბუტების ანუ მახასიათებლების წინასწარი

გარკვევის გარეშე. უამისოდ ვერ განესაზღვრავთ სოციოლინგვისტურ პროცესებს, რადგან ამა თუ იმ ენის გიპი და მისი რანგი ენათა იერარქიაში განისაზღვრება აგრიბუტთა გარკვეული კომბინაციით.



ამერიკელმა მეცნიერმა ჯომუა ა. ფიშმანმა სოციოლინგვისტიკაში შემოიგანა გერმინი "Great Tradition", რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს ასე: "დიდი გრადიცია" ან „ღიადი გრადიცია“. მისი გაგებით, "დიდი (ღიადი) გრადიციას" ქმნის ენა, რელიგია, ისტორია, წყობა და ხელისუფლება. სწორედ ესენი განაპირობებენ სახელმწიფოში მოქალაქეთა ინტეგრაციას. ჩვენ ამ ფაქტორებს იდეოლოგიზებულ ღირებულებებს ვუწოდებთ.

დიდი გრადიციის შემქმნელი ფაქტორებიდან ენა ფუნდამენტური მოვლენაა. იგი ამთლიანებს საზოგადოებას და იქცევა ეროვნულ სიმბოლოდ, მასთან არის იდენტიფიცირებული ეროვნული ღირებულებები, ეროვნული გმირები და, საერთოდ, ეროვნული მისია. იგი ქმნის ფასეულობათა ერთგვარ პარადიგმას.

თუ ერთზე მეტი გრადიციის არსებობა ზოგჯერ გადაულახავ პრობლემებს იწვევს, ერსაი დიდი გრადიციის ძალა ქმნის ეგზოგლოსურ საზოგადოებას, რომლის წევრებს სწამთ, რომ მათი ენა ასახავს მათი განსაკუთრებულ გენიას და ავთენტურად უკავშირდება მათ არაჩვეულებრივ ცხოვრებისეულ და სულიერ გამოცდილებას. ენობრივი კოლექტივები ყოველთვის ბრუნავენ იმაზე, რომ თავიანთ ენას მოუძებნონ "რესპექტაბელური" წარმოშობა, რისთვისაც ქმნიან მითებსა და გენეალოგიებს და ახდენენ მათ კულტივირებას. ამა თუ იმ ქვეყნის ენობრივ-კულტურული სიგუაციის ისტორიულ დინამიკაზე დაკვირვებისთვის ფასეულ მონაცემებს სწორედ კულტივირებული მითები და გადმოცემები იძლევა. დიდი გრადიცია განაპირობებს საზოგადოების გააზრებულ სოციო-კულტურულ ინტეგრაციას, სახელმწიფო ენის არჩევასა და ენობრივი დაგეგმვის ხასიათს.



ნაშრომში ენის სოციოლინგვისტურ მახასიათებელთა ზოგადი ტაპოლოგიისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხების ფონზე ნაჩვენებია ქართული ენის როლი ქართული სახელმწიფოს დიდ გრადიციაში. წიგნში პრობლემის რეგროსპექტული ასპექტის თანმიმდევრულ ანალიზზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრებანი თანამედროვე

ქართული ენის დიაპაზონისა და მისი სოციოლინგვისტური ფუნქციების შესახებ. ქართული დიდი გრადიციის, როგორც ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიზებული ღირებულებებისა და მიზნების ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს თანამედროვე საქართველოს ენობრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებას.

ენათა აგრიბუტებიდან ძირითადად განხილულია ისტორიულობა, სტანდარტიზაცია/კოდიფიკაცია და პოპოგენურობა, რაც განპირობებულია ნაშრომის რეგროსპექტული ხასიათით. საკითხის დიაქრონული შესწავლა, ჩვენი ფიქრით, მყარ საფუძველს შეუქმნის თანამედროვე ქართული ენის სოციოლინგვისტური აგრიბუტებისა და მისი დიაპაზონის კვლევას. წარმოდგენილი ნაშრომი საბოლოო მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სოციოლინგვისტური (resp. ენათა ფუნქციონირების) გიპოლოგიის შექმნას.



საბჭოთა პერიოდში ქართულ ენას საქართველოში პქონდა რეგიონალური ოფიციალური ენის სტატუსი. მასზე მაღლა იდგა რუსული ძირითადი სახელმწიფო ენის სტატუსით. საერთოდ, რუსული იყო ინტერენა. იგი გამოიყენებოდა და ჯერაც გამოიყენება სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის ურთიერთობის საშუალებად. თანამედროვე საქართველოში რუსული არ არის ოფიციალური ენა, მაგრამ მას მრავალი მნიშვნელოვანი სოციოლინგვისტური ფუნქცია ღარჩა. იგი ფართო კომუნიკაციის ენაა. მისი საშუალებით იბმება ურთიერთობა ბევრ ქვეყანასთან, უმთავრესად, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებთან. რუსული ის ენაა, რომელიც ისწავლება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლაში. ამას გარდა, ბარდება ასპირანტურაში, გამოიყენება სამეცნიერო გამოკვლევებისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული აფხაზური და ოსური უახლოეს წარსულში ასრულებდნენ რეგიონალური ოფიციალური ენების როლს, რომელთაც თავისი სტატუსით აღემატებოდა რუსული, ხოლო ქართულს პქონდა ასატანი ენის სტატუსი. ასატანი ენას უწოდებენ ისეთ ენას, რომელიც არც აკრძალულია და არც წახალისებული, ანუ მისი არსებობა იციან, მაგრამ იგი იგნორირებულია. სომხურსა და ამერბაიჯანულს ადგილობრივი ენების სტატუსი აქვთ. სომეხი და ამერბაიჯანელი მოსწავლეები სკოლაში ოთხ ენას სწავლობენ: მშობლიურს (ე.ი. სომხურს

ან აზერბაიჯანულს). ქართულს, რუსულსა და ევროპის კიდევ ერთ რომელიმე ენას. თუმცა ქართულს ისინი მხოლოდ იმდენად ფლობდნენ, რამდენადაც ეს საჭირო იყო ყოფითი ურთიერთობებისათვის, ხოლო რუსული იყო აუცილებელი ენა, რომლის არცოდნა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა სამოგალოებაში გარკვეული მდგომარეობის ქონის მსურველებს, რასაც ვერ ვიგყვით ქართული ენის არცოდნაზე.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები ასახავენ საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის სხვადასხვა პერიოდის ხასიათს - ენობრივი პლურალიზმიდან სტაბილურ ბილინგვიზმამდე. საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია, საქართველოს ყველა სხვა კონსტიტუციის მსგავსად, სახელმწიფო ენად აღიარებდა ქართულს, თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სსრ-ში თავისუფალია რუსულისა და მოსახლეობის სხვა ენების გამოყენება. "В Грузинской ССР, на основе равноправия, осуществляется свободное употребление во всех этих органах и учреждениях русского, а также других языков населения, которыми оно пользуется (статья 75)" (საქართველოს სსრ კონსტიტუცია 1978: 33).

1978 წლამდე მიღებული კონსტიტუციებით (1922, 1959) სახელმწიფო ენად ცხადდება მხოლოდ ქართული (მუხლი 156), ხოლო 157-ე და 158-ე მუხლებში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ-ის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისთვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი ქვეყნდება ქართულ ენასა და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე. ხოლო თვით ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენასა და ქართულ ენაზე (საქართველოს სსრ კონსტიტუცია, 1922: 159; 1959: 37-38).

ქართველთა ორენოვნების ხარისხი, 1989 წლის აღწერის მიხედვით, იყო - 33,34%. ეს რაოდენობა მიიღება (2) არაასიმილირებულ ორენოვანთა და (3) ასიმილირებულ ორენოვანთა შეკრებით:

$$2 (33,00\%) + 3 (0,3\%) = 33,34\%$$

როგორც ვხედავთ, არაასიმილირებულთა ჯგუფი ჭარბობს სხვა დანარჩენს.

$$1 (65,2\%) + 2 (33,00\%) = 98,02\%$$

ენობრივი ასიმილაციის ხარისხი (ეახ) გამოიყოფება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ეახ} = -1/3 + (4)X4 + (3)X3 + (2)X2 + (1)X1 : 300^5$$

ქართულთა ენობრივი ასიმილაციის ხარისხი =

$$= -1/3 + (1,32\% X4) + (0,34\% X3) + (33,0\% X2) + (65,2\% X1) : \\ : 2.430.000.000.000 = 0,0000000000564\%$$

მრავალეროვან ქვეყანაში სახელმწიფო ენის არჩევა ძირითადად ორგვარად ხდება:

I რომელიმე ენა ლეკრეგით ან ბრძანებით ცხადდება სახელმწიფო ენად. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა მიზნად ისახავს, შეამციროს ქვეყანაში ენობრივი სხვაობა, ანუ მოახდინოს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია ეროვნულ კულტურაში.

II რამდენიმე ენას აღიარებენ ისეთ ენებად, რომლებზეც ქვეყნის შიგნით მუშაობენ ოფიციალური ორგანოები და ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები. ეს უფრო გოლერანტული გზაა და ხელს უწყობს გააზრებულ, კულტურულ პლურალიზმს, რაც სახელმწიფოს ძირითად მახასიათებლად იქცევა.

ოფიციალური ენის არჩევა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. რასაც მრავალი გარეუენობრივი ფაქტორი განაპირობებს - უპირველესად კი, ამ ენაზე მეტყველთა რაოდენობა (არ არის აუცილებელი, რომ იგი მშობლიური იყოს ყველასთვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს) და მისი გამოყენების ხარისხი. ფარნავაზ მეფის გადაწყვეტილება - "განევრცო" ქართული ენა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურია და ამ გადაწყვეტილებას განაპირობებს ექსტრალინგვისტური ფაქტორები - ქართულ ენაზე მეტყველთა რაოდენობა იმდროინდელ ქართლში და ქართული ენის გამოყენების ხარისხი. ამას გარდა, ფარნავაზის გადაწყვეტილებაში ჩანს მისი მიზანიც, ქართლში სხვა ენაზე მეტყველთა ინტეგრაცია ეროვნულ, ე.ი. ქართულენოვან კულტურაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლში ყველა პირობა იყო იმისთვის შექმნილი, რომ მეფე ფარნავაზს ქართული ენა მრავალენოვანი მოსახლეობის თანამშრომლობის ხიდად ექცია და არა ბარიერად.

ყოველი ენის მახასიათებლებს გარკვეული დრო და ლოკალური პირობები განსაზღვრავენ. როგორც კ. კეკელიძე წერს: მზარდი ეროვნული თვითშეგნება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აყვავების გზაზე დამდგარი ქართველებისა, დაჟინებით მოითხოვდა ჩვენი წარსულის უძველესი ხანის ისტორიულ გააზრებას. "მეფეთა ცხოვრება" ბაგრატ IV-ის დროინდელი ქართლის "რესპექტაბელური" წარსულის ძიებისაკენ მისწრაფების დასტურია. ამით აიხსნება XI საუკუნის მოღვაწის, რუისის ეპარქიის ეპისკოპოსის ლეონტი მროველის შრომის წარმოშობა, რომლის მიზანი იყო ქართველებისათვის (ე.ი. ქართველური გომებისათვის, - თ.ბ.) გარკვეული ადგილის მოძებნა საერთოდ კაცობრიობის ოჯახში და, კერძოდ, კავკასიაში მობინადრე ხალხთა შორის.

ქართული ღიდი გრადიცია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, იყო ქართულ ენაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრიობა. სწორედ ამ ფონზე უნდა იქნას შესწავლილი ქართლის პოლიტიკური საზღვრების დაღვენის, მათი ცელის, ცენტრების ლოკალიზაციისა და ადგილმონაცვლეობის მიზეზები, აგრეთვე ქართველურ გომთა მოძრაობა და ურთიერთშეღწევა. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ "ქართლიდან", "საქართველოდ" გარდაქმნასა და "ქართველის" მნიშვნელობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ "ენის ცენტრი" გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან ენის ცენტრს ის უპირატესობა აქვს გერიგორიასთან, ეკონომიკასთან, რელიგიასთან და პოლიტიკურ წყობასთან შედარებით, რომ თუ ხალხი ენის ცნობიერების შექონება, მაშინ ეს ცენტრი "მოძრაიცი" რომ იყოს, მას არიდაციის მუღმვივი ძალა და ერის შემკვრელი ღიდი თვისება აქვთ იმის მიუსხედავად, საიდან გამოაასივებს იგი.



ჩვენამდე მოღწეული პირველივე ქართული წერილობითი ძეგლები, რომლებიც ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან გვაქვს, მკაცრად სტანდარტიზებულ ენაზეა შექმნილი. სტანდარტიზაცია ერთნაირად ახასიათებს როგორც ქვეყნის სხვადასხვა ადგილას - ცენტრში თუ პერიფერიაში, ისე საზღვარგარეთ აღმოჩენილ პირველივე ქართულ ეპიგრაფიკულ თუ სხვა წერილობით ძეგლებს.

სტანდარტიზაცია არის ენის რომელიმე ვარიანტის ფართოდ გავრელებების პროცესი. იგი თანდათანობით იქცევა სუპრადიალექტურ ნორმად და თავისი ფუნქციებით აღემატება რეგიონულ და სოციალურ დიალექტებს. ქართული ენის სტანდარტი-

ზაციის საწყის პერიოდზე დაკვირვება საჭირო წყაროების უქონლობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც საერთოდ ყველგან, ისე ქართლშიც, სტანდარტიზებული ქართული ურბანისტული მოვლენა იყო. მაგრამ ჰკირს საუბარი იმაზე, რომელი ენა ან ქართულის რომელი გიპი (სოციალური თუ დიალექტური) შეაფიწროვა ან რომელს ჩაენაცელა სტანდარტიზებული ქართული. ასევე ძნელია დაბეჯითებით რამის თქმა, ეყრდნობოდა თუ არა იგი “განათლებული საშუალო ფენის”, ან “ქალაქის ინტელიგენციის ბირთვის” მეტყველებას, რაც საერთოდ მიჩნეულია სტანდარტიზებული ენის საფუძვლად.

V საუკუნის დასაწყისისთვის ქართული უკვე წერილობითი ენაა, რომელზეც ზრუნავენ. ამ დროისათვის ქართულს უკვე აქვს ფართო კომუნიკაციისათვის საჭირო ინტეგრაციისა და უნიფიცირების თვისებები. იგი მოდერნიზებული, ქართლის ქრისტიანული ელიტის მიერ მიღებული და აღიარებული ენაა.

სალიტერატურო ენის ისტორიის საწყის პერიოდშივე აშკარაა ქართულის მნიშვნელოვანი შინაგანი თვისებები: მოქნილი სტაბილურობა, რაც ენაში კულტურის ფარდი მოდიფიკაციის საშუალებას იძლევა და ინტელექტუალიზაცია, რადგან ქართულის კოდიფიცირებული ვარიანტი, რომელზეც ითარგმნება წმინდა წერილი, საღეთისმეტყველო ლიტერატურა და იქმნება ორიგინალური ნაწარმოებები, განსხვავდება ყოველდღიური ქართული მეტყველებისაგან ხელოვნურობის მაღალი ხარისხით. პირველივე ქართული წერილობითი ძეგლების დახვეწილობა გვაფიქრებინებს, რომ მწიგნობარი ქართველებისთვის მშობლიური ენა გაცნობიერებული ნორმაა და ისინი ეგალონს ქმნიან. ამას გარდა, ქართულს დიდი ხანია მოპოვებული აქვს ამ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის გამაერთიანებელი და იმედდროულად სხვადასხვა ენოვანი საზოგადოებებისგან გამოყოფისა და თავდაცვის ფუნქციები.

სტანდარტიზაცია ენობრივი დაგეგმვის ერთ-ერთი სახეა. სწორედ ენობრივ დაგეგმვას ახორციელებდნენ გრამატიკოსები. ისინი ორმაგ როლს თამაშობდნენ. ერთი მხრივ, როგორც ტექსტოლოგები, ტექსტის განმარტებლები და ფილოლოგები იყულებდნენ სათარგმნელი ტექსტის ენობრივ ქსოვილს, ე.ი. სწავლობდნენ ენის ბუნებას და არამყირედი წვლილი შეიტანეს ენის შესახებ მეცნიერების ჩამოყალიბებაში; მეორე მხრივ, როგორც ეინარ ჰაუგენი წერს, გრამატიკოსები მასწავლებლები იყვნენ და ეკუთვნოდნენ საზოგადოების

იმავე ფენას, რომელშიც შედიოდნენ მოსამართლეები, მოძღვრები და პრინციები (საერთოდ, არისტოკრატია, - თ.ბ.). მოსამართლეები ქმნიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების, მოძღვრები რელიგიის, არისტოკრატია - ეგვიპტის კოლს, ხოლო გრამატიკოსები ქმნიდნენ "სწორ" ან "კარგ" ენას. აღრე მკვეთრად არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული ენის შესწავლა ლექსრიფიციული (აღწერითი) და პრესკრიფიციული (მიწერითი) თეალსაზრისით და გრამატიკა (თეით ჰერმენეტიკული გაგებითაც, - თ.ბ.) უფრო ნორმატიული დისციპლინა იყო, ვიდრე - ანალიტიკური.

სწორედ პირველმა ანონიმმა გრამატიკოსებმა (ე.ი. მთარგმნელ-კომენტატორებმა) შექმნეს ქართული წიგნური ენა, რომელიც შუასაუკუნეთა სასულიერო მწერლებისთვის იდეალი იყო. წიგნურში იგულისხმებოდა საეკლესიო ძველი ქართული, რომლის კონსერვატულობას მისი უწყვეტად გამოყენება და მაღალი პრესტიჟი განაპირობებდა. წიგნური სალიტერატურო ენის, ხოლო სოფლური - არასალიტერატუროს, დიალექტურის მნიშვნელობით პირველად დასტურდება საკუთარი მთარგმნელობითი მეთოდის შემქმნელის ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გექსტებზე დართულ ლექსიკოგრაფიულ სქოლიოებში, რომელთა შორის გამოიყოფა განმარტებითი სქოლიოები, სადაც მოცემულია ერთი ცნების გამომხატველი "წიგნური" და "სოფლური" ერთეულები.

XI-XIII საუკუნეებში წიგნური ქართული სამწერლობო ენის კონსერვატულ ნაყადს შეადგენდა. ამავე პერიოდში მოხდა "სოფლური" წერილობითი ენის ემანსიპაცია ძველი გრადიციიდან. "სოფლური" უკვე შეიყავს როგორც არარელიგიური მწერლობის ენას, ისე "მარტივ" სამეტიკველო ენას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი აღნიშნავს ენის დემოკრატიულობის ხარისხს. ენის დემოკრატიულობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად ახლოსაა ენის სასაუბრო და სამწერლობო სახეები ერთმანეთთან.

თუ თვალს გავადევნებთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე დიალექტისა და სტილის აღმნიშვნელ გერმინებს (მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება გერმინები ვუწოდოთ), შევამჩნევთ მათ იდენტურობას. დაბალ სტილად დაბალი სოციალური ფენის მეტიკველებას ან რომელიმე გერიტორიული დიალექტისთვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს მიიჩნევენ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, შეიძლება ითქვას, მოცემულია ყველა



ის შეფასება, რაც ეძლევა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ღიალექტურ მოვლენებს.

•  
 ცოცხალი სალიტერატურო ენის ნორმები ცვალებადია. სწორედ ცვალებადობა და შეფასებითი ხასიათი განაპირობებს იმას, რომ ენობრივ ნორმას ხშირად აღარებენ ეტიკეტს.

ენას ახასიათებს სიჭარბე, ანუ სხვაგვარად რომ ეთქვას, ენის ელემენტები მეტყველებაში მეორდებათ, რაც უზრუნველყოფს ენობრივი ინფორმაციის გაგებას მისი გადაცემისას დაშვებული შეცდომების მიუხედავად. თუ მეტყობინებაში ნებისმიერად არსეული მნიშვნელობის მქონე ელემენტთა 55%-ს გავაუქმებთ, იგი მაინც გასაგები იქნება. კოდის ამ თვისებას შეცდომათა ავტოკორექციას უწოდებენ. მაგრამ როცა სიჭარბე ველარ უზრუნველყოფს სრულყოფიან კომუნიკაციას და ნორმის დარღვევა ველარ დაიყვანება ნულოვან საფეხურზე, მაშინ გექსტი იქცევა ბგერათა უაზრო, მნიშვნელობის არმქონე სიმრავლედ, თუმცა კი ბგერები დანაწევრებულ მეტყველებას ქმნიან.

ასეთი შემთხვევებისგან უნდა განვასხვაოთ ის მეტაბოლები, რომელთა დაყვანა ნულოვან საფეხურამდე ანუ ნორმამდე ქვეცნობიერად შეუძლია მკითხველთა უმრავლესობას. ენობრივი სტრუქტურის დარღვევის ფაზას აუცილებლად მოსდევს მისი აღდგენის ფაზა. მარსილაც, თუ რიგორიყულ გარდაქმნათა პირველი ფაზა ავტორის მიერ ნორმათა დარღვევაა, მეორე ფაზა იქნება მკითხველის მიერ დარღვევის ამოსავალ წერტილზე დაბრუნება. სწორედ ესაა ავტოკორექცია, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი, როცა დარღვევათა საერთო რაოდენობა არ აღემატება სიჭარბის ღონეს.

ნებისმიერი ფორმა ლექსში მისი ფონეტიკური ორგანიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ისიც უაქტია, რომ “პოეტური თვითნებობის” ყოველი შემთხვევა ენის პოტენციის რეალიზებაა. პოეტის, ერთი შეხედვით, წრეგადასული თავისუფლება ენის ბუნებითაა განსაზღვრული. სწორედ ენაა ყველა ლიტერატურის უჩინარი ლაგამი. აქედან გამომდინარე, აფიქსთა შენაცვლება ენაზე ძალადობის ფაქტი კი არ იქნება, არამედ ენის შესაძლებლობათა რეალიზება.

მეტაბოლისა და ნორმის ურთიერთმიმართების აქ განხილული შემთხვევები ნათლად აჩვენებს, რომ მეტყველება (ამ შემთხვევაში

- პოეტური გექსტი) ენის მხოლოდ შინაგანი ბუნების რეალიზებაა; ხოლო ნორმა ანუ ნულოვანი საფესური, ენის ჩვეულებრივი გამოყენების მიღმა ღვას.



აღმოსავლური ქრისტიანული გრადიციით, ღვთის წინაშე ყველა ენა თანასწორია, განსხვავებით დასავლურ-ქრისტიანული გრადიციისაგან, რომელიც მხოლოდ ებრაულს, ბერძნულსა და ლათინურს მიიჩნევდა წმინდა ენებად. აღმოსავლური ქრისტიანობა ასაზრდოებდა კოპტებს, გოთებს, სირიელებს, ქართველებს, სომხებს, მოგვიანებით სლავებს, აგრეთვე სპარსეთისა და არაბეთის ქრისტიანებს. მიუხედავად ენათა თანასწორობის აღიარებისა, აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა ენებს უჭირდათ კონსტანტინოპოლის გაწევა ბერძნულისათვის, რადგან ბიზანტია ყოველნაირად უშლიდა ხელს მათ ლეგიტიმაციას. მაგრამ ეს ენები მაინც იმედიერებდნენ ადგილს ბიზანტიის ნების საწინააღმდეგოდ. ეროვნული ლიტურგიის ენისათვის ბრძოლა ამ ხალხებმა ეროვნული კულტურისა და, საერთოდ, ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლად გადააქციეს. მათ ხშირად უწევდათ პაელებს ეპისკოპლეთა მოსმობა. მაგალითად, “უკუეთუ არა იყოს თარგმანი, ღუმენის ეკლესიასა შინა, თავსა თვსსა ეტყოდენ და ღმერთსა” (I კორინ. 14,28).

ბერძნულთან კონსტანტინოპოლში, მასთან თანასწორობის ბრძოლაში ისევეებოდა ქარაული სალიგერაგურო ენა. ძველი ქართული ლიტურგიკური სკოლები მიზნად ისახავდნენ, ჩვენი მწერლობა კიდევ მეტი სიღრმით ჩართულიყო აღმოსავლურ-ქრისტიანულ გარემოში. ამისთვის კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ ბერძენთა კულტურული მონაპოვრების მაქსიმალურად ათვისება. ეს უპირატესად თარგმანში ვლინდებოდა.

ლიტურგიკური სკოლა ერთიანდებოდა რომელიმე კოდიფიკატორის (ე. პაუგენისეული გაგებით), ანუ ისეთი პიროვნების გარშემო, რომელიც იყო არბიტრი, კანონმდებელი, ავტორიტეტი და მისაბაძი არა მხოლოდ ამ სკოლის, არამედ საერთოდ განათლებული საზოგადოებისათვის. ასეთ მომავალს, ქრისტიან ავტორთა რწმენით, უფალი წინასწარვე უმზადებდა თავის რჩეულს, ამდენად ეს ღვთისგან მომადლებული უნარია.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები მათი თანამედროვე სხვა ქრისტიან ხალხების მიმართ საკუთარი აღმატებულების გრძნობით იყვნენ შეპყრობილნი, თვითონ ათონელი მამებისთვის ორენოვნება

სულაც არ არის დიგლოსია, ანუ ქართული და ბერძნული მათთვის ორი ფუნქციურად დიფერენცირებული კი არა, არამედ ორი თანასწორუფლებიანი ენაა. გერმინი დიგლოსია აღნიშნავს ისეთ ენობრივ სიტუაციას, როცა არსებობს სამოგალოებრივი შეთანხმება იმის თაობაზე, სოციალური და კულტურული მნიშვნელობის მიხედვით ფუნქციურად დიფერენცირებულ კოდებს შორის რომელია “მაღალი” და რომელი “დაბალი” სტატუსის ენა. რა თქმა უნდა, ბერძნული “მაღალი” სტატუსის ენაა, მაგრამ არც ქართულს აქვს “დაბალი” სტატუსი, რადგან მან უცხო გარემოში უცხოთაგან დასუსტის ფუნქცია შეიძინა.

ბერძნულ ენასთან და ეკლესიის სხვა ოფიციალურ ენებთან ახლად გაქრისტიანებული ერების ენათა თანასწორობის პრინციპი თანდათან ეროვნულ ენათა პრიმაგისა და თვისებრივი აღმაგებულობის იდეით იცვლება. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა “ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისაა” (იგი ცნობილია სხვა სათაურებითაც: “ქებაა ქართულისა ენისაა”, “ქართული ენისათჳს”), რომლის აუტორი თუ გადამწერია იოანე-ზოსიმე.

ქართული ენა (და ქართველი ერი, - თ.ბ.) სპეციფიკურ სარწმუნოებრივ კონსეკრაციას იღებს - რადგან განკითხვის დღის ენა ხდება და საღმრთო საიდუმლოთა მაგარებელი - ფუნქციას, რომელიც, იოანე ზოსიმეს აზრით, ქართულს ბიბლიური წინასწარმეტყველებით დაკისრებია. ქართულის ბოლო ენად გამოცხადება შებრუნებაა ხშირად გამოთქმული აზრისა ამა თუ იმ ენის პირველობისა და საწყისობის შესახებ - აგრძობი, რომლითაც იოანე ზოსიმემ ქართული ძნელ კონკურენციაში მოახვედრა წმინდა ენებთან - ებრაულსა, ბერძნულსა და ლათინურთან. მაგრამ ეს არ არის დაუძლეველი კონკურენცია, რადგან “ქებააში” ქართული და ბერძნული დებად არიან გამოცხადებული.



პირველი ქართული ლექსიკონი და გრამატიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიქმნა. მართალია, ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტის ღრმა ეროვნულ შინაარსს, მაგრამ მისი განხორციელება მაინც კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა ეიწროვლერიკალური მიზნებით იყო შეპირობებული.

საერთოდ, ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და მისიონერთა მოღვაწეობას შედეგად მრავალი ენის გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენა მოჰყვა, მაგრამ, როგორც მართებულად მიუთითებს

ლეონარდ ბლუმფილდი, ეს შრომები დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, რადგან მათი ავტორები სპეციალური ცოდნის უქონლობის გამო უცხო ენათა ბგერით შედგენილობაში ვერ ერე-ვეოდნენ და არ შეეძლოთ ბუსტი ჩანაწერის გაკეთება. ამას გარდა, ცლილობდნენ ყველა "ახალი" ენა ლათინური გრამატიკის სქემაზე აეწყოთ. რაც ენობრივი ფაქტების გაყალბებას იწვევდა. სწორედ ეს ნაკლი აქვს ნიესფორე ირბახისა და სტეფანე პაოლინის "ქართულ-იტალიურ ლექსიკონსა" და ფრანჩესკო-მარია მაჯოს "ქართულ გრამატიკას". რომელთაც "პროპაგანდა ფილეს" კონგრეგაცია ძირითადად განიხილავდა როგორც ერთგვარ დამხმარე სამუ-ალებას საქართველოში კათოლიკური სამისიონეროს პრაქტიკულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ყველგან, სადაც არსებობს ენობრივი პრობლემები, სადაც ენობრივი სიგუაცია რაიმე მიზეზით არადადამკმაყოფილებელია, აუცი-ლებელი ხდება ენობრივი დაგეგმვა, რომელიც ცალკეული პირების, სამთავრობო კომისიებისა და აკადემიების ძალისხმე-ვით ხორციელდება. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში არასახარბიელო ენობრივი სიგუაცია იყო - სამეფო-სამთავროე-ბად დაშლილი ქვეყანა საფრთხეს უქმნიდა ხანგრძლივი წერი-ლობითი გრადიციის მქონე ქართულ ენას. მეორე მხრივ, პოლი-ტიკური ცენტრის დაქსაქსვის პირობებში მასზე კეთილისმყოფელ გავლენას ეურაფრით ვერ მოახდენდა მოგზაურ შარდენის მიერ აღწერილი ენათა სიმრავლე, რომლის გარემოცვაშიც არსებობდა ქართული ენა.

ენობრივი დაგეგმვის უმთავრესი მიზანია გავლენის მოხდენა ოფიციალურ სტილზე მის წერილობით ფორმაში ცელილების შეტა-ნით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენობრივი დაგეგმვის მიზანი სტანდ-არტიზაციაა. იგი სალიგერატურო ენის უმთავრესი ატრიბუტია, რაც ნიშნავს ამ ენის ისეთი კოდიფიცირებული ნორმების არსებობას, რომელიც აღიარებულია ენობრივი კოლექტივის მიერ და გამოდის არბიტრის როლში. სწორედ ეს მიზანი ჰქონდა სულხან-საბა ორბე-ლიანს, როცა ლექსიკონს ქმნიდა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ავტორიტიტულობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მან ენის კოდიფიცირების პრინ-ციპალ ეფექტურობისა და ადეკვატურობის კრიტერიუმები აირ-ჩია. ეფექტურია ის ფორმა, რომელიც ადვილად შეისწავლება და ადვილად გამოიყენება. ხოლო ადეკვატურობა არის ენის უნარი,

დაავაყოფილოს მასზე მოლაპარაკე კოლექტივის მოთხოვნები. "ქართულ ლექსიკონში" ასორმოცზე მეტი წყაროა დასახელებული, მათ შორისაა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურა. ორბელიანი "ანდერძნამაგში" ხაზგასმით წერს: "საადვილო ეპოვე და საადვილონი აღეწერე", ან კიდევ: "საცილობელი არ დაეწერე".

ლიტერატურული გრადიცია ქმნის საკუთარ კოდს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ენობრივი კოლექტივის მეტყველებაზე. ამიტომ სულხან-საბა სიგყვას ძველი წერილობითი ძეგლების მიხედვით განმარტავს და ეს განმარტება ყოველთვის მარტივი და გასაგებია, რაც მკითხველს მისი მშობლიური ენის პომოგენურობაში არწმუნებს. სწორედ ამას დააყრდნო ორბელიანი ენობრივი დაგვიგმვის უმთავრესი მიზანი - ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის კომუნიკაციის განხორციელება და ამითვე მოახდინა გავლენა მათ არჩევანზე.

•

"წერვის შეეშინლება, რომ ნიშნებზე დაკვირვება საგნებს დაგვაშორებს. პირიქით, იგი მიგვიყვანს საგანთა არსამდე, - ვოგფრიდ ლაიბნიცის ეს სიტყვები განმარტებითი ლექსიკონის ხასიათსაც ასახავს. განმარტებითი ლექსიკონი ორიენტირებულია ენის რეფერენციულ ძალასა და მეტალინგვისტურ ფუნქციაზე.

მეტალინგვისტური ფუნქცია ორიენტირებულია კომუნიკაციის აქტის საყრდენ ფაქტორზე - კოდზე. შეიძლება ითქვას, ეს არის განმარტებითი, ახსნითი ფუნქცია. მეტალინგვისტური ფუნქციის ყველაზე აშკარა გამოხატულებაა განმარტებითი (ერთენოვანი) ლექსიკონი, რადგან მასში ერთი ენის ნიშანი/ელემენტი იხსნება, განმარტება ამავე სისტემის (ენის) სხვა ელემენტებით.

იმაზე დაკვირვებით, რას მიიჩნევს სულხან-საბა ორბელიანი ენობრივ ნიშნად, როგორ ალაგებს და განმარტავს მათ, შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, რას ფიქრობდა "ლექსიკონი ქართული"-ს ავტორი ქართული ენობრივი სისტემის სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატული წესების შესახებ.

სულხან-საბა ორბელიანი სიტყვათა განმარტებისას ყველაზე ხშირად ტაქსონომიისა და ცნების (მთელის) სახეებად (ნაწილებად) დაყოფის პრინციპს იყენებს. კონცეპტი "სახე, ტიპი" ადამიანური კატეგორიზაციის საფუძველია. ლინგვისტური კვლევები ადასტურებს, რომ სახე (სახეები) ლექსიკური უნივერსალია. ყველაზე

ხშირად ასეთი კითხვები ჩნდება: “X Y-ის სახეა?” ან “Y-ის რამდენი სახე არსებობს?”.

სულხან-საბა ლექსიკურ ერთეულებს აერთიანებს მათი ცნებობრივი თანაფარდობის საფუძველზე, გარკვეული ნიშნის მიხედვით. ზოგჯერ ეს მიზნად ისახავს გარეუცხოებრივი ფაქტებისა და მოკლენების სისტემატიზაციას, მათი ურთიერთმიმართების ჩვენებას.

“სიყვეის კონაში” შეუასებები ძირითადად ასეთია: კეთილი (კარგი), არაკეთილი (ცუდი, ბოროტი). ეს შეფასებები პირველადი კონცეპტებია და მართლაც უნივერსალური ხასიათისაა. ბინარული ოპოზიცია კეთილი - არაკეთილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გამოყენებულია “განყოფილებათა შემოცრებილად დაწერისას”.



სინტაქტიკური მიდგომით, ენა ობიექტთა ისეთი ერთობლიობაა, რომელშიც მოქმედებს წარმოქმნისა და გარდაქმნის წესები. ფართო გაგებით, სინტაქტიკის მიზანი ორი (ან მეტი) ენობრივი ნიშნის აღსანიშნებისა და აღმნიშვნელების “პორიზონგალური” ურთიერთობის კვლევაა.

ნიშნიდან ახალი ნიშნის, ან ნიშანთა ამოსავალი სისტემებიდან ახალი სიმრავლის მიღება ყოველთვის ხდება ისეთი ნიშნებით, რომელთა დესიგნატი თვით ენაშია და ნიშანთა შორის მიმართებებზე მიუთითებენ. ასეთი ნიშნები სულხან-საბა ორბელიანს “სიყვეის კონაში” ცალკე სალექსიკონო ერთეულებად აქვს გატანილი და ძირითადად ართრონში აერთიანებს.

სულხან-საბა ორბელიანი ართრონებს (აფიქსებს) ძალიან იშვიათად ახასიათებს ფუნქციის მიხედვით. რაც შეეხება ართრონების დახასიათებას ადგილის მიხედვით, იგი განარჩევს სიყვეაზე წინდართულ (“თაქსა მოეზავების”) და ბოლოს დართულ (“ბოლოდ მოეზავების”) ართრონებს. კონფიქსის (ცირკუმფიქსის) გაგება მნიშვნელობის წარმოქმნაში ან ფორმის ცვლაში ცალკე გამოყოფილი არ არის. ზოგჯერ ართრონად აფიქსის მხოლოდ ნაწილია ჩათვლილი.

სულხან-საბა ორბელიანი ამა თუ იმ სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას იძლევა მასთან სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს, თუმცა ლექსიკოლოგი იქვე მიუთითებს, რომ მინაარსობრივი ერთიანობის მიუხედავად, ყველას ერთსა და იმავე კონტექსტში ვერ გამოვიყენებთ, საჭიროა თითოეულის სინტაგმატიკური შესაძლებლობების გათვალისწინება. სწორედ ასე უნდა გავიგოთ საბა-

სეული მინაწერი: “რომელიცა სიგყვას(ა) გაწყოს, იგ(ი) ჩაურთე ZA” (I: 54) ან “რომელიცა ქართულმან სიგყვამა(ნ) გაიწყოს, იგი ხამს მოსაბმელად Cab” (I: 54). თანამედროვე გერმინოლოგიით თუ ვიგყვით, გაწყობასა და სიგყვაზე მობმაში ლექსემის დისტრიბუცი- აზეა მითითება, ხოლო პარადიგმატულად იგი გაერთიანდება იმ სი- გყვებში, რომლებიც “ერთ(ი) და იგივე არიან” (I: 64).



უცხოენოვან სიგყვათა ერთ ნაწილს სულხან-საბა ორბელიანი “უკმარს” უწოდებს. “უკმარ” სიგყვათა უმრავლესობა შემოსულია “სოფლისა ეამთა ვითარებისაგან” ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობს, “ეამთა შლათაგან”, რომელთა ხმარებას უნდა ვერიდოთ. ასეთი სიგყვები საბას ლექსიკონში იმისთვის შეუტანია, რომ “მოსწავლე- მან ცნას საკმარი და უკმარი, ჯეროვანი და უჯეროა”. “უკმარ” სი- გყვებს აქვს ნიშანი „.

ამა თუ იმ სიგყვის “უკმარად” ანუ უსარგებლოდ შეფასება აჩვე- ნებს. როგორ უყურებს, რა წარმოადგენები აქვს ინტერპრეტაციის, ამ შემთხვევაში ქართული ენის ლექსიკის კოდიფიკაციის – სულხ- ან-საბა ორბელიანს – ქართული ენის ლექსიკური ერთეულებზე. მისთვის ენობრივი ნიშანი არაა: და არამც არ არის ნებისმიერი, იგი აუცილებლად განპირობებულია. ემილ ბენვენისტის სიგყვებით რომ ვთქვათ, სულხან-საბასთვის ქართული ენა და გარესამყარო მთლიანად აღეკვამურია.

ძველი ქართული ლექსიკიდან აღებული სიგყვებისთვის ახალი სიციცხლის შექმნა თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ერთ- გვარ მოდად იქცა. საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან ირჩევენ ძირითადად ისეთ სიგყვებს, რომელთაც უცხოური ელერადობა და ქართული წარმომავლობა აქვთ. ძველ- ლი კოლექტივის ენობრივი ნიშნისადმი დამოყიდებულების მაჩვენე- ბელია. პრაგმატული თეალსაზრისით მეტყველი კოლექტივისთვის ერთი ენის ლექსიკური ერთეული (resp. ენობრივი ნიშანი) სხვა ენის ერთეულს სჯობს.



ენისთვის მზრუნველმა (კოდიფიკატორმა) შეიძლება აღწე- როს უკვე არსებული ნორმა, ან შექმნას ახალი და მის დამკვი- დრებას ეცადოს. ახალი ნორმის შექმნა ყოველთვის ერთნაირად წარმატებული არ არის. კოდიფიკირებისას ყველაზე მეტი შეცდომა

სწორედ ახალი ნორმის შექმნის დროს მოსდით. წიგნში განხილულია ენის ბგერითი ინვენტარის, მორფოლოგიის კოდიფიცირებისა და სტილის არჩევანისას დაშვებული შეცდომები.

ხანგრძლივი და მდიდარი გრადიციის მქონე ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო მწიგნობრობის ენა მრავალრიცხოვანი ენა-კილოებისა და ხანგრძლივი, მრავალმხრივი, თანაყსხვადასხვა მასშტაბისა და სიძლიერის კონტაქტები ჰქონდა ასევე მრავალგვარ მგერ-მოყვრის ენებთან, თაჲისი ფონოლოგიური მოღელი არსებითად არ შეუცვლათ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში.

ცვლილება მხოლოდ რამდენიმე ბგერას შეეხო. ა-ს, როგორც ი ფონემის პოზიციური ალოფონისა და უმარცვლო უ-ს დაყარგვას მოჰყვა ღიფთონგთა მოშლა; დასუსტდა ხ-კ ფონოლოგიური ოპოზიციის დისკინქტური ძალა. ამ ცვლილებებს იან მოჰყვა მ, ჯ, ა. კ გრაფემების დაყარგვა, რითაც ქართული ანბანი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფონოლოგიური ტიპის ანბანად.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ქართული ანბანი წარმოდგენილია ორმოცი ასო-ნიშნით. ანბანში ფ-ს შეგანა ორბელიანის “დამსახურებად” ითვლება. ორბელიანისეულ ანბანში გვხვდება მ, ა, ჯ, შ. ფ გრაფემები, ანუ ყველა, რაც კი ძველ ქართულ ხელნაწერებშია გამოყენებული.

ა, შ ბგერებისა და მ ღიფთონგის ფონეტიკური დასახისათება, სულხან-საბა ორბელიანს, შეიძლება ითქვას, სწორად აქვს მოცემული. ა-ზე იგი წერს, რომ “ნახევარკმინი”, ანუ ნახევარხმოვანია. მ-ზე აღნიშნავს, რომ “კმინის ასოსაც(ა) შემწვა”, ანუ ხმოვანთან ერთად გვხვდება. მ ალბათ ე ხმოვნად არის გაგებული, რომელიც შედის ემ ღიფთონგის შემადგენლობაში და ანბანის რიგში მერვე ადგილზეა მოთავსებული. ფუნქციის მიხედვით მ, ფაქტობრივად, შორისდებულად არის მიჩნეული. ამაზე მიგვითითებს დასახისათება: “საკრეულადცა ითქმის, კაცთა მიერ განსაბეცებულად და მკმუნვარის მიერ კმიანებადაც”. ძირითადი შეცდომა ისაა, რომ სულხან-საბას მ, ა, შ-ზე მოცემული აქვს სიგყვები არასწორი დაწერილობით: ტებრაელი, დროელი, შორომი.

ქართული ენის ბგერითი ინვენტარის კოდიფიცირების პრეგენზიას გამოთქვამდა ანტონ პირველი. იგი წერდა:

“გარნა ჩუშნ, ოდეს იგი ღრამმაგეოსობის კელოვნებასა შინა გამოცდილ ვიქმენით, არა მოცლედ განმკსჯულთა ვასაჭიროეთ



მომატებაჲ კმოვანისა ახლისა, რომელა ჯ და კუალად დაჰკრთენით ხმოვანთა ესენი: მ, ა, უ და ყოველნივე ცხრა ვპყუნით და თანად ყოველნივე შევაორმოცეთ, რომელნიცა აქა იჩუენებიან: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ქ, რ, ს, ტ, უ, ჯ, ჳ, ქ, ლ, ყ, მ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ქ, ჯ, ფ, ჳ, მ.

ანგონ პირველის ქმედება მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა ქართული ენის ფონეტიკისა და ორთოგრაფიის კოდიფიცირების საკითხში. იგი ყოველწაირად ცდილობდა მის მიერვე შექმნილი ნორმის გაგარებას და ახერხებდა კიდევ.

ქართველი რომანტიკოსები ანგონისეული ორთოგრაფიის მსუბუქ გავლენას განიცდიდნენ, ამიტომაც მათი ნაწერებისთვის დამახასიათებელია ასეთი ფორმები: *ფრაზასა, შლეიფეზ, სიმფონიასა*.



ქართულ ენას სქესის გრამატიკული კატეგორია არ ახასიათებს. იგი მხოლოდ ლექსიკურად განასხვავებს ზოგი სულიერი საგნის ორ ბუნებრივ სქესს მდებრობითსა და მამრობითს, მაგრამ ძველი ბერძნული ენის *feminium*-ის გადმოსაცემად ელინოფილური მიმართულების ქართველმა მთარგმნელებმა სპეციალური მორფოლოგიური ნიშნები შექმნეს.

სულხან-საბა ორბელიანმა “ლექსიკონი ქართულის” “ანდერძნამაგში” დაიწუნა ელინოფილთა “ღვარჭნილი” სტილი, მაგრამ “სიგყვის კონაში” მაინც არის მსჯელობა ქართულში სქესის მორფოლოგიური გამოხატვის შესახებ:

“...მამალ-დედღურთა ენათა შინა უმრავლეს არიან ართრონი. ხოლო ქართულიცა ენა ითქმიან მამალ-დედღად უკუეთუ ენებოსთ, რამეთუ პირვანდელთა წიგნთა შინა მრავალგან მინახეან ეგრე მამალ-დედღურითა სიგყვით ნაწერი. რომელთამე ადგილთა აქაცა ჩამირთავს ქვემოთ” (I: 64). ეს ადგილი ალბათ ასე უნდა გავიგოთ: ქართულ ენაში შეიძლება მდებრობითი და მამრობითი სქესის გარჩევა, თუკი გვსურს (თუკი მოვინდომებთ), რადგან ძველ წიგნებში ხშირია ასეთი რამ და ზოგიერთ ადგილას ქვემოთაჲ ჩაურთავ.

ფაქტობრივად, გრამატიკული სქესის გარჩევა ქართულისთვის მხოლოდ შესაძლებელ მოვლენადაა აღიარებული და არა აუცილებელ, ენის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე მორფოლოგიურ კატეგორიად. მართალია, ორბელიანი წერს, რომ ეს მოვლენა მხოლოდ

ჟილოსოფოსთა ენას ახასიათებსო, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში სულხან-საბა იწონებს ელინოფილია გეზს.

ორბელიანი ერთად იძლევა სქესის ლექსიკური და მორფოლოგიური გამოხატვის მაგალითებს. მდედრობითი სქესის მაწარმოებლებია: -ა, -ი// -ე. სქესს გრამატიკულად გამოხატავდა ანგონ პირიკელი და მისი გავლენით ქართველი რომანტიკოსებიც.



სტილთა ეანრობრივ განპირობებულობას განსაკუთრებული ყურადღება ევროპულმა კლასიციზმმა მიაქცია და ეს ნივთი ბუალოს სახელს უკავშირდება. სტილთა სხვაობაზე მსჯელობა სულხან-საბას “სიგყვის კონაშიც” იყო. მის მიერ გამოყოფილ ზეშთა, სწორ და დამხე სტილს საღმრთო წერილი, გარეშეთა წერილი და ზღაპრობანი შეესაბამება. სტილი რეალურად სამზე გაცილებით მეტია, მაგრამ საქმე სტილითა რაოდენობა კი არა, სტილის არჩევაა.

XVII-XVIII საუკუნის მოღვაწეები მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს “ისგორიულ”, “გარდასულ” აღამიანებად არ თვლიდნენ, მათ “კელაე მყოფებად” მოიაზრებდნენ და საერთოდ ახასიათებდათ უწყვეტობის განცდა. მაღალი სტილი ენობრივ სიწმინდეს გულისხმობდა, რომელიც, თავის მხრივ, სამაგალითო იდეალებთან დაბრუნებად გაიაზრებოდა. მაგრამ სულხან-საბასა და ანგონ I-ს შორის, ამ თვალსაზრისით, სხვაობაა. ისინი განსხვავებულად ეკიდებოდნენ ენობრივ მექვიდრეობას. ანგონ პირველს პირდაპირ გადმოჰქონდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისთვის დამახასიათებელი ენა და ამით კოდიფიკაციურ შეცდომას უშვებდა.

რომანტიკოსებს მიზნად არ ჰქონიათ (და პრინციპულად არც უნდოდათ) სამწერლო ენის დემოკრატიზაცია, მაგრამ მათ თავიანთი ლიტერატურული ნაღვაწით სტიქიურად პირველად აჩვენეს ახალი ქართულის ლიტერატურულ ენად გამოყენების შესაძლებლობა... ამდენად, ილიასა და სამოციანელებს უკვე ჰქონდათ მშვენიერი ნიმუშები იმისა, თუ როგორ უნდა მოეხდინათ ენის დემოკრატიზაციის თაობაზე შემუშავებული პრინციპული მსოფლმხედველობის რეალიზაცია მხატვრულ შემოქმედებაში.



ენის სოციოლინგვისტურ ტიპს განსაზღვრავს მისი მახასიათებლები. ქართული ენა სტანდარტიზებულია, რადგან აქვს de jure

დადგენილი კოდიფიცირებული ნორმები, რომელიც მიღებული და გაზიარებულია მასზე მეტყველი ცოცხალი კოლექტივის მიერ და, აქედან გამომდინარე, აქვს ფაქტობრივი ნორმებიც.

თანამედროვე ქართული ენა პომოგენურია, ანუ მისი ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი გამომდინარეობს მისი განვითარების წინარე სტადიებიდან. ქართული ენის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს სწორედ ამ ენის პომოგენურობა აერთიანებს. იმის მიუხედავად, რა პერიოდებს გამოეყოფთ - ძველსა და ახალს, თუ ძველს, სამუაღლსა და ახალს - ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართული ენის ისტორიის ყოველი შემდგომი პერიოდი წინამავლის ბუნებრივი გაგრძელებაა.

მამასადაძე, ქართული ენა, მისი სოციოლინგვისტური ატრიბუტების მიხედვით, სტანდარტულ ენათა ტიპს ეკუთვნის, რადგან აეტონომიურია, აქვს ისტორია, მასზე მეტყველებს ცოცხალი კოლექტივი და პომოგენურია.

თანამედროვე ქართული ენის დიაპაზონს ქმნის სალიტერატურო ქართული, ქართული ენის ტერიტორიული და სოციალური დიალექტები. ქართული ენისსაქართველოსფარგლებსგარეთგავრცელებულ დიალექტებს ინგილოურს, იმერხეულს, მოზდოყურს, პლასტუნურსა და ფერეიდნულს შეიძლება ეწოდოს ადგილობრივი ენა, რადგან სრულიად ეთანხმებიან ამ ტერმინის იუნესკოსეულ განმარტებას: ადგილობრივი ენა იმ ჯგუფის დედაენაა, რომელიც სხვა ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის სოციალურ ან პოლიტიკურ გავლენას განიცდის. ეგვე ითქმის ბოლო ხანს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას ემიგრირებული, კომპაქტურად მოსახლე ქართველთა ენაზეც. საღვთისმსახურო ლიტურგიაში გამოიყენება კლასიკური ქართული (რესპ. ძველი ქართული).

ღვთისმსახურებაში პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, კელაჲ კლასიკურ ქართულს უნდა მიეკუთვნება. ბიბლიური წიგნების თანამედროვე ქართულზე გადმოტანას საზოგადოება ერთნაირი მოწონებით არ ხედავს. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი გაყოფილია. ერთი მოსაზრებით, თანამედროვე ქართველს წმინდა წერილის ძველქართულად კითხვა ამორებს ყოველდღიურ მეტყველებას და ხდის ეფემისტურს, მოსარიდებელსა და საერძალველს. ამ თვალსაზრისზე მდგომთ გაუმართლებლად მიაჩნიათ მიზეზად ძველი ქართული ტექსტების გაუგებრობის დასახელება, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ

ქართული ენა კომოგენურია და თუ მაინც ხვდება მეითხველს გაუგებარი ადგილები, ასეთ შემთხვევაში უნდა მიემართოთ განმარტებისა და კომენტირების ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მსულ მანძილზე აპრობირებულ და შედეგიან მეთოდს.

ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა, რაც გულისხმობს მის შეუზღუდავ გამოყენებას რესპუბლიკის ხელისუფლების, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოებში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.


ქართულმა უნდა შეაღწიოს საქართველოს ყოველი მოქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამდენად ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ქართული ენის სოციოლინგვისტურ ფუნქციებზე და მხოლოდ ამ ფონზე უნდა ხდებოდეს მოწოდება ქართული ენის ნორმების დაცვისკენ.

# IDEOLOGIZED VALUES

---

## SUMMARY

The study of the language types, language situations, language status, their roles and range is aimed at constructing sociolinguistic typology. Such work envisages both synchronic and diachronic approach. The synchronic trend includes studying the language hierarchy in a multilingual society. The diachronic approach in its turn is divided into retrospective and prospective trends. By means of the retrospective approach we define the place of the language in the Great Tradition. The prospective trend implies the prognosis of the possible future of the language.



It is impossible to study the problems of this circle without a preliminary definition of the sociolinguistic attributes of the language. Without them it is impossible to determine the sociolinguistic processes, because the type of this or that language and its place in the hierarchy of languages is defined by a certain combination of attributes.

The sociolinguistic analysis of any individual language bears both, pure scientific-cognitive, and practical significance. It is particularly true with

regard to the languages, spoken by the peoples deprived of their statehood and suffering from an aggressive denationalizing linguistic pressure. After regaining their independence, these states naturally faced the need for an unprejudiced evaluation of not only the past linguistic conditions, but of the current linguistic picture as well, in order to design properly the future for the state language and overcome the unfavorable legacy of the past.

The research into the Great Tradition, as the symbol of the state's ideologized values and aims, means the interdisciplinary approach. The present work is targeted at revealing the role of the Georgian language in the Great Tradition of the Georgian state against the background of the general typology of the sociolinguistic parameters of the language and the issues of the linguistic policy. On the basis of the consistent analysis of the retrospective aspect some ideas are suggested about the range of the modern Georgian language and its sociolinguistic functions. In this book the sociolinguistic attributes of the Georgian language are studied from the retrospective point of view. The obtained results may be used as the basis for working out the main trends of the language policy in modern Georgia.

•

Joshua A. Fishman, an American scholar, introduced the term "the great tradition" into linguistics. In his opinion the language, religion, history, state system and government formed the Great Tradition. They all condition the integration of the population within the state.

Of all the factors, which form the great tradition, language is the fundamental phenomenon. It unites society and becomes a national symbol, it is the language that the national values, national heroes and generally, the national mission is identified with. It forms a kind of paradigm of values.

If sometimes the presence of more than one tradition creates insurmountable problems, the strength of one tradition forms an exoglossal community whose members are convinced that their language reflects their exceptional genius and is linked authentically with their spiritual and life experience. Language communities always try to find "a respectable" provenance for their language creating myths and genealogies for this purpose and cultivating them. It is the cultivated myths and traditions that provide valuable data for studying the historical dynamics of the linguistic - cultural situation in this or that country. The great tradition conditions the sensible sociocultural integration of society, the choice of the state language and the character of language planning.

•

In the soviet period in Georgia the Georgian language had the status of the official regional language. Above it was Russian with the status of the main state language. Generally, Russian was an interlanguage. It was used and is still used as a means of communication between various language

communities. Nowadays in Georgia Russian is not an official language but it has retained a number of important sociolinguistic functions. It is a language of broad communication. It is the language that helps to establish relations with many countries, mainly, with the former Soviet republics. It is the language studied in the elementary and secondary schools and in the higher educational institutions; besides that exams in the Russian language should be taken at the postgraduate courses, it is used in scholarly work.

In the same period the Abkhazian and Ossetian languages, played the role of official regional languages, the Russian language had a higher status, In Abkhazia Georgian had the status of a tolerated language which means that the language is neither prohibited nor encouraged i. e. its existence is known but ignored. Armenian and Azerbaijanian have the status of local languages. At school Armenian and Azerbaijanian pupils learn four languages: the native language (i. e. Armenian or Azerbaijanian), Georgian, Russian and one of the European languages. Though they knew the Georgian language on the level suitable for their everyday needs, the Russian language was obligatory, not knowing the Russian language created serious obstacles for those who wanted to achieve some position in society. This cannot be said about the Georgian language.

The Constitutions of Soviet Georgia reflect the character of various periods of the Soviet language policy - from the linguistic pluralism to the stable bilingualism. The 1978 Constitution of Soviet Georgia, like all other Constitutions declared the Georgian language the state language, though at the same time it was noted that in the Georgian SSR it was allowed to use the Russian language or any other languages of its population.

All the Soviet Constitutions adopted before 1978 declared only the Georgian language the state language (article 156), in articles 157 and 158 it is said that for the Autonomous Republics and Autonomous Region of the Georgian SSR the decrees and declarations of the Presidium of the Supreme Soviet are to be issued in the Georgian language and in the language of the Autonomous Republic or the Autonomous Region. But the decrees and orders of the Autonomous Republics or the Autonomous Region proper are to be issued in the language of the Autonomous Republic or Autonomous region and in the Georgian language.

In the antique Georgia the migration of various peoples and ethnic multivarioussness are corroborated by Georgian and foreign sources. Thus the information provided in "The Life of Kings" by Leonti Mrovely that "six languages were spoken in Kartli" seems quite credible. According to the same source these languages were Georgian, Armenian, Khazarian, Assyrian, Hebrew and Greek. The historian's words that king Parnavaz "expanded the Georgian language and no other language but Georgian was spoken in Kartli" must be understood in the following way - of these six

languages, Georgian was spread widely, i. e. it became the state language. Other languages, of course, were spoken too, but none was official except the Georgian language.

The choice of the official language in a multilingual country is a political decision conditioned by many external factors - and first of all by the number of people speaking this language (it is not necessary that it should be the native language for everybody who speaks it) and the degree of its use. King Parnavaz's decision "to expand" the Georgian language was, of course, political and it was conditioned by extralinguistic factors - the number of people who spoke the language in Kartli and the integration of those speaking other languages with the national i. e. Georgian culture. It may be presumed that in Kartli there was every condition to enable king Parnavaz to use the Georgian language as a bridge to facilitate the communication of the multilingual population and not to turn it into a barrier.

A definite time and local conditions determine the sociolinguistic attributes of every language. The growing national consciousness of the Georgians, who followed the road of political, economic and cultural florescence, was persistently demanding historical comprehension of the antique period of our past. "The Life of Kings" by Leonti Mroveli, an 11<sup>th</sup>-century ecclesiastic figure, bishop of the Ruisi eparchy, in J. Fishman's words, attests to the quest for the "respectable" past. This historic work contains an andresic story with a complete plot narrating about a strange adventure of Parnavaz, the founder of the Georgian State. According to this story Parnavaz was anointed by the sun's royal glory i.e. parna, or hvama "brilliance", "halo" descended on him, hence the name Parnavaz.

In spite of adopting Christianity, Georgians are proud of the pagan king Parnavaz, "respectable" as J. Fishman would have put it, whose name is associated with the foundation of the first Georgian state, declaration Georgian the State language and creation of the Georgian alphabet. It is difficult to say which sources the 11<sup>th</sup>-century historian used when he wrote about Parnavaz - was it a written source or an oral tradition. It is not of decisive importance for the Great Tradition.

The Georgian Great Tradition handed down from generation to generation was the statehood based on the Georgian language. It is this background against which the reasons of the defining the political frontiers of Kartli, their changing, the localization of the centers and the interchanging of their places must be studied, against the same background must be studied the movement of the Georgian tribes and their mutual infiltration. It is these factors that conditioned the changing of "Kartli" into "Sakartvelo" (Georgia) and into the meaning of "Kartveli" (Georgian). It should be noted that "the language centre" has a decisive significance, for "the language centre" has an advantage over the territory, economy, religion and political structure. If the people is language-conscious, even if the centre were "mobile" it would still have a



constant power of radiation and a powerful quality of uniting the nation no matter from where the rays were sent out.

Standardization is one of the aspects of language planning. It is the language planning that grammarians carried out. They played a dual role. On the one hand as textologists, text commentators and philologists they studied the linguistic texture of the text that should be translated, i. e. they studied the nature of the language thus contributing a lot to the foundation of the linguistic sciences; on the other hand, as Einar Haugen writes, grammarians were with teachers, pastors and judges (in general, nobility - T. B.). Judges formed the code of life, pastors created the code of religion, aristocracy - that of etiquette, while grammarians created "a correct or "good" language. In the past the teaching of the language by the descriptive and the prescriptive methods were not so sharply divided and grammar (even in its hermeneutic meaning - T. B.) was more a normative discipline than an analytical one.

